

ბილბოდი

13 აპრილი 1,50 ლარი №14



როგორ გახდა ია სუნიტაშვილი ქალის მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში, რომელიც მაისში კანის ფესტივალზე წარდგება და რატომ არ დააქვს მას გოლდა გულით

83. 79

83. 23
რა იყო ანრი ჯონსონის ცხოვრების დიდი ტრაგედია და რას ვერ აცნობიერებდა ის წლების განმავლობაში



83. 70
რით ვბავს „TV11“ მზესუმზირას და ვინ დააწყებინა ნინო შავგულიძეს სიმღერა უცნაური ტექსტებით



83. 15
როგორ აღმოჩნდა 19 წლის ასაკში მაიკო ჭაფოძე სხვა სამყაროში და რა ემოცია არ ავიწყდება მას წლების შემდეგ



83. 14
რატომ უპირთ ლევან ჯიბლაშვილის დანახვა მოლაპარაკებებზე და როდის მოაწერა მან ხელი მილიონიან კონტრაქტს



83. 22
როგორ ავირბას ისტორიის შეცვლას გიორგი კალანდიაძე



83. 19
ჰყავს თუ არა ანა ხანჩალიანს მილიონერი შეყვარებული ერეკლესი და რატომ ამგობს ის უარს ქართულ სატელევიზიო კონკურსებზე



83. 73
რა სანამღავს იღებს ყოველდღიურად ქართველი მოსახლეობა და რა დავალება მისცა მის გამოსასწორებლად კატრინაქვა ალექო ყიფიანს

ბილბოდივით გზობას!

მიტარბი - კიდეზ ერთი კურორტი და უნიკალური მინერალური წყლის საბადო

თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე შეფენილი სოფელი მიტარბი ის ადგილია, რომელიც თავის დროზე მთელს საქართველოში ცნობილი იყო უნიკალური მინერალური წყლის საბადოთი. უკვე რამდენიმე ათეული წელია, არსად შეგვხვედრია ბოთლი, ოდესღაც ყველასათვის კარგად ნაცნობი ეტიკეტით, კარგა ხანია, არავის უთქვამს, რომ შვებულების გატარებას მიტარბში აპირებს, ადამიანებს ამ ადგილთან აღარც ძვირფასი მოგონებები და არც სამომავლო გეგმები აღარ აკავშირებთ, არადა ერთ დროს ეს ადგილი ბორჯომის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მიმართულება იყო ნებისმიერი დამსვენებლისთვის.

დღეს, როცა საქართველოს კურორტები ერთი მეორეს მიყოლებით ცოცხლდება, როცა ძველ დიდებას იბრუნებს ბორჯომის წყალი და მასთან პირდაპირ დაკავშირებული კურორტი ბორჯომი, საჭიროდ მივიჩნევთ საზოგადოებას შევახსენოთ მიტარბი - ადგილი და წყალიც, რომლის გემოც წყლის ექსპერტთა გარდა აღარავის ახსოვს.

გვახსოვს კი „მიტარბი“? ან რა გვახსოვს მის შესახებ?

უფროსი თაობის ადამიანებს დიახაც ახსოვთ მინერალური წყალი, რომელიც სამკურნალოდაც შესანიშნავი იყო და ნებისმიერ სუფრასაც ამშვენებდა. ახალ თაობას კი მხოლოდ ყურმოკვრით გაუგია ადგილ მიტარბისა და იქ მოპოვებული მარგებელი წყლის შესახებ. ვიცით, რომ სოფელი მიტარბი სადღაც ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში მდებარეობს და მთელი ამ დალოცვილი მხარის მსგავსად, ალბათ, ლამაზი ადგილი უნდა იყოს, შერეული წიწვოვან-ფოთლოვანი უღრანი ტყეებით დაფარული ფერდობებით, თვალწარმტაცი პეიზაჟებით და თავისთავად სამკურნალო ჰაერით...

მივიწყებული კურორტი მართლაც ასეთია. ოღონდ მიტარბი ორია. მდინარე გუჯარეთის ხეობაში მდებარე ორი ძალიან ლამაზი სოფელი - დიდი და პატარა მიტარბი, რომლებიც ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში აღწერა ვახუშტი ბატ-

ონიშვილმა და დღეს უკვე თითქმის გაუცხურებულ გუჯარეთის ხეობის თვრამეტე სოფელს შორის დაასახელა. სოფლები დღესაც იმ ადგილებზე მდებარეობს, რომლებიც გეოგრაფმა აღწერა. გარდასულ დროთა უტყვე მონმეებად სოფლებში ისევ დგას ისტორიულ ნაგებობათა - მეცხრე-მეათე საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიის, მეათე-მეთერთმეტე საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესიის და იმავე დასახელების ადრე შუასაუკუნეების საყდრის - ნანგრევები.

კურორტი, უფრო სწორად კი, ყოფილი კურორტი, ზღვის დონიდან 1 480 მეტრზე მდებარეობს. იქაურობისთვის კონტინენტური კლიმატი, ზომიერად

ნეული ცულის ხმა არღვევს მყუდროებას. სოფლებსაც მხოლოდ აქა-იქ ასდის კვამლი და დათოვლილ ხეობებს ეფინება. ოდესღაც დიდი სოფლები - დიდი და პატარა მიტარბი - მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში თითქმის სულ დაცარიელდა. 2002 წლის მონაცემებით, ორივე მიტარბში მხოლოდ 64 ადამიანი ცხოვრობდა. დღეისათვის შეიძლება კიდევ უფრო ნაკლები ცხოვრობს... სადღაც აქვე კი სიცოცხლე სწორედ ზამთარში ჩქეფს - მიტარბს და განთქმულ სამთო-სათხილამურო კურორტ ბაკურიანს მხოლოდ შვიდი კილომეტრი ამორებს.

აქაურობას აქვს პოტენციური შეინახოს საკუთარი თავი და მნიშვნელოვან კურორტად იქცეს. მინერალური წყლის საბადო ხომ არსად წასულა. ნახშირორჟანგისანი და კაჟმჟავიანი ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი სამკურნალო და სუფრის მინერალური წყალი, რომელიც ძალიან მსუბუქია და სასიამოვნო გემო აქვს ისევ მოიპოვება სოფლის სიახლოვეს, ექსპერტები, ჰიდროგეოლოგები და კურორტოლოგები კარგად იცნობენ როგორც ამ წყალს, ასევე კურორტს. საჭიროა, შევახსენოთ მოსახლეობას, რომ წყალი „მიტარბი“ ქრონიკული გასტრიტის, კუჭი-



გრილი ზაფხული და მკაცრი უხვთოვლიანი ზამთარია დამახასიათებელი. გუჯარეთის და მისი მარცხენა შენაკადის მდინარე მიტარბულას ხეობები ძალიან ლამაზია. ტყეები ნადირ-ფრინველითაა სავსე. როგორც მთელი რეგიონი, მიტარბის შემოგარენიც მსხვილი ძუძუმწოვრების პოპულაციებითაა განთქმული. შველი, ფოცხვერი, მგელი, დათვი და კეთილშობილი ირემი აქაური ტყის მკვიდრები არიან. გაზაფხულ-ზაფხულში მიტარბის გარშემო მდელოები ყვავილების ნამდვილი ხალიჩითაა დაფარული. თუმცა, ყველაზე ლამაზი დრო, ალბათ, მაინც შემოდგომაა, როცა წითელ-ყვითელი ფოთლოვანი ტყე მარადმწვანე ნაძვებთან და კავკასიურ კედართან ერთად სუნთქვის შემკვრელ ფერთა პალიტრას ქმნის. ზამთარში აქ თეთრი მღუმარება სუფევს, მხოლოდ იშვიათად მოქ-

სა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ქრონიკული კოლიტისა და ენტეროკოლიტის, ჰეპატიტების და ღვიძლის ფუნქციის გადახრების უებარი ნაშალი და ამ დაავადებათა პრევენციის კარგი საშუალებაა.

ვფიქრობთ, კურორტ მიტარბს და იქაურ მინერალურ წყალს აქვს მომავალი. საქართველო წიაღისეულით ღარიბი ქვეყანაა. მინერალური წყლის რესურსები კი ჩვენი ნამდვილი საგანძურია - იმგვარი წიაღისეული, რომლის მოპოვება, საბედნიეროდ, გარემოს დამახინჯების და დაბინძურების გარეშე შეიძლება. ხოლო მოპოვებული პროდუქტი სწრაფად კურნავს და ჯანმრთელებსაც რგებს. ამ რესურსის სწორად მოპოვებას და გამოყენებას კი ბევრი რამის შეცვლა შეუძლია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის.

ნიკო მღვიანი

ს ა რ ჩ ე ვ ი

რა ოდენობის წყლის ექსპორტი იგეგმება საქართველოდან ირანში და როგორია საქართველო-სომხეთის გავლით ირანული გაზის ევროპისკენ ტრანსპორტირების პერსპექტივა 6

რატომ შეადგენს ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასის 60 პროცენტს და რატომ იკავებენ საქართველოში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული ქალები მამაკაცებზე მაღალ თანამდებობებს 8

რამდენი სამუშაო ადგილი შეიცვალა გიორგი თევდორაძის მეუღლემ ქმრის ჩინოვნიკობის პერიოდში 9

როგორ დაკარგა რუსეთმა მართლმადიდებელი იმპერიის ნიშა, რატომ არ აქვს მას იმპერიის აღდგენის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს კი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა 10



ვინ შეცვალა გია ხუხაშვილის ცხოვრება და რაში ჩათრევას ურიდება ის 11

რა არის ინსულტის გამოწვევი რისკ-ფაქტორები და როგორ უნდა მოქცნენ ოჯახის წევრები, თუ ავადმყოფს ინსულტის კლინიკური ნიშნები 12

გამოუვლინდა 12
რა აკავშირებდა ტიცან ტაბიძესთან ერთ-ერთ პირველ ქართველ სომელიეს და როგორ უფროსილდებოდა ის ენის რეცეპტორებს 13
ინტიმური საუბრები 17

რამდენი ნაბიჯი სჭირდება ქალს არასერიოზული გადაწყვეტილების მისაღებად 20



როგორ უნდა შეამომოს ქრისტიანმა საკუთარი თავი, სწორად მარხულობს თუ არა და რისი დახმარებით შეუძლია ადამიანს ყველა ცოდვის დამარცხება 24

რომაელი „იმპერატორი“ – ფრანჩესკო ტოტი 26
„ფორბსის“ 2014 წლის რეიტინგიდან ამოვარდნილი ბიზნესმენები 27

დარენ არონოფსკი: ბიბლიური „ნოს“ ავტორი და პოლიფუდის ბოლო წლების საუკეთესო რეჟისორი 27
ექიმის რჩევები 29

როგორ შემოიარა ქვეყანა ბორის ნიფურიაძე საყვარელი ქალის გამო და რა ოინი მოუწყო საცოლემ მას 30

შეუძლია თუ არა ტანსაცმლის ფერს ადამიანის ბედზე ზეგავლენის მოხდენა და რაში გვეხმარება სახლში ჯეჯილის გახარება და ფერადი სათბლების ყოველდღიურად ანთება 32

რა განსაკუთრებული ნიშნები ჰქონდა სტალინს სხეულზე 35
შეკითხვა ასტროლოგს 36

რა საფრთხეს გვიქმნის ბინაში არსებული ტექნიკა და როგორი ენერგიებით ხდება მიღებულ მთვარეზე სახლის განმენდა 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი 45
როგორ გაიტაცეს მძარცველმა ქალებმა 186 ათასი მანეთის ლირებულების ძვირფასეულობა თბილისის ერთ-ერთი საიუველირო მაღაზიიდან 48

რა ვერსია შესთავაზა მკვლელმა თანამზრახველ მეუღლეს და რატომ მოკლა მან ცოლის გამზრდელი დეიდა 49

ადვოკატი გირჩევთ 50
ფლორის სამყაროში 50
ვეტერინარის რჩევები 51
რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს 51
ქურდული ცხოვრება 64

როგორ ხვდება ადამიანი ღამით ნეგატიურ ასტრალურ სივრცეში და როგორ დავაპროგრამოთ საკუთარი თავი დადებითი ემოციებით დატვირთულ სიზმრებზე 68

ვინ დააპატიმრა, ანამა და მოკლა სრულიად იმერთა და ოდიშ-აფხაზეთა უკანასკნელი კათოლიკოსი 72

რატომ უნდა ვიმეგობროთ პროფესიონალ დერმატო-კოსმეტოლოგთან და როგორ დავეხმარება ის სიბერის „გადავადებაში“ 74



დაიცავით თქვენი და თქვენი შვილების ყურები!

ბინძური ეკოლოგია, მტვერი, მომატებული გოგირდის გამოყოფა, მომატებული ქოლესტერინი, ყურსასმენების „ნაუშნიკების“ ხშირი ხმარება, ბამბის ჩხირების, ფონედოსკოპის (ექიმები) გამოყენება - ეს ყველაფერი იწვევს ყურის დაბინძურებას და სმენის დაქვეითებას.

საფრთხე ჩხირების გამოყენებისას

ალიზიანებს სასმენი მილის კანს, იწვევს გოგირდის ჰიპერსეკრეციას, გოგირდის ნაწილი შეაქვს უფრო ღრმად და იწვევს სმენის დაქვეითებას, გოგირდის საცობების წარმოქმნას, ზრდის მიკროტრავმებისა და ინფექციების რისკს.



აუდისპრეი - უსაფრთხო



მარტივი გამოყენების წესი:
3 წლიდან - კვირაში 2-3-ჯერ
1-2 შესხურება თითო ყურში.
ყოფნის 6 თვე
ასალპოვილიუმი და ბავშვები
3 წლამდე - კვირაში ერთხელ
3-6 წვეთი თითო ყურში

აუდისპრეი შვეიცარიული ხარისხი თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე
იკითხეთ GPC-ის აფთიაქებში



„შენი იყო, ახლა ჩემი“

„ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და რფ, მე და რფ“

თუმცა უძლეველობაზეც აქვს პრეტენზია და ერთადერთობაზეც, ისე მოხდა, რომ ეს რფ-ს მიერ აღიარებული ჩვენი სეპარატისტული რეგიონები კიდევ მხოლოდ ოთხმა ცნო: ნაურუმ, ტუვალუმ, ნიკარაგუამ და ვენესუელამ (იმის პარალელურად, რომ ჩვენებურ ცინიზალებსა და სიხუმრებს „ჰამასი“ და „ჰესბოლაც“ მიესალმნენ).

შესაძლოა, იმიტომაც, რომ რფ-ს მაინცდამაინც არ გამოუღია ხელი (მით უფრო, რომ ზემოხსენებულ ოთხივეს გაერთიანების, მაგრამ მაინც ხმის უფლება აქვს), თუმცა, როგორც ამბობენ, მარცხი ელანძეა.



ხოლო, რაკი არის, ტუვალუმ, არც აცია, არც აცხელა და, თბილისთან დამუხრთიერობა დაამყარა (ვცნობთ თქვენს ტერიტორიულ მთლიანობას). მეტიც, აქ გვესტუმრნენ, ერთმანეთს მეგობრობაც შევფიცეთ და პოლიტიკური სიყვარულიც და, რასაკვირველია, ტუვალუმ გააუქმა 2011 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების თავისივე აღიარება.

ამ ფაქტმა ჩვენებური სეპარატისტები ირონიულ ხასიათზე მოიყვანა – პათოსით, ტუვალუმ ვის დაჰკავიოთ, თუმცა, თუ მათ 2011 წლისდროინდელ სიხარულს გავიხსენებთ, გვეცნო, ფრიად საეჭვოა, გული არ დასწყვეტოდათ.

მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ნაურუ, სულ რაღაც, 50 000-იანი კუნძულია, სავარაუდოდ, ისიც მალე ტუვალუმს გზას დაადგება, ხოლო ნიკარაგუასა და ვენესუელაში ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, ამ ჩვენს სეპარატისტებს ერთადერთი აღიარებული შერჩევით – რფ-ს სახით (ჩვენ კი ხავსს მაინც მოვეჭიდებით).

ჩვენ არ ვიცით, რას მოგვიტანს აღიარების საქმეში რუსეთის ფედერაციის ეულად დარჩენა (შესაძლოა, ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების მიერთების იმტახზეც მოიყვანოს), თუმცა ჯერჯერობით ჩვენებური სეპარატისტები რომანტიკით არიან გარემოცულნი: „ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ლამე, მე და ლამე (ბუნებრივია, „ლამეში“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „რფ“ იგულისხმება).“

მადაგასნილები

„И тебя вылечем“

ამოცანა მაქვს. ევროკავშირის ელჩებს მხოლოდ ერთი მიმართულებით ვესაუბრო – ჩვენ ავიღეთ ყირიმი, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. ახლა ავიღებთ თქვენს კატალონიას, ვენეციას, ასევე, შოტლანდიას აღასკით და ამ ეტაპზე დავეწყნარდებით“.



მას შემდეგ, რაც ყირიმის მიერთება ხახვიით შერჩა (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე და, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი შეიარაღებული ძალების წინა და მნიშვნელობა ერთიორად აამაღლეს: 5 დღე მაინც იყო), აქა-იქ ცნობებიც გამოჩნდა, რომ რფ იქით – ალასკის დაბრუნებას გეგმავს, აქით – ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და, ასევე, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის ამა თუ იმ ნაგლეჯების ნართმევას (ბუნებრივია, ვისაც მოერევა, თორემ, ჯერჯერობით რფ-ს ანგარიშზე მასზე გაცილებით სუსტების დაბეგვა).

ამასობაში, ინტერნეტსივრცეში რუსეთის ელჩების სერგეი პახარევისა (იგი ზიმბაბვესა და მალავიში ენევა დიპაქტივობას) და იგორ ჩუბაროვის (ერიტრეაში მოღვაწის) სატელეფონო საუბრის ჩანაწერი გავრცელდა. იმას გარდა, რომ რუსი დიპლომატები უცენზურო ლექსიკით მეტყველებენ, სამომავლო გეგმებზეც ოხუნჯობენ. კერძოდ, დიპლომატი ჩუბაროვი შენიშნავს: „ახლა მე უბრალო

ჯერჯერობით, არც რფ-ს საგარეო უწყებას გაუკეთებია რამე კომენტარი და არც იმ ქვეყნებს, რომელთა ნაწილების „აღებასაც“ გეგმვენ (არ დავგმალავ, პირადად მე ზუსტად ისე მეწყინება, როგორც მათ იმცხეთეს ჩვენი ოკუპაცია), თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, „მე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ევროპას და აშშ-ს) რომ მესვრი, არ ხართ ის ცაცები თქვენ“.

ხოლო, თუ დიპლომატთა ნაუბრის ბოლო ფრაზას გავიხსენებთ („და ამ ეტაპზე დავეწყნარდებით“), სანამ თავად მოახერხებენ, დაამყნარებელი პერანგით ხომ არ მიეღწიათ იმავე შედეგისთვის?!

ბრძოლა და ერთიანობა

ანუ მელას თავისი მასრჩობელა უყვარდაო

„ნატოს“ გენმდივანი გვიპრდება, რომ ღია კარის პოლიტიკაც გრძელდება და თითოეული ასპირანტი ქვეყანა ინდივიდუალურად შეფასდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სექტემბრის სამიტზე, ამიტომაც ჩვენც ველით, რომ ჩვენი აუზიც გაივსება წყლით (მით უფრო, რომ სხვა არჩევანი არც გვაქვს). ამის პარალელურად კი, რფ-ს სანქციებს უნესებენ: ოპტიმისტური გათვლებით, ისინი გრძელვადიანია და ნაბიჯ-ნაბიჯ შეარყევს ჩრდილოურ ამბიციებს; პესიმისტური გათვლებით კი, კვლავაც იმ პათოსისაა: დააფარე, დააფარე, არ გაცივდეს.



ასეა თუ ისე, გასულ კვირას „ნატოს“ ოფიციალურ წარმომადგენელს განუცხადებია, რომ რფ-ს ტერიტორიით ავღანეთში

სამხედრო ტვირთების გატარების გაგრძელების იმედი აქვთ, მიუხედავად „ნატო“-რუსეთის საბჭოს მუშაობის შეჩერებისა. მიზეზად კი ის მოიხმობ, რომ რუსეთის ტერიტორიაზე „ნატოური“ ტვირთების ტრანსპორტირება რუსული სატრანსპორტო კომპანიების კომპეტენციაა და პოლიტიკური ურთიერთობები არაფერ შუაშია.

თუმცა უფრო ადრე, „იტარ-ტასის“ ცნობით, რფ-ს ტერიტორიაზე ავღანეთის მომარაგების ჩრდილოური გზა ჩაიკეტება, რასაც „ნატოს“ წარმომადგენელი აბსურდს უწოდებს. ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, რა შეთანხმებას მიაღწევენ მხარეები (რაც მთავარია, რის, უფრო ზუსტად, ვის ხარჯზე), თუმცა ისიც აშკარაა, რომ ვიღაც ნაკვდება.

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

<p>დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახრობაძე მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაპაძე</p>		<p>პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე</p>	
<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47</p>		<p>გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ე ბ ი პოლიტიკა რედაქტორი – ნინო ხარშია, ჟურნალისტი – თამუნა საგაძე საზოგადოება და კულტურა: მონა მანუჩიძე, ნინო ნულუკიძე, ნათია შტინაშვილი, სლომე გველანიანი, პაპ პატარია, ნონა ღათიშვილი, მარია სიფრაძე, ხატია პარანაძე, ლალი შიქაშაძე, თამუნა ახრობაძე, თამუნა ნიხარაძე, პაპ სალაზანი, ქაიო დიდგებულება რელიგია: ნათია შტინაშვილი, თამუნა ახრობაძე, რეზა ტომარაძე კრიმინალი და სამართალი: ნინო ლაშაური, პაპ პარანაძე</p>	
<p>ლითონგრაფი: ლაშა ბაბუღია, შაშანი რუსაძე, ანა თაყაიშვილი მედია: ნინო ღათიშვილი, მანა ნუცუბია სპორტი: ლაშა ბაბუღია, შაშანი რუსაძე სტილისტ-რედაქტორი: თამარიკო ზამთარაძე სტილისტი: ნანა ნარათიძე მთავარი რედაქტორის თანამშემკ: თამუნა ახრობაძე ოპერატორი: მანა პარანაძე ფოტოკორესპონდენტები: თამუნა კვიციანი, ლევან ხარტიტაშვილი მხატვარი: ზაალ სულაპური, ჯეჰად უხალაძე</p>		<p>დირექტორი: შაშანი რუსაძე ოფისმენეჯერი: ინგა კარაგლიშვილი იურისტი: ქაიო შტინაშვილი მთავარი ეკონომისტი: ნანა პირაძე კომერციული მენეჯერი: მარინა მანაშაძე ვებ-გვერდის მოდერატორი: სპაპ პარანაძე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარკელამო დარგვი: სოფი ლორინა სარეკლამო სამსახური: სოფი ლორინა, მანანა დოლიაშვილი, მანა ფიცხელაძე, ხატია უღნაძი მარკეტინგის მენეჯერი: ლაშა მინთაშვილი</p>	
<p>ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52</p>		<p>სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53</p>	
<p>დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭება გამოცემლობა „თბილისელები“</p>		<p>ვებ-გვერდი: www.tbilisebi.ge ელექტრონული ფოსტა: tbilisebi2001@gmail.com; tbilisebi2001@yahoo.com</p>	



სსრკ-სკენ: ნაბიჯით იარ! სალასი რუსული ყურების დასაცავად

გასულ კვირას ყირიმში რუსმა ექიმებმა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ჩამოუარეს და საგულდაგულოდაც გაისინჯეს (ვისაც თავისი ფეხით შეუძლია სიარული, მათ ამბულატორიებში მოემსახურენ). „ერემიამ“ სიუჟეტი საბჭოთა სტალინი გააშუქა – ვიმ, რა ბედნიერი ცხოვრება დაიწყო ყირიმში დედარფ-სთან შერწყმის შემდეგო. მეორე მხრივ, რუსული ესტრადის ვარსკვლავებმა სიმფარპოლში დისლოცირებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მებრძოლები მოინახულეს – აღლუმს თვით ოსივ კობზონი ხელმძღვანელობდა.



ამის პარალელურად კი, რაკი რფ-ს დანარჩენი მოსახლეობა არცთუ კმაყოფილია კიდევ ერთი დოტაციური რეგიონის შემოერთებით (თუმცა, გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოქალაქეთა 74 პროცენტი მხარს დაუჭერდა უკრაინასთან ომს), „ედინია როსიამ“ ახალი კანონპროექტი გამოაცხო, რის მიხედვითაც, რფ-ელ მომხმარებლებს უცხოური დომენების ზონაში არსებული საიტების მონახულება აკრძალვბათ (ბუნებრივია, იმ „ეკთილობოლური“ მოტივით, რომ ხალასმა რუსულმა ყურებმა მათთვის უსიამოვნო და შემამფთუბელი ინფო არ მიიღონ საზოგადო კაპიტალისტივისგან).

ასეა თუ ისე, კანონპროექტის კანონად ქცევისთანავე რუსეთის მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, ეწვიონ მხოლოდ RU, SU და RF ზონებს. კანონპროექტის ავტორი, „დუმელი“

დეპუტატი, გვარად შვეველი, აცხადებს, რომ „ყირიმის რუსეთში დაბრუნებამ დასავლეთის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და მათ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გაყინვა გადაწყვიტეს.“ ჰოდა, რაკი ასეა, თავად შვეველმა თავისი პირადი ანგარიშები გააუქმა უცხოურ სოციალურ ქსელებში და მხოლოდ „ოდნოკლასნიკებში“ დარჩა (იმავეს მოწოდებს თავის დანარჩენ თანამოქალაქეებსაც).

თუმცა ეს „დუმელის“ ნაზრვეის სრული თავიგული არ არის, მას სხვა ინიციატივაც აღვლევებს. კერძოდ, მისი აზრით, რუსეთის მასშტაბით ამერიკული ფილმების ჩვენებაც უნდა შეიზღუდოს (ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების დიდი მიზნით), რადგან კინოგაქირავების დიდი ნაწილი ოკეანისგაღმართ უჭირავსო. ჯერჯერობით თანახმაა, რომ ამერიკული წარმოების ფილმები ფილმების საერთო რაოდენობაში 50 პროცენტს იკავებდნენ.

ჯერჯერობით უცნობია, იდგაიფებს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისტალინებს) თუ არა პატარა კახი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვლ. პუტინი), მაგრამ საბჭოთა ალდგენის, რაღა მცდელობის, უკვე პირველი ნაბიჯები აშკარაა.

პრეზიდენტი ისევ ინგლისურად ლაპარაკობს, პრემიერს უკან უდგანან სტუდენტები, ეს ცუდია, სხვა ფორმა მოიფიქრეთ, ბატონებო, თორემ დეფავუს!

თვალდაგებობა სხვა გზით ნასული

რაკი ის პრეზიდენცია, და მერე რა, რომ ყოფილი, არათუ მოწმედ არ გამოცხადდა პროკურატურაში, „სკაიპითაც“ კი უარი თქვა ჩვენების მიცემაზე, ამ გზითა და საშუალებით მხოლოდ სასამართლოსთან დავაშყარებ კავშირსო.

ამის პარალელურად, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმაც დაარისხეს განვანის ზარები: ყოფილი პრეზიდენტის დაბარებას პოლიტიკური დევნის სუნი ახდისო. ამ „სუნის“ ეჭვი კი იმან გააჩინა, რომ პროკურატურა ბ-ნ სააკაშვილს, მათ შორის, ზურაბ ჟვანიას საქმეზეც უპირებდა შეკითხვების დასმას. მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოფილ პრეზიდენტს ისეთ პრზაულ საკითხებშიც ედავებიან, როგორებიცაა: კენია-მასაუსისტის ჩამოყვანა, გატანკერების პროცედურებისა და მთელი რაკი კოსმეტოლოგიური მანიპულაციების ჩატარება უცხოურ ძვირად ღირებულ დანესებულებებში (ბუნებრივია, იმიტომ, რომ ეს ყოველივე ბიუჯეტის ფულით განხორციელდა), ჩემი „ინრო დედაკაციური ჭკუით“, პროკურატურას რომ ზემოწამოთვლილი საქმეების გამო გამოეძახებინა ბ-ნი სააკაშვილი, არ მგონია, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს განვანის ზარების დასარისხებელი საბაბი მისცემოდათ. იმას გარდა, რომ ამ თემაზე, მაგალითად, დასავლურ პრესაში ერთი გემრიელი ჟურნალისტიური წერილითაც ფრიად გაახარებდა აქეთ – ამერიკელ მკითხველს, იქით – ჩვენ სულზე უტკბეს პოლიტიკურ პარტნიორებს.



თუმცა პროკურატურამ სხვა გზით არჩია ნასვლა, არადა, სწორედ პოლიტიკაა ის ადგილი, სადაც ხერხი ჯაბნის ღონეს, რასაც ჯერჯერობით მოხერხებულად ან ოპოზიციაში გადაბარებული ყოფილი მმართველები ხმარობენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, რომ ტანკენარობითა და სახის უზადო კანით, ბოლოს და ბოლოს, განა, ამომჩრველის თვალს არ ატკობდა ჩვენი (და მერე რა, რომ ან უკვე ყოფილი) პრეზიდენტი?!

გვერდები მოამზადა ნინო ხაჩიკია

პირისპირ - კოლიბაქტერიებთან ანუ ვინ უნდა ჭამოს კლოვამდე

ბევრი ინვალა თუ ცოცხა, საქართველოს პარლამენტმა, განეე-გამოწინებებს მორის ის მაინც მოახერხა, რომ 2014 წლის იანვრიდან იმპორტიორები და მწარმოებლები ქართულ ლეონიანი ეტიკეტითაც დაავალდებულა და გენმოდინციფიკაციის აღმნიშვნელი ნიშნითაც. იმის მიუხედავად, რომ ჯერჯერობით არ გაგავანია ლაბორატორია, რომელიც პროდუქტში გენმოდინციფიკაციის შემადგენელს დაადგენდა, ეს სახალეო მაინც სასიამოვნოა.

ამის პარალელურად კი გრძელდებოდა მუშაობა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ ცვლილების პროექტზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და არასამთავრობოთა მონაწილეობით, შენიშვნებიც გამოითქვა და მოსაზრებებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათი ნაწილი გაითვალისწინეს კიდევ. კერძოდ, ფართოდება მომხმარებლის უფლებები და საჩივრის წარდგენის შესაძლებლობები და სურსათის ეროვნული სააგენტოს მუშაობაც უფრო გამჭვირვალე ხდება.



თუმცა, წესითა და რიგით, უნდა გამკაცრებულიყო სურსათის უვნებლობის კონტრო-

ლი არა მხოლოდ მსხვილ ქარხნებში, რესტორნებსა და სუპერმარკეტებში, არამედ, სურსათის კუსტარულ წარმოებაშიც. მით უფრო, რომ საქართველოს ბაზარზე კუსტარულად საკმაოდ ბევრი პროდუქტი იწარმოება (ყველითა და მანვინით დანესებული თუ ნამცხვრებით დამთავრებული). მაგრამ კანონმდებლებმა სხვაგვარად განსაჯეს და კუსტარული წარმოებების შემცირება 2020 წლამდე გადაავადეს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ კუსტარულ მწარმოებლებს არათუ მღრღნელების განყვეტის, ხელის დაბანის ვალდებულებაც კი არ ექნებათ (მეგახსენებთ, რომ ჩვენი პროდუქციის აბსოლუტური უმეტესობა დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით, ისინი კი მხოლოდ ფეკალურ მასებში ცხოვრობენ).

აქედან გამომდინარე, რთული ასახსენელია, რატომ შევვტავებს ჩვენმა კანონმდებლებმა კოლიბაქტერიებს პირისპირ (ექვე მაქვს, რომ თავად კუსტარულად ნაწარმოებ პროდუქტს არ მიირთმევენ), ამიტომაც გამოვდივარ ინიციატივით: დავუკლოს პარლამენტის თითოეულ წევრს, ძლომამდე მიირთვას კუსტარული წარმოების პროდუქცია, იმას მაინც დავადგენთ, ქართული კოლიბაქტერიები იმძლავრებენ თუ ქართველი კანონმემოქმედები!

ნომის ტეკეონი ინობიი

0902 200 206

0902 200 244

ზარი ფასიანია

მობილურიებიდან



– წლის ბოლოსკენ, გაისად. ეს იქნება ძალიან ხისტი პოლიტიკა, ოღონდ თანდათანობითი, ნაბიჯ-ნაბიჯ, ისე არა, როდესაც ბუმბა ერთ თვეში 140 დოლარიდან 35 დოლარამდე დაავადო ნავთობის ფასი, რამაც ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ნავთობზე ფასის კლება გაიხელდება დროში, რაც წლების განმავლობაში დააკლებს რუსეთს შემოსავლებს. ახლა ამას ისე გადავითვალთ, რომ ეკონომიკური კრიზისი არ მოხდეს. ამასთან, ბარაქ ობამამ თქვა, რომ აშშ-ს შეუძლია, ევროპას უფრო მეტი გაზი მიანოდოს, ვიდრე რუსეთი აწვდის და უფრო კარგ ფასად.

– ამერიკული გაზის მინორების მარშრუტი აუფხსნათ მკითხველს.

– ეს გათხევადებული გაზია, მიმღები ტერმინალების სიმძლავრეები არ ჰყოფნის, მაგრამ ბევრნაირად შეიძლება, გაკეთდება. ბევრი მარშრუტია, შეიძლება, ჩაიტანონ ალყირში, იქ გაიზარდოს საექსპორტო მილსადენი და სარდინიის გავლით შევიდეს იტალიაში. იტალიამ უკვე თქვა უარი რუსულ გაზზე.

– თუმცა რუსეთის მოქალაქეებისთვის უფრო რეჟიმს აწესებო.

– იტალია მოიქცევა ისე, როგორც ევროკავშირი დაადგენს. იტალია ჩართულია ერთიანი განაწილების ქსელში. საერთოდ, ევროპა ყველაზე გაზიფიცირებული რეგიონია მსოფლიოში. იქ უფრო ხშირია გაზგანაწილების ქსელი, ვიდრე აშშ-ში. ამდენად, გაზის ეს ალტერნატიული წყაროები ძალიან მნიშვნელოვანი და მომგებიანია რუსეთის გარდა, ყველათვის: ევროპისთვის, ირანისთვის, ჩვენიც.

– რუსეთს აქვს ამ ირანიდან გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების პროექტების ჩაშლის ბერკეტი?

– არანაირი ბერკეტი არ აქვს. რუსეთსა და ირანს გაუფუჭდათ ურთიერთობა, რუსებს, ფაქტობრივად, აღარ იღებენ ირანში, საციზო რეჟიმი დაუნესხა, იმიტომ რომ, რუსეთთან ირანი მოატყუა ბირთვული პროგრამის ფარგლებში. რუსების მხრიდან აფერა იყო, ბირთვულ ტექნოლოგიებს მოგცემთო, რაც, ბუნებრივია, არ გააკეთეს, მაგრამ ირანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის გაუფუჭება მთლიანად რუსეთის სინდისზეა. ამას მიხვდა ირანის ახალი პრეზიდენტი და მკვეთრად გააუარესა რუსეთთან ურთიერთობა.

– მაგრამ, სანამ რუსეთს შეუძლია სომხეთის მართვა და დაბლოკვა, ის ხომ ამას გააკეთებს?

– არ შეუძლია. როგორ შეუძლია?
– მთლიანად მართავს სომხეთს როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად.

– არ მგონია, რომ ეს ქმედითი ზომები იყოს. სომხები იდიოტები არ არიან, ძალიან დიდი სომხური ლიბია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მათი ციხა, თუ ეს გაზსადენი გავა, ეს იქნება სომხეთის უსაფრთხოების გარანტია, იმიტომ რომ, აზერბაიჯანს არ მისცემენ სომხეთის დაპყრობის ნებას და სომხეთი ამ კარტს ძალიან კარგად გაითამაშებს. სომხეთი რუსეთს ემოკავშირება, რადგან სხვა გარანტია არ აქვს, რომ აზერბაიჯანს ომს მოუგებს. თუმცა ძალიან კარგად ესმის, რომ ეს კავშირი არის არამდგრადი და მყიფე. როგორც კი გაუჩნდება ევროპული ალტერნატივა, მაშინვე გაყიდის რუსეთს.

– თურქეთი ისეთვე მოკავშირეა აზერბაიჯანისთვის, როგორც რუსეთი – სომხეთისთვის. ფიქრობთ, რომ თურქეთი ჩაერთვება ამ პროექტში აზერბაიჯანის ინტერესების საზიაროდ?

– თურქეთს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან, მაგრამ თურქეთი თავის ინტერესებზე გაცილებით მეტს ზრუნავს, ვიდრე აზერბაიჯანზე და თუკი ამ პროექტის განხორციელება თურქეთისთვის უფრო მომგებიანი იქნება და ეს მას გაზს გაუხსნის ევროპასთან დაახლოებისკენ, თურქეთი ამაზე ნავა.

– საერთო საზღვარი აქვთ სომხეთსა და თურქეთსაც.

– ჩვენ დმერთმა შეგვიწყო ხელი, რომ შემოვივლით გაზ საქართველოს გავლით აუცილებელია რელიეფიდან გამომდინარე, თორემ ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტიდანაც ამოგვავადებდნენ, სხვანაირად ვაგვანა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, გაიყვანდნენ.

– ჩვენ სანაცვლოდ წყალი უნდა მივანდოთ ირანს. ანუ წყალსადენიც ასაშენებელია და ისიც სომხეთის გავლით?

– წყალი მისაწოდებელია, იმიტომ რომ, ირანს წყლის პრობლემა აქვს. ოღონდ ამას პროფესიულად უნდა ვაკეთება, რომ არ დავაზიანოთ არტეზიული აუზები. საშუალოდ, მთავრობაში არ მეგულება წყლის კარგი სპეციალისტი. თამ-

ამად შემიძლია, ვთქვა, რომ ჩვენი მტკნარი არტეზიული წყლის მარაგი 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე მთელი ევროპის. ჩვენ ახლავ შეგვიძლია, მოვიპოვოთ 6 მილიონი კუბური მეტრი მტკნარი წყალი ისე, რომ არავფიქრებ დავაზიანოთ. დაახლოებით, ამ რაოდენობის წყალს მოიხმარს მთელი ევროპა. მილსადენი გასაყვანი იქნება და ისიც სომხეთის გავლით.

– შეიცნაურა, გაზის სანაცვლოდ მივანდოთ წყალი. როგორც ცნობილია, გაზი გვრჩება ტრანზიტის საფასურად, წყალი რა შუაშია?

– ირანი გაზსადენითაა მიბმული სომხეთზე, რომელიც ერევნამდე მიდის, ერევნამდე არსებულ გაზსადენს ვერ გამოვიყენებთ, რადგან იქ მხოლოდ ერთი მიმართულებით – ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოძრაობს გაზი. იმიტომ ახალი ასაგები, რომელიც გაზს სამხრეთიდან გაატარებს ჩრდილოეთისკენ. ფაქტობრივად, ერევნიდან გარდაბნად მოწვევითა ასაშენებელი.

– აზერბაიჯანის ჩართვა გამორიცხებულია ამ პროექტში?

– შეიძლება, თუკი ბატონი ილჰამ ალიევი შეიცვლის მენტალიტეტს. ირანსა და აზერბაიჯანს შორის ძალიან დაძაბული ურთიერთობაა, ნუ დავგავიწყდებთ, რომ ირანში, დაახლოებით, 30 მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს და ისინიც საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილნი აზერბაიჯანის მიმართ.

– თუ აზერბაიჯანი გაეთიშება ამ პროექტს, მაშინ ახლა უკვე ის დარჩება იზოლირებული რეგიონული პროექტებისგან, ისევე, როგორც დღეს სომხეთია იზოლირებული.

– ალბათ, ორივე პროექტი გაკეთდება, მაგრამ სომხეთზე გამავალი უფრო იაფია, თუმცა ჩვენზე, ნებისმიერ შემთხვევაში, გაივლის. რეგიონული გაზგანაწილებელი დახე გაივლის საქართველოზე. რამდენიმე წელი დასჭირდება ამის განხორციელებას: ორი წელი მოსამზადებელ სამუშაოს, 5 წელი – მშენებლობას... ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი სტრატეგიული ადგილმდებარეობის კაპიტალიზაცია. მაღლობა ღმერთს, ეს ესმის ამ მთავრობას და რაც შეუძლია, აკეთებს, თუმცა ვისურვებდი ცოტა უფრო მეტ პროფესიონალიზმს ამ პროექტებში.

ნიკოლოზ ნანიანი

რამდენიმე დღის წინ, მეგობრებთან ერთად, თბილისის ძველ უბანში ფინჯან ყავაზე მყუდრო ვარემოში ჩასაუბრად, ლესელის №4-ში ცოტა ხნის წინ გახსნილ არტ კაფეს – „ტიფლის ბრანში“ ვესტუმრე. ეს გადაწყვეტილება კი მათგანვე მივიღე, რადგან ვაგებულები მქონდა, თბილისში მხოლოდ ამ კაფეში თუ დალევ გამოირჩეული გემოს, სურნელისა და ვანსაპორტირებული რეცეპტით მომზადებული კოლანდორ ყავას და ჩაისო. რაც მთავარია, მყუდრო ვარემოში, გემოვნებით მოწყობილ ინტერიერში, წყნარი, სასიამოვნო მუსიკისა და კედლებზე გამოფენილი ახალგაზრდა, ნიჭიერი ხელოვანების მიერ გადაღებული ფოტოების ფონზე, მივითმედი უგემორიუს ჩის-ქიქისა და კიდევ სხვა გემრიელობებს. მათ დაგემოვნებას თქვენც ნამდვილად გირჩევთ. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა და რაც მთავარია, ჩემი პრეტენზიული მეგობრებიც კი კმაყოფილები დარჩნენ. იქვე, არაერთი გვგამა დაჯახებით: გადავწყვიტეთ, სამოთხალოდ, ჩვენი ახალი იდეების ან მეგობრების ნამუშევრების, ნივნების პრეზენტაცია სწორედ „ტიფლის ბრანში“ მოვანყოთ, სადაც ამ ყველაფრისთვის არჩეულბრძოვი ვარემოა შექმნილი.

თალიკო ალავერდიანი: „ტიფლის ბრანში“ გახსნისას ბევრი რამ გავითვალისწინეთ. რაც მთავარია, გვინდოდა შეგვექმნა განსხვავებული გარემო, ისეთი ინტერიერი, როგორსაც ყველაგან ვერ ნახავთ. ასევე, გვინდოდა, ეს ადგილი გადაქცეულიყო კულტურის ცენტრად და ამით ხელი შეგვეწყო ნიჭიერი, ახალგაზრდა ხელოვანებისთვის.

ატვ კაფე „ტიფლის ბრანში“ – ადგილი, სადაც შეგიძლიათ თბილისში ყველაზე გემორიუს ყავის, ჩაის დალევა, საკუთარი ნამუშევრების გამთვინა და პრეზენტაციების მიწვდმა

ის. შეუძლია, გამოფინონ საკუთარი ნამუშევრები და თუ სურვილი ექნებათ, გაყიდონ კიდევც. ასევე, მოახსონ პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის საღებავი, რისთვისაც უსასყიდლოდ დავეთმობთ საგამოფენო სივრცეს. ასევე, შეუძლიათ, მოახსონ პოეზიის საღებავები, დაპატრონ მეგობრები და ფინჯან ყავაზე, ჩაიზე მოუსმინონ ერთმანეთს. გვაქვს მონიტორი და შეუძლიათ, მოახსონ პრეზენტაციები, ვიდეოარტები და გაუზიარონ მეგობრებს საკუთარი იდეები. შეუძლიათ და ვისაც სჭირდება ინტერნეტი, მედიების გაგზავნა, შეუძლიათ ისარგებლონ. რაც მთავარია, ახლო მომავალში ვაპირებთ გაფართოებას. გვერდით უკვე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და შემდგომი უფრო მეტი ხალხის დატევას მოვასურვებთ. ამ კაფეს რომ ვხსნიდი, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, თბილისის ძველ უბანში, ქალაქის ცენტრში ყოფილიყო სულიერებისა და კულტურის ცენტრი. ეს, ერთი მხრივ, ითვისალისინებს მომსახურების კულტურის ამაღლებას და მეორე მხრივ, გვინდა მოქალაქეებს კაფეს ნამდვილი შინაარსი და სახე გაეხსენოთ.

საოცარი და ძალიან დასხვავებული გემო, რომელიც თქვენთან ვაგებთ.

– „სიმონ ლევენტის“ – ეს არის ორსაუკუნოვანი ჰოლანდიური ყავის კომპანია, რომელიც აწარმოებს ბიოლოგიურად სუფთა ყავას და ჩაისს. ჩვენს კაფეში, მხოლოდ „სიმონ ლევენტის“ ყავას და ჩაისს დალევთ, რომელთა ასოციაციებიც საკმაოდ ფართოა. დაახლოებით 20-ზე მეტი დასახლების ჩაი გვაქვს: თეთრი, ბრონეულის და ასე შემდეგ. ამის გარდა, გვაქვს ჩაისი მაგიდა, სადაც ჩინური რიტუალით ვამზადებთ „სიმონ ლევენტის“ ჩაისს. მას არჩეულბრძოვი გემო აქვს. რაც შეეხება ჩვენს მენიუს, გვაქვს მრავალფეროვანი სენდვიჩები, რომლებიც ადვილზევე, თქვენი გემოვნებით მზადდება. ასევე, ტოსტები, ბლინები, სუპები, პიცა, სხვადასხვა სახის სალათები, შეიკები, ჩის-ქიქები. ახუ, ჩვენთან არის ოჯახური გარემო, რაც გულისხმობს, რომ კაფეს აქვს დღის მენიუ. გარდა ამისა, ადამიანი რომ რაც გვაქვს – ძალიან „მოხერხებული დიასახლისი“ გვაყავს და ნებისმიერი კატეგორიის, პრეტენზიის ადამიანის მოთხოვნისთვის აკმაყოფილებს.

ნათია უტიანი





რომელ სფეროებშია ჩვენთან ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი სახელფასო ანაზღაურება?

მართალია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახორციელებს დაკვირვებას, მაგრამ ბოლო სრული მონაცემი ჯერჯერობით არ გვაქვს, თუმცა, ვასული წლის მეოთხე კვარტლის მიხედვით, საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 875,5 ლარი იყო.

გაზრდილა.

საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ეს არ არის ზღვრული მაჩვენებელი, რადგან არის მთელი რიგი დარგები, სადაც საშუალო ხელფასი გაცილებით მაღალია. მაგალითად, საფინანსო სფეროში საშუალო ხელფასი 1 430 ლარია, სახელმწიფო მმართველობაში, თითქმის, 1 200 ლარი; სამთომომოვებით მრეწველობაში - 1 006 ლარი; მშენებლობაშიც საკმაოდ მაღალი საშუალო ხელფასია - 1 168 ლარი; მაგალითად, წარმოებასა და განაწილებაში საშუალო ხელფასი 1 077 ლარია; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 1 213 ლარი. თუმცა არის დარგები, სადაც საშუალო ხელფასი გაცილებით დაბალია. ანაზღაურების მხრივ, სოფლის მეურნეობის სფერო მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ხელფასის მაჩვენებელს: თითქმის 35 პროცენტით, მაგრამ „რეკონსტრუქციის“ მინც განათლების სფეროა, სადაც საშუალო ხელფასი საშუალო ეროვნული ხელფასის მხოლოდ 54 პროცენტია.

როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს ახსენებთ, რას გულისხმობთ, სად არიან ისინი დასაქმებულები: გადამამუშავებელ ქარხნებში თუ?

სოფლის მეურნეობაში, ძირითადად, დასაქმებულები არიან ფერმერულ მეურნეობებში, მათი რიცხვი დიდი არ არის, თუმცა საშუალო ხელფასი 571 ლარია. მაშინ, როდესაც განათლების სფეროში საშუალო ხელფასი 476 ლარია.

ისიც საშუალო მაჩვენებელი, რადგან პედაგოგების ხელფასი, როგორც წესი, ვერ აღწევს ამ 476 ლარს და საგრძობლად ჩამორჩება სკოლის დირექციის ხელფასებს.

რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება განათლების სფეროში ყველა დასაქმებულის საშუალო ხელფასი და ადმინისტრაციის ბევრად მაღალი ხელფასი აქვს, ვიდრე პედაგოგებს. იგივე მდგომარეობაა სამეცნიერო ინსტიტუტებშიც.

თუმცა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლების სკოლის პედაგოგებზე მეტი ხელფასი აქვთ.

გამუშალებული ციფრია, თორემ პედაგოგების ხელფასი ჩამორჩება.

ძალიან მცირედით ჩამორჩება ფინანსურ სექტორში დასაქმებულთა ხელფასებს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები. ეს კარგია თუ ცუდი? ისეთი მდიდარი სახელმწიფო ვართ, რომ ჩვენს ბიუჯეტსაც აქვს იმ ფუნქციების საშუალება, რაც კერძო ფინანსურ სექტორს?

ფინანსურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა დიდი არ არის. აქ შეიძლება ორი

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კარგა ხანია, სტაბილურად უცვლელია (600 000-ს ფარგლებში), რაც პენსიონერთა რაოდენობა, საშუალოდ, 200 000-ით ჩამორჩება (რაც საკმაოდ ცუდი მენდენციაა). ქალები, საშუალოდ, მამაკაცებზე გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვთ. მაგალითად, დაქირავებით დასაქმებული მამაკაცის საშუალო თვიური ანაზღაურება 1 070 ლარამდეა, ხოლო ქალის, სულ რაღაც, 640. ყველაზე მაღალ ანაზღაურებას საფინანსო სფეროში დასაქმებული მამაკაცები იღებენ - თვეში საშუალოდ 1 831 ლარს. თუმცა ყველაზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ პედაგოგ მამაკაცებს (ქალებს, მით უფრო).

რომელ სფეროებში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ ყველაზე მაღალი და დაბალი ხელფასი ჩვენს ქვეყანაში, რით განსხვავდება სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები და რა როლს ასრულებს დასაქმებასა და ხელფასის ორენობაში დასაქმებულის სქესი? - ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას იოსებ პრინვაძის დახმარებით შევეცდებით.

რატომ შეაღვენს ქალებს ხელფასი მამაკაცების ხელფასის 60 პროცენტს და რატომ იკავებენ საქართველოში არსებულ სექტორებს შორის დასაქმებული ქალები მამაკაცებზე მაღალ თანაფარდობას

მომენტი ვიგულისხმობ: 2003 წლამდე საშუალო ჩინოვიკური ხელფასი ძალიან დაბალი იყო, ეს პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ მეორე უკიდურესობისკენ წავიდა პროცესი. რადგან საშუალო ხელფასი ეკონომიკასა და მმართველობის სფეროში იმაზე მაღალია, ვიდრე ამის ეკონომიკური



სკანდინავიის ქვეყნებში სავალდებულოა, რომ დეკრეტული შევებულების ნაწილით მამაკაცებმა აუცილებლად ისარგებლონ

რესურსი შეიძლება, გააჩნდეს ჩვენთან ქვეყანას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკონომიკური განვითარებით, დაახლოებით, 10-ჯერ ჩამორჩებიან, მაგრამ საშუალო ხელფასის მაჩვენებლით ამერიკის საშუალო ხელფასის 14 პროცენტის დონეზე ვართ. ანუ ჩვენი საშუალო ხელფასის ჩამორჩენა უფრო ნაკლებია, ვიდრე ეკონომიკური ჩამორჩენა.

უადგილო ყოფილა ჩემი შენიშვნა. გამოდის, უფრო ნაკლებსაც იხდიან, ვიდრე უნდა გადაგვიხადონ.

ამიტომ, როდესაც სახელმწიფო მოხელეებზეა საუბარი, მხოლოდ ქვეყნის შიდა მდგომარეობიდან კი არ უნდა ამოვიდეთ, არამედ იმითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუ როგორი ხელფასებია ანალოგიური თანამდებობისთვის სხვა ქვეყნებში. ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასს კი არ უნდა გვეუდაროთ, არამედ, იმავე რანგის თანამდებობის პირის ხელფასსაც სხვა ქვეყანაში.

მეორე მხრივ, თუ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი ჩამორჩება კერძო სექტორში არსებულ საშუალო ხელფასს, მაშინ კვალიფიციური კადრების გადინება კერძო სექტორში გარდაუვალია და სახელმწიფო უბრალოდ კვალიფიციური კადრების გარეშე დარჩება.

არასახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 14-15 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. ეს არც ისეთი დიდი სხვაობაა, იმიტომ რომ სახელმწიფო სექტორს აქვს თავისი პრივილეგიები, მომხიბვლელობა, სოციალური დაცულობის შედარებით მაღალი დონე, ამიტომაც არის, რომ საზოგადოებისთვის უფრო მეტი მოწონებით სარგებლობს სახელმწიფო სექტორში დასაქმება, ვიდრე არასახელმწიფო, კერძო სექტორში.

ისევ სტაბილურად 600 000-ს ფარგლებშია დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა? - 700 000-მდე მერყეობს, თუმცა ზუსტი მონაცემები გვექნება მაისის ბოლოს, სამწუხაროდ, რადიკალური გარღვევა არ მომხდარა.

რომელ სფეროშია ყველაზე მეტი დაქირავებით დასაქმებული? - თუ მარტო დასაქმებულებს ავიღებთ, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობაა უპირობო ლიდერი. ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 850 000-ზე მეტია.

ოღონდ ისინი არ არიან დაქირავებით დასაქმებულები? - ყველაზე მეტი დაქირავებით დასაქმებული მოწვევულობაშია, დაახლოებით, 120 000-ს და ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა იყო, მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებული 450 000 ადამიანი იყო, ანუ დღეს თითქმის 4-ჯერ ნაკლებია. 100 000-ზე მეტია დასაქმებული განათლების სფეროში: ამ რაოდენობაში იგულისხმება 70 000-მდე პედაგოგი და 30 000-35 000 უმაღლესი სასწავლებლების პერსონალი. მრავალრიცხოვანია მმართველობით სფეროში დასაქმებულთა კონტინგენტი - 200 000-ზე მეტი. აქ შედიან პოლიციელები, სამხედრო ოფიცრები.

ქალებისა და მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელი როგორია? - საკმაოდ დიდია გენდერული ნიშნით დასაქმებულთა მაჩვენებელი: ქალები შეადგენენ 60 პროცენტს, მამაკაცები - 40 პროცენტს, თუმცა ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასის 60 პროცენტს შეადგენს.

ქალებს ნაკლებს უხდიან? - უფრო მოკრძალებულია ქალების მონაწილეობა იმ თანამდებობებზე, სადაც მაღალი ხელფასია. პირობითად, ეს იმითაც ჩანს, თუ რამდენი მინისტრია ქალი და რამდენი - მამაკაცი.

თუმცა ქალების რაოდენობა მუდარებულად მოიმატა საქართველოს პარლამენტში, თუკი წინა მონვევის პარლამენტში სულ 7 დეპუტატი ქალი იყო, ახლა მათი რაოდენობა გაორმაგდა.

ნორა ჯაჯანიძე-ყაველაშვილის

გ ა ს ს ა ნ ე ბ ა

40 დღე უშენოდ...

მწარე ნალევლით განვლე ცხოვრება.

მარტოდ ატარე მძიმე უღელი, წმინდა

ქალობით და ერთგულებით. თანამშრომ-

ლები, შვილის მეგობრები და ახლობლები

იყვნენ შენ გვერდით სულ გამუდმებით...

შენი სიმწარე აღუწერელი - შვილის დაკ-

არგვით და ქმრის ღალატით... შენ გაგამ-

აგრა ლაურას გაზრდამ - გეფერებოდა

თავის ქმარ-შვილით...



ვერ გადავიხდით, ხალხნო, თქვენს ამაგს, ნორას ღამაზად გაცილებისთვის... მარად იქნები ჩვენს გულში...

რუსუდან ჯაჯანიძე



რამდენი სამუშაო ადგილი შეიძლება გიორგი თევდორაძის მეშვეობით შეიქმნას

რეგიონალურ მხარეებში მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინაა ქუთაისში. ოლონდ მაკა ხეცურაძის შპს „საქეკსპერტსერვისი“ დაუარსებია და ამიერკავკასიის გარემოსდაცვითი ცენტრის ქუთაისის კოორდინატორად დასაქმებულია, ანაზღაურების სახით კი წლის განმავლობაში 7 000 ლარი აუღია, მაშინ, როდესაც მისი მეშვეობით, რამდენიმე ადამიანის მოადგილის წლიური ხელფასი 6 264 ლარი იყო.

2008 წელს გიორგი თევდორაძემ დეკლარაცია შეავსო, როგორც ყოფილმა ჩინოვნიკმა. ჩვენ არ ვიცით, იგივე ბინა თუ არა, მაგრამ ამჯერად ქუთაისში მისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის ფასად 90 000 ლარი მითითებულია, ასევე, გიორგი თევდორაძის უკვე ჰყავს 26 000-ლარიანი „მერსედესი“. რაც შეეხება შემოსავლებს: 2007 წლის განმავლობაში გიორგი თევდორაძის 9 600 ლარი, მის მეუღლეს კი 12 000 ლარი აუღია.

გიორგი თევდორაძემ 2010 წელსაც ყოფილი ჩინოვნიკის რანგში შეავსო დეკლარაცია, ოლონდ ამჯერად, როგორც ქუთაისის ყოფილმა მერმა. მისი უძრავ-მოძრავი ქონების მდგომარეობა უცვლელია. მართალია, მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში მითითებული არ არის, მაგრამ 2009 წელს ყოფილი ჩინოვნიკი შპს „დაიკაში“ ყოფილა დასაქმებული და მის წლიურ ანაზღაურებას 18 000 ლარზე მეტი აუღია. სამუშაო ადგილი შეუქმნია მის მეუღლესაც – მაკა ხეცურაძის იმხანად ჯანდაბრული და თანამედროვეობის ერთ-ერთ გამომწვევას წარმოადგენს.

ქტორის მოადგილედ მუშაობდა და წლიურ ანაზღაურებდა 5 000 ლარი მიუღია.

2011 წელს გიორგი თევდორაძემ კვლავ ქუთაისის მერის აპლუაში შეავსო ქონებრივი დეკლარაცია. ოჯახის ქონების ნაწილში ის ცვლილება, რომ ატომანქანა მაკა ხეცურაძისა და მეუღლისა – toyota vitz-ი. ქუთაისის მერის წლიურ ხელფასს 33 976 ლარი შეუდგენია, ხოლო მაკა ხეცურაძის კიდევ ერთხელ შეუქმნილი სამუშაო ადგილი და, როგორც აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს, 3 600 ლარი მიუღია.

მართალია, 2012 წელსაც ყოფილი მერის აპლუაში შექმნილი დეკლარაცია, თუმცა 2011 წლის განმავლობაში გიორგი თევდორაძემ, როგორც ქუთაისის მერმა, 44 640 ლარი აიღო, ხოლო მაკა ხეცურაძისა

ძველ თანამდებობაზე, სულ რაღაც, 4 426 ლარი. გიორგი თევდორაძემ 2011 წელს „ვი თი ბი ბანკიდან“ 18 000 ლარის ოდენობის სესხი აიღო, რომლის მომსახურებაზეც 7 674 ლარი დახარჯა. იმ წელს სხვა ხარჯიც ჰქონდა, კერძოდ, შვილის სწავლის გადასახადი – 3 477 ლარი. 2012 წლის განმავლობაში გიორგი თევდორაძემ, როგორც ქუთაისის მერმა, 30 960 ლარი აიღო, ხოლო, როგორც პარლამენტის წევრმა, სამ თვეში – 13 134 ლარი; მისმა მეუღლემ, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა – 4 426 ლარი. სესხის მომსახურებაზე კვლავაც 7 674 ლარი დაუხარჯავთ, შვილის სწავლის გადასახადშიც ისევ – 3 477 ლარი.

ნიშნები

საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი გიორგი თევდორაძე, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით მოხვდა, 1975 წელსა დაბადებული ქუთაისში. უმაღლესი განათლება ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო და ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვის სპეციალისტია. მიუხედავად ამისა, მისი შრომითი ბიოგრაფია 2003 წელს იწყება ქუთაისის მერიამ, სადაც მან 2004 წლამდე მერის მრჩეველად იმუშავა (სავარაუდოდ, მისი რჩევები ნაკლებად ეხებოდა ნატურალური და ქიმიური დართვის პროცესს). 2004 წელს იმერეთის გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნა, მაგრამ ამ თანამდებობაზე მხოლოდ 2007 წლამდე დაჰყო. შემდეგ სამუშაო სტაჟის 2-წლიანი წყვეტა ჰქონდა, თუმცა 2009 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე ქუთაისის მერად მუშაობდა, 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან კი მის შრომით მიღწევებს პარლამენტარობაც დაემატა.

რაკი სტაჟიანი ჩინოვნიკია, ბ-ნი თევდორაძის მიერ პირველად შესვნილი დეკლარაცია 2004 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც იმერეთის რწმუნებულის მოადგილემ და ოჯახის წევრებთან ერთად მეუღლე – 1975 წელს დაბადებული მაკა ხეცურაძის, ორი შვილი – კონსტანტინე და ტატა, მშობლები – იუზა თევდორაძე და ტატანა ცაგარელი და ორი ძმა – დავითი და ბექა. იმხანად გიორგი თევდორაძის საკუთრებას წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა ქუთაისში – 25 000 ლარის ღირებულების, იუზა თევდორაძეს კი კუთვნიდა იმავე ღირებულების საცხოვრებელი ბინა ქუთაისში და საცხოვრებელი ბინა სამტრედიის რაიონში (10 000 ლარი). მაშინ, როდესაც გიორგი თევდორაძე რწმუნებულის მოადგილედ მუშაობდა, იუზა თევდორაძე ქუთაისის შალის კომბინატის ინჟინერი იყო, ხოლო ქ-ნი ტატანა – ქუთაისის 35-ე სკოლის პედაგოგი. დეკლარაციაში მათი შემოსავლები მითითებული არ არის.

გიორგი თევდორაძემ 2006 წელსაც იმავე აპლუაში შეავსო დეკლარაცია, თუმცა მისი ოჯახი უკვე ცალკე ცხოვრობს და მათ ქონებ-



– 1998 წელს ქალის საშუალო ხელფასი მამაკაცის ხელფასთან შედარებით 52 პროცენტი იყო, დღეს 60 პროცენტამდეა, მაგრამ უფრო მეტია ქალთა დასაქმების მაჩვენებელი. მაგალითად, საბჭოთა დროს ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასის 72 პროცენტის დონეზე იყო, დღეს, როგორც ვითარობა, 60 პროცენტია. მაგრამ არის ერთი საინტერესო დეტალი: საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ორგანიზაციებში დასაქმებული მამაკაცების.

– რატომ?
– მამაკაცები უფრო ტექნიკურ სამუშაოებს ასრულებენ: დამხმარე პერსონალი, მძღოლები და ასე შემდეგ. ქალების პოსტები უფრო მაღალია.

– ესე იგი, სახელდობრ, ქართულ სამუშაო ადგილებზე ქალებისთვის თანამდებობები ნაკლებად ხელმისაწვდომია, ამიტომ დაბალი ანაზღაურება აქვთ, ხოლო უცხოელების მიერ შექმნილ სამუშაო სივრცეში ქალები უფრო მაღალ თანამდებობებს იკავებენ, ვიდრე მამაკაცები?

– უბრალოდ საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ მამაკაცებს შედარებით დაბალი ხელფასი აქვთ.

– მაგრამ ხელფასი ხომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის ადეკვატურია? საერთაშორისო ორგანიზაციებში ქალების მიერ შესრულებული სამუშაო უფრო ხარისხიანად მიიჩნევა?

– ასეც შეიძლება, ითქვას.
– უცხოეთშიც ჩამორჩება ქალების ხელფასები მამაკაცების ხელფასს?
– გენდერული საკითხი ყველა ქვეყანას ანუ ხებს და ეს პრობლემა საქართველოში არ დან-

ყებულა, თუმცა დასავლეთს შემუშავებული აქვს მთელი რიგი ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, რაც საშუალებას იძლევა ამ განსხვავების თავიდან აცილებას. მაგალითად, არის შეღავათები დიასახლისებისთვის, სკანდინავიის ქვეყნებში სავალდებულოა, რომ დეკრეტული შევლებების ნაწილით მამაკაცებმა აუცილებლად უნდა ისარგებლონ. იქ ქალებს აქვთ საშუალება, უკეთ მოახდინონ საკუთარი უზარებისა და პოტენციალის რეალიზება, თუმცა ბოლომდე ეს პრობლემა არსად არის გადაჭრილი და თანამედროვეობის ერთ-ერთ გამომწვევას წარმოადგენს.

– როგორია დასაქმებულთა ასაკი?

– ყველაზე მაღალი დასაქმება არის 25-დან 50-წლამდე ასაკის მოსახლეობაში. თუ შევადარებთ, დასაქმების საერთო დონეში დაქირავებით დასაქმებულთა ნიშობრივი მონაწილეობა 25-დან 35-წლამდე უფრო მაღალია, ვიდრე სამუშაო ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა. ანუ იმ ასაკში, როდესაც ყველაზე მეტად ხდება ცოდნის, კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების გამოუმუშავება და მათი რეალიზაცია, დასაქმების მეტი პირობაა შექმნილი. თუმცა 25-დან 35-წლამდე ასაკობრივ ჯგუფში დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ყველა დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით.

– ეს ჯანსაღი სქემაა?

– ეს ერთგვარად იმ დისკრიმინაციული მიდგომის შედეგია, როდესაც 35 წლის შემდეგ ადამიანებს სამსახურში უბრალოდ აღარ იღებდნენ.

– ხომ შეჩერდა ეს ტენდენცია?

– რადგან 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ უარი თქვა ძველი კადრების ჩამოცილებაზე, გამოდის, რომ ისევ ისინი დარჩნენ სამუშაო ადგილებზე ინერ-

ციით, რაც ინარჩუნებს ნეპოტიზმის ნიშნებს.

– და ახალი ნეპოტიზმიც დაემატა.

– ძველ დამხმარე ახალი მფლარეც დაემატა.

– 21-ე საუკუნე არის ტექნოლოგიებისა და კრეატიულობის ეპოქა. თუ უნარების მიხედვით არ დანიშნავენ ადამიანებს, ეს ხომ ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა უბრალოდ კონკურენტუნარიანი ვერ იქნება და, საბოლოოდ, დაშუსრუტდება. თქვენი აზრით, ნეპოტიზმს რა უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი აქვს?

– აქ ორი მომენტია გრძელვადიანი და მოკლევადიანი ეფექტი. როდესაც ნეპოტიზმი ან სხვა ნიშნით ინიშნება ადამიანი, მას მოკლევადიანი გეგმები აქვს და მისი მოქმედება არ არის გათვლილი გრძელვადიან შედეგზე, ამიტომ ცდილობენ, მოკლევადიანი გეგმები შეასრულონ.

ნიშნები

ნომბის სერვისი

0902200200

SMS - 93094

დარეკვა შავიკლიათ ნავისიშირი ქსელიდან

ზარი ფასიანია



როგორ ლაქარბა ჩუსთმა პართლგაღიჯაული ივაკიის ნიშა, რაზომ არ აქვს მას ივაკიის აღდგენის, აფხაზეთსა და სხინვალის ჩაბოონს ქი სხელმწიფოს შაქმის პერსპექტივა

ცნობილია, რომ ჩვენებურ სეპარატისტებს ჩვენი ოკუპანტებისე მხარდაჭერით მეტად ნაყოფიერად აქვთ ათვისებული ინტერნეტსივრცის რუსულენოვანი ნაწილი, რომელშიც მათთვის სასურველ ინფორმაციას ყოველგვარი ოპორნირების გარეშე ავრცელებენ. ამ ფარგლებში ქალაქ ცხინვალის ოფიციალური საიტიც შექმნეს, სადაც რუსული ენის მცოდნეებს, ბევრ სხვა ინფორმაციასთან ერთად, ცხინვალის ისტორიასაც აცნობენ. ის კი (საკავასიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი), არც მეტი, არც ნაკლები, 262 წელს დაუარსებია მეფე ასფაგურმა (და მათ, სულაც, არ უქმნის უხერხულობას ფაქტი, რომ ასფაგური იბერიის მეფე იყო). ცხინვალი კი, თავისთავად, თურმე, აგრეთიანებს ოსური მიწის ყოველივე ღირსეულსა და საუკეთესოს.“ „ისტორიის გარეუარაზე ცხინვალი იყო ერთ-ერთი მიგრაციული გზაჯვარედინი, რომელსაც გადადიდა საეაჭრო ქარავნები. შესაბამისად, მოსახლეობაც მრავალენოვანი იყო: კოლორიტული ებრაული კვარტალი და სომხური ქუჩები სრულად გაანადგურეს ქართველმა აგრესორებმა. ჩვენი წინაპრები ისტორიულად კავკასიის მთავარი ქედის ორივე მხარეს სახლობდნენ... ვაჭრები მთელი სამხრეთ კავკასიიდან გაცხვრელებით ვაჭრობდნენ ცხინვალში. საქართველომ რუსეთის ადმინისტრაციის დახმარებით ქალაქი გააქართველა, მიიტაცა მიწები და ხელს უშლიდა ოსებს, გადართულიყვნენ ცხოვრების ახალ წესზე, მაგრამ ცხინვალი სულ უფრო და უფრო იძენდა თავის ნაციონალურ სახეს, ხდებოდა რა გამავრცელებელი და სინთეზატორი ოსური ტრადიციებისა და კულტურისა, რომელიც ვრცელდებოდა და მდიდრდებოდა.“



„ცხინვალი კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი 262 წელს დააარსა მეფე ასფაგურმა. ცხინვალი აერთიანებს ოსური მიწის ყოველივე ღირსეულსა და საუკეთესოს“

როველოს ისტორიკოსები არიან გამონაკლისები. თუმცა ყველაზე ობიექტური მაინც ქართველი ავტორები არიან და რატომ: ყველაზე განვითარებული სახელმწიფო იყო კავკასიაში და რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო, მით უფრო ცივილიზებული მეთოდებით მუშაობს. თუმცა აპოლოგეტები ჩვენთანაც იყვნენ.

– მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, შევუდაროთ ჩვენი ისტორიკოსების ნაშრომები სხვა, ჩვენდამი არცთუ კეთილად განწყობილი ქვეყნების ისტორიკოსების ნაშრომებს და დავადგინოთ სიმართლე.

– მკირე სახელმწიფო არ არის საკმარისი ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებისთვის. იმისთვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, იქნება იმპერიები. რომელიმე დიდი სახელმწიფო იღებს უსაფრთხოების ფუნქციის უზრუნველყოფას, დანარჩენი სუსტი სახელმწიფოები საგარეო ნაწილში თავიანთ სუვერენიტეტს უთმობენ მას, მაგრამ ვითარებიდან მეცნიერულად და კულტურულად. ამიტომ ისეთ იმპერიებსაც კი, რომლებსაც აუგად ვიხსენიებ, მაგალითად, მონღოლების იმპერიას, უზარმაზარი დადებითი ფუნქცია ჰქონდათ. „ოქროს ურდო“ იყო ხიდი დასავლეთსა და ჩინეთს შორის. აზიაში შევიდა ევროპული ცივილიზაცია და პირიქით.

– რით გამოიხატება იმპერიების ბოროტება?
– როდესაც ძველ იმპერიას აღარ აქვს შესაძლებლობა, დაიცავას, ის ჩანაცვლდება მეორე იმპერიული ძალით. როდის ხდება იმპერია ბოროტება? როდესაც იმპერიები აღარ იქნება, ახალი ტიპის იმპერია შეიქმნება. ასეთი ახალი ტიპის იმპერია დასავლეთი ორი ცენტრით: ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა და იმ ევროპაშიც რამდენიმე ცენტრია: საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი. ბევრს აკრიტიკებენ ევროპას, რომ არ შეუძლია სწრაფი გადწყვეტილებების მიღება საგარეო ურთიერთობებში, მაგრამ ეს დადებითია, რადგან კონკურენციას ყველაზე სწორ შედეგამდე მიჰყავს ისინი. რა განსხვავებაა ევროპულ და ევრაზიულ ცივილიზაციებს შორის? ის, რომ რუსეთს თავის სივრცეში კონკურენტი არ ჰყავს, ანუ რუსეთს შეუძლია ევრაზიაში გაერთიანება შემოგვთავაზოს ისევე ძველი იმპერიული მოდელით, რომელსაც აღარ აქვს პერსპექტივა.

– საბჭოთა კავშირის იმეორებენ და არც მალავენ, მათ შორის, არც ეკონომიკურ ნაწილში: რადგან ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ეკონომისტები ვერ უნვენს კონკურენციას დასავლურ პროდუქციას, სუსტები ერთად უნდა გაერთიანდნენ, რომ ერთმანეთს პროდუქცია გაუსალონ.

– მუნებრივია, ამ ინფორმაციას არაფერი აქვს საერთო რეალობასთან და არც მეცნიერებასთან, თუმცა, თუ იმ ჩაკეტილ სივრცეს გავიხსენებთ, რომელშიც ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა, ამ „სიმართლეში“ მათი დაჯერება დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ჩვენებური სეპარატისტების პრობლემას უსხტანებ რჩეულიკვილითან ერთად მიმოვიხილავთ.

– თუმცა ვადავტოვოთ თვალს იმ პროპაგანდისტულ ომს სოციალურ სივრცეში, თუმცა ინფორმაცია უსაფუძვლო და სასაცილოა, მაგრამ იზოლირებულობის გათვალისწინებით, ამან ძალიან უარყოფითი შედეგი შეიძლება, მოიტანოს. ქართველებს მითაბარე ტომებად მოგვიხსენიებენ, ერისთავებს – ოსებად და ასე შემდეგ. სულ ბოლო „მარგალიტა“ ოსური ქალაქ ცხინვალის 262 წელს დაარსების ფაქტი.

– თუმცა რუსეთს აქვს გამოსავალი: ევრაზიის სფეროს გაცოცხლების ერთადერთი გზაა თურქეთის ჩართვა ამ სივრცეში.
– და თურქეთი არ გადაყლაპავს?
– არა, ძალები თანაბარია, მაგრამ რუსეთს ემინია, რადგან წინასწარ უპირატესობა აღარ ექნება და კონკურენციის გზით უნდა იაროს. მაგალითად, მართალია, ჩინეთი ძალიან მალალო ტემპებით ვითარდება, მაგრამ მაინც ვერ მოუგებს დასავლეთს, იმიტომ რომ კონკურენცია დაუშვებს მხოლოდ ეკონომიკაში. ამერიკელები და ევროპელები იგებენ ცხოვრების ხარისხით, ჩინეთს კი გაუჭირდება ამდენი ასეულობით მილიონი ადამიანის დაწევა ცხოვრების დასავლური დონისთვის და მეორე პრობლემა ჩინური ენა: ჩინურ კულტურას დასჭირდება საუკუნები, რომ ის მსოფლიოსთვის ხელმისაწვდომი იყოს.

– ისტორია საკმოდ პოლიტიზებული მეცნიერებაა და დამოკიდებულია ავტორის პოლიტიკურ შეხედულებაზე. მათ შორის, არც საქე-

გამოინერათ ჟურნალი „თბილისელები“ შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნა“ – 214-39-06;
„ზღანატი“ – 251-75-21;
„ქლვასარვისი“ – 238-80-02;
„ინფოსარვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაქი და კომპანი“ – 294-32-32



ბიან სხსაშვილი: მას შემდეგ, რაც აქტიური პოლიტიკას ჩამოვმორდი, ჩემი ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში დაბრუნდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ისეთი მშვიდად ვარ, როგორც ადრე ვიყავი. ის ნელინა-ნახევარი, რაც აქტიურად ვიყავი ჩართული პროცესებში, ჩემი ცხოვრების ძალიან რთული პერიოდი იყო. ვფიქრობ, გაუგებრობაში მოვყევი, ოღონდ არა ჩემი სურვილით. სულ ვამბობდი, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის-მეთქი და ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ გადწყვეტილებას მივიღებდი, მაგრამ გარემოებებმა განაპირობა ასე. არასდროს თქვა, არასდროს – მართალი ყოფილა. ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადე. პოლიტიკაში შესვლა ადვილია, გამოვსვლა ძალიან ძნელი – ესეც მეორე „გაკვეთილი“, რაც მივიღე პოლიტიკიდან. ის, რაც ჩემს თავს ხდებოდა ამ პერიოდში, ყველამ ვიცოდა. პოლიტიკას ახლავს ისიც, რომ თურმე, რისთვისაც ცხოვრობ, მაინცდამაინც ის დეგრადაციაზე დიდი დარტყმის ქვეშ. ჩემს შემთხვევაში, ეს იყო სახელი და ავტორიტეტი. სადაც შენი ყველაზე სუსტი წერტილია, ყველაზე მეტად იქ გირტყამენ. ესეც პოლიტიკის მკაცრი ნესია.

– ძალიან ხმაურიანი იყო ის ნელინა-ნახევარი თქვენთან დაკავშირებით, რა მიზეზით ამის „ფასად“ გარდა ამ გაკვეთილებს?

– იმის მიუხედავად, რომ ეს ჩემთვის აბსოლუტურად არადამახასიათებელი მოვლენა იყო, მაინც არ ვნანობ. ვფიქრობ, ის, რასაც იმ პერიოდში ვაკეთებდი, აუცილებელი იყო. საბოლოო ჯამში, ამ პერიოდის მაინც დადებითი ბალანსი მაქვს. იმ პერიოდმა დაამახსოვრა პოლიტიკოსის ნამდვილი სახე – მეცინება, ისეთი რაღაცეები ანუხებთ და სჭირდებათ მათ ბედნიერებისთვის. დღეს დისტანცირებული ვარ იმ პროცესებიდან, მაგრამ ვგრძობ ძინაგან პასუხისმგებლობას. შესაბამისად, ბევრი რამ მანუხებს. არაფერში არ ვერევი, ერთგვარი „კარანტინი“ მაქვს გამოცხადებული. უფრო მეტსაც ვეტყვი, ხშირად პოლიტიკოსების ტელეფონსაც კი არ ვპასუხობ. თუმცა, მათგან ბევრი ჩემი მეგობარია. სიბრალე ვითხრათ, მეხატრებიან კიდევ, მაგრამ როგორც კი მათთან კომუნიკაციას დავიწყებ, ვიცი, რითაც დამთავრდება – ისევ ჩამითრევს პროცესები. მირჩენია დისტანცირებული დავრჩე. მაქვს ჩემი სვეტი „კვირის პალიტრაში“. კვირაში ერთხელ ჩემს მოსაზრებებს საჯაროდ გამოვუქვამ.

– ისე აქტიური ვეღარ ხართ იმ საპარეზოზე, როგორც ადრე იყავით. ეს ტაბუები, როგორც ჩანს, იმ ნელინა-ნახევრის დამსახურებაა.

– რა თქმა უნდა, მაქვს გარკვეული ტაბუ. იმდენი რამ ხდება ირგვლივ, ვინდა თუ არა, პოლიმიკაში მოგიწევს შესვლა. იქიდან გამომდინარე, რომ ძნელია, ადამიანმა შანსი არ მისცე საკუთარ შვილს და ხმალომლებულმა უბრძოლო მას. რა თქმა უნდა, მეც მაქვს ტაბუ, თუმცა ვცდილობ, პოზიტიური კრიტიკა მაინც გამოვხატო. შემიძლია პირდაპირ ვუთხრა ადამიანებს ის, რასაც გამოვხატავ საჯაროდ, საგანგებო ფურცლებზე. საზოგადოებრივ სექტორში ვადასვლა და ჩემი რეალური ამპლუის დაბრუნება, ნიშნავს, რომ ჩემი ყველა მოსაზრება საჯარო იყო. მეტსაც ვეტყვი, ხშირ შემთხვევაში, პოზიციას ვარბილებ, მაინც სუბიექტური ვარ და ამას არც ვმაღავ. მე ამ პოზიციას მაშინაც გამოვხატავდი, როცა პოლიტიკაში ვიყავი. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი დისკომფორტი, რაც პრაქტიკულად, ძალიან ბევრს ჰქონდა. საქართველოში უამრავი ინტერესგუფოა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, რომელთაც ბევრ დისკომფორტს ვუქმნიდი. შესაძლოა, დღესაც ასეა, მე ვარ „საფრთხოვლა“ გარკვეული ბიზნესრეგების ბოსტანში. დღეს ეს ტენდენცია ნაკლებად, მაგრამ მაინც მიდის ინერციით. შიშს დიდი თვალები აქვს და ამ მხრივ, ერთ-ორი კინკლა ძველი


მას შემდეგ, რაც აქტიურ ქართულ პოლიტიკას ჩამოვმორდა და ძველ ამპლუაში დაბრუნებას ცდილობს, ბიან სხსაშვილი ცხოვრების განსხვავებულ ეტაპს გადაის. უკვე ექვსი თვეა, ახალი ამბების გასაგებად ტელევიზორსაც კი არ ეკარება და როგორც თავად ამბობს, იმის აღდგენას ცდილობს, რაც ნელინა-ნახევრის და ქართული პოლიტიკის წყალობით „დაკარგა“. ცოტა ხნის წინ ყველაზე სასიამოვნო სიურპრიზი, ერთადერთი შვილისგან მიიღო, რამაც ახალი ამპლუა მთავრად და მისი ცხოვრება ყველაზე სასიკეთოდ შეცვალა.

ვინ უხვალა ბიან სხსაშვილის სხოვრება და რაში ჩათრევას უჩილება ის

მეთოდებით კიდევ ფართხალებს ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ ეს უკვე აბსურდამდეა მისული. შიშით ბევრად უფრო მწვავე და რადიკალური ვიყავი, გამომდინარე ჩემი ბუნებიდან. სულ ვამბობ, პოლიტიკურ დისიდენტად ჩამოვყალიბდი-მეთქი. ეს ალბათ, ჩემი მაქსიმალური განმარტვანი გამომდინარე მოხდა. მიწა, იდეალურად იყოს ყველაფერი, რაც ბუნებაში არ არსებობს.

– დღეს თქვენც და ყოფილი პრემიერიც სამოქალაქო სექტორში ხართ. როგორია თქვენი ურთიერთობები?

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რაზუდაც მასაც უსაუბრია. ჩვენ შორის არ არის საქმიანი ურთიერთობა, თუმცა ის და მისი ოჯახის წევრები ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები არიან. ვფიქრობ, არც ბიძინა ივანიშვილისთვის ვარ სულერთი. პირადი ურთიერთობები ჩვენი პრივატული თემაა და ამაზე მორჩევნი, ნაკლები ვისაუბრო. ჩვენ იმდენი გამოვიარეთ, ამას ვერ გავხედი სალაპარაკოდ. თუმცა, იმას ვეტყვი, რომ სულ ახლახან, დაბადების დღე ჰქონდა და მივულოცე. მე ის არ მაინტერესებს, როგორც ბიზნესმენი. ეს ზღვარი გადავიარე. არ მაინტერესებს, როგორც მდიდარი ადამიანი, არ მაინტერესებს, როგორც პოლიტიკოსი, ის მაინტერესებს, როგორც ადამიანი, ამ ყველაფრის მიღმა. ის, რომ დღეს საქმიანი ურთიერთობები შეჩერებული გვაქვს, ესეც ჩემი ხასიათიდან გამომდინარეობს. მე ვიყავი ინდივიდუალისტი, ვგაუფრო თამაშებს არავისთან ვენიციდი და დღეს მაქვს კომფორტი, დავრჩე ინდივიდუალისტი. გუნდური თამაშის დროს, არ ვიცი რატომ, მაგრამ რატომღაც ყველას ეწყება ჩემი დისკომფორტი. ჩემი ცოლი „ითარებათ ქვირის“ მეძახის. ჩემთან საქმიანი ურთიერთობა ძნელია, ისეც და ისეც ჩემი მაქსიმალური შიშით გამომდინარე. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, არც ვუშვებ შეცდომებს. ჩემი მოსაზრებაც არაა ყოველთვის სწორი, თუმცა ერთი კარგი თვისება მაქვს – თუ რამე მემსება, ბოდიშის მოხდაც ვიცი. აი, ამითაც განვსხვავდები პოლიტიკოსებისგან. ისინი არა თუ ბოდიშს იხიან, მეუბლიათ, ნებისმიერი გადაწყვეტილება ასხნან. რამდენიმე მათგანს უფრჩივ კიდევ, რომ ქართველი საზოგადოება ბოდიშს კარგად იღებს და იქნებ სცადოთ-მეთქი, მაგრამ შინაგანი ბარიერი აქვთ, რის გამოც ეს არ გამოხდის.



მე ვარ „საფრთხოვლა“ გარკვეული ბიზნესრეგების ბოსტანში

ივ, ან სხვა ტიპის მდგომარეობას. ლამა დიდი ხანია, არ მინახავს, თუმცა ეს ჩვენს ურთიერთობას ვერაფერს აკლებს. ზოგადად მე, დღემდე არ მესმის, რატომ უნდა უნდადეს ადამიანს ხელისუფლებაში ყოფნა. დღემდე გაუგებარია ჩემთვის, რა ხიბლი აქვს ხელისუფლებას. ძალაუფლებაში არაფერი ყრია, ეს მე ვნახე. ნორმალური ადამიანისთვის, ვისაც პასუხისმგებლობა და სურვილი აქვს, შექმნას რაიმე კარგი, ძალაუფლების ტვირთის ტარება ძნელია. მატერიალური ამ მე დღესაც იმაზე მეტი შემოსავლი მაქვს, ვიდრე უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი რომ ვყოფილიყავი. იმის მიუხედავად, რომ ჩემს შემოსავლებზე მაშინ ლეგენდები დადიოდნენ, ფული არასდროს ყოფილა ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი. დღეს ვარ მრჩეველი ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ვემუშავებ ნიგნზე.

– თქვენც დაიწყეთ „მემუარები“?

– ეს არაა მემუარები. წინის დაწერას პუბლიცისტურ ფანტაზია ვაპირებდი, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, უფრო მხატვრული მიმართულება მივცე. ეს იქნება ნიგნე საქართველოს უახლოეს ისტორიულ რატომღაც მომინდა, რომ საკუთარი ფანტაზიის ნაყოფიც ჩამედიო, რაც პუბლიცისტურად არ უხდება. ჯერ არ ვიცი, რა გამოვა ჩემი ჩანაფიქრიდან, მაგრამ მაინც მოვსინჯავ. ვილაცაის შეიძლება, გაეცინოს. ამ კაცმა ყველაფერი როგორ იცისო, მაგრამ მე მაინც ვცდი. ერთი ნიგნი „უკვე მაქვს გამოცემული“ – „რა ღირს საქართველო“, რომელიც მოიცავს პერიოდს 2003 წლის ნოემბრიდან 2007 წლის ნოემბრამდე. ეს წმინდა პოლიტიკური ესესი ფანტაზია, ახლა სხვა მიმართულებით გამოვცდი თავს. ამ მხრივ საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, მაქვს, სადაც აზროვნების უნარი. ამას გარდა, ახლა დროც ბევრი მაქვს. დაახლოებით ექვსი თვეა, არ მინახავს საინფორმაციო გადაცემა. ინფორმაციას ვიღებ საავტორობიდან და ვაზიფიციდნ, ტელევიზორში ძირითადად ვუყურებ გასართობ გადაცემებს, არანაირი პოლიტიკური თოქ-შოუ. ცხოვრების იმ ტემპს, რომლითაც ახლა ვცხოვრობ, ეს აღარ სჭირდება. დღეს ის ამოცანები აღარ მაქვს, რაც მქონდა, შესაბამისად შემიძლია თავს უფლება მივცე, რომ არ ვუყურო საინფორმაციო გადაცემებს. ჩაატარეთ ერთკვირიანი ექსპერიმენტი და ნახავთ, როგორი ბუნებრივი იქნებით *(იცინის)*.

– დღეს თქვენი ცხოვრების რეჟიმი პასიურია?

– დღეს არ მაქვს ისეთი აქტიური ცხოვრება, მაგრამ მე მაინც ვერ ვჩერდები. დილას ადრე ვდგები, საქმე რომც არ მქონდეს, მაინც ვმობრუნდები, ისე ვერ ვჩერდები – მაგალითად, მანქანით ან ნერვითიდან ბ ნერვითი ნავალ და გზაში ვიფიქრებ, რომ ბ ნერვითი მივდივარ *(იცინის)*.



– ინსულტი ზოგადი კლინიკური ცნებაა, რომელიც გულისხმობს ნევროლოგიური დეფიციტის უეცარ ჩამოყალიბებას თავის ტვინის სისხლძარღვთა დისფუნქციის გამო. განასხვავებენ ინსულტის სხვადასხვა ფორმებს: იმემიური ინსულტი, ანუ ტვინის ინფარქტი; ჰემორაგიული ინსულტი, ანუ თავის ტვინში სისხლჩაქცევა და სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა. ამას გარდა, არსებობს წინამორბედი ფაქტორები, რომლებიც ინსულტის ალბათობას 10-ჯერ ზრდის. ესენია: ტრანზიტორული იმემიური შეტევა, რომლის დროსაც ხდება ინსულტისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების სწრაფად ჩამოყალიბება. უახლოესი მიდგომებით მისი ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს და თუ სიმპტომები გაგრძელდა, ერთ საათზე მეტ ხანს, მხოლოდ 14 პროცენტში ხდება ნევროლოგიური სიმპტომების უკუგანვითარება, ანუ პაციენტების 86 პროცენტს ჩამოყალიბდება ინსულტი. ამ დროს აღინიშნება სისუსტე, მეტყველების დარღვევა, მხედველობის დაქვეითება, პირის კუთხის დაბუყება, წონასწორობის დარღვევა, თავბრუსხვევა. 24 საათის შემდეგ კი მდგომარეობა უზრუნველდება საწყის სტატუსს – თითქოს არაფერი მომხდარა. თუმცა, აქაც არის განსხვავება. მაგალითად, თუ გარდამავალი იმემიური შეტევა არის უკანა ცეკულაციის აუზში, იმ აუზში, რომელიც უკანა არტერიებით იკვებება, ამ შემთხვევაში გარდამავალი პერიოდი, ანუ ტრანზიტორული იმემიური შეტევა იზრდება 72 საათამდეც... თავის ტვინის ინფარქტი პათოლოგიური ტერმინია, რომელიც იშვიათად დროს ტვინის ქსოვილის სიკვდილს გულისხმობს. შეიძლება, კლინიკურად გამოვლინდეს ან დარჩეს ასიმპტომური. ტვინის ინფარქტის სავარაუდო დიაგნოზი დასტურდება მხოლოდ რადიოლოგიური, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული მონაცემების საფუძველზე, პათანატომიური მტკიცებულებების არსებობის გარეშე. ასევე, განასხვავებენ ავთვისებიან ინფარქტს. ამ შემთხვევაში, იგულისხმება მსხვილი ტერიტორიული ინფარქტი, რომელიც ავთვისებიანად მიმდინარეობს და გააჩნია, ეგრეთ წოდებული, ჰიპერმკვრივი თავის ტვინის შუა არტერიის ნიშანი ტომოგრაფიულად. ლაკუნური, ანუ წერილი სისხლძარღვების დაზიანება, მოიცავს დაზიანებას, რომელიც განლაგებულია პერივასკულარულ სივრცეში და გულისხმობს პატარა, დაახლოებით 0.5-მილიმეტრიდან 1 სანტიმეტრამდე ზომის დაზიანების კერას. რაც შეეხება იმემიური ინსულტის გამოწვევ მექანიზმებს, ეს არის, ძირითადად, მსხვილი სისხლძარღვების დაავადებები, რაც ხშირად განპირობებულია ათეროსკლეროზით, ანუ ხშირ შემთხვევაში ლიპიდებით. ეგრეთ წოდებული, დისექცია ანუ განმრეგება, ემოლიზმი, რომელიც შეიძლება იყოს კარდიოგენური, ან სისტემური. ასევე, სხვადასხვა სისხლის დაავადებები და ჰემოდინამიური ჰიპოპერფუზიის შედეგად გამოწვეულია. ანუ, გარკვეულ კრიტიკულ ზონებში ხდება სისხლის მიწოდების დაქვეითება.

– როგორია იმემიური, ჰემორაგიული ინსულტის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები?

– ცნობიერების დარღვევა: სომნოლენცია, სოპორი, კომა, აგნეზია, გულყრები; აფაზია (მეტყველების დაკარგვა ან გაძნელება) ან სხვა უმაღლესი ქერქული ფუნქციების დარღვევა; დეზორიენტი, დისფაგია (მეტყველების დარღვევა, ყლაპვის გაძნელება), სახის ასიმეტრია ან მიმიკური კუნთების სისუსტე (კიდურების სისუსტე დაზიანების მხარეზე ან კონტრალატერალურად), მგრძობილობის დარღვევა სახეზე ან პირის ღრუში, სისუსტე, პარეზი ან მგრძობილობის დარღვევა ერთ ან ორივე კიდურში (ჩვეულებრივ, სხეულის რომელიმე ნახევარში), ატაქსია, წონასწორობის დარღვევა, სიარულის გაძნელება, მხედველობის უეცარი დაკარგვა, ან მხედველობის ველების გამოვარდნა. უეცარი თავბრუსხვევა, გულისრევა, ლებინება, გამოუსახულები გაორება, უეცარი და ძლიერი თავის ტკივილი, ფოტოფობია, ფონოფობია. თუ პაციენტს უეცრად განუვითარდა მარცხენა კიდურებში სისუსტე, დაკარგა მარჯვენა თვალში მხედველობა, განუვითარდა მგრძობილობის მკვეთრი დაქვეითება, ბარბაცი, დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს, გამოვიძიებოთ სასწრაფო – სასურველია, აუცილებელია გაკეთდეს ძლიერი მალე, რათა პაციენტი ჩაუტარდეს საჭირო გამოკვლევებში. აუცილებელია თავის ტვინის სისხლძარღვები, გაკეთდეს ტომოგრაფია. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ჰერგამბარი გზების გატარდეს ასპირაციის სანიანალდეგო ლონისძიებები (გვერდზე ნოლითი მდებარეობა), საჭიროების შემთხვევაში, არგამატარის, ნაზოფარინგეალური მილის ჩადგმა. ჰიპოქსიის შემთხვევაში უნდა მიენიღოს ყანგბადი. მაღალი არტერიული წნევის დროს წნევის დაქვეითება უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტოლური წნევის ციფრები აღემატება 180 მმს ან დიასტოლური წნევის ციფრები აღემატება 110 მილიმეტრს ვერცხლისწლის სევეტისა. წნევის დაქვეითებისათვის უნდა გამოიყენოთ მხოლოდ რბილი მოქმედი პრეპარატები. ჰიპერტენზიის მწვავე ნორმალიზაციის ჩვენებას წარმოადგენს: მიოკარდის მწვავე ინფარქტი, აორტის განმრეგება, გულის მწვავე უკმარისობა. დაბალი არტერიული წნევა იშვიათად გვხვდება მწვავე ინსულტის დროს. თუ ის შეინიშნება, აუცილებლად უნდა ვეძიოთ მისი მიზეზი და მივებულ იქნას დაუყოვნებელი ზომები წნევის ნორმალურ ან ოდნავ მაღალ დონეზე შენარჩუნებისთვის. ყველაზე ხშირად ჰიპოტენზიის მიზეზს ორგანიზმში სითხის დეფიციტი წარმოადგენს. ამ დროს ჩატარებული ლონისძიებები უნდა ემსახურებოდეს სითხის დეფიციტის შესვლას და გულის მუშაობის ოპტიმიზაციას. ეპილეფსიური სტატუსუსი ან კრუნჩხვათა სერიული მიმდინარეობის დროს, აუცილებელია კრუნჩხვითი სინდრომის უპირება (დიაზეამის ინიექცია). მიზანშეწონილია ელექტროკარდიოგრაფია, რათა არ გამოგვეპაროს მიოკარდის მწვავე იშემია ან სიცოცხლისათვის საშიში არითმიის არსებობა (რაც არცთუ ხშირ შემთხვევაშია მწვავე ინსულტის დროს). უნდა ვგახსოვდ-



განასხვავებენ ავთვისებიან ინფარქტს. ამ შემთხვევაში იგულისხმება მსხვილი ტერიტორიული ინფარქტი, რომელიც ავთვისებიანად მიმდინარეობს

მიუხედავად იმისა, რომ ინსულტი მსოფლიოში სიკვდილის მესამე, ყველაზე ხშირი მიზეზია, მისი პრევენცია შესაძლებელია. ასეთ დროს მნიშვნელოვანია სწორი მდგომარეობა და შესაბამისი მკურნალობა. ამ ყველაფრის შესახებ დანერგული გვესაუბრება, ქართულ-ამერიკული საოჯახო მედიცინის კლინიკის Medical House-ის ექიმი-ნევროლოგი, მედიცინის დოქტორი, საქართველოს სამედიცინო სპეციალობების ასოციაციის პრეზიდენტი ბიზ ჩახაძე:

რა არის ინსულტი გამოწვევი რისკ-ფაქტორები და როგორ უნდა მოიქცნენ ოჯახის წევრები, თუ აპაღყოფს ინსულტის კლინიკური ნიშნები გამოუვლინა

უსტე დაზიანების მხარეზე ან კონტრალატერალურად), მგრძობილობის დარღვევა სახეზე ან პირის ღრუში, სისუსტე, პარეზი ან მგრძობილობის დარღვევა ერთ ან ორივე კიდურში (ჩვეულებრივ, სხეულის რომელიმე ნახევარში), ატაქსია, წონასწორობის დარღვევა, სიარულის გაძნელება, მხედველობის უეცარი დაკარგვა, ან მხედველობის ველების გამოვარდნა. უეცარი თავბრუსხვევა, გულისრევა, ლებინება, გამოუსახულები გაორება, უეცარი და ძლიერი თავის ტკივილი, ფოტოფობია, ფონოფობია. თუ პაციენტს უეცრად განუვითარდა მარცხენა კიდურებში სისუსტე, დაკარგა მარჯვენა თვალში მხედველობა, განუვითარდა მგრძობილობის მკვეთრი დაქვეითება, ბარბაცი, დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს, გამოვიძიებოთ სასწრაფო – სასურველია, აუცილებელია გაკეთდეს ძლიერი მალე, რათა პაციენტი ჩაუტარდეს საჭირო გამოკვლევებში. აუცილებელია თავის ტვინის სისხლძარღვები, გაკეთდეს ტომოგრაფია. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ჰერგამბარი გზების გატარდეს ასპირაციის სანიანალდეგო ლონისძიებები (გვერდზე ნოლითი მდებარეობა), საჭიროების შემთხვევაში, არგამატარის, ნაზოფარინგეალური მილის ჩადგმა. ჰიპოქსიის შემთხვევაში უნდა მიენიღოს ყანგბადი. მაღალი არტერიული წნევის დროს წნევის დაქვეითება უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტოლური წნევის ციფრები აღემატება 180 მმს ან დიასტოლური წნევის ციფრები აღემატება 110 მილიმეტრს ვერცხლისწლის სევეტისა. წნევის დაქვეითებისათვის უნდა გამოიყენოთ მხოლოდ რბილი მოქმედი პრეპარატები. ჰიპერტენზიის მწვავე ნორმალიზაციის ჩვენებას წარმოადგენს: მიოკარდის მწვავე ინფარქტი, აორტის განმრეგება, გულის მწვავე უკმარისობა. დაბალი არტერიული წნევა იშვიათად გვხვდება მწვავე ინსულტის დროს. თუ ის შეინიშნება, აუცილებლად უნდა ვეძიოთ მისი მიზეზი და მივებულ იქნას დაუყოვნებელი ზომები წნევის ნორმალურ ან ოდნავ მაღალ დონეზე შენარჩუნებისთვის. ყველაზე ხშირად ჰიპოტენზიის მიზეზს ორგანიზმში სითხის დეფიციტი წარმოადგენს. ამ დროს ჩატარებული ლონისძიებები უნდა ემსახურებოდეს სითხის დეფიციტის შესვლას და გულის მუშაობის ოპტიმიზაციას. ეპილეფსიური სტატუსუსი ან კრუნჩხვათა სერიული მიმდინარეობის დროს, აუცილებელია კრუნჩხვითი სინდრომის უპირება (დიაზეამის ინიექცია). მიზანშეწონილია ელექტროკარდიოგრაფია, რათა არ გამოგვეპაროს მიოკარდის მწვავე იშემია ან სიცოცხლისათვის საშიში არითმიის არსებობა (რაც არცთუ ხშირ შემთხვევაშია მწვავე ინსულტის დროს). უნდა ვგახსოვდ-

ეს, რომ მწვავე ინსულტით ავადმყოფს შესაძლოა, დასჭირდეს ნეიროქირურგიული ჩარევა, განსაკუთრებით ჰემორაგიული ინსულტისა და ანევრიზმული სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის დროს. ამიტომ, მწვავე ინსულტით ავადმყოფი უნდა მოთავსდეს ისეთ კლინიკაში, სადაც ფუნქციონირებს ნეიროქირურგიული და რეანიმაციული სამსახური.

– როგორც ცნობილია, დღეს ინსულტი სიკვდილის მესამე, ყველაზე ხშირი მიზეზია. თუმცა, შესაძლებელია, დაავადების პირველადი და მეორადი პრევენცია.

– ინსულტით მიუღ მსოფლიოში წელიდანადმი დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი იღუპება. ანუ, სიკვდილიანობა საკმაოდ მაღალია, ისევე, როგორც უზუნარობისა და ინვალიდობის მაჩვენებელი. 6 თვეში ავადმყოფების დაახლოებით 50 პროცენტს გარკვეული სახის ინვალიდობა აღენიშნება. დაახლოებით 25-30 პროცენტში ინსულტი განმეორებითია და განმეორებითობა მაღალია იმ ფაქტის გამო, რომ პაციენტს უკვე გადატანილი აქვს ინსულტი. ანუ ინსულტი დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორია შემდგომი ინსულტისთვის, იმ შემთხვევაშიც, თუ სხვა მოდიფიცირებადი ფაქტორები მოწესრიგებულია. მაგრამ ეს ალბათობა გაცილებით იკლებს დეკვატური და სწორი მართვის შემთხვევაში. ინსულტისთვის არამოდიფიცირებადი ფაქტორებია: ასაკი, სქესი, ანუ კაცებში 25-30 პროცენტით უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, ვიდრე ქალებში და გენეტიკა, ანუ ახლო ნათესავებში, მაჩვენებელი ორჯერ მაღალი პროცენტით გვხვდება. მოდიფიცირებადი ფაქტორებს კი მიეკუთვნება ის ფაქტორები, რომლებიც საერთოდ ცნობილია სისხლძარღვოვანი დაავადებების დროს. ანუ, ინსულტის გამომწვევი რისკ-ფაქტორებია: არტერიული ჰიპერტენზია, ასაკი, თამბაქოს და ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება, მაღალი ქოლესტერინი, ზედმეტი წონა, შაქრიანი დიაბეტი, კარდიალური პათოლოგია (გულის იმემიური დაავადება, გულის უკმარისობა, მოციმციმე არითმია, მანკი, ხელოვნური სარქველები), ტრანზიტორული იმემიური შეტევა, დაავადების ოჯახური ისტორია. დაავადების განვითარების რისკი 2-ჯერ მატულობს, როდესაც ადამიანი მწეველია.

– ალკოჰოლის დიდი დოზით მიღება არ მიიჩნევა რისკ-ფაქტორად?

– ალკოჰოლის ზომიერად მიღება შეიძლება, თუმცა, ზომიერში არ ვგულისხმობ 3-4 ბოთლ ლინოს დღეში. სადაც 50-100 მილილიტრამდე რაფინირებული, წითელი ლინო, პირიქით, ანტიოქსიდანტურ თვისებებს ავლენს. ანუ, ის ინვეს არა მხოლოდ დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინის დაქვეითებას, არამედ მაღალი სიმკვრივის, ანუ სასარგებლო ქოლესტერინის მაჩვენებლის ზრდას. არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ამინდის მკვეთრი ცვლილებებიც განაპირობებს გულს-სისხლძარღვთა და თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებების მკვეთრ მომატებას. ბიომარკერული ველები, სეზონური ცვლილებები ინვეს არტერიული ჰიპერტენზიის ცვალებადობას, მომატებას. ამიტომ, ყოველთვის ჯობია, ამა თუ იმ პრობლემის პრევენცია, ვიდრე შედეგის მართვა. ასევე, აუცილებელია წნევის სწორად გაზომვა. არ უნდა დავგავიწყდეს, რომ მწვავე იმემიური ინსულტის დროს, წნევის მკვეთრი, ხელ-



რა აკავშირებდა ტიხიან ტაბიქაშვილს ერთ-ერთ პირველ ქართველ სოციალისტს და როგორ უფრთხილდებოდა ის ენის რეაბილიტაციას

სომელიეს ისტორია საქართველოში საკმაოდ დიდ პერიოდს ითვლის, თუმცა ადრე მათ დეგუსტატორები ერქვათ. ერთ-ერთი პირველი სომელი, რომელსაც ქართული მეღვინეობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის, იყო ცნობილი მეღვინე გიორგი ლორთქიფანიძე, რომელიც დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა და იმ მხარეში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი კოლორიტი იყო. ნიკო ლორთქიფანიძის ბიძაშვილსა და ტიციან ტაბიქაშვილს სიძეს, იმერეთში კარგ თამადად, ქართული სიმღერის დიდ მოყვარულად ცნობდნენ. მასთან დაკავშირებული ისტორიების შესახებ მის შვილიშვილს, **მომხილო** **როსტომიანიას** გავესაუბრეთ: ბაბუაჩემი, გიორგი ლორთქიფანიძე, საქართველოში ერთ-ერთი პირველი დეგუსტატორი იყო. პროფესიით მეღვინე, მთელი ცხოვრება ქართული ღვინის განვითარებას შეაღწია. იმ პერიოდში ამ მიმართულებით კადრები საკმაოდ ჭირდა, ასე რომ, ვინც ინსტიტუტს ამთავრებდა, მამინვე ღვინის ქარხნებში უშვებდნენ სამუშაოდ. ბაბუა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ღვინის ხარისხის ინსპექციის მთავარ სპეციალისტად დანიშნეს. აქედან დაიწყო მისი გზა ამ დარგში. სხვადასხვა დროს ბაბუა ხელმძღვანელობდა საჩხერის, ზესტაფონის ღვინის ქარხნებს. მეღვინე იყო მისი მეუღლეც, ბებიანემი, ქეთევან ტაბიქაშვილი იყო ტიციან ტაბიქაშვილის უმცროსი და. ბებია თავიდან არ მუშაობდა, მაგრამ, როცა ბაბუა ოპიში წავიდა, იძულებული გახდა, ოთხი შვილის სარჩენად მუშაობა დაეწყო. ის წავიდა ვარციხის ღვინის ქარხანაში, სადაც მათი მეგობარი ცოლ-ქმარი – სიმონიკა და ფეკრია ყოფიანები მუშაობდნენ. ბებია ვარციხის ღვინის ქარხნის ტექნოლოგი იყო, შესაბამისად, ამ სფეროში ისიც ძალიან კარგად ერკვეოდა, მაგრამ ბაბუას ეს საქმე ისე ფანატურად უყვარდა, რომ ღვინის დაყენება წინინდა რიტუალად ჰქონდა ქვეული. ბაბუა არასდროს ჭამდა ცხარე საჭმელს, რომ ენის რეცეპტორები არ გააფუჭებოდა; არ იცოდა მარილის გემო და სახლში საჭმელს მისთვის ცალკე აკეთებდნენ. მისი თაობის ადამიანებისგან გამიგონია, ღვინოს ერთს მოწრუპავდა და მთელ მის ისტორიას „ჩამონერდა“ – არ შეცდებოდა იმაში, თუ რამდენ ხანში დაღვინდებოდა, დადგებოდა თუ არა კარგი

ღვინო. მის გარეშე საქართველოდ ღვინო არ გადიოდა გამოფენაზე, ის ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვისაც ღვინის ხარისხზე აზრს ეკითხებოდნენ და ვისი შეფასებაც კომპეტენტურად ითვლებოდა. როდესაც საქართველოში ღვინის ხარისხის გაფუჭება დაიწყო, ბაბუასთვის ეს ისეთი ტრაგედია ყოფილა, ახლოსაც არ იკარგებდა იმ ხალხს, ვისაც ასეთ მაქინაციებთან ჰქონდა შეხება. ბაბუას მუდმივად ინვესტდნენ საკავშირო კონფერენციებზე, შესვენებებზე. ერთხანს დასავლეთ საქართველოს „სამიტრესტის“ გენერალური დირექტორი იყო. მსმენია ისტორია, რომ ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას, როგორც ყველაზე ავტორიტეტულ დეგუსტატორს, გასასინჯად მიუტანეს რამდენიმე სხვადასხვა ნარმოების კონიაკი. ბაბუას იყო კონიაკი გამოუყვია და ერთ-ერთ კონიაკზე უთქვამს, წესით, ჩემი, ქართული უნდა მომწონდეს, მაგრამ, რა ექნა, როგორც პროფესიონალი, მაინც ვიტყვი, რომ ამ კონიაკებს შორის პირველი ადგილი მომხურს ეკუთვნისო. ხომ შეეძლო, ეთქვა, რომ ქართული კონიაკი უკეთესი იყო, მაგრამ, მის სიტყვას ფასი ჰქონდა და ამ პატიოსნების გამო იყო აღიარებული კოლექტებს შორის. ერთხელ ვილატას უკითხავს მისთვის, ღვინოს როგორ აკეთებ? იყო, ძალიან გაბრაზებული ბაბუა, – ღვინის გაკეთება სად გაგაონილა, გაკეთებული ღვინო აქეთ „გაგაკეთებს“, ღვინო უნდა დააყენო, – ისე უთქვამს იმ კაცისთვის, ახლოს ვეღარ ვაპკარებია.



ბაბუასთვის საჭმელს ცალკე აკეთებდნენ

– **პარტიული ფუნქციონერი იყო?**
– არა, პარტიაში არ მესულა. იმდენად ავტორიტეტული პიროვნება იყო, რომ, ვერც კი

უბედავდნენ პარტიაში შესვლის მოთხოვნას. იმის მიუხედავად, რომ ის იყო მუდმივი მასპინძელი, როცა დასავლეთ საქართველოში ცეკას მიღევანი ვასილ მჭავანაძე ჩადიოდა და, შესაბამისად, მასთან ძალიან კარგი ურთიერთობაც ჰქონდა, პარტიის წევრი არ გამხდარა. ბაბუა ძალიან პარტიისანი კაცი იყო, სოციალისტის შემდეგ არაფერი დაუტოვებია, სახელის გარდა. მის პანაშენებებზე ხალხი 5-6 საათი რიგში იდგა. სოციალისტის ბოლო წლებშიც კი, უკვე ასაკში მყოფი, კონსულტანტად მუშაობდა ცნობილ ღვინის ქარხანაში. ბაბუა მეგობრობდა ენლოვან ხალხთან, მწერლებთან, თავად ნიკო ლორთქიფანიძის ბიძაშვილი იყო, ამასთან ერთად, ტიციანის სიძე და, ალბათ, ეს განსაზღვრავდა მის დიდ გაცაცებას ქართული მწერლობით. ის მიღებული იყო მწერლებს, ხელოვანი ხალხის წრეში. ბაბუას ახლო მეგობარი იყო ირაკლი აბაშიძე. ერთხელ ბაბუას მამაჩემი რაღაც საქმეზე გაუზავნია უმაღლეს საბჭოში, ირაკლი აბაშიძესთან. მამა გარეგნულად ისე ჰგავდა თავის ბიძას, ტიციან ტაბიქაშვილს, შემცარ ირაკლი აბაშიძეს უთქვამს, უცებ მეგონა, ტიციანი გამოემცხადო. ბაბუა იყო ფანტასტიკური თამადა, კარგი მომღერალი, ფანტასტიკური ოპერის მქონე კაცი. ის წყალტუბოში ცხოვრობდა. როცა დასავლეთ საქართველოში ვინმე ცნობილი სტუმარი ჩამოდიოდა, ბაბუა იმ სუფრების უცვლელი თამადა იყო. მას ცუდ ღვინოს ვინ შეშვებავდა? სუფრაზე, სადაც უნდა მიდიოდა, ღვინო განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო, სხვა შემთხვევაში სუფრა, რაც ბაბუასთვის კარგი სიმღერის, ლექსის, სადღეგრძელოს გარეშე წარმოუდგენელი იყო, არ შედგებოდა.

თამარ ჩხეიძე

ოვნიური დაქვეითება საშიშია, ვინაიდან თავის ტვინის სისხლძარღვების ავტორეგულაცია და რღვეულია, რაც დამატებით პრობლემებს იწვევს თავის ტვინის ქსოვილებისთვის. ამიტომ, ასეთ დროს აუცილებელია არტერიული წნევის შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნება. რაც შეეხება რისკ-ფაქტორების მოდფიკაცია: არტერიული წნევის ციფრები შენარჩუნებული უნდა იყოს არაუმეტეს 140/90 მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტისა. ძალიან ხშირად არტერიული წნევა შეიძლება დაქვეითდეს ძვირად ღირებული მედიკამენტების გარეშე, ცხოვრების წესის შეცვლით. ამისთვის აუცილებელია: სუფრის მარილის და მლაშე საკვების შეზღუდვა. როგორც აღვნიშნე ალკოჰოლის მკვეთრი შეზღუდვა (არაუმეტეს 1 ჭიქა ღვინო – 200 გრამამდე, ან 50 გრამი აჩაყა დღეში), ზედმეტი წონის დაკლება, ფიზიკური აქტივობის ზრდა (ზომიერი ფიზიკური დატვირთვა კვირაში საშუალოდ 5-6 საათის განმავლობაში). თუ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების შედეგად 3 თვის განმავლობაში არ მოხდა არტერიული წნევის უნდამალიზაცია, არამედიკამენტურ მეთოდებს უნდა დაემატოს მედიკამენტური მკურნალობა. ძალიან საინტერესოა მაქრინი დიაბეტისა და ინსულტის დამოკიდებულება: აქვს აუცილებელია არტერიული წნევის სწორი მართვა. თუ ადამიანს არ აქვს ინსულტი გადატანილი, არ აქვს დიაბეტი, არტერიული წნევის ციფრები უნდა იყოს: 130-90-ზე. თუ ადამიანს დიაბეტი აქვს, მაშინ წნევა უნდა იყოს 120-80-ზე. ანუ ინსულტის დროს არტერიული ჰიპერტენზიის უფრო დაბალი მაჩვენებელი უნდა იყოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში არის ინსულტის და

ზოგჯერ მსხვილი სისხლძარღვების დაზიანება და აუცილებელია უფრო მოქნილი მართვა. როდესაც არის ასაკი, ინსულტი, მაქრინი დიაბეტი, ამ დროს რისკი ორმაგდება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მაქარი უნდა იყოს მოწესრიგებული, სანყის ეტაპზე დიაბეტის კონტროლი უნდა მოხდეს დიეტის საშუალებით (ნახშირწყლების, ცილების მკვეთრი შეზღუდვა). საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაემატოს ადეკვატური მედიკამენტური მკურნალობა. რაც შეეხება ჰიპერლიპიდემიას, მისი კონტროლი უნდა დაიწყო ცხოველური ცილების დაბალმემცველი დიეტის, ფიზიკური აქტივობის მომატებისა და ზედმეტი წონის დაკლების საშუალებით: ლიპიდური სპექტრი თუ არ გამოსწორდა 4-6 კვირის განმავლობაში, ავადმყოფს უნდა დაეწინოს სპეციფიკური მედიკამენტური მკურნალობა. თუ არის წინაგულოვანი მოციმციმე არითმია, ადამიანის ასაკი კი 65 წლის ქვემოთ არის და არ არსებობს სხვა ფაქტორების ჩართულობა, ასევე, არის საშუალო ჰიპერტენზია: 140-დან 60-მილიმეტრამდე ვერცხლისწყლის სვეტის, მაშინ ინსულტის რისკი საშუალოა. მაგრამ; თუ ჰიპერტენზია არის 160-ზე მეტი, ადამიანს აქვს დიაბეტი, გულის მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია, მაშინ ინსულტის ძალიან მაღალი რისკია.

– **როგორ უნდა მოქცნენ ამ შემთხვევაში ავადმყოფის ოჯახის წევრები?**
– მწვავე იმემიური ინსულტი იანთვის სახსავითაა: შეიძლება, მოგეჩვენოს რომ მსუბუქია, მაგრამ 2-3 დღეში ძალიან დამძიმდება. ამიტომ იმემიური ინსულტის მწვავე პერიოდში ან ჰეპროტოგული ინსულტის დროს სასურვე-

ლია, პაციენტის მყისიერი მოთავსება შესაფერის დანესებულევაში. ინსულტის დიდი რისკი არსებობს იმ პირებში, ვისაც გადატანილი აქვთ ტრანზიტორული იმემიური შეტევა. დაზიანებული კერები სულ სხვა მიდგომას მოითხოვს, ვიდრე ის შემთხვევა, როდესაც მდგომარეობა კვალის გარეშე დაჩნა. გულის იმემიური დავადების მქონე პაციენტები, ინსულტიდან 2 წლის განმავლობაში, შემდეგი იმემიური შეტევის რისკი შეადგენს 4-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე მოკარდიული ინფარქტისა. 5 წლის შემდეგ ეს ალბათობა ერთმანეთს უთანაბრდება... რაც მთავარია, ინსულტის დროს აუცილებელია უნდა ჩატარდეს გეგმაზომიერი პირველადი თუ მეორადი პრევენცია, სასიცოცხლო მაჩვენებლები და მეტაბოლური ფაქტორები კომპლექსური მიდგომა, განსაკუთრებით – მწვავე პერიოდში, ეს შეიძლება იყოს: ანესთეზიოლოგის, ენდოკრინოლოგის, რენინმატოლოგის, ნევროლოგის, ფსიქიატრის ერთობლივი ჩართვა, თანამშრომლობა. ინსულტის შემდეგ პაციენტს ხშირად უფითარდება დეპრესია. უახლოესი მონაცემებით, ასეთ დროს ანტიდეპრესანტების ჩართვა იწვევს ნეიროგენეზის გაუმჯობესებას და გარდა ამისა, როგორც არაპირდაპირი, ასევე პირდაპირი კვლევებით, მათი დანიშვნა კარგია ინსულტის პრევენციის მიზნითაც. პაციენტი, რომელიც გადაიტანს ინსულტს, გარკვეული პერიოდულობით უნდა იყოს ოჯახის ექიმის, ნევროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, განსაკუთრებით პირველი ერთი წლის განმავლობაში.

ნათია უბიაშვილი



ლევან ჯიბლაშვილი: დროზე ადრე მივხვდი, რომ საქართველოში შოუ-ბიზნესი ვერასდროს იქნებოდა და მე გავაერთიანე. სტალინის რუსული პროექტი იყო, რუსული დავიანანსებით და საკმაოდ ნორმალური ჰონორარი ავიღე. ამის შემდეგ, ქართულ პროექტებზე რომ გადმოვერთე, მივხვდი, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა და შეუძლებელი იყო ამ ჰონორარებით ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, ჩემდა სამწუხაროდ, არანაირი ხელშეწყობა და გვერდში დგომა არ მაქვს, არ არის შესაბამისი დაფასება. ამიტომ, ელემენტარული არსებობისთვის აუცილებელი იყო, რაღაც გამეკეთებინა.

– მსახიობების დღევანდელი სპექტრის უმრავლესობა ცნობილი ოჯახის შვილია – ბებია მხატვარი, მამა მსახიობი, დედა მომღერალი და ასე შემდეგ, მოკლედ, ძლიერი ოჯახებიდან არიან. შენს შემთხვევაში ასეთ თემებზე ადრეულ ასაკში ფიქრი ხომ არ განაპირობა იმან, რომ ოჯახში ერთადერთი მამაკაცი იყავი?

– არ ვიცი, შეიძლება. ზოგადად, ძალიან დამოუკიდებელი და ჩემს ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი ადამიანი ვარ. სულ პატარა ასაკში დავინწყე პატარა საქმეების კეთება, მათ შორის – ლონისძიებების, პროექტების, წვეულებების. „ბერიკონი“ რომ „ბერიკონობდა“ და ნავისის „სოფლის სახლი“ რომ ყველაზე მაგარი ადგილი იყო, იმ დროიდან მასხოვს ჩემი პირველი გათენებული ღამეები, ნერვიულობა. ივენთის გაკეთება ძალიან ბევრ რამეზეა დამოკიდებული, ყველა ერთობოდა, მე კი ვმუშაობდი. ამის შემდეგ გადავედი საბილიარდოების ბიზნესზე და უკვე შემდეგ გავაკეთეთ თიბის კლუბი.



18 წლიდან 35 წლამდე გამოძრავებს ენერჯია და ენერჯია გამოვინიჭებს ფულს. 35-ის მერე ფულს გამოვინიჭებს გამოცდილება

– პირველი ფული როდის იშოვე?
– სტალინის როლით. აი, ნორმალური თანხა, მით უმეტეს, მაშინდელი საზომებით, ამ ფილმმა მომიტანა.

– რომელიც, ამავდროულად, სკანდალური გამოდგა, რადგან, შიშველი ჩანდი.

– ერთ წამიანი კადრია. ახლა მეცინება, რომ ამან ამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია მაშინ.

– დღეს დათანხმდები კინოში გახდას?

– ახლა არა მგონია, მით უმეტეს – ქართულ პროექტებში. მაშინ დამწყები მსახიობი ვიყავი, არაფერს მიცნობდა და უნდა ნავსულიყავი რადიკალური ნაბიჯის გადადგმისკენ. დღემდე არის მოლაპარაკებები რაღაც პროექტებზე, მაგრამ, რაღაცებზე უარს ვამბობ – უკვე მაქვს იმის საშუალება, რომ ავიარო. მათ ვუყურებ ნაკლებად კომერციულად, მაინტერესებს, რამდენად სასიამოვნო იქნება მასზე მუშაობა.

– პირველი მსხვილი თანხა რითი იშოვე, იმდენი, თვითონაც რომ გაგაკვირდა?

– იმდენ რაღაცაში ვიყავი და ვარ ჩართული რომ, არც ვიცი, რამ მოიტანა პირველი ნორმალური მოგება. ახლაც ბევრ საქმეში ვარ ერთად. ჩემი ძირითადი ბიზნესი ბავშვთა გართობაა. თუკი რამე ანიმაცია ხდება, საახ-

მსახიობი ლევან ჯიბლაშვილი, რომელიც მაყურებელმა 17 წლის ასაკში, სტალინის როლის შესრულების შემდეგ გაიცნო, სწორედ იმ დროიდან არის ბიზნესში ძალიან აქტიურად ჩართული. ის მალევე მიხვდა, რომ ქართული კინოთი ვერ გამდიდრდებოდა და სიარული სხვა მიმართულებით დაიწყო. მოსინჯა ბევრი რამ: იყო საბილიარდოს, ღამის კლუბისა და სხვა ტიპის გასართობი ბიზნესში; მოგვიანებით სერიოზულად მოჰკიდა ხელი ბავშვთა გართობას, რომელიც იმდენად გაზარდა, რომ დღეს, საახალწლო ნაძვის ხის ანთებითა და ყინულის მოედნით დაწყებული, ყველაფრის ორგანიზებაშია ჩართული. როგორც თავად გვითხრა, კარგ დროს დაეურეკეთ ბიზნესზე სალაპარაკოდ, რადგან ინტერვიუმდე ერთი დღით ადრე, მილიონ ასიათასიან კონტრაქტს მოახერხა ხელი.

ჩაბოე უპიკო ლევან ჯიბლაშვილის დანახა მოლაპარაკებებზე და როლის მოახერხა მან ხელი მილიონიან კონტრაქტს

წლლო ნაძვის ხის ანთების, ყინულის გახსნის ცერემონიალი და კიდევ უამრავი სხვა პროექტი – ჩემი ორგანიზებით კეთდება. მეორე მსხვილი თემა სამშენებლო ბიზნესია, რომელიც მეორე წელია, დავიწყე.

– შენთან სხვადასხვა დროს ვარ ინტერვიუებზე მოსული გაგარინზე, საბილიარდოში და ტელევიზიის მოპირდაპირე მხარეს – ღამის კლუბში.

– აუ, რამდენი წელი ყოფილა, ინტერვიუებს წყნით! (იცინის) დიდ ფულს რომ ვიშოვი, მერე ჩემზე წინგის დაწერას შეგიკეთავ.

– სანამ სამშენებლო ბიზნესამდე მივალთ, ასეთი მარტივი იყო ეს გზა, რომელიც გამოიარე? მაგალითად, ღამის კლუბი ბევრ თავსატეხთან იქნებოდა დაკავშირებული...

– სიმართლე გითხრა, ჩხუბები, განვე-გამონევა არ მასხოვს. ამდენი წლის განმავლობაში, როგორც საბილიარდოში, ისე კლუბში, თითო-თითო შემთხვევა მასხოვს. ვაკვირდები და აშკარად დღეს უფრო მეტი აგრესიაა აღმინანებს შორის, ვიდრე მაშინ იყო. 2006-2007 წლებში ნაკლები აგრესია, ნაკლები დაძაბულისა ხე მასხოვს. სულ ერთი კლუბი იყო თბილისში და იქ ყველა გასართობად დადიოდა; შავებში ჩაცმული, დაძაბული ბიჭები არ მოძრაობდნენ. ნორმალური ხალხი იკრიბებოდა და თან კარგად ერთობოდნენ. დღეს უკვე ირჩევენ: აუ, აქ სამიწელებაა, იქ ვერ წავალთ და, სადაც არ უნდა მივიდნენ, მაინც ვერ ერთობიან.

– ჩნდებოდნენ შენს გზაზე ისეთი ადამიანები, ვინც გეხმარებოდნენ, ინვესტიციას დებდნენ, თუ, როგორ იწყებდი საქმეს?

– ყველაფერი, ყველა თემა წულიდან მაქვს დაწყებული, მათ შორის – ბავშვთა გართობაც. რაც შეეხება სამშენებლო ბიზნესს, ჩემი მეგობრის უკვე არსებულ კომპანიაში ჩავერთე და დღეს კომპანიის გენერალური დირექტორი ვარ. დასაწყისიც საკმაოდ საინტერესო იყო და, აი, სწორედ გუშინ მოვანერე ხელი მილიონ ასიათასიან, ორასგვერდიან პროექტს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნავისის ველის“ ტერიტორიაზე ვინცები ძალიან მაგარი, ოთხსართულიანი კორპუსის მშენებლობას, რომელიც იდეალური იქნება სააგარაკედ.

– რა არის დღეს საქართველოში საჭი-

რო იმისთვის, რომ წარმატებული ბიზნესი ექონდეს?

– უამრავი რამ და, მათ შორის – ინტუიცია. ბევრი რაღაც დამინახავს და მიფიქრია – აუ, ეს მე როგორ არ მომაფიქრდა-მეთქი. ეს ნიშნავს იმას, რომ მეც კი ბევრად ნაკლებს ვფიქრობ და ნაკლებად ვაკვირდები. სადაც რაღაც გახსნილა და მიტყვამს, „აქ მილიონჯერ ვარ გავლილი, როგორ არ მომივიდა ეს აზრი თავში?“ ტყუილად არ უნდა იარო, დრო არ უნდა დაკარგო, ყველაფერს დაკვირვება სჭირდება. ახლა 26 წლის ვარ და, ნათქვამი მაქვს, 27 წლისა მილიონერი უნდა გავხდებოდე. ვახსოვს, ერთ წელიწადში რა იქნება (იცინის). დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ 35 წლამდე გამოძრავებს ენერჯია, რომელიც, რაც უფრო უახლოვდება ამ ასაკს უფრო იკლებს. დღეს დაახლოებით ათ რაღაცაში ვარ ჩართული და მოდებული – არ ჩამოვივლი, შეიძლება, გაგეცინოს, რადგან, ერთმანეთთან საერთოდ არ არის კავშირში. მაგალითად, რამდენიმე დღეში გავხსნი სერვის ცენტრს, რომელშიც მოხდება უახლესი თაობის გაზის სისტემების მონტაჟი ავტომობილებში. მინდა, ჩემი ასაკის ადამიანებს ვურჩიო თუ გამოცდილება გავუზიარო, რაც გინდა, დაარქვი: 18 წლიდან 35 წლამდე გამოძრავებს ენერჯია და ენერჯია გამოვინიჭებს ფულს; 35-ის მერე ფულს გამოვინიჭებს გამოცდილება. დღეს ათ საქმეს რომ ვკიდებ ხელს, არ ვიცი, ათიდან რომელი გაასართობებს, რადგან, ყველა ახალია ჩემთვის. თუმცა, მეოფნის ენერჯია და ვედეები. მაგრამ 35, 40 და 45 წლის რომ იქნები და ათ საქმეს რომ შემოგთავაზებენ, უკვე დიდი გამოცდილება გაქვს და ირჩევ ერთს, საიდანაც სერიოზულ ფულს იშოვი.

– არ უკვირო, როცა მსახიობი ლევან ჯიბლაშვილი სერიოზულ მოლაპარაკებებზე მიდის?

– გასართობი ბიზნესში ისე არ უკვირდათ, მაგრამ, სამშენებლო თემაზე რომ დავედივარ, მაგალითად, მოლაპარაკებებზე ან შეხვედრებზე რომ შევედივარ, სანამ უშუალოდ ხელმძღვანელს შეხვდებოდი, ოფისში ხომ ძირითადად ქალები მუშაობენ და ზურგს უკან სულ მესამის ხოლმე, ეს ის არ არის, ის მსახიობი?! ობიექტზე მივსულვარ და, აქ რაღაც გინდაო, – უკითხავს (იცინის).

– ესე იგი, ერთ წელიწადში იქნები მილიონერი და უფრო მეტად სასურველი სასიძო.

– მილიონერი რომ ვიყო, მინდა, სასურველ სასიძობაზე კი რა მოვასხნო. პირად ცხოვრებაზე არ მინდა ლაპარაკი, მაგრამ, სასიძო ვარ, ცოლი არ მომიყვანია. როცა აღარ იქნები სასიძო, ამასაც გეტყვით.

სალომე გველიანი



ჟურნალისტი მაიკო ჭაფოძე ექვსი წელია, „რუსთავი 2-ის“ გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო“ ძირითადად კულტურულ მოვლენებს აშუქებს. ხალხიან, ენერგიულ, პოზიტიურ მაიკოს სამსახურში მისვლა განსაკუთრებულად უხარია და ფიქრობს, გაუმართლა, ასეთ კარგ, პროფესიონალურ გუნდთან ერთად რომ აკეთებს იმ საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს.

როგორ აღმოჩნდა 19 წლის ასაკში მაიკო ჭაფოძე სხვა სამსახურში და რა ეპოხია არ აკიწყება მას წლების შედეგ

მაიკო ჭაფოძე: პროფესიით ჟურნალისტი ვარ, დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვობიდან მიწოდდა, ჟურნალისტი ვყოფილიყავი და, მიხარია, რომ ავიხდინე ეს ოცნება.

თავიდანვე ტელევიზიაში გინდოდა მუშაობა?

– რომ გითხრათ, სარკის წინ ვიდეტი, ისე მიწოდდა, ტელევიზორში გამოჩენილიყავი-მეთქი, მოგატყუებთ. უბრალოდ, მეცხრე კლასიდან მივხვდი, რომ ჰუმანიტარული საგნები უფრო მაინტერესებდა. ამიტომ, ერთ-ერთ კოლეჯში განვაგრძე სწავლა, სადაც ჟურნალისტიკის საფუძვლებს ვსწავლობდი. ზოგადად, ძალიან მიყვარდა წერაც, ლაპარაკიც, ყველაფერი. რაღაც ეტაპზე, ანუ სტუდენტობის პერიოდში, ერთ-ერთ ინტერნეტ-გამოცემაში ვმუშაობდი სტაჟიორად და ყველაფერზე ვწერდი, რასაც მავლებდნენ. ბედნიერი ვიყავი და ყველაფერს ვაკეთებდი. საერთოდ, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. მით უმეტეს, ახლა, როცა ისეთ გუნდში მუშაობ, როგორიც „რუსთავი 2-ის“ „დილა“, პასუხისმგებლობის გრძნობა პირველ ადგილზე დგას.

როგორ დანიწყ „რუსთავი 2-ში“ მუშაობა?

– მეოთხე კურსზე ვიყავი, როდესაც მეგობარმა მიმიყვანა დილის გადაცემაში სტაჟიორად. ექვსი თვის შემდეგ, სრულიად შემთხვევით, აღმოვჩინე შტაბში. ახლაც ვერ ვადასტურებ იმ ემპიციას, რაც მაშინ დამეძინა. მახსოვს, დიდ საკონცერტო დარბაზში ვიყავი. ამ დროს ნინო არაზაშვილმა დამირეკა და მიიხარა: მაიკო, შემდეგი თვიდან ჩვენი ჯგუფის სრულფასოვანი წევრი იქნები, გილოცავ, პირველი ხელგამოცემა დაგენიშნებაო. კარგად მახსოვს ჩემი პირველი ნიუსიც და პირველი სიუჟეტიც: როცა მივედი, გამაცნეს მთავარი პროდიუსერი, გუნდი. ნინო არაზაშვილმა მკითხა: „იცი, რა არის კადრ-სინქრონი?“ საშინლად დავიბენი და მივხვდი, რომ სხვა სამსახურში მოხვდი. ნინომ სპეციფიკა ამისხნა და გაიმეფეს ვადაღებაზე, ლოცნად, გამოცდილ ჟურნალისტთან ერთად. ამის მერე, რამდენიმე დღე დავდიოდი ჟურნალისტთან ერთად, მერე კი მარტოს მომქონდა ნიუსები და ძალიან ბედნიერი და ამაყი ვიყავი. მახსოვს, პირველი რეპორტაჟის დროს ხმის დადებაც მე მომიხია. რეპორტაჟის დალაგება გვიანობამდე გამიგრძელდა, არავინ აღარ იყო, ამიტომ, მითხრეს, ჩემი ხმა ჩამენერა, რადგან, დილის ეთერში უნდა გასულიყო. დავადე ხმა და, მერე, სამსახურში რომ შემავსე – კარგი რეპორტაჟი იყო, ყოჩაღ კარგი გოგო ხარო, რა ემოციაც მაშინ დამეფულა, დღემდე არ მაკინწყება.

რა იყო ამ ექვს წელწინდში შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი?

– ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ის, რომ ყოველდღიურად ვგრძნობდი, როგორ ვიზრდებოდი. რა თქმა უნდა, ბევრი რამ გამიკეთებია ცუდად, არ გამოსვლია ის, რაც მდომებოდა, მაგრამ, დავსჯებოდი თ ხოლომე და მეუბნებოდნენ: ეს ასე კი არ უნდა გაგკეთებინა, არამედ – ასე. ეს ყველაფერი იმისთვის არის საჭირო, რომ გიზარდო. ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, ალბათ, ის იყო, როცა პირველად დავდექი ჩართვაზე – სულ სხვა ემოცია, გრძნობა დამეფულა. განსაკუთრებულია ის ბოლო რამდენიმე წამი, ჟრუანტელი რომ დავიციის მთელ

ტანში. პირველი ჩართვის შემდეგაც შექება დავიმსახურე და ეს დღე არასდროს დამავიწყდება: მუშტადიმი ვიყავი ჩართვაზე, გამოპრაჩული, თავზე მატარებლის გამცილებლის ქული დამასურეს, გადასაფარი კადრებიც კი გამზადებული მქონდა. ჩემად გასაკვირად, ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. სასიამოვნო განცდაა, როცა კარგ რეპორტაჟს დადებ; ასევე, სასიამოვნოა, როდესაც კარგ ჩართვას გააკეთებ. პირდაპირი ეთერის რეჟიმში მუშაობა ცოტა რთულია, რადგან ბევრ რამეზე გინევს ფიქრი, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან დიდი აზარტია.

როგორი რეჟიმი გაქვს?

– „დილა მშვიდობისა საქართველო“ მუშაობას შუადღის სამი საათიდან იწყებს. ის, რაც ხდება მთელი ღამის განმავლობაში (კულტურულ მოვლენებს ვგულისხმობ), ეს არის ჩვენი გადაცემის მთავარი თემა, ანუ, ჩემი „ლუკმა“ და ამიტომ ვინევს ღამით მუშაობა. როცა ჩართვა მაქვს, აი, მაშინ მიწევს ადრე გაღვიძება – ასე, დილის 6 საათისთვის უკვე სამსახურში ვარ. ამ გრაფიკს მიჩვეული ვარ, ხანდახან, შეიძლება, ღამის 2 საათამდეც მომიწიოს მუშაობა, ხანდახან – სამამდე. მაგრამ, როცა კარგი რეპორტაჟი გამოგდის, ბედნიერი ხარ და ერთი სული გაქვს, როდის დანიწყება. დილის გადაცემას აკეთებს ის გუნდი, რომელსაც უშუალოდ ერთმანეთს ვეკრდები დღეობა. თუ რაღაც ხდება, ერთმანეთის თემზე ისე ვიხიანება, ვერაფერ ვერაფერს ხვდება. სამსახურის კარს რომ შეღებე, უკვე ყველა პოზიტიურად არის განწყობილი, ყველა კარგ ხასიათზეა, შეკრული გუნდია, ამიტომაც ვაკეთებთ ასე რეიტინგულ გადაცემას.

19 წლის იყავი, მუშაობა რომ დანიწყ. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. ეს წლები, ალბათ, ბევრ გამოცდილებას შეგქენდა და გარკვეულ თვისებებსაც ჩამოგიყალიბებდა.

– ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, მათ შორის – ადამიანებთან ურთიერთობა. ადამიანებს უკვე ვანვასხვავებ ერთმანეთისგან და ვიცი, ვის როგორ უნდა მივუდებ. იმისთვის, რომ საჭირო ინფორმაცია მომიპოვო, ადამიანს ბოლომდე უნდა ჩანდე. შეგხვდავ თუ არა, უკვე ვხვდები, როგორ უნდა მივუდგე ადამიანს – საყვარლად თუ მკაცრად. ვისწავლე კითხვის დასმის ფორმა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ნინო არაზაშვილსა და სხვა თანამშრომლებს. უნივერსიტეტიდან პირდაპირ რომ მიხვალ იმხელა კომპანიში, როგორიცაა „რუსთავი 2“ და, სადაც „მხეცები“ მუშაობენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ეს სერიოზული გამართლება და დიდი გამოცდილებაა. ვერასდროს წარმო-

ვიდგენდი, რომ იქ ვიმუშავებდი. ნინოსთვის არაერთხელ მითქვამს, რომ, როდესაც კოლეჯს ვამთავრებდი, დილით სახლიდან გასვლამდე ვრთავდი ტელევიზორს – ნინო არაზაშვილი გამოდიოდა ბედნიერი სახით და წარმატებულ დილას გვისურვებდა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მეც ამ გუნდის ნაწილი ვავხდებოდი, მათთან ერთად მომხივებდა ცხოვრება.

ხარ ისეთი იბლბანი ადამიანი, რომელსაც ხშირად უმართლებს?

– ვერ ვიტყვი, რომ უიბლო ვარ ან, ძალიან იბლბანი, სადაც შუაში ვარ. არის სიტუაცია, როცა ძალიან მიმართლებს, ან, შეიძლება, საერთოდ არ გამიმართლოს. ბევრი რამ შენზეა დამოკიდებული – საჭირო დროს საჭირო ადგილზე უნდა აღმოჩნდე და შენი მასქიმში გამოავლინო. ის, რაც მაქვს, ალბათ, ჩემი აქტიური და კარგი ხასიათის დამსახურებაა და ეს ბევრ რამეში მეხმარება – თუნდაც, მეგობრებთან, რესპონდენტებთან ურთიერთობაში; იმაში, რომ დღე კარგად, ხალხიანად დავიწყო. თუმცა, როგორც ყველას ცხოვრებაში, ჩემთანაც ხდება ზოგჯერ ცუდი რაღაცეები. ასეთ დროს, როცა ღამით ვწვიდა და საკუთარ თავთან მარტო ვრჩები, შეიძლება ვიტრო კიდეც, ცუდად ვიყო, გული დამწყვედ რაღაცეებზე, მაგრამ, როგორც კი გავიღვიძებ, სახლის კარს დავხუროვ და გარეთ გამოვალ, მაშინვე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვხდები, მით უმეტეს, თუ კარგი ამინდი და მზეა.

– შენი ოჯახის წევრები და მეგობრები ვეუბნებიან შენს გრაფიკს?

– მეგობრებს თავიდან ჰქონდათ პროტესტი, დედაჩემიც სულ მოლოდინის რეჟიმში იყო, ახლა კი ყველა შეეჩვია. თუ შუადღის ორი-სამი საათი თავისუფალი დრო მაქვს, აუცილებლად ვნახულობ ჩემს მეგობრებს. თუ კარგი ფილმი გამოდის, აუცილებლად მივდივართ საარემიო რეგენებაზე და შემდეგ ვინჯან

ყავაზე განვიხილავთ ამ ფილმს. მეგობრებს ასეთი ტრადიცია გვაქვს – პარასკევი საღამო არის ჩვენი. ნათქვამიც გვაქვს, რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში, პარასკევი საღამო მხოლოდ ჩვენია. ხუთი-ექვსი მეგობარი მივდივართ ღამის კლუბში, ცოტას ვსვამთ, ვცეკვავთ, ვმღერით და ერთმანეთს ვუზიარებთ მთელი კვირის შთაბეჭდილებებს.

რა ხდება პირად ცხოვრებაში?

– არაფერი არ ხდება, პაუზა მაქვს ალბათ. თუმცა, ეს არ მიქმნის ამ ეტაპზე დისკომფორტს, კარგად ვგრძნობ თავს. როცა მიყვარს, სულ სხვანაირი ვხდები – დავფრინავ, გაგიჟებული ვარ, არაადეკვატური. ეს ზოგჯერ საქმეზეც აისახება და ასეთ დროს არაერთხელ უკითხავთ: ჭაფოძე, შეყვარებული ხომ არ ხარ? ახლა არ ვარ შეყვარებული. სულ ორჯერ მიყვარდა. სამწუხაროდ, ორვე სიყვარული წარუმატებლად დასრულდა.

კრიტიკიუმები და მოთხოვნები გეცვლება ნელ-ნელა?

– ნინა ორს თუ დავხვებავთ, მეორე პირველზე უკეთესი იყო და, იმედი მაქვს, მეორეზე უკეთესი იქნება მესამე. ზოგადად, ურთიერთობებში ადამიანი ბევრ რამეს სწავლობს, შემდეგ ხდება ვადვასებები. როცა იმ ადამიანში რაღაც არ მოგწონს და იმას სხვაში დანიხავ, უკვე ითვალისწინებ. ეს ურთიერთობებიც ისევე ჩვენი კეთილდღეობისთვის არის, რომ უფრო მეტად ბედნიერები ვიყოთ.



როცა მიყვარს, სულ სხვანაირი ვხდები – დავფრინავ, გაგიჟებული ვარ, არაადეკვატური. ეს, ზოგჯერ, საქმეზეც აისახება და ასეთ დროს არაერთხელ უკითხავთ: ჭაფოძე, შეყვარებული ხომ არ ხარ?



– რით არის გიშერი სხვა მინერალებისგან გამორჩეული? მის მიმართ ქართველებს დღემდე განსხვავებული დამოკიდებულება გვაქვს. მას განსაკუთრებულად ვუფრთხილდებით და გვემინია, არ გატყდეს, რადგან ეს ცულის მომასწავლებელი მიგვაჩნია.

– გიშერი მყიფე მინერალია და როცა რაღაც ცუდი უნდა მოხდეს, მართლაც ტყდება. აფერიკაში დიდი ხნის განმავლობაში ვაერცვლებოდა იყო აზრი, რომ ლომს ძალიან ემინია მამლის, რადგან მამლის ყვირლზე სულ იკუნტება. ეს ისე ვაერცვლებოდა იყო და სწამდათ მისი, რომ ყველას უყვებოდნენ. სინამდვილეში, სულ სხვა რამ ხდებოდა. მამალი უნიკალური ფრინველია, რომელიც ყველაზე ადრე გრძნობს სინაბოლს, გათენებას. ამიტომაც მიჰყავდათ სასაფლაოზე მამალი და მიცვალებულს უკლავდნენ, რომ გარდაცვლილის სულისთვის სინამდვილეში გზა გაეკვალა – ასეთი რიტუალიც არსებობდა. მამალი უფრო ადრე იგებს სინათლის გამოჩენას, გათენებას, ვიდრე მართლა გამოჩნდება ის და წინ უსწრებს. გათენებისას მაგნიტური ველი იცვლება და ამ მაგნიტური ველის შეცვლას ვერ იტანს ლომი.

ეს ეპიზოდი იმიტომ მოვიყვანე, რომ, ჯერ ერთი, ძალიან საინტერესოა და, მეორეც, მინდა ვითხრა, ჩვენი ქვეცნობიერიც წინასწარ გრძნობს, რაღაც ცუდი რომ უნდა მოხდეს. ასეთ დროს ის გარკვეულ ვიბრაციულ ტალღებს გამოჰყოფს, რომელსაც გიშრის ნაწარმები ვეღარ უძლებს და სკდება. ანუ, გამოდის, რომ გიშერს ჩვენ შევაცნობინეთ, მაგრამ ის, რაც ჩვენმა ქვეცნობიერმა გვაცნობა, ვერ ნავიკითხეთ და გიშერმა ნაგვაკითხა. ქართველებს გიშრისადმი ძალიან საინტერესო დამოკიდებულება ჰქონდათ. როდესაც ბავშვი დაიბადებოდა, დიდ, უზარმაზარ სპირიტუალურ ქვაში ჩასახმადნენ ნითელ ღვინოს. ქრისტიანობამდე მას შავ ღვინოს ეძახდნენ და იყო სიბნელის, სამყაროს ილუმინაციის სიმბოლო. ქრისტიანობის შემდეგ, ის ნითელი ღვინო და ქრისტეს სისხლად მიიჩნევა. თვითონ ქვაში მზის სიმბოლო გახლდათ ანუ სპირიტუალი. მასში ესხა ღვინო და თუ ძეს, ანუ ბიჭუნას ჩაუგებდნენ, იმის მიხედვით, რა შეძლება ჰქონდა ოჯახს, მასში დებდნენ კაჟის ქვას. გამოიქმნა შემოგვრჩა ასეთი: კაჟითი ბიჭიაო. თუ ცოტა შეძლებული ოჯახი იყო, მაშინ აღმასსაც ჩაუგებდნენ ხოლმე და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – ამ დროს გააზრდებდნენ ცხენის ნაღს და ღვინოში დებდნენ. თანამედროვე სამედიცინო ენაზე რომ ვთქვათ, ეს იყო ინჰალაცია, რომელსაც პატარა შვისუნთქავდა. ამ ყველაფრის მეორე სიმბოლო კი ის გახლდათ, რომ ბავშვი მომავალში მხედარი უნდა ყოფილიყო. შემდეგ ცხენის ნაღს ამჟღავნებდნენ კარზე და ეს არ იყო მხოლოდ ბედნიერების სიმბოლო – ქართველი ვაჟკაცის, ანუ იმ კარ-მიდამოს მცველის სიმბოლო გახლდათ. გოგონას შემთხვევაში, ისეთსავე ქვაში ასხამდნენ ღვინოს, მაგრამ შიგ დებდნენ გიშერს, რომ გოგონა ავი თვალისგან დაეცვა. ასევე, ქვაში ავადებდნენ მთის ბროლს, რომ გოგონა მთის ბროლივით წმინდა ყოფილიყო. გიშერს რომ დაეცვა გოგონა: არ გატყდებიყო ქვაში ან მის ცხოვრებაში, სადა და ბზარების გარეშე ყოფილიყო, ის ორივე მხრიდან უნდა დამუშავებულიყო. ამას კი ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის, რომ გიშრის დამუშავება საქართველოში უმაღლეს დონეზე ხდებოდა. ავი თვალისგან დასაცავად იყენებდნენ იამმას მინერალს, ოღონდ მონითალო აგურისფერს, მას ჩვენს ნელთალრიცხვამდე მესუ-



თუ ცოტა შეძლებული იყო ოჯახი, მაშინ აღმასსაც ჩაუგებდნენ და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – ამ დროს, გააზრდებდნენ ცხენის ნაღს და ღვინოში დებდნენ, თანამედროვე სამედიცინო ენაზე რომ ვთქვათ, ეს იყო ინჰალაცია, რომელსაც პატარა შვისუნთქავდა

მინერალების მისტიკური და უნიკალური სამკურნალო თვისებების შესახებ არაერთი ინფორმაცია არსებობს და ჩვენც არაერთხელ გვისაუბრია ამაზე. მინერალებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია გიშერი, რომელიც ქართულ ყოფიერებაშიც ოდითგანვე დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. ალბათ, იშვიათია ოჯახი, სადაც ბავშვს დაბადებისთანავე, ხელზე გიშერს არ უკეთებენ, ნიშნად იმისა, რომ ავი თვალისგან დაიცვას. თუმცა, ამ შემთხვევაში, რა საიდუმლოსთან გვაქვს საქმე, ამის შესახებ გვესაუბრება კომპოზიტორი ნოდარ მაქისაშვილი:

საიდან მომდინარეობს ბავშვისთვის გიშრის გაკეთების ტრადიცია და როგორ უნდა უნდა იქნას მინერალი ქრისტიანულ ბარბასულილ ახლოგალობას უპირატესობის დაყვარებაში

თე, მეექვსე საუკუნეებში, ჩამოკიდებდნენ ხარის ფაშვზე, რომელიც თითქოს დედის საშვილოსნო იყო. მოგვიანებით კი, სპირიტუალური გიშერთან ერთად ღვინოში, ავადებდნენ ბროლსაც და ორივე ერთად წარმოადგენდა დღეს და დღემდე. ეს ნიშნავდა, რომ დღე-ღამის ერთობაში ბავშვს თვალის არ უნდა სცემოდა. შემდეგ ამ ყველაფერს ინახავდნენ და გიშრის ტარებას აქედან მომდინარეობს. უბრალოდ, ჩვენ დავივიწყეთ ამ რიტუალების ადრეული მნიშვნელობა და გვეგონა, რომ ყველაფერი სხვანაირად იყო. ხახულის ხატზე მინერალების განლაგება ისეთია, რომ შეიძლება, ამ თემზე ცალკე სადოქტორო დისერტაცია დაიკავა. ეს არის უჩვეულო განლაგება და ძალიან საინტერესოდ შერჩეული მინერალები. ყველა მინერალი სამკურნალო უნდა ყოფილიყო, ხატზე მინერალი უბრალოდ არ იქნებოდა. „სულზე დატარების“ რიტუალის დროს ქართული კაცი ყოველთვის დებდა შედარებით დიდი ზომის დაუმუშავებულ გიშრის ნატებს, რადგან მიანდათ, რომ დამუშავებული გიშერი ამსოფლის იყო. დაუმუშავებულს კი ეძახდნენ ქვის ყვავილს. მეორე თვალსაზრისით, გიშერი, რომელიც ღამის ილუმინაციას უკავშირდებოდა, თითქოს ხელს უწყობდა მედიუმების მოგზაურობას საიქიშოში, რათა იქ შეხვედროდნენ და ესაუბრათ გარდაცვლილთა სულებთან. ეს ოდნავ ნაგავდა სპირიტულ სივსს, მაგრამ, ქართველთა წარმოდგენით, სულს მუშავებდა არ შეიძლება. ამიტომ, სული კი არ უნდა გამოეძახებინათ, არამედ თვითონ უნდა დასულიყვნენ მისთან. ამ ნასულს, მოგზაურობდა გიშრის დიდ ნატებთან ერთად, თან ახლდა რიტუალური მუსიკა დასარტყამი და გუდასტვირის მსგავსი ინსტრუმენტებისა. მედიუმები კი, უბრალოდ მედიუმები კი არ იყვნენ, არამედ მუსიკოსი მედიუმები – თვითონ უკრავდნენ და ისეთ ჟესტიკულაციას აკეთებდნენ, თითქოს იმსოფლად მიდიოდნენ. საერთოდ, იმ ისტორიული გამოცდილებით, რომელიც წლებში განმავლობაში დაგროვდა, გიშერი მიჩნეოდა მინერალად, რომელიც კარმულ ველს უკავშირდებოდა. იმისთვის, რომ კარმული ველი დაენყარებინათ, გიშერი ყოფილიყო შემარბილებელი კარმული ველის სიმკაცრისა, მას იყენებდნენ როგორც თილისმას. კარმული ველი, თავისთავად, ნიშანდობით იყო დაკავშირებული, შესაბამისად, ისევე მივდივართ მიცვალებულთა მოხსენიებასთან – მათთან სათხოვნელად, ოღონდ, უკვე თხოვნა სხვანაირია. ამ შემთხვევაში, ჩვენ მათ მოსახსენებლად კი არ მივდივართ, არამედ სათხოვნელად, რომ შეგვიწყალოს, შეგვიბრალოს. მაგრამ, ეს არ ხდებოდა საქართველოში, ეს უკვე სხვა ქვეყნებში იყო. საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნე, სულთ-

ან განსხვავებული დამოკიდებულება იყო. უფრო მეტიც, ჩვენთან შრომის, ცელის რიტუალები ხშირად მიცვალებულთა სულებთან იყო დაკავშირებული. მიანდათ, რომ ისინი შუამავლები იყვნენ უფლსა და ამ სოფლის ადამიანებს შორის. ამიტომ, მათ სთხოვდნენ, არ მოსულიყო წვიმა, ან პირიქით. ყველა ასეთ რიტუალში გიშერი იღებდა მონაწილეობას. მაგალითად, არსებობდა ნიღბების უჩვეულოდ საინტერესო რიტუალი. შუამი იღო ღამის ილუმინაცია, ანუ გიშერი, მას კი გარშემო უფლდნენ თითქოს სულები. ანუ, შუამი გიშერი, შემდეგ ამსოფლის ადამიანების და მერე იმსოფელს ნასულთა წრე. ანუ, საში წრე იყო. ამ დროს საკმეველი იყო უშვებენ ნივთიერებას. საკმეველი მოგვიანებით, ქრისტიანობის დროს შემოვიდა. უცხო ადამიანი რომ მოსულიყო, ალბათ, ვადაარეოდა, რადგან ვერ გაიგებდა, საიდან მოდიოდა ეს ხმები. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს ხმები ადამიანებისგან არ მოდიოდა. ახლა ვამბობთ ხოლმე, მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში, მაგრამ ადრე მას ეუქნა: „ზეციური საქართველოს ზეიმი“ – ისინი ზეიმობენ, რადგან შუამათ ვისხენიებთ და ვინ იყო ამ დროს შევამავალი? – რა თქმა უნდა, გიშერი.

– რის სამკურნალოდ გამოიყენება გიშერი?

– მოგვიანებით, ევროპაშიც, უფრო მეტად გიშერს კარმულ ველს უკავშირებდნენ და მასში ისეთ თვისებას ეძებდნენ, რომლის დახმარებითაც, ადამიანი შიშს ეროდა. გიშერს აძლევდნენ მას, ვინც შიშით იყო შეპყრობილი, მაგრამ, ეს მოხდა მერე, როცა ამ მინერალმა თავისი პირვანდელი, ძალიან საინტერესო თვისებები დაკარგა და საშუალოდ, წინ ჩვენს ყოფაში დამკვიდრებულმა შიშმა წამოიწია. გიშერს, ასევე, იყენებდნენ ენაბრავილობის სამკურნალოდაც. გიშრის გარკვეული ვიბრაციები მართლა მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე. ძალიან ხშირად ენაბრავილობა ადამიანის ნერვულ სისტემაში არის დაკავშირებული. ამიტომ, თუ მას სჯერა გიშრის, შესაძლებელია, უშველოს. თუმცა, როცა ენაბრავილობაზე ვსაუბრობთ, მინდა, ყველა გავაფრთხილო, პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, თუ რა არის შიშის მიზეზი, რისგან არის გამოწვეული ენაბრავილობა. თუ შიშის მიზეზი, ვთქვათ, არის კენჭები, ღვიძლის დაავადება, ვილაციისგან თავდასხმა, სტრესი, ავადმყოფობა, ანუ უამრავი თუ... ამ ყველა „თუს“ მიხედვით გიშერს თავისი ადგილები აქვს. ამიტომ, ვიდრე გიშერს სადმე დაიდებს ადამიანი, ვერ მიზეზი უნდა გამოიკვლიოს. ასევე, შეიძლება, გიშრის დაფხვან და მას ამ დროს ძალიან ბევრი სამკურნალო თვისება გააჩნია. გიშრის სამკურნალო თვისებები ზოგიერთ კატეგორიაში კიდევ უფრო მაღალია, თუ ის დაფხვნილია. გიშრის უკან დგას ქართველი ერის დიდი ისტორია ტრადიციებით – ჩვენი ქვეცნობიერებაც ხომ იქიდან მოდის. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენმა ქვეცნობიერმა რაღაც იგონო, მაგრამ მე არ მაქვს საშუალება, ეს ჩემს სამეცნიერო დანაშაულებს აღმოვაგებო, მისი ნამდვილი არსი გავიგო, ამაში კი მესმარება გიშერი და იცი, როგორ? – მან თავი გასწორა, გასკდა...



მასალა ყველაფრისთვის ზოლივი მოიხსნა

ინტვიუნი საუბრები

ჩემი ქალიშვილი სიყვარულით გათხოვდა 18 წლის ასაკში. ქმარი ათი წლით იყო უფროსი და რომელიღაც სანარმოში ინჟინრად მუშაობდა. უკვე ის პერიოდი იყო, ყველას რომ გაუჭირდა და ჩემი სიძის ოჯახიც მხოლოდ ხელფასზე იყო დამოკიდებული. მართალია, თვითონაც ჰქონდა სამსახური და მშობლებსაც, მაგრამ, ალბათ, გახსოვთ, რომ მაშინ ხელფასს სამ-ოთხ თვეში ერთხელ არიგებდნენ და ისიც არასრულად და, ამიტომ, ჩემს მძახვლებს მაინცდამაინც არ უღიზნდათ. მართალია, ერთ დროს ძლიერი ოჯახი იყო, თუმცა, ბევრი აღარაფერი ჰქონდათ დარჩენილი. პრაქტიკულად, ერთი ბინაღა შეჩნათ, რომელიც მეორე ვაჟისთვისაც უნდა გაეყოთ და თვითონაც ხომ სჭირდებოდათ, თავზე ჭერი.

შეიძლება, ვინმემ გამამტყუნოს, ამას რომ ვწერ, მაგრამ, ყველამ თავის გულში ჩახიედოს და ისე განმსაჯოს. ნამდვილად არ მიწნოდა, ჩემი ლამაზი და ნიჭიერი გოგო გაჭირვებულ კაცზე გამეთხოვებინა, მით უმეტეს, 18 წლის ასაკში. გაჭირვებას თავი დავანებოთ, მაშინ (ერთუფლების გარდა) არავის გადასდიოდა თავზე, მაგრამ, მე უფრო სხვა რამე მალეღებდა – ჩემი სასიძოს უშფოთველობა და უმოქმედობა. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, საერთოდ არ ცდილობდა, რომ რამე სხვა საქმისთვისაც მოეკიდა ხელი, რომ ოჯახს დამატებითი შემოსავალი ჰქონოდა; ისიც აკმაყოფილებდა, რაც ჰქონდა და არ ზრუნავდა იმაზე, რომ ოდნავ გაეუმჯობესებინა თუნდაც პირადად თავისი მდგომარეობა. ძმა უფრო აქტიური ჰყავდა. გამოსდიოდა თუ არ გამოსდიოდა, სულ რაღაცას ჩალიჩობდა, მოძრაობდა, ეს კი დილით მიდიოდა სამსახურში, საღამოს ზრუნდებოდა სახლში და თვეობით ელოდებოდა იმ ორ კაპიკს, პირობითად რომ ერქვა ხელფასი. სხვათა შორის, მშობლებიც ასეთები ჰყავდა და თავიანთ საქციელს პატიოსნებით ამართლებდნენ. ახლა ფული მარტო გაიძვერება და ნაძირლებს აქეთო, – მითხრა ერთხელ, – ჩვენ კი პატიოსნებაში გავლიეთ ჩვენი ცხოვრება და წესიერი შვილები გავზარდეთო. მაგრამ, თურმე, მარტო ის არ ყოფილა წესიერება, როცა სხვას არ მოჰპარავან ნართემე.

ჩემი და ჩემი ქმრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩემი გოგო მაინც გაჰყვა ვაჟას და ინსტიტუტიც მიატოვა, ცეკვაც და სიმღერაც. ერთ-ერთ სახელმწიფო ანსამბლში

იყო სოლისტი, თან, ძალიან კარგად მღეროდა და გოგონათა ვოკალური კვარტეტის წევრიც იყო და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, ისე გააგიჟა და დააბრმავა სიყვარულმა, სხვა აღარავინ და აღარაფერი ახსოვდა.

რადგან მაინც გათხოვდა, ვეხვენებოდი, ერთი-ორი წელი შვილს ნუ გააჩნეთ, ერთმანეთს შეეჩვიეთ, ცოტა ფეხზეც დადექით და შვილებზე მერე იფიქრეთ-მეთქი, მაგრამ ამაშიც არ დამიჯერა და ზუსტად ორი წლის შემდეგ უკვე ორი ბიჭის დედა იყო. ცხადია, გაუჭირდათ, მით უმეტეს, რომ ვაჟას ძმამაც მოიყვანა ცოლი და ყველა ერთ ბინაში ცხოვრობდა. ჩვენ კი ვეხმარებოდით, მაგრამ, რამდენი უნდა მიგვეტანა, ამდენ სულს რომ ჰყოფნოდა. ხომ არ ვეტყვოდი, მარტო ჩემმა შვილმა და შვილიშვილებმა ჭამონ-მეთქი. გარდა ამისა, საქმლის გარდა რამდენი ხარჯი აქვს ბავშვებიან ოჯახს, მოგესხენებათ. ვეხვენე ჩემს სიძეს, ჩვენთან გადმოდით დროებით-მეთქი, მაგრამ, კატეგორიული უარი მიხსრა.

მეორე დადგა პერიოდი, რომ კატასტროფულად გაუჭირდათ. მე და ჩემი ქმარი შემცირებამი მოგვაყოლეს და იძულებული გავხდით, ჩვენი ბინა გავგვექირავებინა, ჩვენ კი უფრო პატარა ბინაში გადავსულიყავით. მე ნამცხვრების ცხობა დავიწყე და ძლივს გავვექონდა თავი, შესაბამისად, ჩემს შვილს ისე ვეღარ ვეხმარებოდით და, შეიძლება ითქვას, ბავშვებს ყველაფერი აკლდათ – საქმელიც, ტანსაცმელიც, კურორტიც, ექიმიც და მასწავლებელიც.

ერთ დღეს კი ჩემმა მძახვლამ „საზეიმოდ“ გამოგვიცხადა (იმ დროს მათთან ვიყავი): ჩემი მეგობრის შვილი რამდენიმე თვის წინ ამერიკაში წავიდა სამუშაოდ და ისეთ კარგ ოჯახში მოეწყო, იმდენს უხდიან, რომ იქიდან არჩენს მთელ ოჯახს. სალომეც ხომ არ გავგეშვა ამერიკაშიო. მე აღუფშოთიდი, სალომე გაჩუმდა, ვაჟამ კი სიხარულით აიტაცა დედამისის წინადადება. კი მაგრამ, ბავშვებს დედა არ უნდათ? ვინ მიხედავს-მეთქი? ბავშვები დღისით შენთან იქნებიან, შენ და შენი ქმარი მაინც არ მუშაობთ, დასაძინებლად კი ჩვენ მოგვიყვანითო. ჩემმა შვილმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დათანხმდა. ბოლო ხერხს მივმართე და სიძეს ვუთხარი, ამ ახალგაზრდა და ლამაზ ცოლს ოკეანის გაღმა რომ უშვებ, ან ამან როგორ უნდა იცხოვროს იქ უქმროდ, ან შენ რატომ უნდა იყო აქ ცოლის გარეშე. ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს; რა გინდა, ოჯახი დაანგრიო-მეთქი? სამი-ოთხი წელი როგორმე გავძლებთ უერთმანეთოდ, ამასობაში კი სალომეს გამოგზავნილი ფულით მე აქ ყველაფერს მოვაგვარებ და მეორე ისე ერთად არ ვიქნებით? მაშინ, აჯობებდა, შენ წასულიყავი სამუშაოდ, ბავშვებს უდებოდა გაუჭირდებოდა, ჯერ პატარები არი-

ან-მეთქი. ამ სიტყვებზე ჩემი მძახვილი გადართია – ვე როგორ გაუბედე ჩემს შვილსო და კარგი ჩხუბიც გამოგვივიდა, მაგრამ ჩემმა შვილმა მაინც იმათ დაუჯერა და წავიდა ამერიკაში (მაშინ შედარებით ადვილი და იაფი იყო წასვლა), ბავშვები კი ჩემთან გადმოვიყვანე, რადგან მათი წინ და უკან ტარება გამიჭირდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩემმა სიძემ ერთ წელიწადში ოფიციალური საყვარელი გაიჩინა და სალომეს გამოგზავნილი ფული ნახევარს იმისთვის ხარჯავდა, მეორე ნახევარს კი დედამისი ინახავდა. სამი წლის შემდეგ იმ ფულით ჩემმა მძახვლამ თავის მეორე შვილს უყიდა ბინა და ცალკე გაუშვა. მივწერე ჩემს შვილს ეს ყველაფერი და ვუთხარი, ფული აღარ გამოუგზავნო და, საერთოდაც, ჩამოდი-მეთქი, მაგრამ, კიდევ სამი წელი გაჩერდა იქ, რომ ბავშვებისთვის თანხა მოეგროვებინა. ნამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე სალომემ დამირეკა და მითხრა, მოხუცის (რომელსაც უწვიდა) შვილს შეეუყვარდი და ცოლობა მთხოვაო. მე ვუთხარი, თუ კარგი კაცია და შენც მოგწონს, გათხოვი, ბავშვები კი მერე წაიყვანე-მეთქი. რას ამბობ, ვაჟა მიყვარსო, – გამიბრაზდა სალომე. მე ჩემს სიძესთან პრაქტიკულად აღარ მქონდა ურთიერთობა, ორ კვირაში ერთხელ თუ წაიყვანდა ბავშვებს რამდენიმე საათით, სულ ეს იყო. ნაწყენი ბრძანდებოდნენ ვაჟბატონი და მისი დედ-მამა, რომ სალომე იმდენ ფულს აღარ უგზავნიდა.

ჩემი შვილი რომ ჩამოვიდა, ცუდად შეხვდნენ. მაშინ სალომემ უთხრა, გავპორდეთ, მე იქ ერთ ძალიან კარგ კაცს ვუყვარვარ და მას გავყვები ცოლადო. ამის გაგონებაზე რა არ უძახეს ჩემს შვილს, მაგრამ, ამან ყურადღება არ მიაქცია და ბოლოს მაინც გაეყარა. რამდენიმე თვის შემდეგ კი იმ კაცმა ჩამოაკითხა და ოფიციალურად გვთხოვა სალომეს ხელი. ჩვენ თანხმობა ვუთხარი და აქ დაქორწინდნენ. ერთი წელი აქ იყვნენ, მეორე კი ერთად წავიდნენ ამერიკაში. თუმცა, წელიწადში ორჯერ ჩამოდინან ხოლმე. რამდენჯერმე მე და ჩემი ქმარი დაგეპატიყეს და თან გადაგვიყვანენ, ისეთი პატივი გვცეს.

ვაჟამ ის საყვარელი ცოლად შეირთო, მაგრამ იმ ქალმა ისეთები უქნა, ბინა დააკარგინა და ქუჩაში დატოვა მშობლებიანად. ჩემი ყოფილი მძახვილი შემხვდა ქუჩაში და ტირილით მითხრა, ყველაფერი ახია ჩემზე, რაც დამემართათ და სულ ბოდიშები მისხდა. სიმართლე გითხრათ, შემეცოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ფრაზა ვუთხარი: ალბათ, ჯობდა კიდევ, ასე რომ მოხდა-მეთქი.

ლიანა, 69 წლის.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო აშბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტვიუნი საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.





გიორგი შიძაძე: ჩემთვის „ბერკლიში“ გატარებული წლები ძალიან საინტერესო იყო, თუმცა, განსაკუთრებულად მაინც ეს ბოლო წელია დატვირთული. ცოტა ხნის წინ „ბერკლიში“ მუშაობა დაიწყო ბიონსეს ყოფილმა საქოლოფონისტმა და მისი ბენდის მიღება, ახლა უკვე ესპერანსა სპელინგის ბენდ-ლიდერმა, ტია ფულერმა. ძალიან ცნობილი და, რაც მთავარია, ძლიერი მუსიკოსია, სერიოზული გამოცდილებით. ამიტომაც მიიწვია „ბერკლიში“ ის სამუშაოდ და რამდენიმე ანსამბლი მისცეს. თან, ასწავლის და თან კონცერტებს ატარებს. 5 000 კაციდან საუკეთესოები უნდა აეყვანა. დაეუკარი, მოვერწინე და ამიყვანა თავის ინსტრუმენტულ ანსამბლში, რომელიც სულ ხუთი კაცი ვართ და რომელიც „ბერკლის“ ბაზაზე დაფუძნებული. მას, სხვა ანსამბლებსაგან განსხვავებით, ის უპირატესობა აქვს, რომ კონცერტებს ვატარებთ სხვადასხვა ადგილებში, ტიას მუსიკას ვუკრავთ მასთან ერთად. ტია ყველანაირად ცდილობს, დავეცხმაროს კარიერის გაკეთებაში. თან, როცა ამთავრებ კოლეჯს, მაშინ უფრო მეტად გჭირდება კონცერტები, რადგან, მე აქ პრეზიდენტებისა და სხვა ადამიანების მხარდაჭერით არ ჩამოვსულვარ და ნელ-ნელა მართმე გავაკეთე ყველაფერი. მართლაც დიდი ამბები მოხდა ჩემს ცხოვრებაში. დღემდე არ მიჭირს ამის დაჯერება, როდესაც კოლეჯის პრეზიდენტი დიდი პროექტების გაკეთებას მავალეს. მე მხოლოდ „ბერკლის“ სტუდენტის სტატუსი არ მაქვს. როდესაც ვიცე-პრეზიდენტის შესვლად ვიქცევი, მეცხინი და აინტერესებთ ჩემი, როგორც სტუდენტის აზრი ამა თუ იმ საკითხზე...

ახლახან, ანუ 10 მარტს, ნიუ-იორკში, Smoke Jazz Club-ში ტია ფულერთან ერთად გვეკონცერტი – ეს ჩვენივეს უკვე მეორე გასულითი კონცერტი იყო. პირველი ნიუ-ჯერსიში გექონდა და ძალიან ნარმატებულად ჩაიარა. თუმცა, ეს მეორე კონცერტი უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან, Smoke Jazz Club ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ცნობილი კლუბია. საბოლოოდ, ამ კონცერტმაც ძალიან კარგად ჩაიარა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონცერტზე მოვიდა 88 წლის ჯორჯ ვინი, დიდი ჯაზ-იმპრესარიო, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. რაც მთავარია, მივიღე შემოთავაზება, რომ მომავალში ამ კლუბში წარვდეგ უკვე ჩემს ბენდთან ერთად. ზოგადად, ზაფხულში „ბერკლიდან“ ძალიან ბევრი კონცერტი იგეგმება, თუმცა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია 9 მაისის კონცერტი, რომელიც Smoke Jazz Club-ში ჩატარდება.

– ნარმატებებს გისურვებ! ახლა მინდა, ცოტა უკან, ახლო წარსულით გადავიხსნათ, სადაც შენს აკორდში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

– 18 თებერვალს „ბერკლის“ მთავარ დარბაზში ჩემი კონცერტი ჩატარდა, რაც მართლაც ძალიან დიდი მოვლენა იყო. მთავარ დარბაზში კონცერტის ჩატარების უფლებას წელსინადმი სამოთხე სტუდენტს აძლევს, ამისთვის კი შენი ჩანაწერები უნდა წარადგინო. მანამდე „ბერკლის“ პატარა დარბაზებში არაერთი კონცერტი მქონდა ჩატარებული. ასე რომ, დაგრეგისტრირდი და მომცეს მთავარი დარბაზი. ჩემდა გასაცრავად, მთელი დარბაზი ვაყავი. ჩემი ერთი მეგობარი დამეხმარა პიარში, რომელიც მუსიკალური ბიზნესის ფაქულტეტზე სწავლობს. კონცერტი დაესწრნენ ვიცე-პრეზიდენტები, გარდა ამისა, მომცეს ბევრი ისეთი უფლება, რასაც სტუდენტებს არ აძლევენ. ერთსაათიანი კონცერტი იყო. პირველ ნაწილში შევასრულე ჩემი კომპოზიციები, რომლებიც ქართული კოლოკავიანია მომდინარეობს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ დარბაზში პირველად გაუღერდა ქართული ინსტრუმენტი – ჩინგური. ჩემს ერთ ქართველ მეგობარს ჰქონდა ჩინგური სახლში, ვირჯინიაში, იქიდან წამოვიღეთ და მივეცი ჩემს ირანელ მეგობარს, რომელიც „ბერკლიში“ სწავლობს, გიტარისტი. კონცერტამდე სამი დღე იყო დარჩენილი და ამ სამ დღეში ისწავლა ჩემი

ნიჭიერი პიანისტი, კომპოზიტორი გიორგი შიძაძე, რომელიც 2010 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, „ბერკლის მუსიკალური კოლეჯის“ ერთ-ერთი ნარმატებული სტუდენტია. რაც მთავარია, ამ ოთხი წლის განმავლობაში მან არაერთ სერიოზულ ნარმატებას მიაღწია, რომელთა შესახებ თავად გვესაუბრება.

როგორ გამოიყენა „ბერკლის“ დიდ ლაბაში თავის კონსერტზე ჩონგური გიორგი შიძაძემ და რატომ დაეკავა მას მნიშვნელოვანი სერაპონიალური სანსაზპრო სელმკლანელოკა

კომპოზიცია, რომელსაც ჰქვია Georgian Shepherd და რომელშიც იყო ქართული მითის კილო და აფრიკული რიტმები. ძალიან დიდი მონონება დაიმსახურა, კარგად მიიღეს. ეს ბიჭი ამბობდა მეზე: ისეთი კარგი ინსტრუმენტია, ისეთი კარგი ხმა აქვს, ჩემი ხელით უნდა გამოვთალოო. ეს ჩემი ექსპერიმენტი იყო, მაინტერესებდა, როგორი უღერადობა ექნებოდა და ვფიქრობ, გაამართლა. პირადად მეც, ბოლო დროს, განსაკუთრებული სიამოვნებით ვუსმენ ქართულ ფოლკლორს. ჯაზს, კლასიკურ მუსიკას ვუსმენ, მაგრამ, იმ დროით არა, როგორც ეს ადრე ხდე-



ისე მოხდა, რომ წინა დღეს ჯაზის კონცერტი მქონდა, მეორე დღეს კი – კლასიკური მუსიკის. გავიჟდა ხალხი

ბოდა. ქართული ფოლკლორი ისედაც ჩემს სისხლშია, მაგრამ ახლა ცდილობ, ყველაფერი თეორიულად მივუღე, დასკვნები გავაკეთო და შემდეგ ქართული იდეით, ისტორიით შევქმნა ჩემი კომპოზიციები. ეს მუსიკა, ეს უღერადობა, თუნდაც ის, რომ ინსტრუმენტის შიგნით უკრავ და ცვდილობ ჩონგურის ან ფანდურის უღერადობა მივეც, მათთვის ეგზოტიკურია, მოსწონთ, აინტერესებთ. მე ძალიან მიყვარს ექსპერიმენტები. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, გავაკეთე აფხაზური კომპოზიცია „აზამატი“, რომელზეც ჩემმა მეგობარმა რეპი დანერგა. ნახა აფხაზეთის ომის შესახებ ყველაფერი და ძალიან საინტერესო ტექსტი გამოუვიდა. თან ჩონგური, თან აფხაზეთის თემა, ამერიკული არემბი, ძალიან მაგარი დრამური – მოკლედ, ნახავთ, ძალიან კარგი გამოვიდა. კონცერტზეც ვთქვი და ახლაც აღნიშნავ, რომ ჩემს კონცერტში „ბერკლის“ ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა. აბსოლუტურად ყველა, ვინც ჩემთან ერთად უკრავდა, ტოპ-მემსრულებელია, ბერკლის საუკეთესო სტუდენტები არიან და მიხარია, რომ ასეთი კარგი, ნიჭიერი პლავად მოდის. ისინი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვიან და მუსიკალურ სამყაროში ძვირებს მოახდენენ.

– იმედო მაქვს, შენც მათ რიცხვში იქნები.
– ამ ყველაფერს ბევრი მთობა, სწორად დავგეგმა სჭირდება, ამიტომაც, საკუთარი თავისთვის ნაკლებად მრჩება დრო. ძალიან მიხარია, რომ დეკემბერში საქართველოში მქონდა კონცერტი, რომელსაც ბევრი მუსიკოსი დაესწრო. რაც მთავარია, კულტურის სამინისტროს დაფინანსებით

ჩატარდა, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ, ისევე, როგორც განათლების სამინისტროსი. რომ არა განათლების სამინისტროს გვერდში დგომა, „ბერკლის“ ნამდვილად ვერ დავამთავრებდი. ჩემი მხრივ, მეც ბევრი ვიმორმე და „ბერკლიში“ ჩემი სიტყვა ვთქვი. „ბერკლის“ პრეზიდენტი ჯორჯის შტატიდან არის და, როდესაც ჩემს სახელს აცხადებს, ყოველთვის ამბობს: გიორგი შიძაძე, ჯორჯიდან, ოლნინ, არა ჩემი ჯორჯიდან, არამედ, ნამდვილი ჯორჯიდან. ახლახან „ბერკლის“ მთავარი შენობის გახსნა იყო, სადაც ბოსტონის მერი მოიწვიეს. რა თქმა უნდა, იქ არ იყვნენ „ბერკლის“ სტუდენტები, იყვნენ „პარვარდის“, სხვადასხვა უნივერსიტეტის პრეზიდენტები, ნიუ-იორკიდან, სხვა შტატებიდან ჩამოსული სტუდენტები და მე ვუკრავდი ამ ცერემონიაზე. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი იყო.

– 2013 წლის ივნისში, ბოსტონის BPC დარბაზში, მსოფლიოში აღიარებული ქორეოგრაფიული დასის – Riverdance-ის კომპოზიტორ ბილ ვილანთან და „ბერკლის“ სტუდენტურ ორკესტრთან ერთად შეასრულე კომპოზიტორის კინო და თეატრალური მუსიკა. მომიყვი ამის შესახებ.

– სიმართლე რომ გითხრა, ბილ ვილანის სახელი და გვარი საერთოდ არ ვიციდი, სამაგიეროდ, ვიცოდი „რივერდანსი“, რომელიც საქართველოში საკმაოდ პოპულარული იყო. როდესაც მითხრეს, ბილ ვილანი ჩამოდი, თან, მისი მუსიკა გამომიგზავნეს, რა თქმა უნდა, მოვეუსმინე და გავგვიყნა: ის მუსიკა, რომელსაც წლების წინ საქართველოში ვუსმენდი, ამ ადამიანთან ერთად უნდა დამეკრა. საკმაოდ ნარმატებული კონცერტი გამოვიდა, კინო და თეატრალური მუსიკა შევასრულეთ. დამეგობრდით, საკუთარი სიღის ჩანერაზეც დამაპატიჟა და მის ჩანერაშიც მივიღე მონაწილეობა. სხვათა შორის, 2013 წლის 12 აპრილს, ნიუ-იორკში, შუაბიზნესისა და კინონარმოების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ხმის ჩამწერ სტუდია Avatar Studios-ში, ჩემი მეგობართან ერთად ჩავწერე დონი ჰეთევის ცნობილი კომპოზიცია A Song For You. ანუ, სტუდიური გამოცდილება უკვე მაქვს, სხვადასხვა მემსრულებელთან ერთად უკვე ჩავწერე სხვადასხვა კომპოზიცია.

– 2013 წლის 25 თებერვალს „ბერკლის“ მუსიკალური კოლეჯის სიანსეების გვერდზე დაგასახლეს „ბერკლის“ ერთ-ერთი ნარმატებულ სტუდენტად. 2013 წლის 27 აპრილს კი გაიმარჯვე კონკურსში და მიიღე პრიზი, როგორც ბერკლის მუსიკალური კოლეჯის საუკეთესო ჯაზ-შემსრულებელმა.

– იმისთვის, რომ ნარმატებულ სტუდენტად დაგასახლონ, მნიშვნელოვანია შენი აქტიუობები – როგორ სწავლობ, რა ნიშნები და დამსახურებები გაქვს. იმ სემესტრში ისე მოხდა, რომ ყველაფერში „ეი“ მივიღე და, როგორც იმ სემესტრში წარჩინებულ სტუდენტზე, ჩემზეც დადეს ინფორმაცია. ყოველი წლის გაზაფხულზე აცხადებენ საუკეთესო სტუდენტებს და იმ წელს მე დამასახლეს „ბერკლის“ ერთ-ერთ საუკეთესო ჯაზ-პიანისტად, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. 2013 წელს გავიარე სამტურიანი კონკურსი და მივიღე ბერკლის მუსიკალური კოლეჯის Emanuel Zambelli-ის სახელობის სტიპენდია და ვინც ამ კონკურსში გაიმარჯვებდა, იმას უნდა დაეკრა კლასიკური მუსიკის კონცერტი. ისე მოხდა, რომ წინა დღეს ჯაზის კონცერტი



სომხეთის „ვოისის“ გამარჯვებული, 17 წლის ანა ხანჩალიანი, მიუხედავად თავისი ასაკისა, საკმაოდ ჭკვიანი და მიზანდასახული ადამიანია. ზუსტად იცის, რომ გრძნობებს არ უნდა აჰყვეს და, აპირებს ცივი ენობით გადადგას ყოველი ნაბიჯი. ის ახლანაზ დამბრუნდა ევგენიტიდან და ცოტა ხანში ერევანში აპირებს დაბრუნებას. როგორც გავიგე, მას არაერთი ქართული სატელევიზიო შოუდან ჰქონდა მინევა, მაგრამ, უარი თქვა. რას აპირებს მომავალში, რატომ ამჯობინა ესტრადას საოპერო, კლასიკური ჟანრი და რის გამო ტოვებს საქართველოს, ამაზე ანა თავად გვესაუბრება.

ჰყავს თუ არა ანა ხანჩალიანი მილიონაირი მუყაყაბული ეკივანში და რატომ ამჯობინა ის უკან ქართულ სატელევიზიო კონკურსებს

ანა ხანჩალიანი: იღბლიანი ადამიანი ვარ, რადგან, ღმერთის ნყალობით ბევრს მივალწიე და ხალხმაც შემეყვარა. ამას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. სწორედ, ხალხის გულშემატკივრობით გავხდი ცნობილი და, ეს რომ არ დავინახო და დავაფასო, უბრალოდ, უმადური უნდა ვიყო. მიუხედავად, ალბათ იმიტომ შეგიყვარა ხალხმა, რომ არ თამაშობ და ის ხარ, რაც ხარო. ალბათ, მართალია, რადგან ჩემს ასაკში, ჩემი შრომით ბევრს მივალწიე და თავმდაბლობაც შევიზარჩუნე – არც ცხვირანული დავდივარ და არც ქედმაღალი ვარ.

– თუმცა, ხანდახან ნიღაბიც საჭიროა...
– გეთანხმებით, საჭიროა, მაგრამ, მე ეს არ მჭირდება. უფრო სწორად, ნიღაბი მაშინ მჭირდება, როცა ცუდ განწყობაზე ვარ და, არ მინდა, ეს სხვამ ნახოს. ამიტომ, რაც არ უნდა მჭირდეს, სულ ვიღიმი. არც ფუფუნებაში ვარ გაზრდილი და ხშირადც გასჭირვებია ჩემს ოჯახს, მაგრამ არასდროს დავკინუწუნია და დღეს კარგად ვართ.

– გავიგე, საოპერო ჟანრში ემზადები. ეს ტრადიციულ უარს ამბობ?

– დიახ, საოპერო ჟანრმა გამიტაცა და აქტიურად ვემზადები. თან, ქართული „ნიჭიერის“ კონკურსის შემდეგ, ჩავაბარე ევგენი მიქელაძის სკოლაში, ვოკალის განხრით. თავიდან ესტრადა მიზიდავდა, მაგრამ, ახლა ვხვდები, კლასიკა უფრო მომწონს და ოპერის მღერა უფრო დიდ სამოვებებს მანიჭებს.

– გავიგე, შემოთავაზება გქონდა, ქართული ტელეშოუებში მიგელო მონაწილეობა და შენ უარი თქვი. ეს თუ არის სიმატლე? ამის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ უცხოეთში აპირებ კარიერის გარეკლებს და, თან, კლასიკურ ჟანრში ემზადები?

– დიახ, მქონდა შემოთავაზება მონაწილეობა მიმელო ტელეშოუებში: „X-ფაქტორი“ და „ერთი ერთში“, მიუხერხულებოდა უარის თქმა, მაგრამ, სხვა გზა არ მქონდა. ემზადები, გამოცდები მეღის წინ – კონსერვატორიაში ჩაბარება ადვილი ხომ არ არის? ამიტომ, დროის უქმარისობის გამო, ასე გამოვიდა. თან, ამდენი კონკურსი ზედმეტი ხომ არ იქნება? ხალხი არ იტყვის, ყველგან ანა ხანჩალიანიაო?! არ მინდა, ვინმეს ზედმეტად მოვხვედ თვალში და თავი მოვაბურო, თუმცა, კონკურსები ძალიან მიყვარს (*იცინის*). ამ ეტაპზე მირჩენია, კონკურსებისგან შევისვენო და სიმღერები ჩაწერო.

– სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ რადგან საქართველოდან მიღისარ, ამიტომ აღარ გინდა აქ კონკურსებზე გამოსვლა.

– არა, ეს არ არის მიზეზი. მე საქართველოში მინდა ვიმღერო და ამას ყველზე დიდი სამოვებით ვაკეთებ.

– ისიც ტყუილია, რომ მილიონერი შეყვარებული გყავს ერევანში და მის გამო ტოვებ თბილისს?

– (*იცინის*) ეს, ნამდვილად ტყუილია. შეყვარებული არ მყავს. ვერ მოვატყუებთ, ბევრი თავყვანისმცემელი მყავს, მაგრამ, არაფერს მიყვარს. სხვათა შორის, ერევნიდან რომ დავბრუნდი, იქიდან მიგზავნიდნენ საჩუქრებს. მე კი

ვფიქრობ, რომ, როცა გოგო ძვირად ღირებულ საჩუქარს იღებს, ბიჭის წინაშე ვალშია. ამიტომ, უკან ვაბრუნებ და თან ბოდიშს ვუხდით. ჯერ არ მინდა სიყვარული მენციოს, ვფიქრობ, ეს კარიერაში ხელს შემეშლის და, თან, მცონი, ადრეა.

– გულს რომ ვერ უბრძანებ?

– მე უბრძანებ (*იცინის*). ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, უბრალოდ, ადამიანს უნდა შეგეძლოს შენი გონებისა და გულის მართვა. უნდა დააძალო საკუთარ თავს, რომ მიზანი გაქვს დასახული და იმისთვის უნდა იბრძოლო. ჩემს ასაკში იმისთვის უნდა იყო მობილიზებული, რომ მომავალი შეიქმნა და მეერ სიყვარულიც „მოსულა“ (*იცინის*). ასე რომ, ჯერ კარერა უნდა ავიწყო და, არ მინდა, სასიყვარულო გრძნობები ჩავიღრმავო ჩემში, ამის დროც მოვა. რასაკვირველია, მომწონება ბიჭი, მაგრამ თავს ვაძალებ, არ შემეყვარდეს. ამის მართვა შემეძლია და გული თავის გრძნობებზე ვერ მატარებს, ვერ გამიტაცებს (*იცინის*). ვფიქრობ, ძლიერი ვარ და შემეძლია ჩემი თავისა და გრძნობების მართვა. მე ყველაფერს გონებით ვწყვეტ და არა გრძნობაზე აყოლით. მინდა, ერთი მიყვარდეს ცხოვრების ბოლომდე და არ მსურს პატარ-პატარა იმედის გატყუებებიც კი ამ მხრივ. არ მინდა, ვინმეს ნივთი ვიყო, დღეს მიყვარდეს, ვუყვარდე და ხვალ – არა. მართალია, ცხოვრებას და



არ მინდა, ვინმეს ნივთი ვიყო, დღეს მიყვარდეს, ვუყვარდე და ხვალ – არა

მომავალს ვერ დავგეგმავ, მაგრამ, ვფრთხილობ, ვცდილობ, პირად ცხოვრებაში შეცდომა არ დავუშვა. სურვილი მაქვს, მთელი ცხოვრება ერთი მიყვარდეს, თუმცა ამაზე ჯერ არ ვფიქრობ.

– სომხეთის „ვოისის“ გამარჯვებული რომ გახდი, ერთ-ერთი პრიზი იყო ევგენიტეში მოგზაურობა. ვისთან ერთად ნახვები იქ? როგორც ვიცი, იქ ჩასულს დარჩენა და კარიერის იქ გაგრძელება შეუძლებელია. ასეა?

– დიახ, სომხეთის „ვოისი“ რომ გავხდი, პრიზად გადმომცეს ევგენიტეში მოგზაურობა და იქ დედასთან ერთად ნავედი დასასვენებლად. ძალიან კარგი დრო ვატარებ და კარგად დავისვენებ. სხვათა შორის, ძალიან ბევრი სომეხი და ქართველი ისვენებდა იქ და ყველა მცნობდა (*იცინის*). გაიგეს, რომ ხილი მიყვარს და სასტუმროს კართან ხან ბანანები მხვდებოდა, ხან ვაშლები (*იცინის*) – მანებოვებდნენ საჩუქრებით უცხო ადამიანები. ერთხელ კარაკეში ნავედი იქ გაცნობილ მეგობრებთან ერთად. ვიმღერე

და გადაირიგნენ, მოხოვეს, დარჩი აქ და იმღერე, ყველანაირ პირობას შეგიქმნითო. ვუთხარი, მთელი ერთი წელი უკვე დავეგმილი მაქვს – უნდა ჩავაბარო კონსერვატორიაში და სიმღერები ჩავწერო-მეთქი. მაშინ, ყოველ სეზონზე ჩამოდი, ჩვენ დავგლოდებითო (*იცინის*). სხვათა შორის, მეც გავიგე, ანა საქართველოს ტოვებს და სხვა ქვეყანაში მიდის საცხოვრებლად. ეს ტყუილია. უბრალოდ, დროებით ვაპირებ ნასვლას და სწავლას, თორემ, საქართველოს როგორ დავტოვებ?! აქ დავიბადე, გავიზარდე და ყველა ჩემი მოლონება ამ ქალაქს უკავშირდება. უბრალოდ, რამდენიმე წლით უნდა წავიდე ერევანში, კონსერვატორიაში ვიოლინოს განხრით ვაპირებ ჩაბარებას. თან, „ვოისის“ გამარჯვებული რომ გავხდი, არ მაქვს უფლება, დავიხურო ქუდი და ნავიდე. უამრავი პროექტია და გავეგმილი, სიმღერები უნდა ჩავწერო ერევანში. თანაც, სომეხ ხალხს ძალიან შეუყვარდი და ელოდებიან ჩემს ახალ სიმღერებს. მე უფლებაც არ მაქვს, იქ არ ჩავიდე და, ისინი, ვინც ჩემს გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა, დავიფიქრო. „ვოისის“ გამარჯვების შემდეგ, სომხეთის ერთგვარი სახე ვარ და ეს დიდი პასუხისმგებლობაც არის ჩემთვის.

სონა ლათაშია

შპს „თბილისის ონკოლოგიური ინსპანსიი“

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.

მომავართით- თბილისი, დილომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“

2 364485, www.cancer.ge



ნაშენი ნაზიხი სჭირდება ქალს ანასანიოზული მედიკინის მისაღებად

შესაძლებელია თუ არა, არსებობდეს ჭეშმარიტი, ნრფელი და უანგარო მეგობრობა ქალსა და მამაკაცს შორის? ერთი შეხედვით, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი, მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... რეალურად კი ეს ცეცხლისა და თივის მეგობრობას ჰგავს. ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, მეგობარ კაცს მეგობარი ქალი ისევე შეიძლება ანდო, როგორც მგელს კრავიო... თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, გამოწვევები, ალბათ, არსებობენ და იარსებებენ კიდევ.

რა ხდება მაშინ, როცა ქალსა და მამაკაცს შორის არსებობდა მეგობრობა, ერთმანც და მეორემაც ბედი სხვას დაუკავშირა, მერე კი ისინი ისევე ბედმა თუ ერთმანეთისკენ ღტოლვამ ისევ დააახლოვა?..

ლალი (31 წლის): როგორი ადვილი ყოფილა ადამიანის დადანაშაულება იმაში, რაშიც ბრალი არ მიუძღვის. ზოგჯერ სრულიად გაუცნობიერებლად მივანებებთ ხოლმე ვიღაცას ისეთ იარაღს, რომელსაც საერთოდ არ იმსახურებს და არ ვფიქრობთ, ამით ვაშავებთ თუ არა. მაგრამ ამით ხომ ჩვენ თვითონვე ჩავდევართ დანაშაულს. მე ეს უკვე საკუთარი გამოცდილებით ვიცი. მტკიცებულად განვიცდი იმას, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ. არავის აინტერესებს, „რა“ და „როგორ“, მთავარია, – ენის მოსაფხანდი და გასართობი იპოვეს. გამეცინებოდა ამ მორალისტებზე, მე რომ არ მეხებოდეს. რატომ არის მამაკაცი ყოველთვის მართალი და ხშირად დაჩაგრულიც? ქალს რატომ უყურებენ გამადიდებელი შუშით და უმონებენ ყველა ნაბიჯს?! მე ხვდები არაფერი მიმითვისებია. რაც მოხდა, ამისგან დაზღვეული არავინ არის. მოვლენათა ჯაჭვმა ლოგიკურ დასასრულამდე მიმიყვანა და არაფერს ვნანობ. უბრალოდ, მწყინს და მამბრახებს ხალხის რეაქცია. რა მათი საქმეა, როგორ შეეცვალე ჩემი ცხოვრება? მე ეს არ დამიგვამავს, ბუნებრივად მოხდა ყველაფერი...

– თქვენი ბავშვობის მეგობრის საყვარელი ვახდით...

– დროებით საყვარელი ვავხდი. ჩვენს ურთიერთობას აუცილებლად მივცემთ ოფიციალურ სახეს. ხომ გითხარით, ეს წინასწარ განზრახული არ მქონია. მყავდა მეგობარი და მტკიცედ მჯეროდა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა არსებობს. საკმაოდ დიდხანს ვიყავი დარწმუნებული...

– ორმხრივი იყო ასეთი დამოკიდებულება? ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, ისიც გულწრფელი იყო ამ ურთიერთობაში?

– ვხვდები, რასაც გულისხმობთ. სადღაც მეც ნავიკითხე, რომ ასეთ ურთიერთობაში ერთი ყოველთვის მეტის მოლოდინით ცხოვრობს. თქვენ მეკითხებით, ის ხომ არ ცხოვრობდა მეტის მოლოდინით? არ ვიცი, გამორიცხული არაფერია. თუმცა, მანამდე, სანამ სიტუაცია ბუნებრივად არ მომწიფდა, ეჭვი არ გამჩენია. ყოველთვის გულწრფელად ზრუნავდა ჩემზე, მივლიდა და მიფრთხილდებოდა. ჩემი თანაკლასელი იყო და სკოლაში ნამდვილი მცველი მყავდა. მასსოვს, მეცხრე კლასში ფეხი მოვიტყებ და ზურგზე მოკიდებული დაგყავდა სკოლაში.

– სხვას მინც არ უთქვამს, რომ, შეიძლებოდა, მას ჰყვარებოდი?

– როგორ არა. ხომ იცით, ასეთ დროს როგორც ხდება ხოლმე. თუ გოგოს და ბიჭს რამდენჯერმე ერთად შეამჩნევენ, ვგრევე კუდებს გამოაბამენ, თუმცა, ჩვენზე მალევე მიხედნენ, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდებ-

ოდა და სრულიად სხვა შემთხვევა იყო. ეტყობა, უცხო თვალმაც აღიქვა ის, რომ ერთმანეთს განსაკუთრებულად ვექცეოდით.

– იქნებ, ის არ იმჩნევდა, რომ უყვარდით...

– რა გინდათ, რომ მათქმევინოთ? მე ვხვდებოდი, მას რომ უყვარდი და თავს ვიკატუნებდი, სანამ მე თვითონ არ დამჭირდა ამ გრძობის გააქტიურება? მართლა არ იყო ასე. სხვანაირად მე ვერ შევძლებდი მასთან, როგორც ჩემს საუკეთესო მეგობარს, უსაზღვრო გულახდილობას. აბსოლუტურად ყველაფერს ვუყვებოდი, ყველა წვრილმანზე მასთან ვაგრბო-

საკმაოდ დიდხანს მჯობობდი იმის, რომ ქალსა და მამაკაცს შორის გულწრფელი მეგობრობა არსებობს

დი რჩევის საკითხავად. ვერ წარმოიდგენთ, როგორ კომფორტს მიქმნიდა. არავის შეეძლო, მასზე უკეთ გაეგო ჩემთვის. ნებისმიერ თემაზე შემძლო მელაპარაკა და იმასაც ყველაფერი ესმოდა. იცით, კიდევ რა მინდა, გითხრათ? სექსი და ინტიმი ყველაფერი არ არის. როცა ჩამოსუტებდა, ხელებს შემომხვევდა და მკერდზე მაგრად მიმიკრავდა, თითქოს თავიდან ვიბადებოდი. საკუთარი თავის ისეთი რწმენით ვიცებოდი, რომ მეორე დღეს იმედიანად და ხალისით ვინყებდი. ბევრჯერ გამოუწყავინებარ დებრუსიდიან. ადამიანებს ასეთი ურთიერთობა უფრო გჭირდება, დამიჯერეთ. ამის პრაქტიკული გამოცდილება უკვე მაქვს. მყავდა ადამიანი, თითქოს ვირეოდით და ჭკუას ვკარგავდით ერთმანეთზე, თუმცა ამ ურთიერთობისგან ტკივილი უფრო მეტი მივიღე.

– ქმარს გულისხმობთ?

– დიახ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს სწორედ ის ადამიანი იყო, რომელიც მე მჭირდებოდა. ვეღარ ვიცოცხლებ, თუ ამასთან არ ვიქნები-მეთქი, ასე მეგონა. არც დავეფიქრებულვარ, ისე ჩამოვეკიდე კისერზე.

– თქვენს მეგობარს თუ მოუყვებით მის შესახებ?

– დიახ, რა თქმა უნდა. ვუყვებოდი აბსოლუტურად ყველაფერს და ძალიან ბევრს. ყოველი პაემნის შემდეგ მივბრბოდი მასთან და დეტალურად განვიხილავდი, რას ვგრძნობდი. რამდენჯერმე ვუთხარი, ფიზიკურად მინდა ეს

ადამიანი, თითქოს სხეული მთხოვს მასთან სიახლოვეს-მეთქი.

– რას გუუბნებოდით?

– თითქმის არაფერს. თავზე მისვამდა ხელს და მეფერებოდა. თუ მაშინ უკვე ვუყვარდი, გაოგნებული ვარ, როგორ გაუძლო ამ ყველაფერს. ახლა ამ თემაზე არ ვლაპარაკობ მასთან. ტაბუდადებული თემაა.

– ტაბუდადებული თემები გავიწინადით?

– მე ასე არ ვფიქრობ და არც ტრაგედიად აღვიქვამ, ტრაგედიას ის იყო, რაც ჩემსა და ჩემს ქმარს შორის ხდებოდა. ფიზიკური ღტოლვა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. ძალიან მალე მივხვდი, რომ ერთმანეთთან თითქმის არაფერი გვაკავშირებდა. იცით, როგორ მჭირდებოდა მისი ყურადღება? დაცინვით მეუბნებოდა, თუ ჩემი ყურადღება გინდა, ტანზე უნდა გაიხადო. თავიდან არ მაღიზიანებდა ეს ამბავი, მერე ნელ-ნელა ძალიან გზრახდებოდი. არ ვიცი, ყველა ქალი ჩემსავით საჭიროებს თუ არა სითბოსა და ადამიანურ ყურადღებას. შეიძლება, ჩემი მეგობრისგან ვიყავი ამას შეჩვეული და, ქმართან რომ ვერ ვიპოვე, ძალიან „დავიგრუზე“. მართლა ძალიან ცუდად ვიყავი, გვეიცვებით.

– მეგობარს გათხოვების მერე აღარ ხვდებოდი?

– ვეღარ, თუმცა, მალე გამიჩნდა მასთან სიახლოვის, ურთიერთობის დეფიციტი. აქეთ-იქით ვანწყებოდი. ჩემს ქმარს რომ შეევსო ეს სიცარიელე, მაშინ არანაირი პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ, კედელივით შეუვალი დარჩა.

– ანუ, ეუბნებოდით, რა გჭირდებოდათ და ვერ გიგებდით?

– უფრო მეგონია, რომ არ მიგებდა. არ ვიტყვი იმას, რომ არ უნდოდა გაგება, უბრალოდ, შეიძლება, მეტი არ იცოდა. სხვანაირი ადამიანი იყო. ჩვეულებრივი კაცი – მოდი, ასე ვთქვათ.

– ჩვეულებრივი კაცები უგრძნობები და უგულოები არიან?

– მეგონი, კი. უმეტესობა ასეთია – წარმოდგენა არა აქვთ, ქალს რა სჭირდება. მეტსაც გეტყვით – ლამის მთლიანად კაცზე დამოკიდებული, როგორი ხასიათი ჩამოუყალიბდება ქალს ოჯახში. ბევრ მამაკაცს იცნობთ ისეთს, რომელიც ცოლის მიმართ თბილი, ყურადღებიანი და ალერსიანია? მე თითქმის არ ვიცნობ, გარდა იმ ერთისა, რომლის გარემოც ცხოვრება უკვე ვეღარ წარმომიდგენია.

– თქვენს მეგობარს გულისხმობთ?

– დიახ. როცა სიცარიელემ და უყურადღ-



რა მიზეზით დაიკარგა მეგობრებს შორის კავშირი და ვის ეძებან საქართველოში

53 წლის ტატიანა ლეონიძის ასული აკ-ულჩიკი (ქალიშვილობის გვარი კაშკანი) ეძებს: 54 წლის ირინა ტკაჩენკოს (ქალიშვილობის გვარი).

ისტორია: ვეძებ ჩემს მეგობარს – 54 წლის ირინა ტკაჩენკოს. მე და ირან ერთმანეთი სასწავლებელში გავიცანით და ძალიან დავმეგობრდით. ერთად ვსწავლობდით მინსკში, შემდეგ კი ირა თავის სამშობლოში დაბრუნდა. იმ დროს ის აფხაზეთში ცხოვრობდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მე და ირან რაღაც პერიოდი გვეკონდა ურთიერთობა. მე მასთან სტუმრადაც კი ვიყავი, მაგრამ უკვე წლებია, რაც მასთან კავშირი დავკარგე და ძალიან მინდა, მისი პოვნა. ვიგზავნით ფოტოს, რომელზედაც მე და ირა ვართ. იმედი მაქვს, ის გამომხსენებდა.



ქურნალინის პინინა: ტატიანა ამჟამად რუსეთში ცხოვრობს. ის წლების განმავლობაში ეძებს თავის მეგობარს, რომელთანაც კავშირი მას 1982 წლის შემდეგ აღარ ჰქონია. იმედი აქვს, რომ დავეხმარებით მეგობრის პოვნაში. ფოტოზე არიან: მარჯვნივ ტატიანა (ანუ, ვინც ეძებს), მარცხნივ კი ირინა (ვისაც ეძებენ).

როგორ დაკარგეთ მეგობრებმა ერთმანეთი? მოგვიყვით თქვენი ისტორია.

– მე და ირინა ერთად ვსწავლობდით მინსკის კოოპერატიულ სამრეწველო სასწავლებელში (ამჟამად მინსკის სამრეწველო კოლეჯი). ირა ბელარუსიაში ქალაქ სოხომიდან იყო ჩამოსული სასწავლებელად. მინსკში ირან დეიდა ჰყავდა და იქ ყოფნისას სწორედ მასთან ცხოვრობდა. სიმართლე გითხრათ, მე და ირა რალაცნაირად თავიდანვე დავმეგობრდით. ამისთვის დიდი დრო არ დავჭკირებო. სამაგიეროდ,

დაღე და ღამე ერთად ვიყავით და მართლაც დაუფინყარი დრო გვაქვს ერთად გატარებულს. სულ დავდიოდით ერთმანეთთან სტუმრად და რომ იტყვიან, განუყრელი მეგობრები ვიყავით, ახლაც კი ვერ წარმომიდგენია, რომ ერთმანეთი დავკარგეთ და წლებია, უკვე გასული, რაც ირანს შესახებ არაფერი ვიცი. ერთხელ მე ირასთან აფხაზეთშიც ვიყავი და იქ მივლი თვე გავატარე. დაუფინყარი დრო იყო. ძალიან ღამე-ღამე ვხელობა იქ, ირა და მისი ოჯახის წევრები კი წარმოუდგენლად სტუმართმოყვარე და თბილი ხალხი არიან. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ირა მინსკში დარჩა საცხოვრებლად. ჩვენ ჩვეულებრივად ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ერთ დღესაც ჩვენ შორის კავშირი განწყდა. მოგეხსენებათ, ცხოვრებას ათასი პრობლემა და საფიქრალი მოაქვს თან, და რაღაც პერიოდის განმავლობაში, ირა ვერ მოვიკითხე. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის საცხოვრებლად სხვაგან გადასულა და არც არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი. ყველანაირად ვცდილობდი მის მოძებნას, მაგრამ უშედეგად.

– რა ხერხებით ეძებდით და თქვენი აზრით, სად შეიძლება გადასულიყო საცხოვრებლად ირა.

– შეიძლება, აფხაზეთში დაბრუნებულიყო, მაგრამ დანამდვილებით ვერ გეტყვით. არც ის არის გამორიცხული, რომ გათხოვდა და ამჟამად სულ სხვაგან ცხოვრობს. ჩემი აზრით, ის მინსკში აღარაა, რადგან ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად დამიკავშირდებოდა. ჩვენ მართლაც კარგი ურთიერთობა გვეკონდა და

რატომ უნდა დავგვეკარგა ერთმანეთი, არ მესმის. ვერც იმას გამოვიცხავ, რომ ირა საქართველოს სხვა რეგიონშია. იქნებ იქ გადავიდა საცხოვრებლად. მე რამდენჯერმე ვცადე და სამძებრო საიტებზე განვათავსე მისი მოძებნის შესახებ განაცხადი. მაგრამ, შემდგომ თქვენ შესახებ ვიცი და „უდი მენიას“ საქართველოს ფორუმს დავუკავშირდი. მოკლედ, ამჟამად მხოლოდ თქვენი რუბრიკის იმედი მაქვს. იქნებ, ვინმემ რაიმე იცის ირანს შესახებ და გამომემაუტება. მე ირანს ინტერნეტითაც ვერ ვპოულობ. ასე მგონია, გათხოვდა და გვარი შეიცვალა. მე კი მისი ამჟამინდელი გვარი არ ვიცი. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ფოტოს იმედი მაქვს.

– როგორ ფიქრობთ, ირა თუ ეძებდათ? თქვენ მისამართი არ შეგიცვლიათ?

– საცხოვრებელი მისამართი იგივე მაქვს, მაგრამ იმასაც ვერ წარმოვიდგენ, რომ ირანს ჩემი პოვნა და ჩემთან დაკავშირება არ უნდა. უბრალოდ, შეიძლება, ვეღარ მოიძალა და ვერ დამიკავშირდა. ხანდახან ხომ ისეც ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთს დროის უქონლობის გამოც კარგავენ. მე მაინც ვფიქრობ, რომ მე და ირან ერთმანეთი ტერიტორიული სიშორის გამო დავკარგეთ. მე ის ან აფხაზეთში ან საქართველოს სხვა რეგიონში მგონია.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიონოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკით საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiiselebi2001@yahoo.com. ნატალია მასარაშვილი

ებობამ ქმრის მხრიდან ღამის გამაგიფა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი სექსი გვეკონდა, ისუსტებ მძლია, მივედი ჩემს მეგობართან და მკლავებში ავუტირდი. როცა თავი ავნიე და შევხედე, გავოგნდი – თვალები ისე უელავდა, ვერ ვიკანია. იცით, მის სახეზე რა ამოვიკითხე? სინანული! სინანული იმის გამო, რომ ვილაცას დაუთმო ჩემი თავი, თუმცა, სიტყვით ეს არ უთქვამს.

აუღებენტარული სითბო აღმოჩნდა საკმარისი, რომ მე არასერიოზული ნაბიჯი გადა-

იმ სითბოს წინაშე, რომელსაც ის გამოასხივებდა. მეც არ აღმოვჩნდი რკინის...

– ახლა ისე ქმართან ცხოვრობთ და, პარალელურად, მეგობართანაც გაქვთ ურთიერთობა?

– ამ მომენტისთვის ასეა, მაგრამ, დროებით. მე ჩემს ქმარს ყველაფერს ვეტყვი და ნავალ მისგან. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მიზეზს, თუ რისთვის ვცროვებ, ვერ გაიგებს, გამორიცხულია. თეს დიდი ეს მოდეს, მაშინ ხომ პრობლემაც არ შეგვექმნებოდა.

– თქვენი მეგობარი არ ნანობს, რომ სხვაზე გათხოვდაში ხელი არ შეგიშალათ?

– მგონი, არა. იმიტომ რომ, ერთხელ ნამოსცდა, შენ ახლა სრულფასოვანი, გამოცდილებამიღებული ქალი ხარ და ძალიან ბევრ რამეს უკეთ შეაფასებო. ყამირის გატება აღარ მომიწევს. შეუძლებელია ამ ადამიანთან ერთი საათი გაჩერდე და ვერ მიხვდე, როგორი დადებითია. საოცრად ყურადღებანიანა და მის გვერდით თავს უბედნიერეს ქალად ვგრძნობ. ყოველთვის ზუსტად ხვდება ჩემს განწყობას. ვაინტერესებ, როგორც პიროვნება და, რაც მთავარია, ხშირ-ხშირად და მაგრად მიხუტებს.

დალი მიქაელაძე

რედაქციაში წერილი მოვიდა

ერთი წელია, რაც ოჯახი შევქმენით და უკვე თითქმის ყოველდღე ვჩხუბობთ. ზოგჯერ ისეთ უმნიშვნელო წერილმანზე ვტყვით სკანდალს, ნერვები მეშლება. შევეყვებით ხოლმე პრეტენზიებით ერთმანეთს და ისეთ საზოგადოებებს ვამბობთ, მერე მრცხვენია. ხომ არ აჯობებს, ვაგზორდით ერთმანეთს? მთელ ცხოვრებას ჩხუბში ხომ არ ვავატარებთ? არადა, ერთმანეთი გვიყვარს, თუმცა, საქციელით საპირისპიროს ვამტკიცებთ. როგორ მოვიქცე?

გამონმარება: აუცილებელია, ყურადღება მიაქციოთ იმას, თუ რაზე ხდება ჩხუბის პროვოცირება. ეს აუცილებელია. მგონი, პრობლემა სხვა რეაქციით უყურებთ. იქნებ, ისე რომანტიკას ეძებთ და ითხოვთ? ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ქორწინების პირველი წელი რთულია, რადგან, ამ პერიოდში ხდება ურთიერთშეცნობა, ერთმანეთის ხასიათის შესწავლა. დათმობა გიცდიათ? მიეცით შანსი ერთმანეთს. გადადგით პირველი ნაბიჯი თქვენ და დაელოდეთ შედეგს.

**ფსიქოლოგი
მარგალიტა როზაშვილი**

ღანინგვით მუშაობდა, თუ ჩემი მუშაობდა გინდა, უნდა გაიხადო. მე გი ძალიან მჭირდება ეს მუშაობდა

ამედგა. უცებ სულ სხვანაირად დავინახე ჩემი მეგობარი. პირველად აღვიქვი ის როგორც მამაკაცი. მისი ფიზიკური სილამაზეც მაშინ დავინახე. ხომ ვთქვი, რომ ქმართან კარგი სექსი მქონდა, მაგრამ, ის, რაც ჩემს მეგობართან ვიგრძენი, რაღაც გაცილებით მეტი იყო, წარმოუდგენელი და გამაოგნებელი. ისული ხორცამდე შემძრა და მთლიანად ამოაყირავა ჩემი წარმოდგენა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე. მე კი არა, ნებისმიერი ქალი აღმოჩნდებოდა უძლეური



გიორგი პალანდაძე: დიდი ხანია, მასკულტურულ ლონისიდეებში აღარ გამოვჩნდივარ. იყო ფილმი „ნანოლიბი“, ძალიან მაგარი ფილმი. სატელევიზიო პაუზა მქონდა. ნოემბრიდან დაიწყო „ჯიდიუსზე“ მუშაობა და ვაკეთებ ჩემს საავტორო პროექტს. ამ პროექტს მე და ჩემი მეგობრები მთელ ჩვენს დროს, ენერჯიასა და მონდომებას ვახარჯავთ. შუალედებში იყო სხვა პროექტებიც, მონაწილეობა მივიღე „პარადოქსის“ პირველ სეზონში, რომელიც საყვარელი გაგრძელებაა. ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პროექტია და ძალიან მინდა, გაგრძელდეს.

- საკმაოდ ბევრი და საინტერესო პროექტის იდეა გქონდა, მაგრამ აქამდე, მათი განხორციელება ვერ შეძელი...

- საქართველოში რაც ადვილად იყიდება, მასურებულსაც იმას სთავაზობენ. ტელევიზიებზეც ხშირად იციან, რა არის კარგი, მაგრამ ამაზე ბევრს აღარ ფიქრობენ. რა თქმა უნდა, ტელევიზიებში, როგორც ჩვენს, ისე კონკურენტ არსებულ საინტერესო პროექტებზე გადის, მაგრამ ძირითადად, ბიზნესი ბიზნესია და უნდა გაიყოს ის, რაც იყიდება. ანუ, შესაძლებელია, კარგი, ხარისხიანი პროექტი გააკეთო და მას მაყურებელი ჰყავდეს.

- რას ენება შენი პროექტი?

- ეს არის გადაცემა ალტერნატიულ ისტორიებზე. გადაცემის სახელწოდება მუშაობის პროცესში მოვიფიქრეთ. მანამდე ერქვა - „რომ“, ანუ რა იქნებოდა, რომ... ჩვენმა მთავარმა სცენარისტმა შემომთავაზა, სახელი შეგვეცვალა და დავგვექვა „პეპლის ეფექტი“. პეპლის ეფექტი ამერიკული მეტეოროლოგიისა და მეცნიერის ედვარდ ნორტონ-ლორენცის თეორიის სახელია, რომელიც სამყაროში ქაოსს ეხება. რეალურად, სწორედ ამაზეა გადაცემა. ამ დროსა და სივრცეში მომხდარი ფაქტი როგორც ცვლის მომავალში მოვლენებს. ვფიქრობ, ეს სახელი ძალიან მოუხდა და მარკეტინგულადაც გამართლებულია.

- ნებისმიერი ნაბიჯი ცვლის ჩვენს მომავალს, შესაბამისად, ბედისწერა არ არსებობს?

- რაღაც დონით, ეს გადაცემა ეწინააღმდეგება იმ ფენომენს, რასაც ბედისწერა ჰქვია. გადაცემა აჩვენებს, რომ ჩვენი კონკრეტული საქციელი, სიტყვები, დღის განმავლობაში ჩადენილი ქმედებები განსაზღვრავს არა უახლოეს მომავალს, არამედ შორეულ პერსპექტივაშიც დიდი რეზონანსი აქვს. მეჯრა, რომ ყოველდღიურად ვერთო ჩვენს მომავალს. როგორც ყველა ადამიანი, ისევე მეც, ყოველთვის ვფიქრობდი და ვფიქრობ: რა გავაკეთო სწორად, სად შევცდი, როგორ მივიღო ის მომავალი, რაც დღეს მაქვს. ძალიან ყოფითი ფიქრებია. მეზე დავფიქრდი და მივხვედი, რომ ეს ყველასთვის საინტერესო თემაა, რადგან ჩემი, შენი და კიდევ სხვისი ბედი, ქმნის საერთო ბედს, რასაც ქვეყნისა და შემდეგ უკვე სამყაროს ბედი და ისტორია ჰქვია. მოკლედ, დავფიქრდი, დავწერე პროექტი, რომელიც ამ არსის შესახებ მოეწონათ და დავინყებო მუშაობა.

- როგორ აჩვენებ ამ ყველაფერს, გაცოცხლებულია გმირები, გადაღებულია სცენები?

- როდესაც პროექტი ტელევიზიაში მოვიტანე, ანუ მის ორიგინალ ვერსიაში, განსაზღვრული იყო, რომ ნაჩვენები უნდა ყოფილიყო ისტორია როგორც მოხდა. მოხდებოდა მისი რეკონსტრუირება, აღდგენა და მხატვრულად გადაღება მსახიობებით, მასობრივი სცენებითა და მიწილი ამ-

პარილიდან ტელეკომპანია „ჯიდიუსი“ ახალ პროექტს იწყებს. გადაცემის იდეა მსახიობ გიორგი პალანდაძეს ეკუთვნის. მისი ანალოგი ქართულ ტელეარხებზე აქამდე არ გვინახავს და შესაბამისად, მოლოდინი და ინტერესი გაცილებით დიდია. პროექტი ისტორიულ ბედისწერაზე დავგაფიქრებ - არის თუ არა ადამიანის ბედი განსაზღვრული, ცვლის თუ არა ის მსოფლიო ბედს და თუ ყოველი ჩვენი დღევანდელი ნაბიჯი ხვალისდღეს განსაზღვრავს, რა იქნებოდა, ეს ნაბიჯი რომ არ, ან სხვანაირად გადაედგათ. ისტორიულ ლაბირინთებში გიორგი კალანდაძე პროფესიონალებთან ერთად გვატარებს.

როგორ პაირობს ისტორიის შეხვედრას გიორგი კალანდაძე

ბებით. ასევე, უნდა გადავეყო ალტერნატიული ისტორიაც. მაგრამ, ეს რამხელა ხარჯებით იქნებოდა დაკავშირებული, ხომ წარმოიდგენია?! თავიდან ვიფიქრე, ამით პროექტს არ ეზარალა, მაგრამ საერთოდ არ უზარალა. დოკუმენტური კადრებით იქნება აწყობილი - ისტორიული დოკუმენტაციის ტიპის სტილია გამოყენებული, პარალელურად, ამბავს ყვება ნარატივი და თითო ფილმში ორი რესპონდენტი საუბრობს. არავითარი განცდა არ იქნება იმისა, რომ გადაცემას გადაღებული კადრების გარეშე, რაიმე დააკლდა.

- რა არის გადაცემის პირველი თემა? მსოფლიო მოვლენა - მაგალითად, როგორც ტარანტინომ „უსახელო ნაბიჯებში“ ვაკეთა და ფილმი კვლავ ისტორიის მკვლელობით დაასრულა?

- ტარანტინოს ძალიან მაგარი თემა აქვს არჩეული და გადასარეე ალტერნატიულ ისტორიას ვთავაზობს. ამით მივლ მსოფლიოს გული მოფხანა. ჩვენც რომ დავფიქრდით, რა უნდა ყოფილიყო პირველი გადაცემის თემა, ორი აზრი არ გაჩენილა იმის შესახებ, რომ ეს უნდა ყოფილიყო მეოცე საუკუნის ყველაზე მასშტაბური მოვლენა - მეორე მსოფლიო ომი.

- სტალინი მოკალით?

- სტალინის მკვლელობით ძალიან ცუდ რეალობას მივლბენთ საგრაუდოდ, რადგან ჰიტლერს ვერავინ დაუპირისპირდებოდა ისეთი მრისხანე ძალით, როგორც ეს სტალინიმა გააკეთა...

- ესეც არაფერ იცის, რადგან მამინდელმა პროგრესულმა მსოფლიომ, ასე ვთქვათ, ერთმანეთზე მოუშვა ნაციზმი და კომუნიზმი და პროცესში მოგვანებნით ჩაერთო. რომ არა კომუნიზმი, ჰიტლერი შესაძლოა, მანამდე განადგურებინათ.

- ბრიტანეთმა, ამერიკამ, რუსეთმა და საფრანგეთმა კი არ მოიგეს - გერმანიამ წააგო. ყველამ ერთად უზარმაზარი საქმე გააკეთა, მაგრამ ჰიტლერს მანაც მოგებული ჰქონდა ომი, თავისი გენერლებისთვის რომ დაეჯერებინა. ზუსტად ისტორიის ამ მომენტში ყოფთ გზას. ჰიტლერს რომ გენერლებისთვის დაეჯერებინა, ომი მოეგო და ნაციზმური მიზნები განეხორციელებინა. მაგრამ, საბედნიეროდ, ის მოიქცა ისე, როგორც მოიქცა და გადავრჩით იმ სამხედროვლეს, რომელსაც „პეპლის ეფექტი“ გავჩენებთ. ამ კონტექსტში საქართველოს ბედიც არის განხილული. მიჰყვები თოქს, რომელიც არავინ იცის, სად მივიყვანს. ყველა ისტორიას ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვუდგები. არ გვინდა, ნაბოღვარი იყოს. ყველგან სერიოზულად გვაქვს გაანალიზებული. ესწავლობთ უამრავ მასალას, გყავს კომპეტენტური რესპონდენტები. ეს არ არის „ჩვენ გვგონიაზე“ ანუ-

ობილი გადაცემა. იყო დოკუმენტები, სადაც პირდაპირ ეწერა, თუ რას აპირებდა ჰიტლერი საბჭოთა კავშირის დამარცხების შემდეგ. ამ გადაცემაში ნახავთ, რამდენად სხვანაირი იქნებოდა სამყარო მოვლენები რომ ამგვარად განვითარებულიყო.

- გადაცემებს, ძირითადად, საქართველოს ქრილში აკეთებთ?

- ყველას არა, მაგრამ, სადაც საქართველოს ფაქტორიც იკვეთება, იქ, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ბედს განვიხილავთ. თუმცა, არის საქართველოს ისტორიის თემებიც. მაგალითად, მეორე გადაცემაში ვუშვებთ ვერსიას: „რომ არ მოგვეწერა ხელი გეორგიევსკის ტრაქტატისთვის“. ეს მოვლენა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში ძალიან დიდ რეზონანსს იწვევს. ჩვენი მხარის პოლიტიკა მთლიანად იცვლება.

- გეგნობთ მაგალითად, ისეთი თემები, როდესაც ფაქტი ფართო მასისთვის უცნობია, მაგრამ მისი შედეგებია საყოველთაოდ ცნობილი?

- კი, რა თქმა უნდა. სწორედ მცირედი ცვლილებები - ერთი ადამიანის, ერთი დღის, ან ერთი ნუთის განწყობით თუ ქმედებით, ზოგჯერ სამყაროს მომავალი იცვლება. „პეპლის ეფექტის“ თეორიაც ესაა: პეპლის ერთმა ფრთის აწევამ სამყაროს ერთ ნერტილში, შესაძლოა, მეორე ნერტილში ცუნამი გამოიწვიოს. მილიონი ასეთი ფაქტია, რომელიც ყველამ არ იცის და არც არის ვალდებული, იცოდეს. მაგალითად, ვიფიქრის კომპი რომ არ აემუწებინათ, სამყარო სხვანაირი იქნებოდა.

- ვიცო, რომ ისტორია ძალიან გიყვარს, მაგრამ ახლა შენი ცოდნა ალბათ, კიდევ უფრო გაღრმავდა.

- თან, ერთი, როცა გადაცემას აკეთებ ისტორიაზე და მეორე - არაპროფიტული ისტორიაზე. ეს კიდევ უფრო სხვა კატეგორიის პასუხისმგებლობაა. რა თქმა უნდა, ეს მანაც ფანტასტიკაა, არ მომხდარა, მაგრამ უნდა იყოს გაანალიზებული და ძალიან ახლოს რეალობასთან.

- ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ამ გადაცემით ხარ ძირითადად დაკავებული?

- ასეა. კიდევ არის ლაპარაკი ამავე არხზე სხვა პროექტში მუშაობაზე. კონკრეტულად, შესაძლოა, მოგვევლინოთ შუადღის შოუს წამყვანად, მაგრამ ეს ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

- და ზრდით პატარა გოგონას.

- კი, რაც დრო გვრჩება, მე და ნათია (ნათია ნინიალშვილი, გიორგის ცოლი - ავტორი), მთლიანად ბავშვთან ვატარებთ. შაბათ-კვირას ხან ერთ ბებიასთან არის, ხან მეორესთან. ისინიც ძალიან გვეხმარებიან. ნათია დაუბრუნდა ფეხებს, ასე ვთქვათ, გიორგი ლიფონავასთან მუშაობას „ჩემი ცოლის დაქალებზე“. გადაჭარბებდა არ გამოიგია, თუ ვიტყვი, რომ ეს დღესდღეობით, ყველაზე რეიტინგული სერიალი და სატელევიზიო პროექტია, რომელსაც, იმავდროულად, რეიტინგი სრულიად დამსახურებულად აქვს. თორემ ტელევიზორცები ბევრ ისეთ სამხედრო პროექტს აქვს რეიტინგი, რაც ჩემთვის ამოუხსნელია.

სალომე ბეჟალაიანი



ყოველთვის ვფიქრობდი და ვფიქრობ, რა გავაკეთო სწორად, სად შევცდი, როგორ მივიღო ის მომავალი, რაც დღეს მაქვს



„ეს პროექტი ჩემი ცხოვრების, სტილის გაგრძელებაა: ყოველ ორშაბათს უნდა ვივარჯიშო და ვიბეჭდო სცენარე. რაც მთავარია, დიდ სიამოვნებას ვიღებ, რეპეტიციები გვაქვს, ცოცხალ ბენდთან ერთად ვმღერად. ამას, ემატება მატერიალური მხარეც – „ტელევიზიონი“ ის იმპიათი შემთხვევაა, სადაც ასეთი სახის პროექტში მინვესტორი პოპულარულ სახეს უხდის ხელფასს. დღის გარკვეულ რეჟიმს ვაძლევ, სიმღერებს ვარჩევთ იმის მიხედვით, მას რა მოუხდება, რათა არ იყოს ამოვარდნილი თუნდაც ვიზუალური კონტექსტიდან. მოკლედ, რაღაცეებს ისე ვაბალანსებთ, რომ ყველაფერი ნორმალურად იყოს...“ – ეს არის ამონარიდი ანრი ჯონსონის ინტერვიუდან. მან სულ ახლახან ახალი სიმღერა ჩაწერა, ვიდეორგოლი გადაიღო, რომლის ჯერ დაუმთავრებელმა სიუჟეტმა საზოგადოების დიდ ნაწილში სერიოზული ინტერესი გამოიწვია.

რა იყო ანრი ჯონსონის სმოკრეპის დიდი ზრახვა და რას ვერ ასწავლიდა ის წლამის განმავლობაში

– ანრი, სანამ შენს ახალ ვიდეორგოლზე ვისაუბრებდით, არ შემიძლია, არ აღვნიშნო პროექტ „ერთი ერთში“ შენი შექმნილი სახეები.

– ეს ჩემი საყვარელი პროექტია. მეც ვფიქრობ, რომ ამ პროექტში ისეთი სახეები შევქმენი, რომლებსაც ვერავინ გაიმეორებს, ახლოსაც ვერ მივლენ. თუმცა, ჩემთვის ყველაზე დიდი ატყურად, პოლიგრაფული ტექნიკით გასაკეთებელი იყო ბუბა კიკაბიძე. მოუხედავად იმისა, რომ ჩემი ნონის გამო კარგი გრიმი ვერ გამოვიდა, მიმანჩნია, რომ ვოკალურად, არტისტულად, ერთი ერთში მოვხსენი. ბუბა იყო ჩემთვის სხვა კაიფი, ღირსების საქმეც. არ შემიძლია, ეთერ კაკულია არ აღვნიშნო, თუმცა, ეს როლი უფრო ადვილი იყო. ერთადერთი, ტექსტები დავაღაგე, როგორ უნდა მივსაღებოდი ხალხს, როგორ უნდა წარმედეგინა სიმღერა; კიდევ, ხელებზე ვიშუშავე.

– შერიც განსაკუთრებული იყო, თან, როგორ ჩაქმული იყავი?!

– როდესაც გადაწყდა, რომ შერი უნდა შემსრულებინა, გამახსენდა ერთ-ერთი ლაივ-შოუ, სადაც სუბერსკანდალურად აცვიო, ისე, ქალიც რომ ვერ გაბედავდა. მოვითხოვე, ასე ჩაქმული გამოვალ-მეთქი. ყველამ გაკვირვებულმა შემომხედა – შენ ხომ არ გააფრინეო. მე რომ შერიზე არასკანდალურად ჩაქმული გამოვსულიყავი, ჯერ ერთი, შერი არ იქნებოდა და არც პერფორმანსი გამოვიდოდა. ამიტომ, საკმაოდ ხმაურიანი იყო და არასდროს დამაფრთხილებდა დარბაზის შოკი ჩემი დანახვისას – საოცარი რეაქცია ჰქონდათ. ცოტა მეტყინებოდა, მაგრამ, თავს ვიკავებდი. რადგან კომბინეზონი შეკერეს, რომელსაც ზემოდან ესაბა ყველაფერი, ამიტომ შინაგანად ვგრძნობდი, რომ ჩვეულებრივად მეცა, არ ვიყავი შიშველი: საუდლონი – ჩადებული, გადიდებული მკერდი. მაგრამ, სარკეში, რომ ჩავხედე, მაშინ მივხვდი, როგორ სკანდალურ ვიზუალურ ვიდეო და, ფფიქრობ, ძალიან კარგი სანახავი იყო.

– სულ ახლახან კლიბი გადაიღე ახალ სიმღერაზე – „განა ყველა ქალი ქალია“, რომელმაც უკვე გამოიწვია საზოგადოების დაინტერესება. სიმღერის სახელწოდებამ ვიღაცეები გააღიზიანა.

– თამაშად შემიძლია, ვთქვა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო პროექტი გავაკეთე ჩემს ცხოვრებაში და ამისთვის ძალიან დიდ მადლობას ვუხდის ჩემს მეგობარს, „კომპაქტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელს – ლამა ასანიძეს. რომ არა მისი ფინანსური დახმარება, კლიბისთვის ერთ განათებასაც ვერ ჩავთვავდი, გადაღებულ საუბარი ხომ ზედმეტია. ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დათო დიონაშვილს, რომელმაც კლიბის გადასაღებად დავგიბოძე მუსკომედის თეატრი. კიდევ ჩემს მეგობარს – თიკა შერაზადაშვილს, ჩემს გადამღებ ჯგუფს – „დოლივი სტუდიოს“ ბიჭებს და არაჩვეულებრივ ვიზუალისტს – სოფო მაჭავარიანს. რაც შეეხება სიმღერას საკმაოდ ხმაურიანი სახელწოდება აქვს – „განა ყველა ქალი ქალია“, თუმცა, არა სკანდალური შინაარსით. ვინც მას

შეურაცხყოფად აღიქვამს, სწორედ მათ მანკიერებებზეა ეს სიმღერა. როგორ შეიძლება, არ დავეთანხმოთ გამოთქმას – „განა ყველა ქალი ქალია“?! რა თქმა უნდა, ყველა ქალი არ არის ქალი, ისევე, როგორც ყველა კაცი არ არის კაცი და, ბოლოს, დაისმის კითხვა: კაცია, ადამიანი?! კლიბში რამდენიმე ქალია, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ქალებს გვაჩვენებენ: კრისტი ყიფშიძე, მაგალითად, ცოტა მაკედონური ქალია, რომელიც სულ ტელეფონზე საუბრობს, მსუბუქად, სექსუალურად არის ჩაქმული; შორენა ბეგაშვილი თითქმის საკუთარ თავს თამაშობს. გადმოვიტანე ის მდგომარეობა, რომელშიც წარმატებული, ლამაზი ქალები იმყოფებიან: მთელ ქვეყანას რომ უნდა შორენასთან რაღაც-რაღაცეები, არ დავკონკრეტებდი, მაგრამ, ზუსტად ისინი ასხამენ და ესკრიან ტალახს შორენასთან ლამაზ ქალებს; კიდევ, ია ნინიძე, რომელიც ფენომენური ნიჭის პატრონია, მას თანამედროვე ქართული კლიბის გადაღებაში არასდროს მიუღია მონაწილეობა და, მიხარია, რომ მე დამთანხმდა. ჩემი გოგონები არ მიწყენენ, მაგრამ, როდესაც ია ნინიძის დონის მსახიობი გყავს და ის შენთან ერთად ქმნის ვიდეორგოლს, ეს ძალიან საამაყოა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდის. იამ გააკეთა მონაზონი, ესეც, შეიძლება, ვინმეს ხმაურთანად მოეჩვენოს, მაგრამ, ძალიან თბილად, კარგად არის გადაღებული. ია ნინიძე სახით, თვალვით ისეთ რაღაცეებს აკეთებს, რომ ეს ყველა ახალგაზრდა მსახიობისთვის კარგი მასტერკლასი იქნება. ია ნინიძის ქალიშვილი, ნინო ნინიძე – ეს არის ახალგაზრდა გოგო, თავისი შინაგანი ვნებებით. მინდოდა, ქალწული გოგოს იმიჯი ჰქონოდა, რომელსაც უყვარს, უნდა რაღაც ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ, არ შეუძლია, ბრძოლებში. უნიჭიერება და უღამაზესი გოგოა და ცოტას ვტყობახოვ, ჩემი აღმოჩენა ხარმეთი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ნინო ჩემი მუზაც არის; მაკა შალიკაშვილი პატიმარი ქალის როლს თამაშობს და, საერთოდ არ არის კლიბი, რომელშიც მაკა არ მყავს გადაღებული. ზოგი ამაზე ბრაზდება, მაგრამ, მიმანჩნია, რომ მაკა არის ის მასალა, რომელიც რეჟისორებს შეუძლიათ ძალიან კარგად გამოიყენონ. მიმანჩნია, რომ, როდესაც ქალი სერიოზულ დანაშაულს სჩადის, ამ ყველაფერს აუცილებლად ექნება პრეისტორია – ამ შემთხვევაში, ლეთის პირიდან გადავარდნილ ქალზე არ ვლაპარაკობ. მიმანჩნია, რომ ყველაზე დაუცველები სწორედ ის ქალები და არასრულწლოვანები არიან, რომლებიც ციხეში სხედან. მე პატიმრის შვილი ვარ, მაშაყვამა შე-



ჩემ გვერდით ჩემი ძმაკაცი ქალბატონები ქალობენ და, რატომ არ იქალებს ის, ვინც მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემ გვერდით იქნება?!

დწინიანდ-ნახევარი გაატარა ციხეში და კარგად ვიცი, ეს რა ნიშნავს. ჩვენ, დედამამიშვილებმა, მთელი ჩვენი ბავშვობა „სვიდანიზე“ გავატარეთ. თან გვიხაროდა, რომ მამას ვნახავდით, მაგრამ, ძალიან დამთრგუნველი იყო, როდესაც ხედავდით შავებში ჩაცმულ პატიმრებს, ყველას ერთნაირად ჩაცმულს. ეს არის თავისებური ტრავმა, ამიტომ, შეიძლება, ამით ერთგვარი პროტესტიც გამოვხატე. რადგან სიმღერა ხელდება, ამიტომ, მინდოდა, რამდენიმე ტიპის ქალი მეჩვენებინა. იქ თუ ერთი ქალი პატიმარია, დამნაშავე, მეორე ქალი. მონაზონია, რომელიც ლოკულობს, იმისთვის, ვინც ადამაზა და, შესაბამისად, გარკვეული ფაქტორები აქვს. ასევე, გადავიღებ ძალადობის მსხვერპლ ქალს, რომელსაც სცემენ. ამიტომ, მე შევეცადე, ამ ვიდეორგოლით პატიმარი, ძალადობის მსხვერპლი ქალის გვერდით, ასევე, წარმატებული, შორენასნაირი ქალის გვერდით დავმდგარიყავი. ის ტალახი, რაც ასეთი ქალების მისამართით მიდის, გადაჭარბებულია, ამიტომ, ასეთი ადამიანების გვერდით უნდა დავდგეთ. სამაგიეროდ, შეიძლება, გავაპროტესტოთ ისეთი ქალები, რომლებსაც ცხოვრებაში გაჭირვება არ უნახავთ, პლუს, ცუდი დედები არიან, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ ჩამოშოკონ და რა ბრენდები ნამოცივან უფუნურ თავებზე.

– ასეთი ტექსტი გაქვს: „განა ყველა ქალი ქალია, თუ ვერ არჩევ, ეს შენი ბრალია“, რომელიც აშკარად კაცების მისამართით არის ნათქვამი.

– დღეს ქალი ისეთი შენიღბული შეიძლება აღმოჩნდეს თავისი ქალური სერებებით, რომ მამაკაცებმა ვერ გაარჩიონ, როგორია სინამდვილეში და ღირსული ქალი ეგონოთ. როცა ქალი ვერ ქალობს, ეს აუცილებლად მამაკაცის ბრალია. როცა კაცს ლიდერობის ამბიცია გაქვს, ისე აიღე სადავეები, რომ ქალმა იქალოს შენ გვერდით. ჩემ გვერდით ჩემი ძმაკაცი ქალბატონები ქალობენ და, რატომ არ იქალებს ის, ვინც მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემ გვერდით იქნება?! ყველაფერი ხომ აღზრდილი მოიცილა?

მე და ჩემს ძმას დედად ქალისადმი პატივისცემა, ასეთი დამოკიდებულებები აღზრდილი ჩავვიდით. კაცს, რომელიც ქალს ხელს დაარტყამს, ვერ დამაჯარებ, რომ კარგი დედა ჰყავს.

– შენ როგორ ქალებს სცემ ყველაზე დიდ პატივს?

– მიყვარს ქალები, რომლებიც არასდროს გადადგამენ ისეთ პრივილეგიას ნაბიჯებს, რომ კაცი ჩააყენონ უზერულ სიტუაციაში. მე მიყვარს ქალები, რომლებიც შვილების მომავალზე ფიქრობენ. სადაც ძალადობაა, მით უმეტეს, სადაც კაცი ცოლს ხელს ურტყამს, იქ ჯანსაღი ურთიერთობები დამთავრებულია. ამ შემთხვევაში, პირველად სწორედ, ქალი და შემდეგ შვილები ზარალდებიან, ან, შეიძლება, პირიქითაც ხდებოდეს.

– როგორ ქალზე გითქვამს „განა ყველა ქალი ქალია“?

– ისეთ ქალებზეც მითქვამს, რომლებზეც თავიდან ძალიან კარგი წარმოდგენა მქონია. ასეთები იყვნენ უახლოესი მეგობრები, რომლებიც საბოლოოდ აღმოჩნდნენ ყველაზე უღირსი და უთავმოყვარეო ქალები, რომლებსაც არც თავმოყვარეობა გააჩნიათ და არც სხვისი პატივისცემა, საკუთარი შვილების მომავალზე ხომ საერთოდ არ ფიქრობენ. თუმცა, გრ ყოველთვის ვცდილობ, არ ჩავერიო სხვა ადამიანის ცხოვრებაში, უბრალოდ, ასეთ დროს ვქრები მათი ცხოვრებიდან, რადგან, არ მინდა, ირგვლივ უთავმოყვარეო ადამიანები მყავდეს.



- მეშვიდე საუკუნის წმიდა მამის, იოანე სინელის „კიბე“ ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოა ქრისტიანისთვის, რომელსაც „მეორე სახარება“ შეჰქვია და ძირითადად დაწერილია ბერ-მონაზვნებისთვის, მაგრამ, ჩვე-

ნთვისაც, ერის ადამიანებისთვის, ძალიან საინტერესო წიგნია და მასში ბევრი საყურადღებო და გასათვალისწინებელი რამ წერია. - ის შედგება 30 საფეხურისგან, რადგან მაცხოვარი 30 წელი ცხოვრობდა ადამიანური ცხოვრებით, სამამდე, სანამ მოინათლებოდა და, როგორც ღმერთი, ისე დაიწყო მღვდნობა. ვისაც უნდა, რომ გარკვეული საფეხურები გაიაროს, მივიდეს უფლებთან, მან ეს სოფელი უნდა დატოვოს. თუმცა, მე არ ვამბობ, სასწრაფოდ დატოვებ სოფელი და გაიქცევი-მეთქი. შეიძლება, ადამიანი ამ სოფელში ცხოვრობდეს, მაგრამ საკუთარი ცხოვრების წესი შეცვალდეს, არ იყოს ნაყოფანებში, პატივმოყვარეობაში, ამბარტანებში. სწორედ, 8 მომავლენიანი ცოდვა აქვს ამ წმიდა მამას ჩამოთვლილი. პირველი მომავლენიანი ცოდვა არის ნაყოფანება და გემომოყვარება. ადამიანი სამოთხეშიც იმიტომ დაარღვია უფლის ცნება, რომ მოიხიბლა ნაყოფით და მისი დაგემოვნება ისურვა. ასე რომ, ადამიანის პირველი დაცემა სწორედ მარხვის დარღვევით იწყება და სწორედ მარხვა გვაძლევს იმის უფლებას, რომ განვემორჩილოთ გემომოყვარებისა და ნაყოფანების ცოდვას. იოანე სინელი დასძენს: მე არ მინახავს ადამიანი, რომელმაც ბოლომდე გაიმარჯვა ამ ცოდვაზე.

- რა არის ნაყოფანების ცოდვა და როდის ვარდება ადამიანი ამ ცოდვაში?

- იოანე სინელის წიგნში ნაყოფანება „ამბობს“: მე მყავს ოთხი პირში, ოთხი ძე და 12 ასული. ანუ, პირველ ოთხ ცოდვას ეწოდება ძე, პირმშო, ხოლო 12-ს - ასულები. პირველი, რაც ნაყოფანება მოჰყვება, ეს არის სიძვა. როცა ადამიანი კარგად არის ნაკვები, განსაკუთრებით - ღამით, ეს იწვევს ბილწურუნებას, აკრძალულ ურთიერთობას მოპირისპიერ სქესთან. ასე რომ, თითქოს უწყინარია მუცლის ავისება, მაგრამ, ეს იწვევს უპირველეს ყოვლისა, სიძვას; მეორე - ეს არის გულის უგონობლობა. როდესაც ადამიანი დანაყრებულ და მხოლოდ იმაზე ფიქრობს: რა ჭამის დღით ან საღამოს, მას უგრძობელი გული აქვს. მისი გული დახურული უფლისა და მოყვასის მისაღებად: აღარც ღმერთი უნდა და აღარც მოყვასი. ამიტომაც აკრძალა ეკლესიამ მარხვაში განსაკუთრებული საკვები, რომ ჩვენც გულის უგრძობლობაში არ ჩავცვივდეთ. მაგრამ, ადამიანმა ისეთი კერძები მოიფიქრა, რომ მარხვაშიც გემომოყვარებაში ვვარდებით. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მარხვაშიც ის კარგად დანაყრდეს, რომ მერე ხსნილში მოეწაროს ის საკვები. აქ არის საუბარი იმაზე, რომ ბევრი არ უნდა ვჭამოთ და ხორცს არ უნდა მივცეთ ფუფუნების საშუალება, მკორედი უნდა მივირთვათ. არც იმას ვამბობ, რომ წყალზე და პურზე უნდა იყოს ადამიანი. შეიძლება, იმდენი პური ჭამო და წყალი დალიო, რომ ისეც ნაყოფანების ცოდვაში ჩავარდეთ. ასე რომ, აქ საუბარია ზომიერების დაცვაზე - ცოტათი მაინც უნდა მიიღვს მუცელი, რომ მერე აღარ ჩავარდეთ სიზარმაცეში; მესამე: ნაყოფანებამ იცის ძილი. ახალგაზრდები შუადღის დღეებში სანოლიდან, ეს კი გამოიწვია იმან, რომ ძილის ნიჟარად მიირთვი საკვები და მოგინდა მოსვენება, დღიხანს ძილი. თუ ვინმე ღამისთევად იყო, ღამით მუშაობდა, გასაგებია, რომ მან უნდა იძინოს, დაისვენოს, მაგრამ, თუ ღამის პირველ საათზე წვიმა და შუადღის პირველ საათზე ღვიძიბე, მაშინ არც ქრისტიანი ხარ, არც მარხვაზე ხარ და, უბრალოდ, თავს იტყუებ. თან, როცა ახალ-



ნაყოფანი ადამიანი ძალიან ბევრს ლაპარაკობს, მშიერ ადამიანს კი ერთი სული აქვს, დაიძინოს ან რაღაც შეჭამოს, ნაკითხოს. მაგრამ, როგორც კი კარგად დანაყრდება, მაშინვე დაიწყებს განკითხვას, მრავლისმეტყველებას

აკრძალული პროდუქტების არმიღება არ არის მარხვაში საკმარისი. უნდა ნაკითხოთ ეკლესიის მამათა სწავლებები, მაგალითად, იოანე სინელის „კიბე“, რათა მარხვის დროს სულმა ასეთი სწავლებებით დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. მარხვის დროს განსაკუთრებით გემომოყვარების, ნაყოფანების ცოდვაში ვცვივდებით, ეს კი, თავისთავად, უამრავ სხვა ცოდვას შობს, რაც კარგად აქვს აღწერილი იოანე სინელს თავის „კიბეში“. სწორედ ამ საკითხის შესახებ უფრო დანვრლებით გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თავდორაშვილი).

როგორ უნდა შეამოწმოს ქრისტიანმა საკუთარი თავი, სწორად მარხულობს თუ არა და რისი ღახეარებით შეაქლია აღამიანს ყველა სოღვის ღახეარება

გაზრდა ხარ, ენერგიული, რატომ უნდა შესწირო ეს ენერჯია ძილს?! ცნობილია, რომ, თუ ადამიანი 70 წელი ცოცხლობს, მას აქედან 20-25 წელი სძინავს. გამოდის, რომ შენ ცხოვრების თითქმის ნახევარს ძილში ატარებ და, მაშინ, რა ღვანლი გექნება საკუთარი თავის, მოყვასისა და უფლის წინაშე?! და, მეოთხე ძე ნაყოფანებისა, ეს არის „ბილწ აზრთა ზღვა, ლეღვა და ტალღები“, ესე იგი, ნაყოფანებას მოყვება ბილწ აზრების ზღვა, ლეღვა და ტალღები. ანუ, ტალღები, ეს არის გარკვეული არანმინდა ძალები შეტევა ადამიანებზე. ასეთ დროს, თუ ადამიანს საშუალება მიეცემა, აუცილებლად შეცოდვას. ამის შემდეგ ნაყოფანება ამბობს: „ჩემი ასულები არიან: 1. მცონარეობა - თუ გიყვარს ბევრი ჭამა, ძილი, უსაქმურობა, რა თქმა უნდა, ეს იწვევს მცონარეობას. არადა, ღღეს, შეიძლება, სამსახური არ გაქვს, მაგრამ, ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ჩვენ კი ამ დროს მცონარეობაში ვართ და ეს ყველაფერი არ გვიინტერესებს; შემდეგი არის მრავლისმეტყველება - ანუ, ნაყოფანი ადამიანი ძალიან ბევრს ლაპარაკობს, მშიერ ადამიანს კი ერთი სული აქვს, დაიძინოს ან რაღაც შეჭამოს, ნაკითხოს. მაგრამ, როგორც კი კარგად დანაყრდება, მაშინვე დაიწყებს განკითხვას, მრავლისმეტყველებას, უაზრო საუბარს.

- როგორ უნდა შეამოწმოს ადამიანმა საკუთარი თავი, სწორად მარხულობს თუ არა?

- კარგად უნდა გადახედოთ საკუთარი ცხოვრების წესს. თუ მრისხანებში ხართ, განკითხვაში, ბევრს ლაპარაკობთ, ჭორაობთ, ესე იგი, არასწორად მარხულობთ. კარგად დაიმასხვორეთ და გაითვალისწინეთ: არ ლაპარაკოთ ბევრი და მოაკელით საკვები საკუთარ მუცელს; მესამე არის კანდიერება - ადამიანი, რომელიც ნაყოფანებაში, მცონარეობაში, კანდიერი ხდება მოძღვრებთან, მშობლებთან, მეგობრებთან, ხელმძღვანელებთან, თანამშრომლებთან. სწორად ამბობენ, არ შემიძლია, სიმართლე რომ არ ვთქვა, თავს ვერ ვიკავებო. სიმართლე უთხარი საკუთარ თავს და, მას, მოშობელს - ისიც, თუ შემიძლია და ამის შუაბადა გაგაწმინდა. უპირველეს ყოვლისა კი საკუთარ თავს უნდა უთხრა, რომ უსაქმურობაში ხარ, მცონარე ხარ და სხვადასხვა გნება დაატარებ. კანდიერებას მოჰყვება განცხრომა. როდესაც ადამიანი მარხვაზეა, მაგრამ, უღმიდევად დაღვის წვეულებებზე, დაბადების დღეებზე, ქორწილებში და სახლშიც ცდილობს, ყველაფერი გაამარტყოს, გაუბრალოდოს და კომპორტული ცხოვრება მოიწვიოს. როცა ადამიანი ეკლესიაში მოდის, აქაც უნდა, რომ სითბო იყოს, ფუფუნება, კომფორტი, დაჯდეს, მალე დაითავრდეს წირვა, ეზიაროს, გაიქცეს და ასე შემდეგ.

განცხრომას კი მოჰყვება სიცილი, აქ საუბარია უფრო, უადვილო სიცილზე. სიცილის შემდეგ კი მოდის კამათი, თან, არასალფო კამათი. ღღეს ყველაფერზე კამათობენ, უაზრო საკითხებზე, პოლიტიკაზე - ჩვენ ხომ ღღემდე პოლიტიკით ვცხოვრობთ. სამუხაროა, მაგრამ, ბევრი მოძღვარიც მინახავს სუფრასთან, საზოგადოებაში 24 საათი პოლიტიკაზე რომ ლაპარაკობს. მოძღვრის მოვალეობა ღვთისმეტყველება, ლოცვა, მარხვა და მრევლისთვის პირადი მაგალითია. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ველოდებით საცხოვრებელს ცათას და მაცხოვრის მეორედ მოსვლას. ვიცით, რომ მოვა ანტიქრისტი, რომელიც თავისი იდეოლოგიით უკვე მოსულია და ჩვენში შემოაქვს მცდარი სწავლებები. საბოლოოდ, მოვა ანტიქრისტი და მას ბევრი ეპისკოპოსი და სასულიერო პირი მიიღებს, როგორც ქრისტეს - მოვიდა ჩვენი გადამარჩენიო. ქრისტე 2 000 წელზე მეტია, მოსულია და სხვა მსხველი იქნება ცრუმსხველი, ანუ - ანტიქრისტი და, ვინც სხვა მსხველს ელოდება, ის ავტომატურად გახდება ანტიქრისტეს მრევლი; კამათს კი მოსდევს გულგანება. როცა მენ დაიღლები ოჯახის წევრთა ან ახლობელთა კამათით, მერე ის გეზიზღება და გულგვა ხდება მის მიმართ. როცა ვინმე გეზიზღება, მართლმადიდებელი აღარ ხარ, ცოდვილი ხარ - კი არ უნდა გტოვდეს, უნდა გეცოდებოდეს; გულგვაობას კი მოჰყვება ურჩობა, ანუ, ყოველგვარი დამორჩილება წყდება: ვინ ჰკითხავს დედას, მამას, მოძღვარს - და ადამიანი გარბის სახლიდან, ეკლესიიდან, არავის აზავის აღარ ემორჩილება. ურჩობას კი მოჰყვება უღმობლობა - შეშინი აღარაფერია ადამიანური, არავის აღარ ინდობს. თანამედროვე ახალგაზრდებს რომ დევაკვირდეთ, როგორი სახეებით იყვრებიან, რას სვამენ, რას ჭამენ... მათი მხრიდან თითქმის ყველა ჩხუბი მკვლელობით მთავრდება - ეს კი არასწორმა ცხოვრებამ, არასწორმა ქმედებამ მოიტანა. უღობულობის შემდეგ კი ადამიანი დაბნეული ხდება, ვეღარ გაუგია, ვინ ვინ არის, ვის მოუსმინოს და შესაბამისად, კარგი მრევლი ხდება არანმინდა სულისთვის; მეთერთმეტეა სიამაყე და გონების სიციარეღე. ნახეთ, საბოლოოდ სადამდე მიყვავართ ამ ვნებაში. ბოლო, მეოთხეზე არის წუთისობის სიყვარული: თუ გინდა, რომ კარგად ჭამო, სვა და, გაერთი, უნდა დაუშობილდე წუთისობეღელს, გემომოყვარებაში.

- როგორია გამოსავალი?

- რა თქმა უნდა, გამოსავალი არსებობს. ნაყოფანება „ამბობს“: ვისაც სულიწმინდა მოუპოვებია, ისინი ჩემ წინააღმდეგ შეჰყვალადებენ ღმერთს. სულიწმინდა ჩემი მომობრებელი, ის არ მძძღეს საშუალებას, ვავრო ადამიანებს. ხოლო, რომლებსაც სულებისმცემლის გემო არ უხილავს, ისინი თუთოდ დატკებებიან ჩემი სიტკობებით, რადგან სულიწმინდა მხოლოდ ჩემი განმეაქარებელი. სერაფიმ საროველი და წმიდა მამა გაბრიელი (ურგაბაძე) ამბობდნენ, რომ ადამიანის მთავარი ცხოვრება არის სიყვარული, ლოცვა და მარხვა, რათა მან მოიპოვოს სულიწმინდის მადლი. თუ ადამიანმა ვერ მოიპოვა სულიწმინდის მადლი, ის ვერ დაამარცხებს იმ ცოდვებს, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ. ასე რომ, ვავაგრძელოთ მარხვა, ლოცვა, მეტანიები, სიწმინდე, რომ მოვიპოვოთ სულიწმინდის მადლი, რომელიც ჩვენი მაცხოვრებელია.



წმიდა იოანე ოქროპირის მიერ აღსრულებული სასწაული

„... არსებობს კიდევ ერთი სახეობა ლოცვისა – ეს არის წერილობითი ლოცვა. ვინც იერუსალიმში ყოფილხართ, ალბათ, გინახავთ გოდების კედელი, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტეობამდე არსებობდა. ესა და იდი უზარმაზარი ქვებით ამშენებული კედელი, სადაც მიდიან ებრაელები და არა მარტო ისინი, წერენ ლოცვას, თავის თხოვნას ნაპრალებში დებენ და ლოცულობენ, რომ ღმერთმა შეურულოს იგი. ქრისტიანულ სამყაროშიც იყო ასეთი წესი, როცა ადამიანი წერდა და უფალს ან რომელიმე წმიდანს ევედრებოდა.“

მოგიყვანთ ერთ მაგალითს: თქვენ იცით, მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა დიდი მამა და მღვდელმთავარი – იოანე ოქროპირი, კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის იმპერიის მთავარეპისკოპოსი. ძალიან მძიმე იყო მისი ცხოვრება. დიდება, ღვენა და შეურაცხყოფა თითქოს სულ თან სდევდა მას. ეს ის მღვდელმთავარია, რომელსაც მეფემ თავისი შესამოსელი გადასცა და ამის შემდეგ აქვე მღვდელმთავრებს ასეთი საშოისი. ის, რითაც ახლა მე ვარ შემოსილი, ესეც სამეფო შესამოსელია. ეს თეთრი არის ომოფორი. ეს ნიშნავს „მორწმუნე ერს“ და გულისხმობს იმას, რომ მღვდელმთავარი ვალდებულია, თავისი მხრით ატაროს იგი.

წმიდა იოანე ოქროპირი მეფესა და დედოფალს ამხელდა თავიანთი არასწორი მოქმედების გამო. მათ შორის იმდენად დიდიხაზა ურთიერთობა, რომ მეფემ და დედოფალმა იგი ციხეში ჩასვეს. შემდეგ გაგზავნეს შორეულ ქვეყანაში – სომხეთში; შემდეგ კი ჩამოიყვანეს საქართველოში, აფხაზეთში და იმ სოფელში მიიყვანეს, რომელსაც კომანი ეწოდება. სოხუმიდან ის დაახლოებით 15 კილომეტრითაა დაშორებული. ეს ის ადგილია, სადაც წმიდა მონაწიე ვასილისკოს წყაროა. იგი ბიჭვინთის ციხეში უნდა ჩაესვათ. იქ წმიდა იოანე ოქროპირმა თავისი უკანასკნელი წირვა შეასრულა და წარმოთქვა ისტორიული სიტყვები: „დიდება ღმერთს ყველაფრისათვის“ – ესე იგი, სიხარულისთვის, ნამებისთვის; დიდება და მადლობა შესწირა უფალს და იქ გარდაიცვალა. დღესაც არის ქვის სარკოფაგი, რომელშიც წმიდა იოანე ოქროპირი იყო ჩასვენებული და იქვე, საკურთხეველთან იყო დაკრძალული.

გავიდა თითქმის 40 წელი. სამეფო ტახტი უკვე მეფე-დედოფლის შვილს ეკავა. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა, პროკლემ, მიმართა ახალ მეფეს, გადმოეცა ერთი წმიდა იოანე ოქროპირი კონსტანტინოპოლში, დაავა-

რუნთ იგი თავის კათედრაზე. მართლაც, იმპერატორმა გამოგზავნა დელეგაცია. ამოთხარეს ის ადგილი, ნახეს სარკოფაგი და იხილეს უხრწნელი სხეული წმიდა იოანე ოქროპირისა. რა თქმა უნდა, იმ სარკოფაგს ვერ ნაიღებდნენ, რადგან, ძალიან მძიმე, შესაძლოა, ტონაზე მეტიც ყოფილიყო. მათ სურდათ, ამ სარკოფაგიდან ამოეღოთ წმიდა იოანე ოქროპირის სხეული და კონსტანტინოპოლში გადაესვენებინათ. მაგრამ, მოხდა სასწაული: წმიდა იოანე ოქროპირის სხეული ვერავითარი ადამიანური ძალით ვერ ამოიღეს სარკოფაგიდან. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ წმიდა იოანე ოქროპირი არ სურდა უკან დაბრუნება. ისევე დაბრუნდა დელეგაცია კონსტანტინოპოლში და ყოველივე მეფესა და მთავარეპისკოპოსს პროკლეს მოახსენეს – წმიდა იოანე ოქროპირი, როგორც ჩანს, განრისხებულია და არ გვპატიობსო. მაშინ მთავარეპისკოპოსმა პროკლემ ურჩია მეფეს – მისწერე წერილი როგორც ცოცხალს და შენი მშობლების სახელით პატივს სთხოვეო. მართლაც, მეფემ დანერა წერილი, მოანერა ხელი, დასაცა თავისი სამეფო ბეჭედი და ხელმეორედ დასაშვიდა დელეგაცია საქართველოში, აფხაზეთში. და აი, მოხდა სასწაული – როგორც კი ეს წერილი ხელში ჩაუდეს, თავისუფლად ამოიღეს მისი წმიდა ნეშტი სარკოფაგიდან და კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს. ეს იმის ნიშანი იყო, რომ წმიდა იოანე ოქროპირმა აპატია და შეუწოდო ის ცოცხალი, რომელიც ჩაიდინეს ამ მეფის მშობლებმა.

ეს მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ ლოცვას ძალიან დიდი ძალა აქვს. მე წმიდა მოვმართოთ თქვენ და მოვცეთ ლოცვა-კურთხევა, გარდა იმისა, რომ ჩვენ უფლის მიმართ ვლოცულობთ, მივმართავთ ყოველწმიდა ღვთისმშობელს, მივმართავთ აგრეთვე წმიდანებს – წმიდა ნიკოლოზს, წმიდა პანკრეტიმონს, წმიდა გიორგის და სხვებს, როცა დაგებდებთ სურვილი, გეძიძლიათ, დაწეროთ წერილი და დადოთ წმიდა ადგილზე, სადაც ხატები დაბრძანებული, სადაც ლოცულობთ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, იმ ხატთან დადოთ, რომელ წმიდანსაც მიმართავთ; მთავარია, გულისით სთხოვოთ, გულისაგან ამოვიდეს თქვენი ლოცვა. უფალი, ღვთისმშობელი თუ ეს წმიდანი აუცილებლად შეისმენს მას. გეძლევათ ლოცვა და კურთხევა, რომ ხშირად გამოიყენოთ ეს მაგალითი, რომელიც მე მოგახსენეთ და გაგახსენეთ. ამას ძალიან დიდი ძალა აქვს...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის კადავანიდან

მოქალაქი გვირგვინს

კითხვა: შეიძლება თუ არა დიდმარხვის დროს მხოლოდ ოთხშაბათსა და პარასკევს ვიმარხულო მკაცრად?

პასუხი. თვითნებურად ნუ დაიკანონებთ მარხვის ფორმას – შეათანხმეთ მოძღვართან. თუ გაქვთ სერიოზული მიზეზი, მოძღვარი შესაბამის რჩევა-დარიგებას მოგცემთ და თავად დაგინებთ მარხვის კანონს. თვითნებური საქციელი, მით უმეტეს, საეკლესიო საკითხებში, დაუშვებელია მორწმუნე ქრისტიანისთვის.

კითხვა: დღეს ძალიან ხშირად ხდება გარდაცვლილი საერო პირის ეკლესიაში და-



სვენება და იქიდან გამოსვენება. ეს ერთგვარ პატივისცემად იქცა. როგორ უყურებს ამას ეკლესია?

პასუხი: ეს ქრისტიანული ტრადიციაა. საქართველოში ყველა ქალაქსა და სოფელს თავი-ნი ეკლესია ჰქონდა, სადაც ადამიანები აღნიშნავდნენ თავის ჭირსა და ღვინს. ტაძარი იყო ყველა მნიშვნელოვანი ქმედების ცენტრი. ეს ტრადიცია ცნობილი მიზეზების გამო მოიშალა, ახლა კი, საბედნიერად, ისევ აღსდგა.

კითხვა: ცოდვად ხომ არ ჩაგვეთვლება, თუკი სასულიერო პირს, რომელიც არცთუ ისე გამოცდილია და რაღაცას არასწორად აკეთებს, მივუთითოთ ამის შესახებ?

პასუხი: სჯობს, ამგვარი საქციელისგან თავი შეიკავოთ. წმინდა მამების გადმოცემით, შეგიძლიათ, თუკი მღვდელი თქვენი ახლოდელია, მხოლოდ სიყვარულით მიანიშნოთ.

კითხვა: უნდა ვაპყუროთ თუ არა სახლში მოტანილი ნებისმიერ პროდუქტს ნაკურთხი წყალი?

პასუხი: სახლში მოტანილ პროდუქტს აუცილებლად გადასახეთ ჯვარი. კარგია ნაკურთხი წყლის პყურებაც.

ჭეშვარიტი სარწმუნოება

რა მიიშობა ფუნდის პინიკოპოსა ანდრია ცოდვით დაჯიშობა ავადმჯანავა

ღვთისმშობლის ანდრია ცხოვრება სათნოების მრავალი გმირებით იყო აღბეჭდილი. ქალწულწმინდის დაცემა მისთვის სიფხიზის წმიდა საზრუნავის წარმოადგენდა. როდესაც ეპისკოპოსად აკურთხეს, მას არ უნდოდა, ერთი მონაზვნისთვის (რომელიც დიდხანს ცხოვრობდა მასთან) მზრუნველობის მოკლება და, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული თავის და ამ მონაზვნის ღვთისმოსაობაში, ნება დართო, საეპისკოპოსოში დარჩენილიყო. კაცობრიობის უძველესმა მტერმა გააძნევეს, ამით ესარგებლა და მის გულში ცდუნება ჩაედო. ეპისკოპოსის წარმოსახვაში იმდენად ხშირად აცოცხლებდა ამ ქალის სახეს, რომ, დასაძინებლად დანოლოლს, მოსვენებას არ აძლევდა.

ერთხელ, კამპანის მხრიდან რომში მიმავალ იუდეველს აპატი უნდა გაეცყო. როდესაც მან ფუნდის მთას მიადგინა, მოსალაშობდა კიდევ და, სხვა თავმესაფარი რომ ვერ იპოვა, დასაცემებლად აპოლონის საკურთხეში შეჩერდა. თუმცა ჯვრის ძალის არ სწამდა, მაგრამ, იმდენად ემბოდა ამ ეპისკოპოსის ბუდეში შესვლის, მაინც გადაინერა პირველად. შუალამისას, როდესაც ღამის სიჩქოთი შემიწებულმა, ვერაფრით მოახერხა დაძინება, დაიხანა, რომ საკურთხეში აუარება ბოროტი სული მოვიდა. ისინი აშალავით მოწყვებოდნენ თავიანთ წინამძღოლს, რომელიც შუა ადგილზე დადგა და სხვებს დაუწყო გამოკითხვა, ვინ რა ბოროტება ჩაიდინა. თითოეული ბოროტი სული პასუხობდა, რომ მან მოახერხა კეთილშობილი ადამიანის ცდუნება. დადგა იმ სულის ჯვრიც, რომელიც ანდრიას ალუძრავდა ხორციელ ვენებას საეპისკოპოსოში მცხოვრები მონაზვნის მიმართ. ბოროტ სულთა უფროსი ხარბად ისმენდა ამ ამბავს და განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევდა წმიდა ადამიანის შეცდენას. ამ დროს სული გამოტყდა, რომ, მისი დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ ერთს მიაღწია – წინა საღამოს ეპისკოპოსი ვენებთან ფიქრში შეეხო მონაზვნის. მაშინ ბოროტმა სულმა ამ ამბის მახარობელს დაუწყო დარწმუნება, ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე, ასეთი გამორჩეული სულის დაღუპვისთვის კი განსაკუთრებულ პატივს ჰპირდებოდა. იუდეველი ყველაფერს აშკარად ხედავდა. მშობა აიტანა, როდესაც მორძანებულმა სულმა სხვებს დააჯალა, გაეგოთ, ვინ გახდა მათ სამსხვერპლოში ღამის გათვა. ბოროტი სულები მიუახლოვდნენ იუდეველს, ნახეს, რომ ის დაცული იყო ჯვრის ნიშნით და შემიწებულებმა ნამოიხანეს: „ოჰ, ეს ცარიელი დაბეჭდილი ჭურჭელი!“ ამ სიტყვებზე ბოროტი სულები გაქრნენ. ეს ნახა თუ არა, იუდეველი ეპისკოპოსისკენ გაემგზავრა, რომელიც ეკლესიაში დაუხვდა. დაუწყო გამოკითხვა, განსაკუთრებით რომელი ცოდვა ტანჯავდა მას. ეპისკოპოსის შერცხვა, ელიარებინა თავისი განსაკუთრებული ცდუნება. მაშინ იუდეველი თვითონვე მოუყვა, რომ ღირს მამას მონაზვნისადმი უღირსადი სიყვარული ტანჯავდა. ხოლო, რაკი ეპისკოპოსი არ აღიარებდა სიბარბელს, იუდეველმა უთხრა: „რატომ არ აღიარებ იმას, რასაც გეკითხები? განა გუშინ არ მიხვედი ისეთ ცდუნებამდ, რომ თასს ნება დართე ვენებთან ფიქრში შეხებოდი მონაზვნს?“ ეპისკოპოსი მიხვდა, რომ ამხილეს და მოერიდა და აღიარა ყველაფერი, რასაც უარყოფდა. იუდეველმა მოუთხრო, როგორ გაიგო ამის შესახებ, რა გაიგონა ბოროტი სულების მეკრებაზე, რადგან, სურდა, წმიდა ანდრია გადაერჩინა. სიხანულობითა და ლოცვით მოიდრიკა მუხლი ეპისკოპოსმა, ბრძანა, საეპისკოპოსოდან გაეყვანათ არა მხოლოდ ის მონაზონი, არამედ ყველა სხვა ქალც, რომლებიც მის მორჩილებაში იყვნენ. ეპისკოპოსმა ანდრია აპოლონის საკურთხეში წმიდა ანდრია მოციქულის სახელობის ტაძარი მოაწყო. იგი სრულიად გათავისუფლდა ხორციელი ვენებისგან; იუდეველი, რომელმაც ის ამხილა, განაზნა ნაილობის წყალში და წმიდა საიდუმლოების ღირსი განხადა, რითაც წმიდა ეკლესიის ნიაღმი მიიღო.

მოამზადა რაპუა ტომარაპამ



რომაელი „იპაერაბორი“ - ფრანკესკო ტოტი

„რომას“ ლეგენდარულ კაპიტანს ფრანკესკო ტოტის, იტალიის ჩემპიონის რომაული გუნდის რიგებში და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონის „სკუადრა აძურასთან“ ერთად, მალე 38 წელი შეუსრულდება. უბერებელი ფეხბურთელის კონტრაქტი 2016 წელს იწურება, მაგრამ, შესანიშნავ ფორმაში მყოფი ტოტი არ გამოირცხავს, რომ იტალიის ნაკრებში დაბრუნდეს და 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშოს.



* ფრანკესკოს დედა, ფიორელა, ბავშვობიდან „რომას“ ქომაგი იყო. როდესაც ფრანკესკოს 10 წელი შეუსრულდა, მას სამი შემოთავაზება ჰქონდა, უნდა აერჩია სამი კლუბიდან: „მილანი“, „რომა“ ან „ლაციო“. სამივე კლუბი ფრანკესკოს ბავშვთა აკადემიაში სწავლას სთავაზობდა შემდგომ მთავარ გუნდში გადაყვანის პერსპექტივით. ჩესკო „მილანისკენ“ იხრებოდა და, რომ არა დედა, შესაძლოა, ის „მილანში“ ჩარიცხულიყო, თუმცა, საბოლოოდ „რომა“ აირჩია.

* არსებობს სტერეოტიპი, რომ ფეხბურთელები ძირითად დროს სპორტს უთმობენ და სწავლას თავს ანებებენ. ფრანკესკო ტოტი ამ სტერეოტიპს ამსხვრევს. მან ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, თუმცა მალევე ამოყო თავი „რომას“ ძირითად გუნდში და დროებით მოუწია სწავლის მიტოვება.

* ერთ-ერთ ინტერვიუში ფრანკესკო ტოტიმ გაიხსენა შეხვედრა რომის პაპ იოანე-პავლე მეორესთან. სკოლის მოსწავლე ფრანკესკოს რომის პაპმა შუბლზე ხელი დაადო და აკოცა. ჩესკოს მტკიცებით, ეს არის ყველაზე ნათელი მომენტები თავისი ბავშვობიდან.

* ფრანკესკო ტოტის მთელი კარიერა ერთ კლუბში აქვს გატარებული და „რომასთან“ ერთად ის 12 ტიტულის მფლობელია. 2004 წელს ტოტის „რეალში“ ტრანსფერზე იყო საუბარი და თითქოს წინასწარი შეთანხმებაც არსებობდა სამეფო კლუბთან, თუმცა, ბოლო მომენტ-

ში ფრანკესკომ მადრიდში გადასვლაზე უარი განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მას სამწავ ხელფასს სთავაზობდნენ.

* რამდენიმე წლის წინ ფრანკესკო ტოტიმ საკუთარ თავზე შეთხზული ანეკდოტების წიგნი გამოსცა, რომლის მთელი ტირაჟი გაიყიდა. შემოსული თანხა ფრანკესკომ ქვემოქმედებას მოახმარა.

* 2005 წელს ფრანკესკო ტოტი ცნობილ იტალიელ მოდელსა და ტელენამეცვანზე, ილარი ბლავიზე დაქორწინდა. ქორწილი „სკია იტალიას“ ტელეეთერში გადაიკეზმოდა და ის 1,5 მილიონმა ადამიანმა ნახა. ტრანსლაციის უფლებისთვის ტელეკომპანიამ 240 ათასი ევრო გადაიხდა და ეს თანხა მთლიანად მოხმარდა შინაური ცხოველების დაცვის ფონდს.

* საინტერესოა, რომ ფრანკესკოს გაცნობამდე ილარი ბლავი „რომას“ მონინააღდგის, რომის „ლაციოს“ ქომაგი იყო, თუმცა, ჩესკოს გაცნობის შემდეგ მისი სიმპათიები „რომასკენ“ გადაიხარა. წყვილს ორი შვილი ჰყავს: კრისტინი და შანელი.


* 2009 წელს მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში ფრანკესკო ტოტის ცვილის ფიგურა დაიდგა. ორიგინალური ფიგურა ლონდონშია გამოტანილი, ხოლო ასლი – რომში.

* ფრანკესკო ტოტი რამდენიმე ფილმშია გადაღებული. 2007 წელს ის „საფეხბურთო მწვრთნელ 2-ში“ გამოჩნდა ეპიზოდურ როლში, ერთი წლის შემდეგ კი ტელესერიალში „მე - ცეზარი“. ცნობისთვის, რომელი კლუბის ქომაგები ერთგულელებისთვის ტოტის „იმპერატორს“ უწოდებენ.

* თავისუფალ დროს ჩესკო ძმასთან, რიკარდოსთან ერთად „სონი ფლეისტიმენს“ ან ბილიარდს თამაშობს, შვილებთან ერთად იტალიურ კომედიებს უყურებს, ხოლო კერძებიდან ფრანკესკო ტოტი უპირატესობას პასტას და ლაზანიას ანიჭებს.

ირინა შვიკის ახალმა ფოტოსესიამ კრიტიკაზე რონალდუ გაალიზიანა

ცნობილი მოდელის, ირინა შვიკის ახალმა გულახდილმა ფოტოსესიამ კრიტიკაზე რონალდუს უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია. შვიკის სეირი ადამიანთა მონანილეობს პიკანტურ ფოტოსესიებში და რონალდუს მხრიდან მას პრობლემა არ



ჰქონია, თუმცა ამჯერად მოდელი სრულიად შიშველი პოზირებდა ამერიკელ მუსიკოს არ კელისთან ერთად, რამაც რონალდუ გაალიზიანა. „იგი ერთადერთია ჩემთვის და სხვა მამაკაცებს მე არ ვაქცევ ყურადღებას,“ - მაშინვე დაამშვიდა თავისი საქმრო შვიკმა.

ველს სუთელი

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა პელებმ საკუთარი ვერსიით, ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ხუთი ფეხბურთელი დასახელა. პელებს მიერ დასახელებულთა შორის, მის მიერ ხშირად გაკრიტიკებული არგენტინელი დიეგო მარადონაც აღმოჩნდა, სულ კი ხუთეული ასე გამოიყურება: იოჰან კრუიფი, ბობი მური, ფრანც ბეკენბაუერი, დიეგო მარადონა და ზინედინ ზიდანი.

შვედური მანკა იზაპიომოვიჩისთვის

შვედეთის ფოსტამ სპეციალური საფოსტო მარკები გამოსცა, რომლებზეც ფეხბურთელი ზლატან იბრაჰიმოვიჩია გამოსახული. მარკების გამოსვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა შვედეთის ნაკრებისა და ფრანგული



პსჟ-ს თავყვანისმცემელთა მხრიდან და თითქმის მთლიანი ტირაჟი ერთ დღეში გაიყიდა. მარკებზე ზლატან იბრაჰიმოვიჩი სხვადასხვა ფორმაშია გამოსახული, ძირითადად კი გოლის გატანის ან მისი აღნიშვნის დროს. ერთ-ერთ მარკაზე აღბეჭდილია ფრანგმენტი შვედეთი-ინგლისის მატჩიდან, როცა ზლატანმა 2012 წლის საუკეთესო გოლად აღიარებული ბურთი გაიტანა ტექნიკურად ურთულესად შესრულებული დარტყმით.

ვენეცია იტალიისგან გამოყოფას აქლავს ხვას

სულ ახლახან, ვენეციის რეგიონში ჩატარდა ელექტრონული რეფერენდუმი, რომელზეც მოსახლეობის 80-მა პროცენტმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს – „რესპუბლიკა ვენეტოს“ შექმნას მისცა ხმა. ძირითადი მიზეზი ეკონომიკურია – ყოველწლიურად რეგიონი, გადასახადების სახით, 71 მილიარდ ევროს უხდის რომს, თავად კი მხოლოდ 21 მილიარდს მოიხმარს. ადგილობრივი აქტივისტების აზრით, ვენეტოს თავისუფლად შეუძლია თავი ტურიზმით ირჩინოს. რა თქმა უნდა, ელექტრონულ რეფერენდუმს ლეგალური პოლიტიკური ძალა არ აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვენეციის რესპუბლიკა 1 000 წლის განმავლობაში არსებობდა – 1797 წლამდე, სანამ ნაპოლეონის ჯარებმა მისი უკანასკნელი დოჟი არ ჩამოაგდეს. აყვავების პერიოდში ვენეცია გავლენიანი სავაჭრო ძალა იყო არა მარტო ხმელთაშუა ზღვაში – ის აკონტროლებდა ძირითად საზღვაო გზებს და უამრავ კოლონიასაც ფლობდა.

ველაზე ელი ვალი მსოფლიოში

დიდი ვალი გაქვთ და ცხოვრება კომპარად გექცათ? თქვენი ვალი, უბრალოდ, ხურდა ფულია აქვთ კერძოების ვალთან შედარებით. ყოფილ ფინანსურ ტრეიდერს ზოლანეტაზე ყველაზე მეტი თანხა აქვს გადასახდელი – 6 მილიარდი „შვანა“. 2007-2008 წლებში, როდესაც კრედიტი ფრანგულ ბანკ „სოსიეტე ჟენერალში“ მუშაობდა, 50 მილიარდ ევროს მართავდა. თუმცა მან ამ თანხას სულ სხვა მიმართულება მისცა და რთული სექტორში, საბანკო მაკინატივით, სხვის კომპიუტერებში შეღწევით არასანქცირებული საქმეები „გაჩალიჩა“...

ჟერომმა სულ ახლახან ნაგას სასამართლოში აპელაცია, სადაც „სოსიეტე ჟენერალს“ ედავებოდა, რომ ყველაფერი ბანკში გამეფებული კორუფციის გამო მოხდა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ერთი ადამიანისთვის ასეთი დიდი თანხის გადახდა შეუძლებელია. ასე რომ, ჟერომს მთელი თავისი სიცოცხლე სიზიფეს შრომის განცვა მოუწევს და მხოლოდ ვალის გადასახდელად იმუშავებს.

გვერდი მოაზადა უშანგი რუსუკაძე



„ფორბსის“ 2014 წლის რეიტინგიდან ამოკარგნილი ბიზნესმენები

უურნალობა „ფორბსმა“ იმ ბიზნესმენების გან შედგარი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლებიც ვერ მოხვდნენ 2014 წლის მილიარდერების ჩამონათვალში. წლევეანდელ რეიტინგში ახალწვეული მილიარდერების რაოდენობამ 268 შეადგინა, ხოლო წინა წლის სიიდან ადგილები 100-მა ექსმილიარდერმა დათმო.

იკია ბატისტა (ბრაზილია) – დანაკარგი 10,3 მილიარდი დოლარი

2012 წელს ბრაზილიელი სამთო-მომპოვებელი კომპანიის მფლობელი იკია ბატისტა, 30 მილიარდი დოლარით, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს შორის ფიგურირებდა, ამჟამად კი მისი კაპიტალი 300 მილიონ დოლარს შეადგენს. გასულ წელს, ანუ, მას შემდეგ, რაც 2013 წლის შემოდგომაზე კომპანია ბანკროტად გამოცხადდა, მან დარჩენილი 10,3 მილიარდი დოლარი დაკარგა.



ოლავ ტონი (ნორვეგია) – დანაკარგი 5,75 მილიარდი დოლარი

ნარსულში ნორვეგიის უმდიდრესი ადამიანი ერთადერთია აღნიშნულ რეიტინგში, რომელიც თვითნებურად გამოეთხოვა მილიარდიან კაპიტალს: უძრავი ქონებისა და სასტუმროების ბიზნესის ყოფილმა მმართველმა თითქმის 6-მილიარდიანი კაპიტალი ქველმოქმედებას დაუთმო, ხოლო თავისთვის მხოლოდ 250 მილიონი დოლარი დაიტოვა.

ვიმპორ ნუსანისი (რუსეთი) – 1,85 მილიარდი დოლარი

რუსმა მილიარდერმა გასულ წელს, პრაქტიკულად, მთლიანად დათმო თავისი აქტივები – სანახშირო და მეტალურგიული კონკლომერატების მფლობელი მიხაილ ფრიდმანის „ალოფა-გრუპმა“ შთანთქმა და ამჟამად „ფორბსი“ ნუსენისის აქტივებს 215 მილიონ დოლარად აფასებს.

როპარტ ფრიდლანდი (აშშ) – დანაკარგი 850 მილიონი დოლარი

ამერიკელი მენარმის კაპიტალი 850 მილიონი დოლარით შემცირდა და ამჟამად მისი ქონება 950 მილიონად არის შეფასებული. ფრიდლ-

ანდმა დაკარგა სამთო-მომპოვებელი კომპანიის საძარბო ბერეკეტები და სინგაპურში გადასახლდა.

პაპილ კორაკივალა (ინდოეთი) – 950 მილიონი დოლარი

ინდოელმა ფარმაცევტულმა მილიარდერმა გასულ წელს 1 მილიარდამდე დოლარი დაკარგა. ბიზნესმენი უკანონო საქმიანობაში ამხილეს, რამაც გავლენა იქონია მისი კომპანიის პრესტიჟსა და აქციების ფასის დაცემაზე.

აიაკლ ჩანგი (ჩინეთი) – დანაკარგი 900 მილიონი დოლარი

ჩანგის კომპანია ეკრანებით ამარაგებს „ფელის“ კომპანიას, თუმცა, ასეთმა ბიზნესგარიგებამ მაინც ვერ გადაარჩინა ის სტაგნაციისგან და მაიკლ ჩანგმა 900-მილიონიანი ზარალი განიცადა.

აინოი ბარგავა (აშშ) – დანაკარგი 700 მილიონი დოლარი

ბარგავა ენერჯეტიკული სასმლის – „5 აუარ ენერჯის“ მფლობელია, თუმცა, სასმლის ფენომენი დაიწყებას მიეცა, რადგან ბარგავა გარკვეულ დარღვევებში დაადანაშაულებს და კომპანიამ, უზარალოდ, მომხმარებლის ნდობა დაკარგა, რაც მისი მფლობელის კაპიტალზე აისახა.

ბრაე უსტონი (აშშ) – დანაკარგი 600 მილიონი დოლარი

მილიარდიანი კაპიტალი გრემ უესტონმა „ვეკ-ჰოსტინგზე“ გააკეთა. ამჟამად მისი კომპანიის აქციების ფასმა მნიშვნელოვნად დაიკლო და ამან იქონია გავლენა მის კაპიტალზე.

ტ. პუნ პიკენსი (აშშ) – დანაკარგი 300 მილიონი დოლარი

ქარის ენერჯიაში ინვესტიციების დაბანდებათ, ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა სანავთობო და გაზის მაგნატმა თავისი კაპიტალის დიდი ნაწილი დაკარგა. ტენსელ მენარმეს ამჟამად რთული პერიოდი უდგას.

დავიდ უილიამ ბრაიენჯარი (აშშ) – დანაკარგი 250 მილიონი დოლარი

გრენიჯერი სამენარმეო რიტეილ-კომპანია „W.W. გრენიჯერის“ უმსხვილესი აქციონერია, იგი 1952 წლიდან უდგას სათავეში საოჯახო ბიზნესს. ამჟამად კომპანიას რთული პერიოდი უდგას და, ამბობენ, რომ მისით უორენ ბაფეტის სტრუქტურები დაინტერესდნენ.

ლაიპე პრონოუსაი: ბიზნესი „ნოს“ კავშირი და პოლიციის ბოლო წვდომის საუკეთესო რეჟისორი

რეჟისორი დარენ არონოფსკი ფსიქოლოგიური ფილმებით გახდა ცნობილი. მისი ისტორიები ადამიანებზე, რომლებიც კარგავენ კავშირს რეალობასთან ნერვული აშლილობის ფონზე, იმდენად ღრმად და ფილოსოფიურია, რომ მათი დავიწყება შეუძლებელია. ყოველ ახალ ფილმში იგი თავისი მრავალმხრივი ნიჭის დემონსტრირებას ახდენს. „შავი გედისა“ და „რესტლერის“ შემქმნელის ახალ ფილმს „ნოე“ შევია და მისი მოვითხოვობს მიბლოკირებას და მისი კიდობნის ისტორიას ახლებურად, პოლი-ვულური ხედვით.

* დარენ არონოფსკი დაიბადა 1969 წლის 12 თებერვალს, ნიუ-იორკში მისი მშობლები სკოლის მასწავლებლები იყვნენ და შვილის აღზრდისას პროირიტეტი განათლებას ენიჭებოდა. ედვარდ მეროუს პრესტიჟული სკოლის დამთავრების შემდეგ დარენი ერთი წლით სამოგზაუროდ გაემგზავრა ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში, საიდანაც 1987 წელს დაბრუნდა და პარფიანის უნივერსიტეტში მოეწყო, სადაც კინოს, ანიმაციისა და ანთროპოლოგიის შესწავლას შეუდგა. სტუდენტობის პერიოდში დარენმა პირველი ფილმების გადაღება დაიწყო. 1990 წელს მან გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სუპერ-მარკეტის წმენდა“, ხოლო 1991 წელს – „ნამცხვარი წინასწარმეტყველებით“. ორივე ფილმმა ავტორს აღიარება მოუტანა.



* 1991 წელს დარენ არონოფსკი ლოს-ანჯელესში გაემგზავრა და ამერიკის კინო-ელეფანტის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა; 1995 წელს კი ახალგაზრდა რეჟისორმა მუშაობა დაიწყო თავის პირველ სრულმეტრაჟიან ფილმზე – „პი“. არონოფსკიმ ფილმი მეგობრებისგან მიკროფილმი 100-100 დოლარით გადაიღო. სიურეალისტურმა თრილერმა გაქირავებიდან ავტორს დიდი წარმატება და ფინანსური მოგება მოუტანა – 3 მილიონი დოლარი.

* დარენ არონოფსკის ფილმები: „ოცნებების რეჟიმი“, „შადრევანი“, „რესტლერი“, „შავი გედი“ და თითოეული მათგანი საკულტოა. * დარენ არონოფსკის ახალ ფილმში „ნოე“ მთავარ როლებს რასელ ქროუ, ენტონი ჰოპკინსი, ჯეინიფერ კონელი და ემა უოტსონი ასრულებენ. * ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარენ არონოფსკი მსახიობ რეიჩელ უაიზს ხვდებოდა. 2006 წელს წყვილი დაქორწინდა და მათ ერთი საერთო შვილი ჰყავთ. 2010 წელს დარენი და რეიჩელი დამორჩნენ. ამჟამად რეიჩელ უაიზი დენიელ კრეივის მეუღლეა. * 2005 წელს დარენ არონოფსკიმ უარი განაცხადა „ბეტმენის“ ახალი ტრილოგიის გადაღებაზე და პროექტი კრისტოფერ ნოლანს დაუთმო, რომლის „ბეტმენმა“ საკულტო ფილმის სტატუსი მოიპოვა. * „შავი გედი“ დარენ არონოფსკის კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე მომგებიანი ნამუშევრად ითვლება – 13-მილიონიანი ბიუჯეტის ფილმმა კინოგაქირავებაში 320 მილიონი დოლარი მოგება მოუტანა პროდიუსერებს.

* ცნობილია, რომ დარენ არონოფსკის ჰონორარმა ფილმისთვის „ოცნებების რეჟიმი“ 50 ათასი დოლარი შეადგინა.

გვერდი მოამზადა შუანგი რუსაკიძე

მსოფლოდ ფაქტები

* კუნძულ სანტა იზაბელზე მალანეზიაში ადგილობრივ ტომებს, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მარტივი ქორწინების ცერემონიალი აქვთ. სიძე-პატარძალს ბელადი ერთმანეთს თავებს მიარტყმევენებს და ოჯახიც იქმნება. ინდოეთში ტომების ცერემონიის დროს მომზადებულია სპეციალური ჯამი ნითელი საღებავით, რომელიც სტუმრები ხელს ჰყოფენ და ანაბეჭდს კედელზე ტოვებენ.

ოღენობის თვითმფრინავი ყველა აეროპორტის ბაღანსზე ორიცხვობდა... ადელერის ვარდა.

* მეოცე საუკუნის „ყველაზე მოლაპარაკე პოლიტიკოსად“ ევროპელები ხრუშჩოვს მიიჩნევენ.

* მსოფლიოში ყველაზე სიტყვაძუნები აფრიკელი ბედუნები არიან, რადგან ლაპარაკის დროს ორგანიზმიდან საკმაო რაოდენობით წყალი ორთქლდება.

* ჩვეს ნელთარიცხვამდე 585 წლის 28 მაისს მიდილებსა და ლიდილებს შორის მომხდარი ბრძოლის თარიღი ზუსტად განსაზღვრეს მეცნიერებმა – ამ დროს მომხდარი მზის დაბნელების მიხედვით.

* მარკების შეგროვების ჰობს საფუძველი 1841 წელს „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულმა განცხადებამ ჩაუყარა, რომლითაც ავტორი საძიებელი ოთახის კედელზე გასაკრავი მასალის შოვნაში მკითხველს დახმარებას სთხოვდა.

* ნორვეგიის ქალაქ ბერგენში საცხოვრებელი სახლების კარებზე გვართავ ერთად მცირეწლოვანი ბავშვების დედების სურათებიცაა გამოკრული – დაკარგულმა ბავშვებმა რომ სახლი ადვილად ამოიკნონ.

* 1941 წელს მეფე-ზარბაზანი გადაღებეს, რომ ღამით მთვარის შუქი არ აერეკლა და ფაშისტი ბომბდამხმენებისთვის სამიზნე არ გამოხდარიყო.

* რუსი მწერლები – ლევი და ალექსეი არა მარტო მოგვარეები იყვნენ (ტოლსტოი), არამედ მათ ცოლებსაც ერთი და იგივე სახელი და მამის სახელები ჰქონდათ – სოფია ანდრეევნა.

* სინგაპურის ლიფტებში სპეციალური მონეტობლობები დამონტაჟებული. იმ შემთხვევაში, თუ ლიფტის კაბინა ისე გამოიყენებენ, როგორც ტუალეტს, კარი ავტომატურად დაიბლოკება და მილიციას გამოძახების სიგნალი მიეწოდება.

* ყველასთვის ცნობილია, რომ ალფრედ ნობელმა მთელი თავისი ქონებით, რომელიც დინამიტის წარმოებით დააგროვა, თავისი სახელის პრემია დააფუძნა. ცოდვების გამოყენების მიზნით, ასევე მოქცა უსუკერი, რომელმაც ქონება გაიანას შაქრის პლანტაციებში შაკანინი მონების შრომით დააგროვა.

* საბჭოთა კავშირის დროს გარკვეული რა-



რა ვაჟამთ ორგანიზმში რკინის ნაკლებობის შესავსებად და ვაჟამთ ორგანიზმის დონის ასამაღლებლად

ორგანიზმისთვის რკინა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ლითონია. ის შედის ბევრი ფერმენტის შემადგენლობაში, რომელთა წყალობითაც ნორმალურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა. ამ მიკროელემენტების დაახლოებით 60 პროცენტს არის ჰემოგლობინში, დანარჩენ პროცენტს კი ადამიანის ორგანიზმში ინახავს ღვიძლში, ელენთასა და სხვა ორგანოებში.

რკინის უკმარისობის შემთხვევაში, ადამიანის ორგანიზმში საგრძნობლად ქვეითდება ჰემოგლობინის დონე, რასაც რკინადეფიციტური ანემია ანუ სისხლნაკლებობა ჰქვია. ამ დროს მკვეთრად ირღვევა ორგანიზმის ფუნქციები. განსაკუთრებით საშიშია რკინის ნაკლებობა ორსულ ქალებსა და ბავშვებში. თუ კანისა და ლორწოვანი გარსის სიფერმკრთალე, მომატებული გადაღლა, შრომის უნარის დაქვეითება, სისუსტე, აპათია, ყურადღების მოდუნება, ხშირი გაღიზიანება, მსხვერვადი ფრჩხილები, პრობლემური კანი, სუსტი თმა, პირის კუთხეებში ნახეთქები, თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, მარილიანი, მწარე, ცხარე კერძების სიყვარული აგეკვიტათ, ესე იგი, უნდა ივარაუდოთ, რომ ორგანიზმში რკინა გაკლიათ.

ორგანიზმში რკინას საკვებთან ერთად იღებს, მასზე მოთხოვნა კი დამოკიდებულია ასაკსა და სქესზე. საკვებით ორგანიზმს ყოველდღე მიეწოდება 15 მილიგრამამდე რკინა. ყველაზე კარგად რკინის ათვისება ხდება უცხიმო, ნითელი ხორციდან, საქონლის ღვიძლიდან, ქათმის კვერცხიდან, წინიბურადან, ლეღვიდან, მსხლიდან, ვაშლიდან, ასკილიდან და სოკოდან.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები შენიშნეთ, სასწრაფოდ ჩაიტარეთ სისხლის ანალიზი და დაადგინეთ ზუსტი დიაგნოზი, რათა რკინის ნაკლებობამ მომავალში სერიოზული პრობლემები არ შეგიქმნათ.

რა ინვაზს ნაწილის მკვითრ ცვალებადობას

წნევის გაზომვისას ვაფიქსირებთ ორ სიდიდეს: პირველ ჩვენებას ეწოდება სისტოლოგიური წნევა, ანუ, გულის კუნთების შეკუმშვის მომენტი, მეორეს – დიასტოლოგიური, ანუ, გულის კუნთების მოდუნების მომენტი. ნორ-

მალურ წნევად ითვლება 120/80. მართალია, ექიმებს დღემდე ბოლომდე ვერ ამოუხსნიათ ჰიპერტონიული დაავადების მიზეზი, მაგრამ, ცნობილია მისი გამომწვევი ძირითადი მექანიზმები.

რატომ იწვევს წნევა მაღლა? წარმოიდგინეთ, რომ თქვენ რწყავთ ყვავილნარს და, თუ სარწყავის პირზე ხელს მაგრად მოუჭერთ, გაიზრდება წყლის წნევა. დაახლოებით ასევე ხდება სისხლის წნევის მომატებაც.

აუცილებელია, თვალი ადევნოთ თქვენს წონას. თუ ის 30 პროცენტით აჭარბებს ნორმას, ესე იგი, თქვენ რისკის ჯგუფში ხართ. არტერიულ წნევაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალებაა მარილიანი საკვების შეზღუდვა ან კვებიდან მისი საერთოდ გამორიცხვა. გახსოვდეთ, რომ ჭამის დროს კერძში მარილის ჩამატება მავნებელია. შეზღუდეთ კონსერვების, შებოლილი ძეხვეულისა და სხვა გემრიელი, თუმცა, ჯანმრთელობისთვის მავნე საკვების მიღება. ჰიპერტონიით დაავადებულებმა დიეტაში უნდა ჩართონ კალიუმით მდიდარი, მაგრამ ნატრიუმით ღარიბი პროდუქტები. მიირთვიეთ პარკოსანი მცენარეებისგან მომზადებული კერძები, მწვანილი, სტაფილო, ჭარხალი, პომიდორი, ბანანი და ფორთხალი. შეზღუდეთ შემწვარი ხორცი. ასევე, კარგია ნესვისა და საზამთროს დიდი რაოდენობით ჭამა. საზამთროს ქერქი და თესლი ჰიპერტონიის წამალია: საზამთროს ქერქი და თესლი კარგად გაახმეთ, შემდეგ დაფქვით და ნახევარ ჩაის ჭიქა თაფლიან წყალში გაზავეთელი ფხვნილი მიიღეთ დღეში ორჯერ, ერთი თვის განმავლობაში.

ხახვიც წნევის წამალია: ერთი თავი ხახვი გაფცქვენით და ჩადეთ ანადუღარი წყლით ნახევრად სავსე ჭიქაში, დატოვეთ ერთი ღამის განმავლობაში და დროით უზმოზე დალიეთ. მკურნალობის კურსი ორი კვირაა. გარდა იმისა, რომ ხახვი დაბლა სწევს არტერიულ წნევას, აუმჯობესებს სისხლძარღვების სტრუქტურასა და შემადგენლობას.

ასევე, გახსოვდეთ, რომ არტერიულ წნევის მაღლა სწევს ზოგიერთი წამალი, მაგალითად, ანტიციდები, ცხვირში ჩასანეთებლები, ასევე, ზოგიერთი გამაყრუებელი, რომელიც კოფეინს შეიცავს.

სახსრების ტკივილს სახლის პირობებშიც აღვივად დაიავაბთ

ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა დაავადებულ სახსრებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. გარდა მედიკამენტური მკურნალობისა, შეგიძლიათ, სახსრების ტკივილს ხალხური მედიცინის საშუალებებითაც ებრძოდეთ:

ართრიტის გამწვავებისას დაგეხმარებათ ნიორი. ტკივილს იგრძნობთ თუ არა, ერთი თავი ნიორი გახეხეთ წვრილ სახეხზე და დოლბანდში განუწურეთ. მიიღეთ ათი წვეთი დღეში ოთხჯერ და დაყოლეთ თბილი რძე; ღამით კი მტკივან სახსრებზე ნიორის წვეთით გაჟღენთილი დოლბანდის საფენი შემოიხვიეთ. შეგიძლიათ, კანი წინასწარ ცხიმოვანი კრემით დაიმუშაოთ, რომ ნიორმა არ დაგწვავთ ან ალერგია არ გამოიწვიოს.

სახსრების ტკივილის დროს სამკურნალო ეფექტი გაიზრდება, თუ კანიანად მოხარშულ-

ლი კარტოფილის ნახარშს დღეში სამჯერ დაღვეთ. მიიღეთ 1 ჩაის ჭიქა დღით, უზმოზე და ძილის წინ. მოხარშეთ საშუალო ზომის 2 ცალი კარტოფილი და მისი ნახარში გამოიყენეთ.

სშირად სახსრების ტკივილს მარილების დაგროვება იწვევს, ამიტომ, კარგი იქნება, თუ სახსრების გამწმენდ პროცედურას ჩაიტარებთ ზაფხულის დასაწყისში: 10 გრამ დაფნის ფოთოლს დაასხით ორი ჩაის ჭიქა წყალი და 20 წუთი გააჩერეთ. ნაყენი, დაფნის ფოთლებთან ერთად ჩაასხით თერმოსში, შეავსეთ მძლურად წყლით და დადგით ოთხი-ხუთი საათი. შემდეგ განუწურეთ და ყლუპყლუპით დალიეთ დღეში 1 ჭიქა, 2 ან 3 დღის განმავლობაში.

რა ინვაზს გაზაფხულზე ტკინის ინფარქტის და ინსულტის რისკის მომატებას

ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვალებადობა საკმაოდ რთული გადასატანია მეტეოკომპონობიარე ადამიანებისთვის. ის უარყოფითად მოქმედებს სისხლძარღვებზე. ამ დროს, ასევე, ზიანდება ნერვული სისტემა. არ არის გამორიცხული, ეს ყოველივე ინსულტის მიზეზი გახდეს, რადგან ტკინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა ორგანიზმისთვის ძალიან ცუდი და სახიფათოა.

ზოგადად, ინსულტის ორი სახეობა არსებობს: ჰემორაგიული ანუ სისხლჩაქცევა ტკინში, რომელიც სისხლძარღვის გახეთქვის შედეგად ვითარდება, მიზეზი კი სუსტი სისხლძარღვები და მაღალი არტერიული წნევაა; ჰემორაგიული ინსულტის განვითარების დროდ ექიმებს შუადღე ან საღამო მიაჩნიათ და არა დღია; იშემიური ინსულტი ანუ ტკინის ინფარქტი, რომელიც განპირობებულია ტკინის უზნების სისხლით მომარაგების მკვეთრი შემცირებით, ან მთლიანად შეწყვეტით, ინსულტის მეორე ტიპია. ის ძალიან ხშირია და ძირითადად ღამით ან დღით ადრე ვლინდება. რისკის ჯგუფებში კი ის ადამიანები შედიან, ვისაც ანუხებთ ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია და შაქრიანი დიაბეტი.

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ინსულტის შემთხვევების რისკი იმატებს. ამ დროს არტერიული წნევა მძაფრად რეაგირებს ამინდის სეზონურ ცვლილებებზე.

სისხლძარღვების დაავადებისადმი მიდრეკილება მემკვიდრეობით გადადის, თუმცა, პროფილაქტიკით მისგან თავის დაცვა შესაძლებელია.

არტერიული წნევის მკვეთრი მომატების შედეგად, შესაძლოა, სისხლძარღვის სპაზმი განვითარდეს, რამაც, არ არის გამორიცხული, მისი გახეთქვა გამოიწვიოს. ეს კი, ტკინის ინფარქტით ან ტკინში სისხლის ჩაქცევით მთავრდება. ამისგან რომ თავი დაიცვათ, აუცილებელია, აკონტროლოთ წნევა, უარი თქვათ სიგარეტზე, კარგად გამოიძინოთ, ივარჯიშოთ და დიდი დრო დაჰყოთ სუფთა ჰაერზე. ასევე, საკვებში უნდა შეზღუდოთ მარილის მოხმარება და დააბალანსოთ კვება. ჭამეთ მცენარეული საკვები, ბევრი ხილი, ბოსტნეული და თევზი. აკონტროლეთ სისხლში ქოლესტერინის შემცველობა; მოდუნდით და ნუ აჰყვებით ემოციებს.



ქვიშის რჩევები

ტვინის ინფარქტის წინამორბედი პროცესები ხშირად ინიღბება სხვა გავრცელებული დაავადებების სახით. ამიტომ, რისკის ქვეშ მყოფმა ადამიანმა ყურადღება არ უნდა მიაღწიოს. არ ნაუყრუოთ ისეთ სიმპტომებს, როგორებიცაა: თავბრუსხვევა, გულისრევა, თავის ტკივილი, ძლიანობა, კრუნჩხვითი მოვლენები, გონების დაკარგვა და ასე შემდეგ. ეს სიმპტომები მკვეთრი და გამოხატულია ჰემორაგიული ინსულტის დროს, იშვიათად დროს კი ისინი იშვიათად აღინიშნება.

სისხლის მიმოქცევის დარღვევის გამო ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა უბნები, რაც სხვადასხვა ფუნქციას ატარებს პასუხს. შესაძლოა, განვითარდეს, მაგალითად, სხეულის დაბუყება, მეტყველების დარღვევა, სილემე ან კუნთების სისუსტე. ამიტომ, გირჩევთ, დროულად მიხედოთ ჯანმრთელობას.

ადამიანის საქსალარობასა და შრომისუნარიანობაზე ლიმფური სისტემა აკავს პასუხს

სისხლის მიმოქცევის სისტემას ორგანიზმის აუცილებელი ნივთიერებებით მომარაგება აკისრია. არტერიების საშუალებით, ყანგბადი და საკვები ნივთიერებები ყველა ორგანოსა და ქსოვილს მიეწოდება, ვენების საშუალებით კი, მათი ცხოველყოფილობის პროდუქტები გამოიღვევება. თუმცა, სისხლს ყველა არასასურველი ნივთიერება როდი გამოაქვს. შედარებით მანვე ნივთიერების უვნებელყოფა და ორგანიზმის მათგან გათავისუფლება, ლიმფური სისტემის წყალობით ხდება. სწორედ ამ სისტემაში იყრის თავს ყველა ტოქსინი, ვირუსი, მიკრობი, უჯრედთა დაშლის პროდუქტები და ასე შემდეგ.

ლიმფური სისტემის ფუნქციის შეფერხების გამო, ორგანიზმში უსიამოვნო ძვრები იწყება, კერძოდ, ფერხდება ნივთიერებათა ცვლა, მცირდება ენერჯის ხარჯვა. მკაცრი დიეტის დროსაც კი, ადამიანი თითქმის არ იკლებს წონაში. ლიმფური სისტემის ფუნქციის მოშლა მხოლოდ ინტოქსიკაციითა და შემუშებით როდი ვლინდება. ამ სისტემას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია იმუნიტეტის წინაშე – ორგანიზმში მოხვედრილი მიკრობები ლიმფურ კვანძებში გადაიტანება, სადაც მათი უვნებელყოფა ხდება. ამიტომ, ლიმფური სისტემის ფუნქციის მოშლისას, უმნიშვნელო ოფიცირებაც კი დაავადების განვითარებით მთავრდება.

იმუნიტეტის გაძლიერება ლიმფური სისტემის მწყობრში მოყვანის გარეშე წარმოუდგენელია. თუ მისი ფუნქციის ნორმალიზებაზე იზრუნებთ, ხელოვნური იმუნოსტიმულატორების გამოყენება აღარ დაგჭირდებათ. თქვენი გარეგნული ხიბლი, შრომისუნარიანობა, წონა, სექსუალურობა და გუნება-განწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიედინება თქვენს ორგანიზმში ლიმფა.

ძარღვებში სისხლი წვეთით გადაადგილდება. მის მოძრაობას გულის ტუმბოსებრი მუშაობა უზრუნველყოფს. ლიმფურ სისტემას, სისხლძარღვთა სისტემისგან განსხვავებით, ასეთი ტუმბო არ გააჩნია. ლიმფა ლიმფურ ძარღვებში ამ უკანასკნელთა კედლის

პიისპა: ვარ 25 წლის. დამიდგინდა პიპოთირეოზი და რამდენიმე წლის განმავლობაში ვიტარებდი მკურნალობას. შემდგომ ენდოკრინოლოგმა მითხრა, რომ ჩემი ჯირკვლილი გამოიმუშავებს საკმაო რაოდენობის ჰორმონებს და კორექციას აღარ საჭიროებს. გავიდა 2 წელი. უნდა გავიკეთო თუ არა ანალიზები?

პასუხი: რა თქმა უნდა, სასურველია, პროფილაქტიკური შემოწმების გავლა.

პიისპა: მაქვს ჭარბი ოფიანობა ილიაში, ასევე ამ ბოლო დროს მცვივა თმები და მეყოფა ფრჩხილები... მაინტერესებს, ეს ჩემი პრობლემები ერთმანეთთან კავშირში ხომ არ არის და რა შეიძლება, იყოს მიზეზი?

პასუხი: ეს პრობლემები შეიძლება, ერთმანეთთან კავშირში იყოს და ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციით იყოს განპირობებული. აუცილებლად უნდა მიმართოთ ენდოკრინოლოგს.

პიისპა: მყავს პატარა და დღის განმავლობაში ვერ ვახერხებ ვარჯიშს. მაინტერესებს საღამოს 8-9 საათისთვის ვარჯიში (ლახტით ხტუნვა, მუცლის პრესი) თუ იქნება შედეგაინი? ჭამიდან რამდენ ხანშია მიზანშეწონილი?

პასუხი: უშუალოდ ჭამის შემდეგ ვარჯიში არ შეიძლება, 2 საათის შემდეგ კი – დასაშვებია.

პიისპა: გავიკეთო თავლის მასაჟი. მართლაც ცოტათი მტკინვეული იყო, მაგრამ სასიამოვნო... ცოტა სისხლი ჩამექცა. როგორი სისხლით შეიძლება ასეთი მასაჟის გაკეთება და მუცელზეც თუ შეიძლება?

პასუხი: თავლის მასაჟი უნდა გაიკეთოთ 15 დღის განმავლობაში, თითო დღის გამოტოვებით, რათა ორგანიზმის გადაჭარბებული დატვირთვა თავიდან აიცილოთ.

ანტიცელულიტური მასაჟი არ შეიძლება, გაკეთდეს კრიტიკულ დღეებში, თავლის ანტიცელულიტური მასაჟი კატეგორიულად არ შეიძლება თუ ფეხებზე არსებობს პრობლემები ვენებთან (ვარიკოზული გაგანერება, თრომბოფლებიტი) დაკავშირებით, ასევე კანის დაავადებების, მაღალი წნევის დროს. თავლის მასაჟი არ კეთდება ბარდაყის შიდა მხარეზე, საზარდულის ლიმფური კვანძების ზონაში, მხრის შიდა ნაწილზე. მუცლის არეში მასაჟი კეთდება ძალიან ფრთხილად.


პიისპა: ვარ 27 წლის. ბოლო 2 წელია, ცხვირი სისტემატურად გაჭედილი მაქვს, რასაც თან ახლავს ქრონიკული თავის ტკივილი. ჩავიტარე მკურნალობის 3 სხვადასხვა კურსი ექიმის დანიშნულებით (ლიაგნოზი: „სინუსიტი, ფრონტიტი“). ცხვირი ისევ გაჭედილი მაქვს. გთხოვთ მიპასუხოთ, არის თუ არა ეს დაავადება განკურნებადი და არსებობს თუ არა რაიმე, უფრო ეფექტური მკურნალობის მეთოდი?

პასუხი: თქვენ პრობლემას ქრონიკული რინიტი გიქმნით, რომელიც სინუსიტიცაა და ფრონტიტიცაა გართულებული. ეფექტური მკურნალობა დიდადა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენადაა დეფორმირებული ცხვირის ნიჟარები. ზოგ შემთხვევაში, მედიკამენტური ღონისძიებებით შესაძლებელია ცხვირის ნორმალური გამავლობის აღდგენა, ზოგ შემთხვევაში კი, ნიჟარები ისე იცვლება, რომ საჭირო ხდება, მათი ქირურგიული გზით ჩასწორება. როგორცაა თქვენი კონკრეტული მდგომარეობა და რა სახის მკურნალობას საჭიროებთ, ამის დადგენაში კვალიფიციური ოტორინოლარინგოლოგი დაგეხმარებათ.

რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუშიძე

სუსტი შეკუმშვისა და ადამიანის კუნთების ზოგადი აქტივობის წყალობით მოძრაობს. ასაკთან ერთად, კუნთების აქტივობა თანდათან მცირდება, ძარღვების ტონუსიც იკლებს და ლიმფას კაპილარებში გადაადგილდება უფრო და უფრო უჭირს. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სისხლის დაბალი წნევის გამო უმცირესი ლიმფოკაპილარები იოლად იჭყლიტება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი ვერ გრძნობს კუნთებში, ქსოვილებსა და მყესებში განვითარებულ მიკროსაზმებს, რომლებიც ლიმფის მოძრაობას აუარესებს. ამ მიკროსაზმის განვითარებას ხელს უწყობს ფსიქოემოციური დაძაბულობა.

იმისთვის, რომ ლიმფამ ორგანიზმში თავისუფლად იმოძრაოს, აუცილებელია ფიზიკური აქტივობა, ყოველდღიურად კონტრასტული შხაპის მიღება, რადგან ეს ყოველივე აკაჟებს ძარღვებს და აადვილებს შეკუმშვამოდუნებას ანუ რელაქსაციას. ყველაზე კა-



რგი და სასარგებლო კი ცურვაა, რადგან ის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და კუნთებს ტონუსს ჰმატებს. ეს კი აქტიურებს ლიმფური სისტემის ფუნქციას, არ აძლევს წიდებს დაგროვების საშუალებას და ადამიანიც თავს გაცილებით მხნედ და ჯანმრთელად გრძნობს.

გვერდები მოამზადა ნონა დათუშიძე



როგორ შემოიარა ქვეყანა ბორის ნიფურიამ საყვარელი ქალის გემო და რა ოინი მოუწყო სასოლამ მას

„... მისთვის უცხოა ცნება „დისციპლინა“. ერთი მოხდენილი ხუმრობისთვის, ერთი კვირის ოინისთვის, რეპუტაციასაც ჩაშლის და არც სპექტაკლის ჩაშლაზე იტყვის უარს. რაღაც, მისთვის აუხსნელი შინაგანი უინი სიხოვს ამას. ასეთი მსახიობის რეჟისორებს ეშინიათ...“ – ამბობს აკაკი ბაქრაძე მსახიობ ბორის ნიფურიამზე. ამას თავად მსახიობიც, რომელსაც მეგობრები „მეგრელ ჩაბონს“ ეძახდნენ, ადასტურებს: „... ბევრი როლი მაქვს დაკარგული. ალბათ, არ სურდათ, ზედმეტი თავსატეხი ჰქონოდათ ჩემ გამო, მაგრამ, ის რეჟისორი, რომელმაც იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა და ვის უნდა გაეკეთებინა ეს, ყველანაირად ცდილობდა, არ დავეკარგე. ერთხელ რობერტ სტურუამ მითხრა, შენი საქციელის გამო კარგი როლი დაკარგეო. მე კი მიუგე – ეს შენ დაკარგე კარგი მსახიობი-მეთქი! დიას, მე კარგ მსახიობად მიმაჩნია ჩემი თავი, მაგრამ, შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად კიდევ ბევრი რამ არის საჭირო, საჭიროა კიდევ გულისხმიერი ადამიანი, ვისაც შენი სჯერა და სწამს...“ მხოლოდ ჩვენთან, „ცხოვრების დღიურებში“ შეგიძლიათ, ნაკითხით ცნობილი ადამიანების შემოქმედებითი და პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმური ამბები. ამჯერად ბორის ნიფურია თავად გადავიღოთ თავის დღიურებს, მას ხომ აქამდე მხოლოდ ეკრანიდან იცნობდით.



ლი გზა კი აგურებით ყოფილა დაგებული. შოთას დასცურებია ფეხი და განავლიან წუმპეში ჩავარდნილა. გავიხედე, ერთ-ერთმა „თათარმა“ სცენაზე შემოათრია ამოქუნძგული შოთა და დააგლო ჩემ გვერდით. შოთას შემოსვლა და დარბაზში ხალხის ჩოჩქოლი ერთი იყო. ფუ, რა სუნია, რა საშინელებაო, – ამბობდნენ. ნარმოიდგინეთ, მაყურებელი რომ შეწუნდა, მე რაღა დამემართებოდა – ეს აქოთებული „ძმა“ ჩემ გვერდით იწვა. ახლა, არ გინდა ამ სუნთან კაცს დაეჭოდო?! ვფიქრობ. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, შორიდან გამოვაქანე ფეხი და ძირს დავაგდე. პიესის მიხედვით, ვაჭარს მე უნდა სვეყვანე. დამშვიდობების სცენა კი ერთობ გულის ამაჩუყებელი იყო: ძმები უნდა გადაფსკენილიყავით, ავტირებულიყავით და ხვეწნა-კოცნასა და ცრემლთა ფრქვევაში დავშორებოდით ერთმანეთს. ჩახუტებით ნამდვილად ვერ ჩავეხუტებოდით შოთას, ამიტომ, ხელი ავუწიე ძმაკაცოვით – კარგად იყავი, ძმაო-მეთქი... მოკლედ, ნახევარსაათიანი სცენა ხუთ წუთში დავამთავრე. მეტ ხანს მაყურებელი ხომ ვერ გაძლებდა და, მეც ვერანაირად ვერ ვაუძლებდი იმ „დამართობელ“ სუნს, რაც შოთას ასდიოდა. ტაშის მაგივრად, მაყურებელმა სულ „ფუი, ფუის“ ძახილით გავგაცაცლა სცენიდან.

სხვისი ცოლი
ჩემზე ამბობენ, ბორის ნიფურია ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადაიფლის, თუ იქ ლამაზი ქალი ეგულება და სანადღეს მინც მიაღწევსო... ვაკის ტურბაზაში ვცხოვრობდი. ერთ დილას, აივანზე ვიდექი და პოლონეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ვათვალიერებდი... და, აი, ავტობუსიდან ჩამოვიდა ქალი, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არ შემხვედრია. მე არ დავიბენი და მაშინვე მის დასახმარებლად გავწიე – ავატანინე სასტუმროს ნომერში ჩანთები და სალამოს რესტორანშიც დავაპტიე მთანმინდაზე. პარტნიორობას ან განსვენებული ნოდარ ფირანიშვილი მინევდა. ფირანასთან ერთად მიყვარდა სიარული, რადგან, არც მე ვიყავი დიდი შესახედაობის და არც ის, ამიტომ, მისი კონკურენციის

ერთი კვირა, არ დამიკლია რესტორნები და დროსტარება, მაგრამ, მინც არაფერი გამომივიდა. ბოლოს იმ ოდენზე მივედი, რომ ცოლობაც ვთხოვე, მაგრამ... დადგა მათი (ტურისტების) სოხუმში გამგზავრების დღე. კოკისპირულად წვიმს. მე და ფირანა ბაქანზე ვდგავართ და ფეხს არ ვიცვლით. ჩემმა „ჯულიეტამ“ მატარებელში ასვლისას მომძახა: თუ ერთმანეთის ბედი ვართ კიდევ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთსო... ფირანას გავხედე, მიმიხვდა და მითხრა, ჩემთან შევიართო და გავაფრთხილოთ, რომ მივიღივართო... ლამეა, მიჯლაგუნოს მატარებელი სოხუმისაკენ და ჩვეიც მივქრით ერთ მანქანით. დღის 11 საათზე სოხუმში დავხვდით ყვავილებით ხელში... იმ საღამოს რესტორან „აფხაზეთში“ ჯუნა ჯაფარიძემ, გეოლოგიური პარტიის უფროსმა და ჩემმა ძმაკაცმა გეოლოგებმა დაპატიყეს მთელი ჯგუფი და „ქორნილი“ გადაგვიხადეს. მთელმა სოხუმმა გაიგო, ბორია ნიფურია პოლონელზე შეყვარებულიო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, თითიც არ დამიკარებია – მე შენს მინაზე ვერაფერს დაგპირდებო... ამ სიტყვების შემდეგ სასწრაფოდ დავბრუნდი თბილისში და დავიწყე ინდივიდუალურ ტურისტულ საგზურზე ჩალიჩი. დაახლოებით ერთ კვირაში მე, გუგა ზაქარიანი და გია მატარაძე ჩავედით ვარშავაში. სასტუმროში დაბინავებისთანავე მივატოვე ბიჭები და მის საქმენულად წავედი, მოძებნა კი, მართლა გამიჭირდა. მისი სახლი ვერაფერიდან დაახლოებით 150 კილომეტრში იყო. როგორც იქნა, დიდი წვალების შემდეგ მივაღეძე მის კარს და ვაკაკუნე. ერთი სულ მაქვს, როდის გააღებს და როდის იყვირებს სიხარულისგან... კარის გაღების-



განავლის სუნი აპოთიაული „ამაილუჩაბი“ და დარბაზი

„მე და შოთა გაბელაია სოხუმის თეატრში „მამულუქებში“ ვთანამოხდით ძმებს – ხუტას და ბიტას. სპექტაკლში იყო ერთი სცენა – სტამბულის ბაზარზე სხვა ტყევებთან ერთად მე და ბიტაც უნდა გავეყიდე... სწორედ ეს სცენა იყო სათამაშო. მე გამწარებული ვდგავარ კულისებში და ვეძახი ბიტას, ის კი არ ჩანს... „თათრებმა“ შეგვათრიეს „ტყვეები“ სცენაზე და დაგვყარეს. ჩემი და ბიტას დაჭიდების დროც მოვიდა, მაგრამ, ბიტა ისევ არ ჩანს. თურმე, ნუ იტყვი, შოთა წასულა საპირფარეოში, სადაც ტრაპი ყოფილა გაჭედული. მისასვლე-



არასდროს მეშინოდა. მოკლედ, ვდიე ამ ქალს



პლანგალიფტინგი ოზონით - პანსალგაზრდაების საოსარი უფაქი

ოზონოთერაპიის დადებით თვისებებზე ჩვენ არაერთხელ ვვისაუბრია. როგორც შევიტყვეთ საკმაოდ ეფექტურია პლანგალიფტინგი ოზონით. ამის გასარკვევად და გადასამოწმებლად ჩვენ, თბილისში, მცხეთის ქ. 8/90-ში მდებარე „აირო“ - ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკა მოვიმზადეთ და კლინიკის ექიმს, პლაგალიფტინგის მკვლევარს გავესაუბრეთ.



ადა მკვლევარი:

PRP-ტექნოლოგია (პლანგალიფტინგი) კანის გაახალგაზრდავების უახლესი პროცედურაა. პლანგალიფტინგი ეფექტურად გამოიყენება კოსმეტოლოგიაში, სტომატოლოგიაში, ქირურგიაში, დერმატოლოგიაში და მედიცინის სხვა დარგებში.

PRP-ტექნოლოგია ითვლება კანის დაბერების საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტურ საშუალებად. პაციენტის სისხლისაგან მიღებული თრომბოციტებით გამდიდრებული პლაზმა შეიცავს დიდი რაოდენობით ზრდის ფაქტორებს, რაც საკუთარი კოლაგენისა და ელასტინის სინთეზის სტიმულირებას ახდენს. კოლაგენი და ელასტინი კი სწორედ ის ფაქტორებია, კანის გაახალგაზრდავებას და გაძველებას რომ უზრუნველყოფს.

- მსურველი ბევრია?

- საკმაოდ ბევრი ადამიანი მოდის კლინიკაში, ან გვიკავშირდებიან ტელეფონის ნომერებზე 225 31 39 / 571 25 55 33. მსურველი

ბევრია, რადგან ამ მეთოდს აქვს გაახალგაზრდავების საოცარი ეფექტი. რაც შეეხება პროცედურას, ხდება პაციენტის ვენიდან მცირე რაოდენობის სისხლის აღება, რომელიც იქვე, ცენტრიფუგაში მუშავდება. სისხლი ფრაქციებად იყოფა, სისხლიდან საკუთარი თრომბოციტებით გამდიდრებული პლაზმა გამოიყოფა. ზუსტად ამ უჯრედებშია სარეაბილიტაციო და გამახალგაზრდავებელი ფაქტორები. შემდეგ მიღებული პრეპარატი ოზონირდება და შეგვყავს პაციენტის პრობლემურ ზონებში, მიკროინიექციის სახით.

- რამდენი ხანი გრძელდება პლანგალიფტინგის პროცედურა?

- პლანგალიფტინგის პროცედურა დაახლოებით 1 საათი გრძელდება. ეფექტი, რომელიც შესამჩნევია პროცედურის დამთავრების შემდეგ.

პლანგალიფტინგი უფაქი პანსალგაზრდაების კოსმეტოლოგიაში, სტომატოლოგიაში, ქირურგიაში, დერმატოლოგიაში და მედიცინის სხვა დარგებში

ბისთანავე, ძლიერდება თვიდან თვემდე და შენარჩუნებულია 2 წლის განმავლობაში. შედეგი, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია პაციენტის ასაკსა და ჯანმრთელობის ზოგად

მდგომარეობაზე.

- თუ არის ეს პროცედურა ეფექტური თმის ცვენის შესაჩერებლად?

- პლანგალიფტინგი ოზონით განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა თმის ცვენის შესაჩერებლად და გამელოტების სამკურნალოდ. პროცედურის მერე თმის ცვენა მცირდება, ხოლო მეორე პროცედურის შემდეგ, ჩერდება. ძლიერდება თმის სისხლით მომარაგება და აქტიურდება ჯანმრთელი თმის ზრდა.

- როდესაც არის მიზანშეწონილი პროცედურის დანება?

- PRP პროცედურის შემდეგ კანის მიძინებული უჯრედები იწყებს „ახალგაზრდავულ“ რეჟიმში მუშაობას. შესაბამისად, სასურველია, პროცედურების ჩატარება კანის დაბერების პირველივე სიმპტომების გაჩენისთანავე (სიმშრალე, პიგმენტაცია და სხვა).

- უსაფრთხოა პლანგალიფტინგი?

- პლანგალიფტინგი აბსოლუტურად უსაფრთხოა - არ არის ტოქსიკური, არ იწვევს იმუნურ რეაქციებს ორგანიზმში, არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. პრეპარატი მზადდება პაციენტის პლაზმისგან, ყოველგვარი დანამატების გარეშე.

- რამდენი პროცედურის ჩატარებაა სასურველი და რა არის მისი ღირებულება?

- სასურველია, ჩატარდეს 4-5 პროცედურა ერთი კვირის ინტერვალით. თითოეული პროცედურის ფასი 150 ლარია.

ბარიკა სიღურაძე

მარტო-მეთქი. ის უარზეა - სად უნდა წავიდე, ეს ქალი მე მიყვარსო. გაგმწარდი და ვეუბნები, შენ თუ გიყვარს, მეც მიყვარს, შენს სახლამდე ერთი კილომეტრიც არ იქნება, მე კი ამის გულისთვის 7 000 კილომეტრი გამოვიარე-მეთქი. ის მაინც არ მიდის. ვიცი, მუშაობს ვერ მოგერევი და ავიღე დანა: არ წახვალ და მოგკლავ-მეთ-



ქი... გაიძურნა, მაგრამ რად გინდა, ქალი მაინც უარზე დადგა. რალას ვიზამდი! დავრჩი იმედგაცრუებული, მაგრამ არ ვნანობ, სიბერეში ლამაზი დღეები, უჩვეულო თავგადასავლები, მღელვარე და ალტაცებული წუთები ხომ მაინც უხვად მექნება მოსაგონრად. ჩვენ შორის დარჩეს და, არც ისე ხელმოცარული წამოვსულვარ იმ სახლიდან...

„აპაზა პატიოსანი ქალი ფოთში არ დადის“

მარტოხელა ვარ და ჩემს მეგობრებს ჩემთან სახლში უყვართ მოსვლა. ერთხე-

ლაც, შევიკრიბეთ, ამჯერად, ფოთელები, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ: პოეტი ჯემალ ჩახავა, მინისტრის მოადგილე ალექო კაკულია და მისი ნათესავი ზაურ პაჭკორია. კარგად მოვილხინეთ. ღამის 11 საათია და, უცებ აღუკო ამბობს, როდემდე უნდა იყო ასე მარტოხელაო. ჯემალმა თქვა: მე ვიცი ერთი ქალი ფოთში, გადასარევი ვინმეა, წესიერი, ლამაზი, საქმიანი, კარგი ოჯახის შვილი, მოდი, ბორიას გავურიგოთო.

მესამემ თქვა: როდის და რანაირად შევახვედროთო. ალექომ თქვა: გადადებული საქმე არ ვარგა, ამაღამვე წავიდე და ხვალ ის ქალი წამოვიყვანოთო. მეც დავეთანხმე. სასწრაფოდ ავალაგეთ სუფრა, ჩავსხედით ჩემს „ვოლგაში“ და, ჰაიდა, ფოთისკენ. დილის 4 საათზე სასტუმროს მორიგე ძლივს გავავლიძეთ. ჩვენი ნახვა ძალიან გაუხარდა. დავიძინეთ. შუადღისას გამოვიპრანჭეთ და მივადექით იმ საქალბატონის სამსახურში. კაბინეტში არ დაგვხვდა. მეგონი, ტუალეტშია გასულიო, - გვითხრა თანამშრომელმა. სადმე არ წავიდე, ჯობია, ტუალეტის კართან დაველოდოთო, - თქვა ჯემალმა და, ამ დროს, გამოვიდა კიდევ ხანში შესული ქალი საპნით ხელში და ოთხივე გადაგვკოცნა დედაშვილურად. ეს არისო, - მანიშნეს მეგობრებმა. მე მუხ-



ნატის დირექტორმა, რომან მელიამ ძღვენი გამოგვატანა - ოთხი ლუდი და 4 ყუთი ჩინური ჩაი... დავბრუნდით თბილისში სამნი. ჩვენი მეოთხე თანამგზავრი ფოთში დარჩა, საქმეები ჰქონია. თავის წილი მანქანაში დავგიტოვა. შემოვედით თბილისში და ბიჭები იძახიან - ეს მეოთხე ყუთი სამად უნდა გავიყოთო. მე ვუთხარი: ამხელა გზა ტყუილად მატარეთ? ეს მაინც დამიტოვეთ. თქვენ თითო ყუთიც გეყოფათ-მეთქი. არაო! თავი გაიგვიფს... უცებ, რატიმდაც, მანქანა ჩამიქრა, არ იქოქება... იქნებ, უკნიდან მიანვეთ-მეთქი. მაშინვე გადამოხტენ ჯიგრები და მთელი ძალით აწვებიან. ამასობაში მე დავკოქე და, ჰაიდა... - გადავუხადე სამაგიერო.”

პაპა პატარაია



- ქალბატონო ლალი, ამბობენ, რომ ფერადი საწებლების ანთებით, შესაძლოა, ადამიანმა თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. თუმცა, ისიც გამიგია, რომ გარკვეულ დღეს, გარკვეული ფერის საწებლის ანთება კატერგორიულად იკრძალება. იქნებ, როგორც ეზოთერიკოსმა, ავეიხსნათ რამია საქმე და რაში გვეხმარება მათი ანთება ბინაში?

- დიას, სწორი ინფორმაცია გაქვთ, რადგან, ყოველ დღეს თავისი ფერის საწებელი აქვს და მათი ანთებით უამრავ პრობლემას გადაჭრით ცხოვრებაში. თუმცა, არ უნდა აგერიოთ ფერები. მოკლედ, ახლავე დანერვილებით ავეიხსნით ყველაფერს: ყოველ დღეს თავისი შესაფერისი ფერის საწებელი აქვს, რომლის დანთებასაც გარკვეული მაგიური ძალა ენიჭება. აუცილებელია, ბინაში ყოველდღე ტრიალებდეს ამა თუ იმ ბალახის სურნელი - ეს პირადი ცხოვრების უკეთ მოწყობასა და ადამიანებთან ურთიერთობაში დაგეხმარება. თანაც, დღეს ფერადი საწებლების ყიდვას პრობლემა აღარ არის - მაღაზიებში უამრავი დეკორატიული, ფერადი, ლამაზი საწებელი იყიდება და არც ისე ძვირი ღირს. მაგალითად, თეთრი საწებელი, უმჯობესია, დაანთოთ და დანთოთ ორმაზათს. ის ბინაში მთავარს ენერჯის იზიდავს და ძალების აღდგენაში გვეხმარება; წითელ საწებლებს უდიდესი მაგიური დატვირთვა აქვს და, უმჯობესია, სამაზათს დაანთოთ, თანაც, დილის საათებში. ეს დაგეხმარებათ საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებაში და ენერჯით აგავსებთ მთელი დღის განმავლობაში; წარწევისფერი საწებლების დღე ოთხმაზათია. ის დაგეხმარებათ ადამიანებთან ურთიერთობასა და ოჯახური თანაცხოვრებისას ჰარმონიის დამყარებაში; ცისფერი საწებლები ხუთმაზათისაა. მათი დანთებით სიმშვიდეა და ბედნიერებას დაიბედებთ ამ დღეს, ილბლიანობაც გაიზრდება და, თან, მეტად მომთმენსა და მიმტევებელს გაგხდით; ვარდისფერი საწებლის დანთება შაბათს, საღამო ხანს არის სასურველი. ის რომანტიკულ გრძობებს აღძრავს, მეტად წარმოაჩენს თქვენს სინაზეს, ურთიერთობაში კი უფრო მიმზიდველს გაგხდით; მწვანე საწებლების ანთება ბინაში რეკომენდებულია კვირა დღეს. ის ჰარმონიისა და წარმატების სიმბოლოა და ისეთ დადებით მუსტს იგრძნობთ, რომელიც, შეიძლება, მთელი კვირა გაგყვით; ყვითელი საწებელი კი მაშინ უნდა დაანთოთ, როცა ხვდებით, რომ კარიერაში რიგზე ვერ გაქვთ საქმე, როცა ბარიერები და წინააღობები გხვდებით და როცა გეჩვენებათ, რომ სამყარო თქვენ წინააღმდეგ ამხედრდა. ყვითელი საწებლის ანთებით თქვენ ადვილად მიალენეთ წარმატებას კომერციულ სფეროში. საერთოდ, თუ რწმენით მიუდგებით საქმეს, ყველაფერი კარგად გამოვათ.

- ასევე, ბევრი ეზოთერიკოსისგან მსმენია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს ნესები, რომელთა დაცვით ადვილად შეგვიძლია წარმატების მიღწევა და ილბლიანობის გაორმაგება. ამისთვის როგორ უნდა მოვიქცეთ?

- ამისთვის ელემენტარული ნესები უნდა დაიცვათ. მაგალითად, უნდა დააკვირდეთ, რომელი ფერის ტანსაცმლის, ჩანთის, ფეხსაცმლისა თუ ნივთის ტარებისას გაგიღიმათ ბედმა მეტად და ადვილად მიალენით წარმატებას. ასეთი ნივთები არსებობს, უბრალოდ, ჩვენ ამას არ ვაქცევთ ყურადღებას. აბა, დააკვირდით, რომელი ფერის ტანსაცმლის ტარებისას გაგიუმჯობესდა გუნება-განწყობა, მოგემართათ ხელი, მეტად მიიპყართ ყურადღება, დაიმსახურეთ კომპლიმენტები. პირადად მე ასეთ რამეებს იისფერი ტანსაცმლის ტარებისას ვგრძნობ, ანუ, კარგად მაქვს დაცდილი. ზოგადად, ტანსაცმლის ფერს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ბედზე. დააკვირდით ვარ,

სხვადასხვა ფერის საწებლის ალსა და ხორბლის მარცვლებს გარკვეული მაგიური თვისებები გააჩნია. ბევრი ეზოთერიკოსი ამბობს, რომ მსგავსი მეთოდით მკითხაობა, მომავლის გაგება, ბედის შეცვლა და სასურველ კითხვებზე პასუხის გაცემაც შეიძლება. ალბათ, ბევრს არ სჯერა და მსგავს რამეებს სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ, როგორც ეზოთერიკოსი ქალბატონი ლალი ამბობს, ზოგიერთი საწებლის დანთებით და ბინაში ხორბლის გახარებით ადამიანი უკეთესობისკენ წარმართავს ცხოვრებას. მისივე თქმით, არსებობს დღეები, როცა ზოგიერთი ფერის საწებლის ანთება კარგია, ზოგის კი კატეგორიულად იკრძალება. ასე რომ, გაითვალისწინეთ ქალბატონი ლალის რჩევები და შეცვალეთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე.

შეუქლია თუ არა მანსახმლის ფერს ადამიანის ბედზე ზეგავლენის მოხდენა და რაში გვეხმარება სხლში ჯეჯილის გახარება და ფერადი საწებლების ყოველდღიურად ანთება

როცა შავი ფერის სამოსი მაცვია, ყოველთვის ცუდ განწყობაზე ვარ, ღია ფერის ტანსაცმლის ტარებისას კი მეტ სიმშვიდეა და დადებით განწყობას ვგრძნობ სხვებთანაც. ფერადი სამოსით ადამიანი გზავნის ერთგვარ მესიჯს,



რომ კარგად არის, ცხოვრება უხარია. ერთი სიტყვით, ტანსაცმლის ფერით გარშემო მყოფებს შენს შინაგან სიმშვიდეს აგებინებ და შენი განწყობა მათზეც დადებითად აისახება. ასევე, კარგია საფულით ბრინჯის მარცვლების ტარება - ასე ფული არ გამოგვლევთ, რადგან, ბრინჯი ხომ სიმდიდრის სიმბოლოა და, ეს, ვფიქრობ, ყველამ იცის.

- ერთ-ერთ ნიგში ამოვიკითხე, რომ სურნელოვანი ჩხირების ანთებით სახლში გარკვეულ ენერჯეტიკას ვიზიდავთ და სტუმარზეც ვახდენთ ზემოქმედებას. ეს

**პაპაპი საფულით
ბოინჯის მარცვლების
ტარება - ასე მანსი ფული
პრეპეპეპეპეპეპე,
ბაბაპი, ბოინჯი
სიმდიდრის სიმბოლოა**

მოსაზრება ახლოსა რეალობასთან?

- ამაშიც უნდა დავეთანხმობთ (იციანს). მოკლედ, გეტყვით, რომ სურნელოვანი ჩხირები მაშინ უნდა აანთოთ სახლში, როცა სტუმარს ელით. მისი სუნი იმ ადამიანის მიერ შემოტანილ უარყოფით ენერჯეტიკას მალევე გაანეიტრალდება და თქვენდამი მისი კეთილგანწყობა ერთიორად გაზრდის.

- ჩვენ გარშემო, დამთავანხმებით, ბევრი უიღბლო ადამიანი ცხოვრობს. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ცხოვრებაში არ უმართლებთ. მათთვის თუ გაქვთ სპეციალური რჩევები, რომლებიც ცხოვრებას შეუ-

სუბუქებს და უკეთესობისკენ შეცვლის?

- დიას, სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ნამდვილად არიან ჩვენ გარშემო, რაც, ძირითადად, იმის ბრალია, რომ მათ დაბადებას, სიხარულის ნაცვლად, თან ცრემლი ახლდა. როდესაც დედის ბავშვის გაჩენა არ სურს, მაგრამ ის მინც იბადება, ბავშვში იდება უიღბლობისა და უბედობის კოდი, რომელიც შემდეგ, მთელი ცხოვრების განმავლობაში „მუშაობს“. რასაკვირველია, ასეთ ადამიანებს ნაკლებად უმართლებთ, წარმატების შანსიც ნაკლებად აქვთ და არც პირად ცხოვრებაში უდიდით ბედი. დედის ორგანიზმშივე დაბინძურებული ენერჯეტიკა ადამიანზე მთელი ცხოვრების განმავლობაში მოქმედებს. გეტყვით იმასაც, რომ პარაფსიქოლოგიაში არსებობს ამ უიღბლობის კოდის მოხსნის საშუალება, რომელიც ასეთ ადამიანებში აქტიურად ებრძვის ცუდს და იზიდავს კარგს. ახლა გასწავლით, როგორ უნდა მოიქცეთ: აიღეთ ერთი მუჭა ხორბალი, დაყარეთ თეთრი ქსოვილზე და გადაახვიეთ. შემდეგ ის დაიდეთ საწოლში, ზენრის ქვეშ, ისე, რომ ზურგით ეხებოდეთ. ეს ხორბალი ყოველ დღით უნდა გახსნათ, ხელიდან ხელში გადაიყარ-გადმოიყაროთ, რამდენიმე მარცვლი დაალოთ თევზზე, დანარჩენი კი ისევ თეთრი ქსოვილში შეახვიეთ და ზენრის ქვეშ ჩალოთ. თევზი ფანჯრის რაფაზე დადგით, სადაც მზის სხივი მოხვდება - ასე ხორბლის მარცვლების ბარაქისა და ბედის კოდი ნელ-ნელა გააქტიურდება. ოღონდ, თევზზე ჯერ ნაკლები ზამბა უნდა დააფინოთ თხელ ფენად და შემდეგ ყოველდღე დაუმატოთ ხორბლის მარცვლები. სულ მალე ჯეჯილი ამოვა და სასურველ შედეგს მოგიტანთ.

- სულ რომ ამოინურება ხორბლის მარაგი ქსოვილში?

- სულ რომ ამოინურება ქსოვილში ხორბლის მარაგი, ის ქსოვილი თევზის ქვეშ დადეთ. ეს დაიწყეთ და გააკეთეთ წელიწადის ოთხივე პერიოდის პირველი თვის პირველ კვირა დღეს და ბარაქა და წარმატება მალე მოვა თქვენთან. მთავარია, გულით გინდოდეთ და გნამდეთ იმის, რისთვისაც იბრძვით ცხოვრებაში. ზოგადად, ხორბლის მაგიური თვისებების შესახებ უძველესი დროიდან არსებობს ცნობები. მაგალითად, კარგია, თუ ფანჯრის რაფაზე თქვენსავე დათესილ ხორბალს გაახარებთ და იმავე თევზზე ხურდა ფულსაც დაყრით - ის ფინანსების გარანტიად ბარაქის მომზიდველია; ასევე, ოჯახის შესანარჩუნებლად და მეუღლესთან ჰარმონიული ურთიერთობის დასამყარებლად არის კარგი. ასე რომ, გაითვალისწინეთ, ხორბლის ენერჯეტიკა, ის აუცილებლად დაგეხმარებათ ოჯახური პრობლემების მოგვარებაში.

ნონა ლათიშია



მოქალაქის გეგმა

როგორ უნდა მოიქცეთ, რომ თქვენ გვერდით მყოფმა მამაკაცმა თავი განსაკუთრებულად იგრძნოს? ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან, მამაკაცი ქალზე სწრაფად კარგავს საკუთარი თავის რწმენას და ეძებს ადამიანს, რომელიც მის ღირსებებს დააფასებს, თუმცა, მას ნაკლებად აინტერესებს, რეალურად აქვს თუ არა ეს ღირსებები.

დასაწყისისთვის დაფიქრდით და გონებაში „ჩამოწერეთ“ თქვენი საყვარელი მამაკაცის ყველა ის თვისება, რომელიც მოგწონთ და შეეცადეთ, ყოველდღე „გადაიკითხოთ“. თუ „სიაში“ ათი პუნქტი მაინც არ მოგიგროვდათ, მაშინ, „ჩანერეთ“ ის, რა თვისებაც გინდოდათ, რომ ჰქონოდა მას. მაგრამ ამან ნეგატიურად არ უნდა დაგმუხტოთ და გაგალიზიანოთ, პირიქით, პოზიტივი უნდა მოგიტანოთ. მთლიანად კარგი ან მთლიანად ცუდი არავინ არის.

ხშირად წარმოიდგინეთ თქვენი მამაკაცი იმ პიროვნებად, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდით... და როცა მასზე იფიქრებთ, იფიქრეთ აღმატებით ხარისხში.

მამაკაცისთვის კომპლიმენტის თქმა ცალკე ხელოვნებაა და ეს უნდა ისწავლოთ. ერთი შეხედვით, შეიძლება, მოგეჩვენოთ, რომ ძალიან ადვილია, თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. შეეცადეთ, იყოთ გულწრფელი. ეს გამოგივათ, თუ არ დაელოდებით მისგან რამე განსაკუთრებულ გმირობას. უმნიშვნელო კარგ საქციელზე ან მონდობაზეც შეგიძლიათ ამის გაკეთება. ყოველთვის დაფიქრდით, სანამ იტყვიან რამეს.

და, კიდევ, მამაკაცს აუცილებლად სჭირდება მისი საქციელის „აღიარება“, ანუ, რას ნიშნავს ეს: მამაკაცი იშვიათად არის დარწმუნებული საკუთარ თავში. ამიტომ, როცა რაღაც სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებს, უთხარით, რომ ძალიან კარგად მოიქცა – მისთვის ეს სტიმული იქნება, თქვენ კი პლუსი ჩაგენერებათ.

ქასსაჲ სიამოვნაჲს

თბილი და ტკბილი სიტყვა კაცსაც კი სიამოვნებს... კაცსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქმარსაც. ზოგადად, ძლიერი სქესი ხშირად გვიცრუებს იმედებს. მათგან ჩვენ თითქოს განსაკუთრებულს არაფერს ველოთ, მაგრამ, სტერეოტიპი ხომ ასეთია: კაცი უნდა იყოს ვაჟკაცური, საიმედო, გადამწყვეტილებებს სწრაფად უნდა იღებდეს და სალი კლდესავით გვედგას გვერდით. კაცს არ უხდება ამჩაგება და ქარაფმუტობა... მაგრამ, მამაკაციც ადამიანია, ანუ, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწონს და უხარია, როცა მას აქებენ, კომპლიმენტს ეუბნებიან და მისით აღფრთოვანებას გამობხატავენ.

ქალებს არ გვესმის, რა ძალა აქვს ერთი შეხედვით უბრალო სიტყვებს. მარც ტვე-

ნმა ერთხელ თქვა, ტკბილი სიტყვა ორი თვე მყოფნის საკვებადო. ფსიქოლოგები კი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ადამიანს ბუნებრივად აქვს მოთხოვნილება, დადებითად შეაფასოს მისი ღირსებები.

კრიტიკაზე აბსოლუტურად ყველა, განურჩევლად სქესისა, ერთნაირად რეაგირებს – ავტომატურად იწყებს თავდაცვას, მით უფრო – მამაკაცი. ის გააფთრებული ცდილობს, როგორმე თავი „გადაიჩინოს“ და დაგიმტკიცოთ, რომ არც ისეთი ცუდია, როგორი წარმოდგენაც მასზე გაქვთ.

ყველა წვეილს ერთმანეთის მიერ სითბოსა და სიყვარულის გამოხატვის თავისი საკუთარი, ინდივიდუალური სტილი აქვს, თუმცა, ყველას არ შეუძლია, ზომიერი, თბილი კომპლიმენტებით წაახლისოს პარტნიორი, მიანიჭოს მას ცხოვრების ხალისი და აღმაფრენა. მით უფრო აუცილებელია, იცოდეთ, როგორ გამოხატო აღფრთოვანება მეუღლის მიმართ ისე, რომ ზედმეტი არ მოგივიდეს და მის გაყოფინება-გათავხედებას არ შეუწყო ხელი...

გაღლი ჯოჲსაჲსელოჲთი!

10 წელი ქორწინებაში და უცებ – სრული მოულოდნელობა – ახალი სიყვარული. დიახ, ასეთი რამეც ხდება. ქალსაც შეიძლება, რომ შეუყვარდეს, მაშინ, როცა ქმარი ჰყავს. ისიც ხომ ადამიანია. თუმცა, ზოგჯერ კაცებს ამაში ეჭვი ეპარებათ. მოკლედ, ველაპარაკოთ ქალს ახალ სიყვარულზე. რას არჩევს ის? – სტაბილურ, ძველ ურთიერთობას თუ უცხოს და ახალს?! არჩევანი აუცილებლად უნდა გააკეთოს. რა ქნას? იქნებ ის „ის“ არის... მისი ოცნების მამაკაცი...

სხვათა შორის, ქალების 90 პროცენტით ირჩევს ოცნების მამაკაცს, თუკი ეს ოცნების მამაკაცი თავად არ არის წინააღმდეგი. თუმცა, ხშირად ქალი ყველაფერზე მიდის და დიდად არც ეს ნიუანსი აღელვებს. მამაკაცი, შეყვარებულიც კი, გაცილებით რთულად ანგრევს ოჯახს, ვიდრე შეყვარებული ქალი. მათ უჭირთ ცხოვრების შეცვლა. უფრო ხშირად უარს ამბობენ სიყვარულზე და ცოლთან რჩებიან. უმეტეს შემთხვევაში, არჩევნის წინაშეც კი არ დგებიან. ცოლიც ჰყავთ და საყვარელიც ერთდროულად და მშვიდადაც სძინავთ, სანამ ეს ორი ერთმანეთს არ გადაეყრება და საქმე არ გაიჩრევა.

ქალის არჩევანი ხშირ შემთხვევაში უფრო პატიოსანია. ეს სუსტი სქესის პლუსია. თუ მართლაც ენევა ახალი

გრძნობა, ორ ცეცხლს შუა დიდხანს არ იქნება. მინუსი ის არის, რომ შეყვარებული ქალი ადეკვატურად ვერ აფასებს სიტუაციას. ვერც მომავალს აღიქვამს რეალისტურად. სწორედ ამის გამო ექმნება სერიოზული პრობლემები... მაღალი პროცენტულობით!

სიუჲრიჲი სიუჲრიჲით...

თავიდან ყველაფერი კარგად იწყება... ლამის იდეალურადაც კი... შეიძლება, ფანჯარასთან სერენადაც იმღეროს... ისეთი მორჩილი იქნება, იფიქრებ, მთელი ცხოვრება ჩემს ჭკუაზე ივლისო, მაგრამ მოვა დრო და სიურპრიზი, რომელიც დღეს ძალიან გახარებდა, ხვალ აბსოლუტურად უსიამოვნო სიურპრიზით შეიცვლება...

ტყუილად გექნებათ იმედი, რომ შუადღისას მაინც გაახსენდება თქვენი ქორწინების, ან სულაც თქვენი დაბადების დღე... რომანტიკული ვახშამი? – დაიგნყეთ.

აბა, თქვენ სერიოზულ, ჭკვიან და ცივილიზებულ ქალს ასეთი უაზრო რომანტიზმი გეკადრებათ?! ნუ გაბრაზდებით იმაზე, რომ არ გეტყვიან მადლობას სადილობის შემდეგ... საჩუქრად შემთხვევით ნაყიდ, იაფფასიან კოსმეტიკას შემოგაჩერებთ (თუკი საერთოდ გაახსენდა, რომ საჩუქარი აუცილებელია)...

გეჩვენებათ, რომ ასეთი პრობლემები მართო თქვენ გაქვთ და თქვენს თავზე ხდება. ცხოვრებას გიმწარებთ. ალბათ, ოჯახური ბედნიერება სხვანაირად გქონდათ წარმოდგენილი... რას იზამთ, თქვენ ხომ ჩვეულებრივი მამაკაცი ამოირჩიეთ ცხოვრების თანამგზავრად. კარგია, თუ თავიდანვე გქონდათ გაცნობიერებული, ვის მიჰყვებით ცოლად და მასში ჯადოსნური უფლისწული არ დაინახეთ. მაშინ იმედგაცრუება გაცილებით მწარე იქნებოდა. ანუ, მამაკაცი, როგორ კარგადაც უნდა იცნობდეთ მას – სიურპრიზია... თანაც სიურპრიზი თანმდევი სიურპრიზებით.



გვერდი მოამზადა ნინო ნულუკიძე



თავის მოვლა და ღიაბა კრიტიკულ დღეებში

ქონსეფტოლოგის რეცეპტი

ამ საკმაოდ მძიმე და უსიამოვნო დღეებში, ქალბატონებს ვურჩევთ, განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინონ საკუთარი თავის მიმართ, რათა მაქსიმალურად შეიმცირონ დისკომფორტი და უსიამოვნო შეგრძნებები. ამისთვის კი, პირველ ყოვლისა, საჭიროა, მონივრით დილის რეჟიმში: აუცილებელია, ღამის ძილის ხანგრძლივობა 8 საათზე ნაკლები არ იყოს და, კიდევ უკეთესი იქნება, თუ დღისთავს წაძინებთ თუნდაც 1 საათს. გარდა ამისა, სავალდებულოა, ყოველ დღით მიიღოთ კონტრასტული შხაპი, საღამოობით კი ფეხით ისეირნოთ (მინიმუმ – ნახევარი საათი) სუფთა ჰაერზე. სასურველია, თუ რამდენიმე დღით გადადებთ რთული და სერიოზული საკითხების ან ნაცნობებთან დაძაბული ურთიერთობების მოგვარებას – სტრესები მხოლოდ გაგიძლიერებთ დისკომფორტს. ამ დღეებში ქალი, ზოგადად, ვალიზანებულისა და ეძებს საშუალებებს, რომ ეს განწყობა მოიხსნას. ამ მიზნით ნუ შეეცდებით, მიეძალოთ შოკოლად ან ყავას, არც ჭიქა ღვინო გიმშველით – შესაძლოა, ამ ყველაფერმა მხოლოდ რამდენიმე წუთით შეგიქმნათ დამშვიდების ილუზია, შემდეგ კი გაცილებით უარესად იგრძნობთ თავს.



სხვათა შორის, არსებობს სპეციალური დიეტა, რომლის დაცვაც რეკომენდებულია სწორედ კრიტიკულ დღეებში, უფრო სწორად, ციკლის დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე და მიეწოდება ციკლის განმავლობაში, რისთვისაც სულ 7-10 დღე დაგჭირდებათ.

მაშ, ასე, პირველ ყოვლისა, რაციონიდან ამოიღეთ ან მაქსიმალურად შეამცირეთ:

1. რძის ნაწარმი – რძე, არაჟანი, ნაღები, ყველი;
2. ხორცეულიდან – ფრინველის თეთრი ხორცი; საქონლის ცხიმოვანი და, ასევე, ღორისა და ცხვრის ხორცი.
3. მარლი (ეს პროდუქტი აფერხებს სითხის გამოყოფას, რაც იწვევს მუცლის შეზღუდვას, ეს კი აძლიერებს სპაზმებს).
4. შაქარი (ხელს უშლის B ჯგუფის ვიტამინებისა და ზოგიერთი საჭირო მინერალის შეწოვას ორგანიზმის მიერ, ამ ნივთიერებათა დეფიციტი კი იწვევს კუნთების დაჭიმვას და სპაზმებს მუცლის ღრუში).

კუნთების დაჭიმულობისა და სპაზმების შესაბამისად – ტკივილების) შემცირება შესაძლებელია იმ პროდუქტებით, რომლებიც ზრდიან ანტისპაზმური ნივთიერებების გამოთქმას. ესენია: თევზეული, ნიგოზი, მზესუმზირა, გოგრის ზეთი,

სელი. ასევე, აუცილებლად უნდა შეიტანოთ მენიუში: ხორბალი, რუხი ბრინჯი, ჭვავი, ქერი – ეს ბუნებრივი პროდუქტები მაგნიუმის, კალიუმის, ცილების, უჯრედისა და ვიტამინების ბუნებრივი წყაროებია. კალიუმი და მაგნიუმი ამცირებს კუნთების დაჭიმულობას (დაძაბულობას); უჯრედის აუმჯობესებს ნაწლავების ფუნქციას, კალიუმი კი შარდმდენი საშუალებაა. მეტი რაოდენობით მიიღეთ ხილი და ბოსტნეული, რომლებიც მდიდარია ბუნებრივი ანტიანთებითი ნივთიერებებით: ბიოფლავონოიდებითა და ვიტამინებით. ეს პროდუქტები ამაგრებს სისხლძარღვებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ამცირებს ტკივილსა და სპაზმებს.

კრიტიკულ დღეებში კვება უნდა იყოს ხშირი, მაგრამ მცირე ულუფებით. შემუშავების შემთხვევაში არ დალიოთ ბევრი სითხე, განსაკუთრებით – ძილის წინ.

აკრძალეთ კოფეინის შემცველი და სპირტიანი სასმელები, მწარე-ცხარე კერძები, მებოლოლი პროდუქტები, საფუარისანი ცომეული, ტკბილეული, ყველი, მარგარინი, ნაყინი; შეამცირეთ რძის, იოგურტის, ნაღების კარაქის, ცხიმოვანი ხაჭოს მიღება.

მენიუში შეიტანეთ თევზი, ხილისა და ბოსტნეულის მწვანე პროდუქტები, სელის ზეთი, ნიჩბურა, ჭვავი, პარკოსნები, ბრინჯი, ცხვილი პური, ტკბილი ხილი (ყურძნისა და ფინიკის გარდა), უცხიმო ფაფები, თაფლი, უცხიმო ხაჭო და კეფირი.

სასმელებიდან კი უმჯობესია, დალიოთ: პიტნის ჩაი თაფლით, მელისის ან გვირილის ჩაი, ახლად მოხარშული უშაქრო კომპოტები, ახალგაზოგადი წვენი.

ართი დღის მენიუს ნიმუში
საუზმე: 1 ცალი მოხარშული კვერცხი, ცხვილი პურის ტოსტი თაფლით, პიტნის ჩაი (უშაქროდ).

ლანჩი: მწვანე ვაშლისა და 1 მუჭი ნიგოზისგან მომზადებული ფრუმი.

სადილი: 1 ცალ დაჭრილ პომიდორს, ნახევარ ავოკადოსა და სალათის ფოთლებს მოასხით ნახევარი ლიმონის წვენი + 200 გრამი მოხარშული თევზი; გარნირი: მოხარშული რუხი ბრინჯი + 1 პატარა ნაჭერი ცხვილი პური + 1 ჩაის ჭიქა ახალგაზოგადი ფორთოხლის წვენი.

სამზარი: 1 ცალი მწვანე ვაშლი და 1 ცალი მწვანე მსხალი.

ვანშაპი: მოხარშული ბროკოლი, დახველის ჩაი.

პიტნისა: უკვე კარგა ხანია, მოდამი შემოვიდა თითქმის შავი ლაკი ფრჩხილებისთვის, რაც საშინლად არ მომწონს. მაინტერესებს, წელს რა ფერის ლაკი იქნება აქტუალური?

პასუხი: დიზაინერები ამ სეზონზე არ კრძალებენ რომელიმე კონკრეტულ ფერს, ანუ, აქტუალურია როგორც მკვეთრი, ისე პასტელის ფერები. კრეატიული მანიკურის მოყვარულებს კი ურჩევნებ შემდეგს: მთელ ფრჩხილზე ორ ფენად წაისვან სპილოს ძვლისფერი ლაკი, შემოდან კი გადაისვან ბრჭყვიალა ნაწილაკებიანი ლაკი ან „სტრაზი“. ოღონდ, წუნებთან დაიტოვეთ სპილოს ძვლისფერი ლაკი ნახევარმთვარეების მოხაზულობით.

პიტნისა: მანიკურს რომ ვიკეთებ, რამდენიმე დღის განმავლობაში, ნაუშლელად მისვია ლაკი. მაინტერესებს, მავნებელია თუ არა ეს ფრჩხილებისთვის და, საერთოდ, რის მიხედვით უნდა შევარჩიო ლაკი ყიდვისას?

პასუხი: ლაკი რამდენიმე დღე შეგიძლიათ, ატაროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფლაკონზე გაკეთებულია მარკირება – „3Free“, რაც ნიშნავს, რომ მისი ფორმულა არ შეიცავს ტოლუოლს, დიბუტილფტალატს, ფორმალდეჰიდსა და მის კუპრს, ანუ, ნივთიერებებს, რომლებიც აფუჭებს ფრჩხილს და შლის მის სტრუქტურას. იდეალური ვარიანტია, თუ ლაკის შემადგენლობაში შედის რამდენიმე სახის (ნუშის, გარგარის, და, რაც მთავარია – ჟოჟობას) ზეთი.

პიტნისა: გაზაფხულობით ხშირად მისკდება ტურქები. ტურქის საცხს არ ვხმარობ, რომ ამას დავაბრუნო. ჰიგიენური პომადა დიდად არ მშველის. რას მირჩევთ?

პასუხი: შესაძლოა, ნაკლებად გშველით, მაგრამ, მაინც, გარეთ გასვლისას აუცილებლად წაისვით ჰიგიენური პომადა (ოღონდ, კარგი ხარისხის), ან, ასევე მალალი ხარისხის „ბლესკი“, რადგან გარეთ ჯერ კიდევ სუსხია, რაც იწვევს ტურქის სიმშრალესა და დასკდომას, მით უფრო, თუ ჩვევად გაქვთ ენით ტურქების დასველება (მოლოკვა). გარდა ამისა, სახლში დაბრუნებისთანავე მოიბანეთ ტურქები თბილი წყლით და წაისვით ლიმონის წვენგარეული ზეთუნის ზეთი ან გადაისვით „კოლბური მალამოს“ თხელი ფენა.

პიტნისა: ნავიკითხე, რომ „ლაითის“ ტიპის უალკოჰოლო გაზიანი სასმელები არ შეიცავს შაქარს და მათი ენერგეტიკული ღირებულება (ანუ კალორიულობა) ნულის ტოლია. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ამ სასმელების დალევა დიეტის დროს და, ასევე, მათთვის, ვისაც დიაბეტი აწუხებს?

პასუხი: ზოგადად, უკეთესია, თუ მაქსიმალურად ნაკლებად დალევთ ნებისმიერ გაზიან სასმელს (მინერალურ კი გაზგასული უნდა მიირთვათ), რადგან, ნებისმიერი მათგანი შეიცავს საღებავებს, ქიმიურ ნივთიერებებსა და ცხენციებს. განსაკუთრებით კი დიაბეტიანებმა და დიეტაზე მყოფებმა უნდა შეიკავონ თავი (ჯობია, საერთოდ არ დალიოთ), რადგან, თუ ესა თუ ის სასმელი არ შეიცავს შაქარს და მაინც ტკბილია, ესე იგი, შეიცავს შაქრის შემცველს, რომლის ხშირად მიღებაც საზიანოა ორგანიზმისთვის.



მომზადდა თამარიკო ზამთარაძემ



რა განსაკუთრებული ნიშნები ჰქონდა სტალინს სხეულზე

არსებობს წყაროები და მოგონებები, რომლებიც იოსებ სტალინის გარეგნობასა და სხვადასხვა უნარზე ამხივლებს ყურადღებას, მაგალითად, რა სიმაღლის იყო, რამდენ ენას ფლობდა, რამდენ გვერდს კითხულობდა დღეში და ასე შემდეგ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალაზე დაყრდნობით, კიდევ რამდენიმე დეტალზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

1902 წლის მარტში იოსებ სტალინი ბათუმში დააბატონირეს. იმავე წლის 17 ივლისს ჟანდარმერიის პოდპოლკოვნიკმა შაბილსკიმ და ბათუმელმა ექიმმა ელიავამ შედგინეს ოქმი, რომელშიც საინტერესო ცნობებს ვხვდებით სტალინის გარეგნობის შესახებ. ოქმში ვკითხულობთ, რომ შესახელმწიფოს მომავალი ერთპიროვნული მმართველი სიმალღით 161,8 სანტიმეტრი ყოფილა. ექიმ ელიავას სტალინის სხეული ფიზიკური ნიშნების მიხედვით ჩვეულებრივად მიუჩნევია, თუმცა, ოქმში საგანგებოდ აღუნიშნავს, რომ ჯულაშვილს მარცხენა ფეხზე მეორე და მესამე თითები შეზრდილი (შესორცხული) ჰქონია. მას ჰქონდა მუქი ნაბლისფერი, სწორი თმა, რომელსაც უკან გადაავრცხნილი ატარებდა, უღვაძეობი და ბაკუნბარდები კი – ნაბლისფერი. აქვე აღნიშნულია, რომ იოსებ ჯულაშვილს თვალის ჭრილი სამუალო სიდიდის ჰქონდა, ხოლო ფერი – მუქი ყავისფერი. ექიმმა ელიავამ სპეციალური შემოწმებით დაადგინა, რომ სტალინი მხედველობას არ უჩიოდა. მას არასდროს უტარებია სათვალე. ჟანდარმერიაში დადგენილი წესის მიხედვით, ექიმი სპეციალურად არკვევდა, თუ როგორ ეჭირა თავი პატიმარს. ხსენებულ ოქმში აღნიშნულია, რომ მხრებთან და, საერთოდ, სხეულთან მიმართებაში, ჯულაშვილს თავი ნორმალურად ეჭირა. ოქმში, ასევე, აღნიშნულია, რომ სტალინს ჰქონდა სწორი, საშუალო სიმაღლის შუბლი, ცხვირი – სწორი და გრძელი, ხოლო ყურები საშუალო ზომის. მარცხენა ყურზე ხალი ჰქონია. ამავე ოქმის მიხედვით დიდ ბელადს სახე გრძელი და ჩოფურა (ნაყვავილარით დაფარული) ჰქონდა, ნიკაპი კი – წვეტიანი. ექიმ ელიავას დაუდგენია, რომ სტალინს ქვედა ყბაზე ერთი წინა კბილი ჰკლებოდა. ჟანდარმერიაში არსებული წესის მიხედვით, ასევე, არკვევდნენ, როგორი ხმა ჰქონდა პატიმარს, როგორი ტემპი. ექიმი ელიავა აღნიშნავს, რომ სტალინი ლაპარაკობდა დაბალ ხმაზე, მეტყველებდა დახვეწილად და საუბრისას არანაირ განსაკუთრებულ ნიშნებს არ ამჟღავნებდა. ექიმ ელიავას არც სტალინის მოძრაობაში შეუნიშნავს განსაკუთრებული ნიშნები.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინი ხელმოკლე ოჯახში იზრდებოდა და, შესაბამისად, ნორმალური კვება არ ჰქონია არც ბავშვობაში და არც თბილისში სწავლის პერიოდში, იგი ფიზიკურად ძლიერი პიროვნება გახლდათ. ბათუმში დაბატონრებას (1902) მოჰყვა სტალინის ხუთი გადასახლება (ბოლო გადასახლებიდან იგი 1917 წლის მარტში გაათავისუფლდა). ის რამდენჯერმე გაიქცა ციხიდან გადასახლებიდან, რაც ფიზიკურად სუსტი ადამიანისათვის წარმოუდგენელი იყო. ციხეებში და გადასახლებებში მის ჯანმრთელობას დაღი მი-

ნც დაასვა: ჟანდარმებმა ცემის დროს მას მკლავზე წერვი დაუზიანეს, რის შემდეგაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სტალინი ამ ხელს ნორმალურად ვეღარ ხმარობდა.

სტალინს განსაკუთრებული მესხიერება ჰქონდა, რაც თბილისში სწავლის პერიოდშიც არაერთხელ გამოავლინა. იმხანად ჯულაშვილის წიგნის შესაქენი ფული არ გააჩნდა, მაგრამ, წიგნის კითხვას მაინც ახერხებდა. წიგნის მალაზიაში შესული სტალინი დახლზე დადებულ წიგნს აიღებდა და დაიწყებდა გადათვალეირებას, თან კითხულობდა კიდევ. წიგნის ერთი ფურცლის წასაკითხად სტალინს სულ რამდენიმე წამი ჰქონდა, რადგან, მალაზიაში დიდხანს შეყოვნების შემთხვევაში, ნოქრები ამ ეშმაკობას მიუხედავებოდნენ. კარგა ხნის განმავლობაში ის ასე კითხულობდა ახალ წიგნებს. ბოლოს ნოქრებმა შენიშნეს, რომ სტალინი გადათვალეირებულ წიგნს აღარ ყიდულობდა და უკანვე აბრუნებდა. ერთხელ ასეთი ინციდენტიც მოხდა: ნოქრებმა შეამჩნიეს, რომ მალაზიაში შესულმა სტალინმა რამდენიმე წიგნი გადაათვალეირა, მაგრამ არც ერთი არ შეიძინა. მას ამ ეშმაკობას მიუხედავებდნენ და ამის შემდეგ სტალინს მალაზიაში აღარ უშვებდნენ.

ალბათ, აქედან იღებს სათავეს გადმოცემა, დიდი ბელადი დღეში 300 გვერდს კითხულობსო.

სტალინის განსაკუთრებული მესხიერება ბევრს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. თავისი მო-

გულაზი გპრ-სახელმძღვანელს იხსენებდა არა პარტი ფორტების სარღვებს, არამედ, პრემიების სარღვებსა და ფიზიკიკების კმთაშობს, როგორც რიგში რამდენიმე ასეულ შაფაქანდა

ღვანეობის განმავლობაში ბელადს ბევრ პოლიტიკურ მონინაღმდეგესთან ჰქონდა პოლემიკა. ამ ადამიანების ნაწილი 1937 წლისთვის უკვე დახოცილი იყო, ხოლო, ვინც ცოცხალი გადაარჩა, სტალინმა საგანგებოდ მოაძებინა შესაბამისი სამსახურებს. საქმე ეხებოდა არა ერთსა და ორს, არამედ, რამდენიმე ასეულ ადამიანს, რომელთა სახელები და გვარები საბჭოთა იმპერიის ერთპიროვნულ გამგებელს ზეპირად ახსოვდა, ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე. ცხადია, სტალინის გონებაში შემონახა თავისი თანამებრძოლების სახელები და გვარებიც. მათი ნაწილი დიდმა ბელადმა 20-30 წლის შემდეგ მოაძებინა და სათანადო პატივცემივით. მისი თანამებრძოლები აღნიშნავენ, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში ბელადი გვარსახელით იხსენიებდა არა მარტო ფრონტების სარდლებს, არამედ, არმიების სარდლებსა და დივიზიების მეთაურებს, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასეულს შეადგენდა.

სტალინი ქართულ და რუსულ ენებზე ერთნაირად ლაპარაკობდა და წერდა. რუსულ ენას ჯულაშვილი საფუძვლიანად დაეუფლა გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას. სასულიერ-




რო სემინარიაში არსებობდა უმცავერი მოთხოვნა. ძველი და ახალი აღთქმა მოწაფეს ძველს ლაგურ ენაზე უნდა წაეკითხა და გადმოეცა. დიდი ბელადი, რუსულის ბრწყინვალედ ცოდნის მიუხედავად, მაინც ქართული აქცენტით ლაპარაკობდა. ჭორი დადიოდა, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ემლონების წარმომადგენლებიც ჰბახავდნენ მას და ცდილობდნენ, რუსულად ქართული აქცენტით ელაპარაკათ, თუმცა, ეს მთლად ჭორიც არ უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ 1941 წლის 22 ივნისს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, 12 საათზე გადაიცა საბჭოთა მთავრობის მიმართვის ტექსტი მოსკოვში, მაგრამ, მისი დიქცია და აქცენტი იმდენად ჰგავდა სტალინისას, რომ თანამებრძოლები იხსენებენ, გვეგონა, სტალინს ვუსმენდითო. გარდა ქართულისა და რუსულისა, სტალინმა კარგად იცოდა ძველი ბერძნული, ამბობენ, რომ გერმანულ ენასაც ფლობდა.

თბილისის სასულიერო სემინარიაში სავლედებულ იყო რუსული და ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა. სტალინი შესანიშნავად გალობდა ორივე ენაზე და ამ ორსაგანში ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა. სემინარიის მაგალობელთა გუნდის შედგენისას, მასწავლებლებმა საგანგებოდ შეამოწმეს მონაწიეების სმენა და ხმა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ სტალინს სემინარიის მაგალობელთა გუნდში მეორე ხმა ემღერა. ის სიცოცხლის ბოლო წლებამდე შესანიშნავად მღეროდა, განსაკუთრებით უყვარდა ორი სიმღერა: „ჰასანბეგურა“ და „გაფრინდი, შავო მერცხალო“.

სტალინი წერდა გაკრული, მაგრამ, ადვილად წასაკითხი კალიგრაფიით. დღემდე შემორჩენილი მის ხელნაწერებში ვერ პოულობენ ვერც ერთ კორექტურას, სასწენი ნიშნებზე კი უშეცდომოდა დასაშული. უფრო მეტიც, ბელადი არალეგალურად გამოცემული გაზეთებისთვის, თავის საავტორო მასალას თვითონ აწყობდა სტამბაში; ასევე, საკუთარი ხელით აწყობდა პროკლამაციებისა და მონადეების ტექსტებსაც. მისი ხელით ანაწყობ ტექსტშიც ვერ ვხვდებით კორექტურას, მაშინ, როცა არალეგალურად დაბეჭდილი გაზეთები და პროკლამაციები სავსე იყო ხოლმე შეცდომებით. ცნობილია, რომ რუსეთის ჟანდარმერია სტალინის პროკლამაციებს სწორედ ამით ცნობდა.

მომზადდა
ანრი შავლაძემ



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ფაბარაული

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

კურტ ვონეგუტი

ყველას სურს, რომ დაცული იყოს უარყოფითი გარემო ფაქტორებისგან, მეტად უმართლებდეს, აიცილოს შესაძლო საფრთხეები და ასე შემდეგ. ჩვენს სხეულს გარშემო აკრავს გარსი, რომელიც ჩვენსავე დაცვას უზრუნველყოფს და მისი დარღვევის შემთხვევაში უამრავი პრობლემა იჩენს თავს. ბევრმა არ იცის, როგორ დაიცვას თავი გათვალისწინებულ, რა საფრთხეს უქმნის მას ბინაში არსებული ტექნიკა და რა ენერგიებით ხდება მიღწეულ მთავარზე სახლის განმეინდა, ამიტომ, უმჯობესია, ამ შრიც აუცილებლად გაითვალისწინოთ ის ასტროლოგიური რჩევები, რომლებზეც ქვემოთ გესაუბრებით.

მოკლედ, ყველა ადამიანს უხილავი ენერგონიფორმაციული ველი აკრავს გარს, რომელიც მას გარე სამყაროს უარყოფითი ძალებისგან იცავს და ის კოსმიური ძალების ზეგავლენით იცვლება. ბევრია დაინტერესებული და სვამს კითხვას, საიდან იღებს ბიოველი ენერგიას, რატომ იცვლის ის ფერს განწყობის მიხედვით, როგორ გავმნიდნოთ სახლი უარყოფითი ენერგიებისგან, რა არის ადამიანის სხეულის გარშემო არსებული ველი და რისგან იცავს ის ორგანიზმს.

რა საფრთხეს გვიქმნის ბინაში არსებული ტექნიკა და როგორი ენერგოეზიტი სხვა მიწვეულ მოვარეზა სახლის განმეინდა

ემო არსებული ველი და რისგან იცავს ის ორგანიზმს. გეტყვით, რომ, ადამიანს სხეულის გარშემო დამცავი გარსი აკრავს, ანუ, ეგრეთ ნოდებუელი, ენერგონიფორმაციული ველი. ის კოსმიური ძალების ზეგავლენით იცვლება, თვალთ უხილავია და იცავს ადამიანს გარე ძალების არასასურველი ჩარევისგან. ასევე, გეტყვით იმასაც, რომ სუფთა და უბოროტო ადამიანის ბიოველის გარლვევა და დაზიანება ძალიან რთულია. შესაბამისად, ისინი მეტად დაცულები არიან გარე ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისგან და მათ ბიოველში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა რთულია.

საერთოდ, აურა ადამიანის გარშემო მანათობელი ვარსია, რომელიც ამა თუ იმ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით იცვლის ფერს. ბიოველი კი იგივეა აურა, რომელიც სიმეტრიულად არის განაწილებული სხეულის გარშემო. ელექტრომაგნიტურ ველში მოხვედრილი ადამიანის სხეული ნათებას იწვევს, მიცვალბეულის სხეული კი ელექტრომაგნიტურ ველში არ ანათებს. ასე რომ, აურის ნარმოქმნაში, ბიოენერგიასთან ერთად, სულიც იღებს მონაწილეობას. ადამიანს აქვს ფარული ენერგიების დიდი მარაგი, რაც ხშირად ფიზიკურ ამტანობაში ვლინდება. ექსტრემალურ სიტუაციებში ორგანიზმში იღვიძებს ფარული რეზერვები, უმჯობესდება ტვინის მუშაობა, მახვილდება ყნოსვა და სმენა. რაც შეეხება ბიოველის ფერს, ის იცვლება განწყობის მიხედვით. ბიოველს თავისი ფერები აქვს და სწორედ ამ ფერების მიხედვით შეგვიძლია, შევიტყოთ, რას განიცდის ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბიოველის დარღვევა და დეფორმირება იწვევს ისეთ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია და ეს დარღვევები მთამომავლობით გადადის შვილებსა და შვილიშვილებზე, რაც ენერგეტიკულ დონეზე ხდება. ენერგეტიკული ზემოქმედებით ამ დეფორმაციის გამოსწორება შესაძლებელიცაა და რეალურიც.

გათვალისწინებულ აურა ადვილად ირღვევა, დადებითი ემოციები კი, ზრდის ბიოველს. მაგალითად, თუ ადამიანი ადვილად ექცევა სხვისი ენერგეტიკული ზემოქმედების ქვეშ, ანუ, მარტოვად რომ ვთქვათ, იღებს თვალს და დადის გათვალისწინებული, მისი აურა თანდათან დეფორმირდება, ირღვევა და სასიცოცხლო ენერგია კოსმოსში გაედინება. ენერგიის გაცვლა-გამოცვლა ბუნების დაუნერელი კანონია და, ნებისმიერი ენერგეტიკული გამოხატურობის, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, ყოველთვის თავის უპირველეს წყაროს უტრუნდება. ბიოველს ზრდის დადებითი ემოციები: რწმენა, სიყვარული, იმედი, სიხარული და ასე შემდეგ და ადამიანებს ენერგეტიკულად აძლიერებს, ხოლო - უთმედობა, შიში, დეპრესია, შური, ეჭვიანობა თუ სამაგიეროს გადახდის სურვილი ენერგიას აკარგვინებს და ბიოველს უსუსტებს. მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი თუ სხვა ტექნიკა ჩვენს აურას საგრძობლად ასუსტებს და ამის გამო უამრავი დაავადება იჩენს თავს, რომელიც ბიოველს დასუსტებით არის გამოწვეული. ნარმოიდგინეთ, რამდენად უარყოფითი ენერგიების ნაკადი გროვდება ჩვენს ბინებში, სადაც ტელეფონიც არის, ტელევიზორიც და კომპიუტერიც. ამიტომ, აქვე განსავლით ერთ ხერხს, რომელიც დროდადრო უნდა ჩაატაროთ და ამით განმწმდოთ ბინის ბიოველი, ანუ აურა: მიღწეული მთვარის პერიოდში, ღამით, გააღეთ ფანჯრები და კარი, საიდანაც ბინაში შემოვა სუფთა ჰაერი და მას შემოჰყვება კოსმოსიდან მიღწეული მთვარის ენერგეტიკა, რომელიც ბინის აურაზე დადებითად მოქმედებს. რაც შეეხება ადამიანის აურას, მთავარია, იზრუნოთ, რომ ის არ დაზიანდეს და არ დეფორმირდეს. ამისთვის კი, გირჩევთ, არ ჩაიდოთ გულში ბოლბა, შური და სამაგიეროს გადახდის სურვილი; იყავით მეტად ოპტიმისტი, შეინარჩუნეთ სტაბილურობა; იყავით უბოროტო და სუფთა, რათა ბოროტმა ადამიანებმა ვერ მოახერხონ თქვენი ბიოველის გარღვევა, მასში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა და ამით თქვენი დასუსტება.



შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: დავიბადე 1985 წლის 29 აგვისტოს, დაახლოებით დღის 12 საათზე. რომელი პროფესია ჩემთვის ნარმატების მომტანი, გამომართლებს თუ არა უცხოეთში და, კერძოდ, რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და სასურველი?

პასუხი: თქვენი კოსმიურ-კარმული მისია სამშობლოს უკავშირდება, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ უცხოეთი თქვენთვის ცუდია. კარგი და ნარმატების მომტანია შემდეგი ქვეყნები: ინგლისის დასავლეთი მხარე, ბელგია, კანადა, კუნძული სარდინია, ამერიკის შეერთებული შტატებიდან - ალმოსავლეთი მხარე; ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, საბერძნეთი, ნორვეგია, უკრაინა, კვიპროსი, ირლანდია, პოლონეთი, შვეიცარიის ალმოსავლეთი მხარე, მოლდოვა, ესტონეთი, არგენტინა, ფინეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ისრაელი, შრი-ლანკა; პროფესიებიდან კი მისაღებია: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია, ლინგვისტიკა, მთარგმნელობითი საქმიანობა, ავიაკო, ოურისპრუდენცია, საკომუნიკაციო სისტემები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, საავტორო, საფინანსო საქმე, უძრავი ქონების ბიზნესი, საიუველირო საქმე, საკონდიტრო სფერო, არქიტექტურა და მშენებლობა.

კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1988 წლის 7 დეკემბერს, დღით. რომელი პროფესიაა მისთვის ნარმატების მომტანი და რომელ ზოდიაქოს ნიშანთან ურჩევთ დაოჯახებას, რათა სამომავლოდ პრობლემები აიცილოს თავიდან?

პასუხი: მისთვის კარგია ოჯახის შექმნა სასწორის, ვერძის, მერწყულის ან მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან; პროფესიებიდან კი მისაღები და ნარმატების მომტანია: საკომუნიკაციო უმუშაო ემულონებში ორგანიზატორული და ადმინისტრაციული საქმიანობა, მანქანათმშენებლობა, სამხედრო სტრუქტურები, საინჟინრო

საქმე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სპორტი, ტექნიკა-მექანიკის სფერო, საგამომცემლო, საკონსტრუქტორო საქმე; მედიცინიდან - ფსიქოთერაპია, სასწრაფო დახმარება, რენიმატოლოგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, ქირურგია; ასევე, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომცემლო სფერო, კონტროლის პალატა, საგადასახადო ინსპექცია, სადაზღვევო კომპანიები, პედაგოგია, რელიგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ასტროლოგია.

კითხვა: დავიბადე 1998 წლის 10 მარტს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე. რომელი პროფესია ჩემთვის მისაღები?

პასუხი: თქვენთვის ნარმატების მომტანია: ტურისტული ბიზნესი, რადიო, ტელევიზია, ჟურნალისტიკა, პრესა, საგამომცემლო, სარეკლამო ინდუსტრიის ფართო სექტორი, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, მთარგმნელობითი საქმიანობა, ოურისპრუდენცია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სადალაქო საქმე, საკონდიტრო სფერო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნება, პოეზია, ლიტერატურა, დიზაინი, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი.



თეატრები

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი რუსთაველის გამზირი №17. ტელ: 272-68-68

10 აპრილი, **სუთშაბათი** 19.00 - „სტუმარ-მასპინძელი“ - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბარო ჩაჩიბაია, ია სუხიტაძე, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურციია, გელა ლუცუავე. **ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;**

11 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - „ნადირგზის სპეციალი“ - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაძე, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, შუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. **ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;**

12 აპრილი, **შაბათი** 19.00 - „გაბრიელის შვიდი“ - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი გიორგი თაყაი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურციია. **ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;**

13 აპრილი, **კვირა** 15.00 - „უფლისწული და მათხოვარი“ - (ბილეთის ფასი - 6, 8, 9, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ შინეშვილი. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ზაზა ბარათაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცირიძე, ანდრია თავბერიძე, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიქუჩაძე-ლაღანიძე. **ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;**

13 აპრილი, **კვირა** 19.00 - „რა საოცარი დღეა...“ - ჩრდილოეთის თეატრი (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (მცირე სცენა), ავტორი და რეჟისორი გელა კანდელაკი. მონაწილეობენ: ვადიმ მუბითი, ელენე მურჯიკიანი, პაატა მენგელია, ანჟელა აბშილაძე, გიორგი ჭანტურია, ელენე ზურაბაშვილი. **ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;**

13 აპრილი, **კვირა** 19.00 - „მალე მოვაღწეო...“ - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი დავით მამაძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაცაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვამალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; **ხანგრძლივობა: 2სთ.;**

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ: 295-59-66

8 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - „ჟოლო“ - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. **ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;**

9 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - „პრეტ-სელ-ოვანა“ - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიშვილი, ალექო მახარობლიძე. **ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;**

10 აპრილი, **სუთშაბათი** 20.00 - „გრონკოლის ბაიბა“ - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალექო მახარობლიძე. **ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;**

10 აპრილი, **სუთშაბათი** 20.00 - „შერაული აქტივიზმი“ - (თეატრი სხეში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; **ხანგრძლივობა: 2სთ.;**

11 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - „დეკამერონი“ - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკა-

შვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარტო გეგუტია, ჯაბა კილაძე. **ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;**

12 აპრილი, **შაბათი** 20.00 - „რეპეტიციონი“ - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ყორღანია. მონაწილეობენ: დავით დვალაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ზვიად სხირტლაძე, ონისე ონიანი, როლანდ ოქროშიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილაძე, ნინო დლონიძე; **ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;**

13 აპრილი, **კვირა** 20.00 - „ძალაბი“ - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცილო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგუშვიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მუყანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე. **ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;**

13 აპრილი, **კვირა** 20.00 - „ვიროსორობა / ვრანსორობა აკვიტილები“ - (თეატრი სხეში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლელა ჭინჭარაული. მონაწილეობენ: ქეთი გეგუშვიძე, კალერი კორშია, როლანდ ოქროშიძე, ჯაბა კილაძე, ნათელა ნიკოლაშვილი, თინათი ქოქრაშვილი, კონსტანტინე როინიძე; **ხანგრძლივობა: 2სთ.;**

მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სენა)

მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ: 2 955-966

– „ბერკლის“ კურსდამთავრებულების ცერემონიის წინა დღე დადი კონცერტი იმართება ხოლმე, რომელსაც ესწრება რვა ათასი ადამიანი. ამ კონცერტს 20 წუთი მე ვუხელმძღვანელებ, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. ეს გულისხმობს: პარტიტურების დანერგას, მუსიკოსების მოქებნას. რაც მთავარია, ყველა კურსდამთავრებული იქნება. და ერთი ჭორი, რომელიც გავიგე, არის ის, რომ ჯიმი პეიჯი, რომელიც „ლედ ზეპელის“ გიტარისტი იყო, აპირებს ჩამოსვლას. არ ვიცი, დაუკრავს თუ არა, მაგრამ, თუ დაუკრავს, მასთან ერთად მეც აუცილებლად დავეუკრავ.

ნათია უშიაშვილი



ბოლო დროს ქართველი მომღერლები აქტიურად გამოდიან უცხოეთის კონკურსებზე და თითქმის ყველა აღწევს წარმატებას. განსაკუთრებით რუსეთის და უკრაინის „ახალი ხმის“ კონკურსებზე არაერთმა ქართველმა გააოცა ყოირო და მაყურებელს თავისი განსხვავებული სასიმღერო სტილით, შესრულებით მანერით და ტემპერამენტით დაამახსოვრა თავი. წლებადნელ უკრაინულ „ვოისში“ 24 წლის მიმბი ბოპიტჩიკა ერთადერთი ქართველია, რომელმაც შესარჩევი ტური წარმატებით გაიარა და ახლა „რინგისთვის“ ემზადება. ის ანი ლორაკის გვეუფნია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. სხვათა შორის, ყოიროში ქართველი მომღერალი თამარ გვერდნითელიც ზის, რომელიც საკმაოდ მკაცრია და მასთან მოხვედრა, ნებისმიერი დამწყები მომღერლისთვის დიდი პასუხისმგებლობაა.

რას ვერ შეხვალის მები ბოპიტჩიკისთვის უკრაინულ „ვოისში“ გამარჯვება და რატომ მიიჩნევს ის თავს არასაკონკურსო ტიპად

მები ბოპიტჩიკა: ქობულეთში დაიბადე და ვაიოზარდე. შემდეგ თბილისში თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, ჩამოვყავალიბე ბენდი და ვმართავდით პატარ-პატარა კონცერტებს ჩვენი მსმენელისთვის. მუსიკაში ჩემთვის „ლაივი“ ყველაზე მნიშვნელოვანია. მომწონს, როცა მომღერალსა და მსმენელს შორის არ არსებობს ბარიერი, ბგერები სივრცეში იფრქვევა და ამით ყველა კმაყოფილია.

– მახსოვს, „ვარსკვლავების აკადემიაში“ გამოდიოდი, თუმცა, ამის მერე, ფაქტობრივად, არც ერთ კონკურსში აღარ მივიღია მონაწილეობა. ახლა კი უკრაინულ „ვოისში“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კონკურსანტი ხარ და შენთან კონკურენცია უჭირთ მონაწილეებს. ამბობენ, რომ გამარჯვების პრეტენდენტი ხარ. და მაინც, რატომ გადაწყვიტე უკრაინულ „ვოისში“ მონაწილეობის მიღება?

– უკრაინაში მეუღლესთან ერთად წამოვედი ოთხი თვის წინ და აქ დავიწყეთ ცხოვრება, ნელ-ნელა ვფუძნდებით. ქასთინგი რომ გამოცხადდა, ვიფიქრე მეც მივიღებ მონაწილეობას, ვცდი ბედს-მეთქი. თუმცა, ჩემი თავის იმედს რომ არ მქონოდა, არც გავრისკავდი. რასაკვირველია, იმის რისკიც არსებობს ამ კონკურსზე, რომ, კარგად იმღერო, მაგრამ, ყოიროს არც ერთი წვერი არ შემობრუნდეს. მე თავს საკონკურსო ტიპად არ მივიჩნევ, თუმცა, ეს პროექტი ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა. საქართველოში, 18 წლის ვიყავი, როცა კონკურსზე გავედი პირველად, ეს იყო „ვარსკვლავების აკადემია“. ხომ გახსოვთ, სადაც მონაწილეები ვცხოვრობდით, იმ სახლის კედელი ჩამოიხრდა და ეს ფაქტი დღესაც ცუდად მაქვს ჩარჩენილი. ამის მერე სურვილიც აღარ მქონია, მსგავს პროექტებში მიმეღო მონაწილეობა. მართალია, უამრავი მუსიკალური კონკურსი ტარდება საქართველოში, მაგრამ, მე ჩემს მუსიკას ვაკეთებდი და ამით ვცდილობდი მსმენელის მოზიდვას. უკრაინულ „ვოისში“ კი გავედი და ყოიროს შემობრუნება შეეძლო. ანი ლორაკის გვეუფნო ვარ და ძალიან მეგობრული გარემოა. რომ გავდიოდი, იმასაც ვფიქრობდი, შესაძლოა, ოთხივე შემობრუნდეს ჩემს ნამღერზე, შესაძლოა, არც ერთი-მეთქი და, მხოლოდ ანი შემობრუნდა. მისი მადლობელი ვარ. თან, ხუთი თვის ფეხმძივი ვიყავი სცენაზე რომ გამოვედი და ორმაგად ვღელავდი. ისე მეცვა, მუცელი რომ დაემძალა და, ვერაფერს შეამჩნია ჩემი ეს მდგომარეობა, პირველი ტური ისე გავიარე (იცინის). ვხუმრობ ხოლმე, აბსტრაქტულად თუ ვიმსჯელებთ, მე სცენაზე ერთი ადამიანი კი არა, ორი ვდგავარ და ორის ენერგეტიკა უფრო დიდია, ვიდ-

რე ერთის, ამიტომ, გამარჯვების მეტი შანსი მაქვს-მეთქი (იცინის). ერთი სიტყვით, ახლა, წინ ბევრი სასიამოვნო ტური მელის და ამაზე ვარ ორიენტირებული. რაც შეეხება მოგებას, უცხო მხარეში ქართველმა მოიგო „ვოისის“ კონკურსი, ცოტა რთულია, თუმცა, არაფერს გამოვიცხადებ. დამიჯერეთ, მე გამარჯვებაზე არ ვფიქრობ, ვფიქრობ ტურიდან ტურში გადასვლაზე.

– ჰოდა, სწორედ ამ ტურიდან ტურში გადასვლას მოჰყვება ფინალი და შემდეგ – გამარჯვება.

– გეთანხმებით, ასეა. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ არ ვარ მოგებაზე ორიენტირებული, უფრო მიზანთან მიახლოებაზე ვიბრძვი. ვაგვიკვირდებათ და, არ ვარ მიზანდასახული ადამიანი, ძალიან დაბნეული ვარ, მაგრამ, საჭირო დროს, ყოველთვის საჭირო ადგილას ვარ ხოლმე და ეს მშველს. რომ გითხრათ, მიზანი დასახული მაქვს და ამ კონკრეტული მიზნისკენ მიმავალი გზით მივდივარ-მეთქი, მოგატყუებთ. მე ყოველდღიური ცხოვრებით ვცხოვრობ და მიმართლებს.

– მეტი, საკმაოდ ემოციური ადამიანი ხარ და ეს შენს ნამღერშიც ჩანს. როცა სცენაზე დგახარ, თითქოს სულ სხვა განზომილებაში ხვდები, თუ, მეჩვენება?

– ვერ გეტყვით, სცენაზე დგომის დროს მეცხრე განზომილებაში ვარ-მეთქი, არც არა-მეცხენი ვარ (იცინის). მე გულთბი ვმღერე და ეს, ალბათ, შესამჩნევია.

– ყოიროში ქართველი მომღერალი თამარ გვერდნითელიც ზის. ის როგორი შემფასებელია შენი შესრულების, ხომ არ ნაწილობრივ არ შემოიბრუნდა „ბრმა ქასთინგზე“?

– თამარს დიდ პატივს ვცემ და უკრაინაში

ის ყველას უყვარს. რომ არ შემოიბრუნდა, ამაზე ნამდვილად არ მწყდება გული, უბრალოდ, მითხრა, მისარია, რომ ანში დააფასა შენი ნამღერი და დღეს სცენაზე იბრძვიო. როცა ვხვდებით ერთმანეთს, თბილად მომიკითხავს ხოლმე და, მიუხედავად იმისა, რომ მის გუნდში არ ვარ, მეუღლემამტკივრობს. ზოგადად კი ილბალზე არასდროს ვფიქრობ და, ჩემი აზრით, ადამიანი თავისი შრომით იქმნის ცხოვრებაში ილბალს. თუმცა, შეიძლება ითქვას, ილბალიანი აღმოჩენილი.

– ეს პროექტი რომ მოიგო, რა შეიცვლება შენი?

– პიროვნულად რაღა შემიცვლის, იგივე დავრჩები, უბრალოდ, კიევიში თუ მიცნობს ცოტა, გამიცნობს ბევრი – სულ ესაა. ასე რომ, „ვოისის“ გამარჯვება არც თავში ამივარდება და ვერც შემიცვლის. ანი ლორაკი, როგორც გითხარით, დიდ იმედებს ამყარებს ჩემზე და, მიდი, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. არ მეგონა, ასე თუ მიმიღებდა უკრაინელი მსმენელი. ძალიან თბილები არიან და აფასებენ მომღერალს შრომას, მონდომებასა და ნიჭს. სადაც არ უნდა ვიყო, სიმღერის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება. გამიმართლებს თუ არა კონკურსზე, მომავალში მაინც ვიმღერებ და ამით სიამოვნებას მივიღებ. დამიჯერეთ, არც კი ვიცი, უკრაინულ „ვოისში“ გამარჯვებულისთვის რა პრინების დანესებული (იცინის). ქუჩაში რომ დავდივარ, უკვე ვხვდები, რომ მცნობენ – მილიმიან, მეუბნებიან, ძალიან კარგად იმღერეო. ეს ძალიან მსიამოვნებს და სტიმულსაც მძალავს.

– ყველაზე დიდი გულშემატკივარი, ვფიქრობ, შენი მეუღლეა, რომელიც სულ გვერდით გაყავს.

– ასეა, მეუღლე ჩემზე ძალიან ღელავს და განიცდის. ეს ის ადამიანია, რომელსაც ვენდობი და ვყვრდები. თან, ორსულად რომ ვარ, უფრო განიცდის სცენაზე ჩემს ემოციურ გამოსვლას. მისი დამსახურებაცაა, მე რომ დღეს უკრაინულ „ვოისში“ ვიბრძვი.

– მეტი, წარმატებებს გისურვებ. მინდა, რომ საქართველოში გამარჯვებული დაბრუნდე!

– დიდი მადლობა, რომ მეუღლემამტკივრობთ. ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული. ვეცდები, ღირსეული კონკურენცია გავუწიო ჩემს ძალიან ნიჭიერ კონკურსანტებს.

ონა ლათიჟიკა



საჭირო დროს ყოველთვის საჭირო ადგილას ვარ ხოლმე და ეს მშველს

მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი
გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.
ყოველივე ამას უძველესი და მეცნიერებით მხსნეული თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანალიძა.
ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.



კომორ ბიჭაშს მძაბვლავ ქალაქი 186 ათასი მანეთის ღირებულების კვირფასეულობა თბილისის ერთ-ერთი საიუველირო მაღაზიდან

ანა კიკაბიძეს, მეტსახელად „ჯიბგირს“, კარგად იცნობდნენ როგორც თბილისისა და საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც. ეს უნიჭიერესი გოგონა ვირტუოზულად ფლობდა ერთბაშად რამდენიმე კრიმინალურ პროფესიას და დიდ თავსატეხს უჩენდა მილიციის ორგანოებს. ვთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს „ჯიბგირის“ ცხოვრებიდან, რომელიც ექსკლუზიურადაა მოპოვებული და რედაქციასთან შეუთანხმებლად ამ მასალების გამოქვეყნება დაუშვებელია.

„შუარაცხალი“

ანა სარდიონის ასული კიკაბიძე დაიბადა 1950 წლის 7 აპრილს, თბილისში, ინჟინრის ოჯახში. მისი მშობლები ერთ-ერთ საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობდნენ, მათი ერთადერთი ქალიშვილი კი 24-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. უნიჭიერესი ანა ოქროს მედლის კანდიდატი იყო, თუმცა, 1966 წელს, როდესაც გოგონა მეთერთმეტე კლასში გადავიდა, ის 25 წლის გურამ ჩიგოჯიძემ მოიტაცა... გამტაცებლის მამა მაღალჩინოსანი პარტიული ფუნქციონერი იყო, ამიტომ, არ გასჭირვებია ამ საქმის მოგვარება, რადგან, არასრულწლოვნის მოტაცება კანონით ისჯებოდა. ამგვარად, ჩიგოჯიძეებმა ლამაზი, ნიჭიერი და კარგად აღზრდილი რძალი მიიღეს. ანა მალევე დაფეხმძიმდა და ჩვილდები წლისაც არ იყო, ვაჟი რომ გაუჩნდა. ბავშვს ნოდარი დაარქვეს. ახალგაზრდა დედა ბავშვსაც უწვლიდა, ოჯახსაც უძღვებოდა და თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ, გურამმა საყვარელი გაიჩინა, მას მიჰყო ხელი და ცოლს სცემდა. ერთ მშვენიერ დღეს ანამ ბავშვს ხელი მოჰკიდა და მშობლებთან დაბრუნდა. ჩიგოჯიძეებმა იმავე ღამეს წამოიყვანეს ანა და ბავშვი სახლში, თუმცა, გურამი არ შეცვლილა. პირიქით, ის უფრო სწორად სცემდა ახალგაზრდა, ერთგულ და უღამაზეს მუულებს. ამიტომ, ანამ მეორედ წაიყვანა პატარა ნოდარი, მშობლებთან დაბრუნდა და ქმრის ოჯახში ცხოვრებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ამყამა გოგონამ თავისი მაღალჩინოსანი მამამთილის თხოვნაც კი უგულბებლყო და ქმარს არ დაუბრუნდა. გააფთრებულმა ნოდარ ჩიგოჯიძე-უფროსმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენა. შეიღობილი წაიყვანა, რძალი კი საგიჟეთში გააძენსა, სადაც ის შეურაცხად გამოაცხადეს. მაშინ ანა სულ რაღაც 17 წლის იყო...

„დეიდა ლიზა“

საგიჟეთში გამომწყვდეულ გოგონას, ალბათ, მართლა გააგიჟებდნენ ჯალათი ექიმები, ალისა შუმანი რომ არ შეხვედროდა. დიდი კომპოზიტორის მოგვარე, ორმოციოდე წლის ქალბატონი, ცნობილი ჯიბგირი იყო და კრიმინალურ სამყაროში მას „დეიდა ლიზას“ ეძახდნენ, საგიჟეთში კი იმიტომ იწვა, რომ ოთხხანიანი პატიმრობა

თავიდან აეცილებინა და კვლავ გარეთ გასულიყო. დეიდა ლიზამ დაწვრილებით გამოჰკითხა ანას ყველაფერი და ბოლოს უთხრა:

– შენი აქ ვაჩერება არ შეიძლება, მართლა გაგაგიჟებენ და მერე ვერაფერი გიშველის, ამიტომ, უნდა გაიქცე. მე შენ ჩემი დის მისამართს მოგცემ და ის დაგმალავს. მალე მეც გამოვალ და დანარჩენზე შემიდე ვილაპარაკოთ. დეიდა ლიზას დარიგებით, ანამ 20 წლის სანიტარი, ჯონდო ბუკია მოხიბლა, ინტიმურ ურთიერთობას შეჰპირდა და მისი დახმარებით საგიჟეთიდან გაიქცა. ანა ალისას უმცროსმა დამ, ბერტა შუმანმა შეიფარა, რომელიც გამყიდველად მუშაობდა საიუველირო მაღაზიაში. ერთი თვის შემდეგ სახლში დეიდა ლიზა დაბრუნდა და ანას კრიმინალურ აღზრდა-განათლებას შეუდგა. ანა ძეხნილი იყო, ამიტომ, დეიდა ლიზამ მას უპირველესად გარეგნობა შეუტყვალა: შეჭრა და შეუღება თმა, მზის სათვალეები გაუკეთა, სადაც ჩააცვა და ჯიბგირობა დაწყებინა. 18 წლის ანამ ბრწყინვალედ აითვისა ჯიბგირის პროფესია, „სუფთად“ იპარავდა და დეიდა ლიზამ მას მეტსახელად „ჯი-

მოხსიერება ქალაქის ღუბები ცსტაბტრაღ კარგაგა თბილისელებს და ახას მძაბვნი აწინებდა

ბგირი“ შეარქვა. ქალთა ეს ღუბები სამი თვის განმავლობაში წარმატებულად ძარცვავდა თბილისელებს. შემდეგ მათ მილიცია „დააჯდა უკლებზე“ და ისინი იძულებულები გახდნენ, მოსკოვში გახიზნულიყვნენ. საბჭოეთის დედაქალაქში დეიდა ჯიბგირობის პარალელურად, თალითობდა და მდიდარ „კლიენტებს“ ფულს ართმევდა. ამავდროულად, ბინებს ქურდავდნენ და ამ გზით საკმაოდ დიდ კაპიტალს მოუყარეს თავი. დეიდა ლიზამ მოსკოვის ცენტრში სამოთახიანი ბინა შეიძინა, თავისთვის და ანასთვის ახალი საბუთები იშოვა და იქვე დასახლდა. მეზობლებისთვის ისინი დედა-შვილი იყვნენ. რას წარმოადგენდნენ, რომ ეს მომიზნებული ქალები თავგამოდებული კრიმინალები გახლდნენ და მამაკაცებსაც არ უდებდნენ ტოლს...

კარცა

„დედა-შვილმა“ მოსკოვში სუთი წელი დაჰყვეს. ამ ხნის განმავლობაში ინტენსიურ კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდნენ და ერთხელაც არ მოხვედრილან მილიციის ეჭვის ქვეშ. მოუხდევად იმისა, რომ კრიმინალურ დევნეს ფული არ აკლდა, დეიდა ლიზა დიდ საქმეზე ოცნებობდა – მას საიუველირო მაღაზიის გაძარცვა უნდოდა, ამ საქმის მომზადებას სუთი წელი მოაწინებდა დასთან ერთად და თბილისშიც ამიტომ დაბრუნდა.

– ყველაფერი მზადაა, ალისოჩკა, მხოლოდ შესრულება უნდა და, ას ორმოციოდეათი ათასის ძვირფასეულობა ჩვენია, – უთხრა დეიდა ლიზას უფროსმა დამ – ბერტამ.

1973 წლის 21 ივლისს თბილისის ერთ-ერთი საიუველირო მაღაზიიდან დღემა შუმანებმა და ანა კიკაბიძე-

ემ 186 ათასი მანეთის საქონელი წაიღეს. მათ მაღაზიაში ვიტრინიდან შეაღწიეს, რომელიც ალმასით ამოჭრეს და უკან იმავე გზით დაბრუნდნენ, ალისამ და ანამ კი მანამდე სიგნალიზაცია გამოორთეს... მთელი მილიცია ფეხზე დადგა, მაგრამ ბოროტმოქმედებს ცხელ კვალზე ვერ მიჰყვნენ. ანა და ალისა მეორე დღესვე გაემგზავრნენ მოსკოვში მატარებლით, ბერტა კი თბილისში დარჩა და, ნესით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ერთ-ერთმა მეზობელმა ქალმა მილიციას შეატყობინა: ბერტა შუმანის სახლიდან საღამოს ორი ქალი გამოვიდა ჩანთებით და ტაქსით გაემგზავრნენ. მეზობელმა მილიციას ტაქსის ნომერიც მიანოდა, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო. მილიციამ ბერტას პირადი საქმე ამოსწია, სადაც „დეიდა ლიზაზე“ იყო ჩანაწერები. თუმცა, გამოძიებლებს ძალიან უკვირდათ და არ სურდათ, „დეიდა ლიზას“ დაკავშირება საიუველირო ძარცვასთან. მიუხედავად ამისა, მათ ფარული თვალთვლით და მოსმენა დაანესეს ბერტა შუმანზე და მისი სატელეფონო საუბარი მოისმინეს ალისასთან, იგივე „დეიდა ლიზასთან“. მილიციამ დაადგინა იმ ბინის მისამართი, სადაც ბერტა ელაპარაკებოდა დას, შემდეგ იქ ოპერაგოფი ჩავიდა და ქალები ნაძარცვე ძვირფასეულობით აიყვანეს. ამავდროულად, მათ ხუთი წლის წინ ძეხნილად გამოცხადებული ანა კიკაბიძეც დააპატიმრეს, რომელიც იმ პერიოდში 23 წლის იყო. სამივე ქალი გაასამართლეს, 10-10 წელი მიუსაჯეს და სხვადასხვა ციხეში გაამწყვდეს...

გაუჩინარებული

ალისა და ბერტა შუმანები პატიმრობაში გარდაიცვალნენ: დეიდა ლიზა – ორი წლის შემდეგ, 1975 წელს, ბერტა – 1976 წელს; ანა კიკაბიძე კი, იგივე „ჯიბგირი“, 1978 წელს, 5 წლით ადრე გათავისუფლდა პატიმრობიდან, როცა 28 წლის იყო. ანა მოსკოვში დაბრუნდა და დეიდა ლიზას მიერ ნაყიდ ბინაში დასახლდა. ის უკვე საკმაოდ ცნობილი ფიგურა იყო კრიმინალურ სამყაროში და მილიციაც კარგად იცნობდა. მიუხედავად ამისა, ჯიბგირმა კრიმინალური საქმიანობა განაგრძო. თალითობისა და ჯიბგირობის გზით მან გარკვეული თანხა მოაგროვა და თბილისში ჩამოვიდა. ანას თავისი ნოდარიკოს ნახვა უნდოდა, რომელიც უკვე 12 წლის იყო და მხოლოდ 6 თვე ჰქონდა გატარებული დედასთან...

ანამ დაადგინა, რომ მისი შვილი იმავე 24-ე სკოლაში სწავლობდა, რომელიც თავად დადიოდა. ერთ დღეს ის ბავშვს აუდევნა და მარჯვნივ მიტოვებისთანავე გააჩერა მაგრამ, არ უთხრა, რომ დედამისი იყო, თავი რეჟისორად გააცნო, მისი კოორდინატები ჩაიწერა და წავიდა.

ანას შვილთან ერთად უცხოეთში გაქცევა ჰქონდა გადწყვეტილი და ერთი მსხვილი საქმე ჩაიფიქრა. 1979 წლის 20 მარტს მან თავისი ყოფილი მამამთილის, ნოდარ ჩიგოჯიძის აგარაკი გაქურდა წყნეთში და საიდუმლო სამალავიდან დიდძალი ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თევზი, 50 ათასი მანეთი და ლურჯი რვეული წაიღო, რომელიც საქართველოს პარტიულ მაღალჩინოსნებზე მოპოვებული კომპრომატები ეწერა.

1979 წლის 25 მაისს ანა კიკაბიძე და 13 წლის ნოდარ ჩიგოჯიძე თბილისიდან გაუჩინარდნენ. მთელი მილიცია ფეხზე დადგა, მაგრამ მათ კვალს ვერაფერს მიაგნო...

P.S. დედა-შვილი ჯერ ფინეთში ცხოვრობდა 6 თვე. შემდეგ კი ისინი ავსტრალიაში გაემგზავრნენ, სადაც დღემდე იმყოფებიან... ამბობენ, რომ „ჯიბგირმა“ თავისი ყოფილი მამამთილის „ლურჯი რვეული“ ძალიან სარფიანად მიჰყიდა კომპრომატირებულ ქართველ პარტიულებს...





რა პერსონა შესთავაზა მკვლელმა თანამგზავს მკვლელებს და რა მოჰყოლია მან სოლის გეგმარეალიზაციას

56 წლის ნელი მ-ის გარდაცვალების შესახებ სამართალდამცველებმა საავადმყოფოდან შეიტყვეს, სადაც ქალბატონი ოჯახის წევრებმა მომაკვდავი მიიყვანეს. ნელი მ-ის დაზიანება თავის არემი ჰქონდა მიყენებული, რაც საავადმყოფოდან, ბლაგვი საგნის დარტყმით უნდა მიეღო. ქალის გადარჩენა ექიმებმა ვეღარ შეძლეს. მას მიღებული ჰქონდა თავის ქალა-ფუძის ტრავმა, რის შედეგადაც, ფატალური შედეგი მოსიყვრად დადგა.

ნელი მ-ის გარდაცვალების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გარდაცვლილი ქალის ოჯახის წევრებმა - 29 წლის მარიკა ჭ-ძემ და მისმა მეუღლემ, 36 წლის ნოდარ ხ-შვილმა გამოიძიებას განუცხადეს, რომ ნელი მ-ძე უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. მარიკა ჭ-ძის მიერ მიტყვევებული ჩვენებით, ნელი მ-ძე კიბეზე დაეკარდა და თავი რკინის საფეხურს დაარტყა. იგივეს ადასტურებდა მისი მეუღლე ნოდარ ხ-შვილიც, რომელიც ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ნელი მ-ძე მარიკა ჭ-ძის გამზრდელი დედა იყო. ქალს საკუთარი შვილი არ ჰყავდა და გოგონა პატარა ასაკიდან გაზარდა. დაქორწინების შემდეგ, ნელი მ-ძის ბინაში დასახლდა მარიკას მეუღლეც, რომელიც გარდაცვლილ ქალს სიღვრის უნდადებდა. მათ შორის ძალიან კარგი ურთიერთობა იყო. ქალმა შვილად აყვანილ დისშვილს და მის მეუღლეს ყველა პირობა შეუქმნა, რომ კარგი ოჯახი ჰქონოდათ. დიდი ამაგი ჰქონდა მათი ორი შვილის გაზრდაშიც.

გამოძიების მასალებით, უბედური შემთხვევა დღისით მოხდა. გარდაცვლილის დისშვილმა მარიკა ჭ-ძემ გამოიძიებას განუცხადა, რომ დეიდამის მალალი წნეგები ჰქონდა, რის გამოც ხშირად კარგავდა ნონსანორობას. ქალის განცხადებით, უბედური შემთხვევაც სწორედ ამას მოჰყვა. ამონაწერი მოწმის ჩვენებით: „იმ დღეს დეიდა დილიდან ცუდად გრძობდა თავს მალალი წნეგის გამო. მეორე სართულზე თავის ტანსაცმლის ჩამოსატანად ავიდა, აფთიაქში მიდიოდა ნაძლების საყიდლად. მე, ჩემი მეუღლე და ბავშვი პირველ სართულზე ვიყავით. უცებ დაცემის ხმა გავიგონე, ოთახიდან გამოვვარდი და დავინახე, რომ დეიდა ძირს ეგდო. ჩვენი კიბის ბოლო ორი საფეხური რკინისაა, სწორედ ამ საფეხურზე დაეარტყა თავი. ყვირილზე ოთახიდან ჩემი მეუღლეც გამოვარდა, დეიდას ნამოყენება ვცადეთ, მაგრამ ვერ ავაყენეთ. პულსი აღარ ესინჯებოდა. ხმაურზე მეზობლები შემოვივიდნენ, ერთ-ერთის მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო. თითქმის გარდაცვლილი გახლდათ, როცა საავადმყოფოში მივიყვანეთ.“ გამოძიებას თითქმის იდენტური ჩვენება მისცა ნოდარ ხ-შვილმაც, რომელიც, როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, წარსულში ნარკოტიკების მოხმარებისთვის ორჯერ იყო ნასამართლევი. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სამართალდამცველებთან აცხადებდნენ, რომ გარდაცვლილ დეიდასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. იგივეს ამტკიცებდნენ მათი მეზობლებიც. შესაბამისად, უბედური შემთხვევის ფაქტი ეჭვს არ ბადებდა. ეჭვს არ იწვევდა არც შემთხვევის ადგილი, სადაც ქალის დაცემის კვალი იყო მკვეთრად.

ინციდენტიდან ორი თვის შემდეგ, გამოძიებისთვის საქმის ახალი გარემოებები გახდა ცნობილი, რამაც გამოიძიების მსვლელობა თავიდან ბოლომდე შეცვალა. დადგინდა, რომ ნელი მ-ძის გარდაცვალების მიზეზი, არა უბედური შემთხვევა, არამედ განზრახ მკვლელობა იყო. ამის შესახებ გამოიძიებას მარიკა ჭ-ძემ აცნობა, რომელიც პოლიციაში აღიარებითი ჩვენებით მივიდა. მან აღიარა, რომ მისი დეიდა - ნელი მ-ძე მისი მანიაკი მეუღლის მსხვერპლი გახდა და ეს

უბედური შემთხვევა არ ყოფილა. მარიკა ჭ-ძის განცხადებით, ნოდარ ხ-შვილი დეიდას ბინის ერთი ნაწილის გაყიდვა და ვალების დაფარვას სთხოვდა. მან ქალის დათანხმება ვერ შეძლო და სწორედ ეს გახდა სასტიკი ანგარიშსწორების მიზეზი. გამოძიების მასალებით ცნობილი გახდა, რომ ნოდარ ხ-შვილმა რამდენჯერმე მოსთხოვა ქალს ბინის გაყიდვა, რის შემდეგაც მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. ნელი მ-ძე ამ ამბავს არ ახმაურებდა და ნაცნობებში თავი ისე ეჭირა, თითქოს სიძის მიმართ კეთილგანწყობილი იყო. ამონაწერი მოწმის, მარიკა ჭ-ძის ჩვენებით: „ნოდარმა რამდენჯერმე მითხრა, დეიდაშენი რომ მოკვდება, ბინას მაშინ მაინც ხომ გავყიდითო. მისი ნათქვამი არ მომეწონა, შევედგე კიდევ - ასეთ რამეს როგორ იძიებ-მეთქი. მას შემდეგ, რაც ვალები დაეღო, ძალიან შეიცვალა - სასტიკი და დაუნდობელი გახდა. მეც მცემდა, მაშვემსაც. დეიდაზეც კი აწია ხელი, მაგრამ ნელი ყოჩაღი ქალი იყო და არ უშინდებოდა. მე ხმას ვერ ვიღებდი, ისეთ ტერორში ვყავდი ნოდარს. იმ დღეს, როცა ეს ტრაგედია მოხდა, დილიდან ცუდ ხასიათზე იყო. მარტომ სახლი რამდენიმე ჭიქა არ აყიცი კი დალია. ნინა დღეს ძალიან იჩხუვი დეიდასთან და ისევე დეიდას მოარჩია მეორე დღეს თავი. მთელი დღე მეორე სართულზე იყო და ქვემოთ საქმელადაც კი არ ჩამოსულა. არ გამიგია, როგორ აიპარა ჩემი ქმარი მეორე სართულზე და რა მოხდა მას და დეიდაჩემს შორის. გარეთ მაშინ გამოვედი, როცა ნოდარს დეიდაჩემი რკინის საფეხურზე ეწვინა და თავს არტყემინებდა რკინაზე. ყვირილი ავტყებ, ნოდარს ხელეში ვეცი, მაგრამ ვერ გავაგდებინე. როცა ქალს ხელი გაუშვა, მას უკვე გონება ჰქონდა დაკარგული. სანამ ვინმე

რამეს გაიგებდა, ნოდარმა მითხრა, თუ არ იტყვი, რომ თავისით დაგორდა კიბეზე, შენც მოგკლავო. შემინებულს სხვა გზა აღარ მქონდა. მეზობლებთანაც და პოლიციაშიც ჩემი ქმრის ვერსია მოვეცი. თვითმხილველი, რაც მოხდა სინამდვილეში, ჩემ გარდა არავინ იყო. ნოდარმა დეიდას დასაფლავების შემდეგაც რამდენჯერმე გამაფრთხილა, ამ ამბავს თუ საღამე იჩხუვი, შენც ჩემთან ერთად დაგიტყრენ, როგორც მკვლელობის თანამომამხილველი. შემინებული ხმას ვერ ვიღებდი. ამ ორი თვეში, რამდენჯერმე ფიზიკურადც გამისწორდა, პირობას მართებდა, რომ მისი საიდუმლო არსად გამეთქვა.“

ცოლის აღიარებითი ჩვენების შემდეგ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ნოდარ ხ-შვილი სამართალდამცველებმა დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მიუხეობა აღიძრა. დაკავებული აცხადებდა, რომ უხელნაშაული იყო. ცოლი დეიდას მკვლელობას კი იმიტომ აბრალებდა, რომ აღარ უყვარდა და მისი თავიდან მოშორება ჰქონდა გადანწყობილი. სასამართლო პროცესზე დაითხზა ბრალდების მხარის მოწმე, გარდაცვლილი ქალბატონის მეზობელი, რომელიც ინციდენტის შემდეგ ეზოში პირველი შევიდა. მან დაადასტურა გამოძიებისთვის მიტყვევებული ჩვენება: რომ ყვირილის გაგონების შემდეგ, ის ეზოში შევიდა და საფეხურზე უფრო მეტად მოხარობაში მყოფი ნელი მ-ძე დაინახა. მისი განცხადებით, მარიკა და მისი მეუღლე ოთახიდან მხოლოდ სამი-ოთხი წუთის შემდეგ გამოვიდნენ. მარიკას შემოდილი სახე ჰქონდა, ქმარს ხელით მოჰყავდა და მე რომ ეზოში დამინახეს, კივილი მას შემდეგ ატყებოდა. გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით, სამართალდამცველებმა ნოდარ ხ-შვილი დამნაშავედ ცნო ნელი მ-ძის განზრახ მკვლელობაში და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯა, დანაშაულის დაფარვისთვის პირობითი სასჯელი დაეკისრა მარიკა ჭ-ძეს, რომელიც როგორც ორი მკორენლდობიანი ბავშვის დედა, სასამართლო დაერბაზიდან გაათავისუფლეს.

პაპ ბარაბაძე

რა მოხდა ამ დღეს

7 აპრილი

- 1652 - სამხრეთ აფრიკაში დაარსდა ნავსადგური და ქალაქი კეიპთაუნი.
- 1795 - საფრანგეთში შემოიღეს ზომანონის მეტრული სისტემა.
- 1943 - შვეიცარიელმა ქიმიკოსმა, ალბერტ ჰოფმანმა, დაასინთეზა LSD (ნარკოტიკი).

8 აპრილი

- ჩვენს ნელთალრიცხვამდე 563 (ან 646) - ლეგენდის მიხედვით, ამ დღეს დაიბადა უფლისწული გაუმეტა (ბუდა).
- 1783 - გამოვიდა იმპერატორ ეკატერინე მეორის დანიფესტი, რომლის მიხედვითაც ყირიმი და ყუბანი რესეთს შეუერთდა.
- 1904 - დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელსაც არაოფიციალურად ეწოდა „შეთანხმება გუითი“ (ანტანტა).

9 აპრილი

- 1682 - რობერ დე ლასალმა საფრანგეთის დროშა აღმართა მისისიპის შესართავთან და ეს მიწები, ლუიზიანას სახელწოდებით, საფრანგეთის ტერიტორიად გამოცხადდა.
- 1865 - დასრულდა ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომი.
- 1966 - ვატიკანმა გააუქმა აკრძალული წიგნების ინდექსი.
- 1991 - აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.

10 აპრილი

- 1710 - ინგლისში ძალაში შევიდა კანონი საავტორო უფლებების შესახებ (პირველად მსოფლიოში).
- 1849 - ამერიკელმა უოლტერ ჰანთმა დააპატენტა საკინძე („ბულავეკა“).
- 1925 - ქალაქ ცარიცინს ეწოდა სტალინგრადი.

11 აპრილი

- 1909 - დაარსდა ქალაქი თელ-ავივი.
- 1961 - იერუსალიმში დაიწყო ცნობილი ნაცისტი დამნაშავის, ადოლფ აიხმანის სასამართლო პროცესი.

12 აპრილი

- 1606 - ინგლისის მეფის, ჯეიმს პირველის ბრძანებით, მიიღეს დიდი ბრიტანეთის დროშა, რომელიც ინგლისისა და შოტლანდიის დროშების კომბინაციაა.
- 1914 - ლონდონში შედგა ბერნარდ შოუს პეისის, „პიგმალიონის“ პრემიერა.
- 1961 - ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში.
- 1992 - პარიზის გარეუბანში გაიხსნა პირველი ევროდისნეილენი.
- 1995 - გაიშვა დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ინტერნეტ საძიებო სისტემა YAHOO!

13 აპრილი

- 1204 - მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე რაინდებმა მუსლიმანთა ნინალმდე გოლაშქრების მაგივრად, აიღეს და გაძარცვეს კონსტანტინოპოლი.
- 1868 - ინგლისმა მოახდინა ეთიოპიის ოკუპაცია.
- 1934 - არქტიკაში დასრულდა ოპერაცია ჩელუსკინელთა გადასარჩენად.



ფლორის საგუაგო



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მცენიერებათა დოქტორი ანდრეას ბინსაჰი

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც ყველაპარაკებიან და გრძნობენ.

ბოკათა

კითხვა: როგორ მოვუარო კტენანტას ზრდის პერიოდში?

პასუხი: ზრდის დროს კტენანტას ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ სასუქით გაუნოყიერეთ. მისთვის კარგია მაღალი ტენიანობა, ამიტომ, ხშირად დანამეთ ან სველკენჭებიან ლანგარზე დადგით, სიცხეში ფოთლები რომ არ დაენვას. ზამთარში დამატებითი კვება მას არ სჭირდება.

კითხვა: რა ტემპერატურაა საჭირო დენდრობიუმისთვის?

პასუხი: ეს ორქვიდა დაბალ ტემპერატურასაც იტანს და, სხვა ორქვიდებისგან გა-

ხვავებით, ტროპიკული სიცხე არ სჭირდება, თუმცა, ტენი არ უნდა მოაკლდეს. ზაფხულში 20-24 გრადუსი სჭირდება, ზამთრობით კი - 10 გრადუსი.

კითხვა: როგორი რეჟიმით მოვრწყა იპრემუნში?

პასუხი: გაზაფხულზე და ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ, მაგრამ, სანამ მორწყავთ, ნიადაგს შემოშობ უნდა აცადოთ. მცენარის ზრდის პერიოდში მინა სასუქით გაანოყიერეთ. ზამთარში შედარებით იშვიათად მორწყეთ. ამ დროს არც დამატებითი საკვები სჭირდება.

კითხვა: ბეგონიას გაზარება მინდა. ხომ ვერ მიჩრევთ, როგორ უნდა მოვიქცე, რომ იოლად გავზარდო?

პასუხი: 2,5-სანტიმეტრიანი ღეროს ფოთოლი მინაში ისე ჩარგეთ, რომ ფოთოლი მინის ზემოთ დარჩეს და ორ თვეში თქვენ ახალი მცენარე გექნებათ. საერთოდ, გამჭვირვალე ხუფი ხელს უწყობს ტენიანობის შენარჩუნებას, რაც ხელსაყრელია მცენარისთვის.

კითხვა: როგორი განათება მოსწონს რეოს?

პასუხი: რეოს უყვარს კაშკაშა სინათლე, მაგრამ, თუ თქვენ მას მზის გულზე დადგამთ, ფოთლები გაუხუნდება და ძველებურ ეფექტს დაკარგავს. ნათელი სასტუმრო ოთახი ამისათვის საუკეთესო ვარიანტია.

კითხვა: რთულია თუ არა იზოლების გაზრდა?

პასუხი: მართალია, ეს მცენარე ბუნებაში წყლის პირას იზრდება, მაგრამ ოთახის პირობებშიც მშვენივრად გაახარებთ. ის ნესტის მოყვარული მცენარეა, ამიტომ მინა მუდამ სველი უნდა ჰქონდეს. მაღალი ტენიანობის შესანარჩუნებლად ქოთანის წყლიან ჭურჭელში ჩადგით. ეცადეთ რბილი წყლი მორწყათ.

კითხვა: მინდა ჩინური ვარდი დავაბუნჩო. როგორ მოვიქცე?

პასუხი: დიდ ქოთანში ის, შეიძლება, ორ მეტრამდე ან უფრო მაღალიც კი გაიზარდოს, მაგრამ, თუ თქვენ გსურთ, რომ ბუჩქის ფორმა მიიღოს, გაზაფხულზე კარგად უნდა გასხლათ და მცენარე სიმაღლეში ზრდას აუცილებლად შეწყვეტს. გასხვლა ყვავილობას არ ვნებს.

კითხვა: ბინაში მადაგასკარული ჟასმინი მაქვს, რომელმაც ამ ბოლო დროს მოინყინა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?

პასუხი: ეს მცენარე ვერ იტანს ტემპერატურის ცვლილებას და დაბალ ტენიანობას. შეეცადეთ, რომ მუდმივად ერთნაირ პირობებში ამყოფოთ და შეამონმეთ მისი ნიადაგი - შეიძლება, უკვე გამომშრალია და მორწყვა სჭირდება.

მომზადდა თეონა გოზალიშვილმა

ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: ვთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვადაშია შესაძლებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე თანამდებობის პირის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრება?

პასუხი: განვიმარტავთ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით ვაცდენის შემთხვევაში ეს ვადა, იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა.

კითხვა: ვთხოვთ, მაცნობოთ, დაეკისრებათ თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის პირებს, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ?

პასუხი: ვაცნობებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, საერთო საფუძველზე. რაც შეეხება საქართველოს ტე-

რიტორიაზე იმ უცხოელი მოქალაქის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც საქართველოს კანონების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით საქართველოს ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს დიპლომატიური გზით.

კითხვა: ვთხოვთ, განმიმარტოთ ზოგადად ცნება - „ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.“ რა სახის ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად?

პასუხი: განვიმარტავთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, გადაცდომად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაპლი ბაზრიშიძე

უვიცობის სამეფოში თვით უნესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება. ანატოლ ფრანსი

კითხვა: ვთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა პროკურორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების გაუქმების უფლება?

პასუხი: ვაცნობებთ, რომ დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გააპროტესტოს პროკურორმა, თუმცა მისი გაუქმების უფლება პროკურორს არ აქვს. პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას პროტესტის განხილვამდე.



ჩრეული ავსტრალიის მკვლევარი

კითხვა: მინდა, შევიძინო „ფოლკსვაგენ“ „გოლფ 3“ ან „გოლფ 4“, სინჯარტა მექანიკური გადართვის კოლოფით. გთხოვთ, დამიხასიათოთ ამ მოდელების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

პასუხი: „გოლფ 3“ ძალიან პრაქტიკული მანქანაა, მაგრამ თუ ამის საშუალება არსებობს, რა თქმა უნდა, „გოლფ 4“ ჯო-

ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.
მისაილ შუბახარი

ბია. ის უკვე სხვა თაობის მანქანაა, უფრო დახვეწილი როგორც დიზაინით, ისე „ორგანიზმით“. დადებითი და უარყოფითი თვისებები რომ დავაჯამოთ, დადებითი უარყოფითი ბევრად გადაწონის. ძირითადი მანქანა ის არის, რომ იშვიათად ფუჭდება. თუ გაფუჭდა, ძალიან იოლად და თან, იაფად იშოვება ნაწილები. სანავაის წვაც, თავისი კლასის სხვა მოდელებთან შედარებით, მეტი ნამდვილად არ აქვს. რაც შეეხება უარყოფითს – მისი საავალი ნაწილი, მით უმეტეს, ამორტიზატორები, მანქანა არ არის ისეთი გამძლე, როგორც იმავე კლასის სხვა იაპონური ნაწილები ავტომობილებისა. ასევე, იაპონელები სანავაის ეკონომიითაც ცოტათი ყოველთვის უგუნებ გერმანელებს. სალონის დეტალებიც, მაგალითად, სავარძელი, საჭე და ლილაკები, გაცილებით

იოლად ცვდება, ვიდრე იაპონურ მოდელებში.

კითხვა: მყავს „ტოიოტა ჰაილუქს სერფ“, 3,4 ვე 6 ძრავით, ბენზინზე, 2001 წლის. ცოტა ხნის წინ ძრავას გაუჩნდა ეგრეთ წოდებული „პერეზი“ და ავტომობილმა უფრო მეტი სანავაის მოხმარება დაიწყო. რისი ბრალი შეიძლება, იყოს ეს? იქნებ მიჩნით, რომელ ხელოსანთან მივიყვანო და ტელეფონის ნომერიც მომცეთ.

პასუხი: თქვენს შემთხვევაში, ყველაზე მარტივი გზა მანქანა „ტოიოტას“ ცენტრია, დიაგნოსტიკის ფასი არ განსხვავდება სხვა სადიაგნოსტიკო ცენტრების ფასებისგან და კარგად იციან ამ ავტომობილის სპეციფიკა. შესაბამისად, მარტივად დაადგენენ „პერეზის“ მიზეზს. თუ შემდეგ შეკეთებაში ბევრი თანხა მოვთხოვს, შეგიძლიათ, სხვაგან შეაკეთებინოთ. როდესაც ხელოსანთან ზუსტი დიაგნოზი მიგაქვს, პრობლემის აღმოფხვრას ნებისმიერი, საშუალო ღირსის ხელოსანიც შეძლებს.

კითხვა: „ტუარევის“ რომელ მოდელს მიჩრევთ საიმედოობისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით?

პასუხი: „ტუარეგს“ ძალიან კარგი დიზაინის ძრავა აქვს – გამძლე, ეკონომიური და სწრაფი. კარგი იქნებოდა თუ „V10“ ან თუნდაც „W12“ ლიმიტირებული რაოდენობით გამოშვებულ მოდელს შეარჩევთ. მიუხე-



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მკვლევარ მკვლევარს

შურალი „თბილისელები“ გირჩევთ:
* დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;
* ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;
* ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;
* მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;
* გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!

დავად დიდი სიმძლავრისა, ამ ტიპის თითქმის უკვდავი ძრავით აღჭურვილი „ტუარეგი“ საკმაოდ ეკონომიურია. მისი წვა 10-12 ლიტრამდე მერყეობს.

**მომამზადა
სალომე გველასიანმა**

ვეტერინარის ჩრეული

კითხვა: ჩემს ძაღლს ქერტი გაუჩნდა. იქნებ მითხრათ, რისი ბრალია? მაინტერესებს, რა აჩენს ქერტს და არის თუ არა გადამდები სხვა ცხოველისთვის?

პასუხი: ერთი მხრივ, ქერტლის დროს ცხოველის გარეგნულ შესახედობას არ აქვს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი და იმავე დაავადების დროს სხვადასხვა ცხოველს ქერტი, შეიძლება, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სახით გაუჩნდეს. ქერტი არ არის ცალკე დაავადება, ეს არის სიმპტომი. ის, შეიძლება, წარმოიშვას პარაზიტული, სოკოვანი, ბაქტერიული, ენდოკრინული, ონკოლოგიური, ვირუსული დაავადებების დროს, ასევე, კერატინის დარღვევის შემთხვევაში, ცუდი მოვლა-შენახვის პირობებში და სხვა მრავალი მიზეზის გამო. გარდა ამისა, შეიძლება, ძალიან აბსოლუტურად ჯანმრთელი იყოს, მაგრამ ქერტლის გაჩენისგან არც ის არის დაზღვეული, რადგან, შესაძლებელია, ქერტი ჯანმრთელ ცხოველს გაუჩნდეს სტრესის დროს, ან, როცა ნერვიულობს, ხოლო გაქრეს იმ მომენტში, როცა მას სტრესის ფაქტორი მოსცილდება და დაწყობილება. ქერტი, როგორც გითხარათ, სხვადასხვა დაავადების დროს ჩნდება, ამიტომ, მის სამკურნალოდ ერთი უნივერსალური საშუალება არ არსებობს. იმისათვის, რომ საფუძვლიანად ვუმკურნალო ქერტლს, საჭიროა, დავსვათ სწორი დიაგნოზი და დავადგინოთ მისი გამომწვევი დაავადება. დიაგნოზის დასასმელად მნიშვნელოვანია თანმდევი სიმპტომების გათვალისწინება, როგორც: კანის სინთეზი, ქავილი, არასასიამოვნო სუნის, ბუნების ცვენა და ასე შემდეგ; ასევე, დაზიანებ-

ის ლოკალიზაცია, ანამნეზი, ისეთი საერთო პრობლემების არსებობა, როგორც: გარემო ფაქტორები, ასაკი და სიმსუქნე. დიაგნოზის დასასმელად შეიძლება დაგჭირდეთ სხვადასხვა სახის ანალიზის ჩატარება. ასეთ დროს, უმჯობესია, მიმართოთ ვეტერინარს, რომელიც დასვას დიაგნოზს და საჭირო მკურნალობას ჩაუტარებს თქვენს ძაღლს.

კითხვა: ძალიან მინდა, ჩემს ძაღლს ბენჯი უბზინავდეს. რას მიჩრევთ, როგორ მოვიპოვო?

პასუხი: ბენჯის ჯანმრთელობისა და ბზინვარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცილებს, რადგან, თმის ღერის შემადგენლობაში 90 პროცენტი ცილა შედის. ორგანიზმში ცილის ან გარკვეული ჯგუფის ამინომჟავების დეფიციტი იწვევს თმის ხარისხის გაფუჭებას და მის ცვენას ან ზრდის შენელებას, ასევე, ბენჯი ხდება უხეში და ადვილად მტკვრავად. ცხიმოვანი ჯირკვლების სეკრეტი ბენჯის ბზინვარებას აძლევს. ეს სეკრეტი შეიცავს ცილების და ლიპიდების სხვადასხვა კონცენტრაციის კომბინაციებს. სეკრეტი ხელს უშლის ბენჯის დაგრძობას და ეხმარება მას თანაბრად განლაგებაში. აქვს დამცველობითი ბარიერული ფუნქცია და ანიჭებს ბენჯს მოქნილობას და ელასტიკურობას. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს მეუცვლად ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც შედის ცხიმოვანი ჯირკვლების სეკრეტში და განაპირობებს მის ხარისხს. მათი შემცველობა ძირითადად დამოკიდებულია ცხოველის რაციონის შემადგენლობაზე. ზოგიერთი საკვები ნივთიერება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თმიან საფარველის ხარისხს. ამ ნივთიერებებს პირველ რიგში მიეკუთ-



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქარო ბაჰიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
ჯეიმს ლუგლასი

ვნება ნახევრად ნატურალური ცხიმოვანი მჟავები, „ომეგა 6-ის“ ის ჯგუფიდან, რომლებიც ძალიან ბევრია მცენარეულ ცხიმში. ნახევრად სინთეზური ცხიმოვანი მჟავების წინამორბედი არის ლანოლინის მჟავა. აღნიშნული მჟავები, მინერალებთან ერთად, თმის ღერის ცილას ამარტებენ, კანის საფარველს იცავენ გამოშრობისაგან და უნარჩუნებენ ელასტიკურობას. აღნიშნული ნივთიერებების დეფიციტი საკვებში იწვევს ბენჯის საფარველსა და კანის გამოშრობას და გაუხეშებას, რითაც შემდგომში კარი ეხსნება კანის ნებისმიერ დაავადებას.


**მომამზადა
მარიკა სიღურაძემ**



თუ საკუთარი თავის მართვა შეგიძლია, მართავ სხვებსაც. თქვენ ვაქეთ ეს ნიჭი?!

ტესტი დაგეხმარებათ, რომ გაიგოთ, რისი იმედი შეიძლება, გქონდეთ ცხოვრებაში. კითხვებზე უპასუხეთ: „დიახ“ ან „არა“.

- 1. ზუსტად ვიცი, რა მიზნად ცხოვრებაში;
2. მაქვს ჩემი მიზნის მიღწევის გეგმა;
3. ვიცი, რა არის პირადი ფასეულობები;
4. ყველგან სრული ნე-სრიგი მაქვს - პირადშიც და სამსახურშიც;
5. ჩემი ყოველი ჩანაფიქრის სამოქმედო გეგმა გაწერილია;
6. ზუსტად ვაკონტროლებ ჩემს დროს;
7. ვცდილობ, შევიძინო ნივთები, რომლებიც დროს დამიზოგავს;
8. დრო ყველგანისთვის მრჩება, ყველაფერს ვასწრებ;
9. ყოველ სამუშაო დღეს, ერთსა და იმავე დროს, ადრიანად ვდგები;
10. საკვებს ზუსტად ერთსა და იმავე დროს ვიღებ;
11. თუ დროს მართავ, თავისუფალი დრო ყოველთვის გრჩება;



მართავ საკუთარ თავს?!

- 12. წელს ჩემი მიზნებიდან სამი მაინც შევისრულე;
13. ვსწავლობ, მოკლე დროში ბევრის გაკეთება როგორ მოვახსნო;
14. ძალიან გავაქტიურდი. აშკარად უფრო მეტს ვასწრებ;
15. ზუსტად მაქვს ჩამოწერილი იმ საქმეების სია, რომელიც უნდა გავაკეთო;
16. მაქვს მეთოდები, რომლებიც ეფექტურად მუშაობს შესაძლებლობას მაძლევს;
17. ჩემი შემოსავლები ბოლო წელს გაიზარდა;
18. მუშაობის დანაწევება დიდი დანაწევ მიყვარს;
19. არავითარი სიზარმაცე...
5 წუთი მჭირდება ენერჯის აღსადგენად;
20. ვიცი, როგორ დავძლიო სიზარმაცე, თუკი „ნამომეპარება“;
21. ყოველდღე ვიღებ სიამოვნებას საქმიდან, რომელსაც ვაკეთებ;
22. ზუსტად ვიცი, რა მჭირდება სიამოვნებისთვის;
23. მე არ ვკარგავ დროს ტელევიზორზე;
24. შევბუღება ერთ კვირაზე ნაკლები მაქვს;
25. თითქმის არ მაქვს მავნე ჩვევები;

- 26. კმაყოფილი ვარ საკუთარი თავითა და ცხოვრებით;
27. ძალიან ვარ დამოკიდებული საკუთარ პრინციპებზე;
28. დრო ფულზე ძვირი მიღირს. მან ჩემზე უნდა იმუშაოს;
29. ხშირად ვაკეთებ რაღაც ახალს და საინტერესოს.

ნახათ შედეგი:

0-15 ქულა - ჯერ კიდევ ვერ გაგიგიათ, რა ვინდათ. გიყვართ საქმეების გადაღება. ზარმაცობით კიდევ. საკუთარი ეფექტურობის იმედი ვაქვთ, მაგრამ, თუ არ შეიცვლებით, ვერაფერს მიაღწევთ.
16-23 ქულა - თქვენი ცხოვრება არაფრითაა გამორჩეული. საშუალო დონე გიკავიათ. იქნებ გეჩვენებთ, რომ ყველაფერს აკონტროლებთ. ეს იმის ბრალია, რომ საკუთარ თავს საერთოდ ვერ მართავთ. თქვენს ცხოვრებაში უკვე აღარ არის სიახლეები და სიხარული.
24-29 ქულა: ყველა თანხმდება, რომ ცხოვრება საუკეთესოდ მოიწყვეთ. წარმატებულ და გამოცდილ ადამიანად მიგიჩნევენ. უბრალოდ, კარგად მართავთ საკუთარ თავს და არ ამულავნებთ, რომ ზოგჯერ არც ვიმართლებთ. ეს კარგია. ხვალ მეტ წარმატებას მიაღწევთ. ეფექტურობა ამაში ხელს შეგიწყობთ.

ორმოცდათხუთმეტი წლის თოჯინა

ორმოცდათხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანას პირველი თოჯინა-ბარბი მოეწვინა. 1959 წლის 9 მარტს ნიუ-იორკის მთავარ ბაზრობაზე ბარბი საზოგადოებას წარუდგინეს - მოდურ საცურაო კოსტიუმში და „შპილკებში“ გამოწყობილი. თან მოდური, დიდი და მუქი სათვალეც ეკეთა. ბარბიმ ნამდვილი ფურორი მოახდინა. მთელი პარტია ეგრევე გაიყიდა. მაშინ ლამაზმანი სულ რაღაც სამი დოლარი ღირდა. თუმცა, იმ დროისთვის ეს არც ისე პატარა თანხა იყო. დღეისთვის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კვირაში ბარბის მილიონობით ეგზემპლარი იყიდება. ბარბი, პოპულარობასთან ერთად, მაშინვე გახდა სკანდალური. მორალის დამცველები აპროტესტებენ თოჯინის გამომწვევ, ქალურ ფორმებს. ექიმმა-დიეტოლოგებმაც კი გამოთქვეს უკმაყოფილება, თოჯინა მეტისმეტად გამხდარია და გოგონებს ანურექსიისკენ უბიძგებსო. ისეთი ამბავი ატყდა, რომ თოჯინის ფორმებში პატარა კორექცია შეიტანეს. ის მიუახლოვეს ნორმალური მოდელის სტანდარტს. რაც შეეხება სტილს, ბარბი ამ მხრივ, თავიდანვე უნაკლო



იყო. თუ მის გარდერობს დააკვირდებით, ბოლო ორმოცდაათი წლის მოდის ტენდენციები სახეზეა. ბარბიმ ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავების „სახეც“ არაერთხელ მოირგო. ის იყო მერლინ მონრო, გრეის კელი, ოდრი ჰეპბერნი, შერი, კეიტ უინსლეთი, პენელოპა კრუსი, ჯანეტ ჯექსონი, ბიონსე, კეტი პერი, კაილი მინოუგი... თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ბარბის დიდება ვერც ერთმა ცოცხალმა ვარსკვლავმა ვერ დაჩრდილა.

ნიუთაის ტრანსფორმაცია

ის ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. არც კი ვიცი, როდის გაჩნდა პირველად ადამიანის ცხოვრებაში და ნელ-ნელა მათთან ერთად განვითარდნენ. მაგალითად, ჩაიდნის წინაპარი ძველ რომში იშვა, ჩვენი წელთაღრიცხვით 73 წელს. დამზადებული იყო ბრინჯაოსგან და შემაზე ცხელდებოდა. პირველი სამოვრის ტიპის ჩაიდანი იაპონიაში 1746 წელს გაჩნდა. მასალად გამოიყენეს თითბერი. საწვავი მილით მიენოდებოდა ქვემოდან. 1813 წელს რუსეთში პირველი რუსული სამოვარი დაამზადეს თუთიისგან - წყალს ნახშირზე აცხელებდა და საკმაოდ დიდხანს იყო პოპულარული. დღესაც ნახავთ ოჯახებში, როგორც რელიკვიას. დღეისთვის ელექტროჩაიდნების საუკეთესო დამამზადებლად გერმანიაა მიჩნეული. 2014 წელს მათ საუკეთესო ნიმუშები გამოუმუშვეს, ეკოლოგიურად სუფთა პლასტმასისა და ნიკელისგან დამზადებული.

გვერდი მოამზადა ელენე ნულუჩიკიძე



დაუზღვეველი აქანათი

ფლორა ფლუტჩინი

არი და უცნაური გემო ჰქონდა და ჩემად გადავაქციე... მგონი, ძალიან გაუჭკვირდა, რომ არ მოვკვდი.

- ღმერთო, დიდებულო... - პირველი გად-აისახა პადრე.

- მეორედ წამალი შემიცვალა და ინტუიცი-ამ ისევ გადამარჩინა...

- პოლიციას არ მიმართეთ?

- არა. რა აზრი ჰქონდა, როგორ დავემტკიცებდი? შეიძლება, ჩემს ძვირფას მე-ულეს გიჟადაც გამოვეცხადებინე. მაგრამ, თავი კი დავიზღვიე - ანდერძი გადავწერე, რომ, თუ გაურკვეველ გარემოებაში დავიღუპებოდი, ჩემს ქმარს ერთი დოლარიც არ შეხედებოდა. როცა მიხვდა, რომ წყარო გადავუკეტე, ერთი გზა დაარჩა - გაქცევა. ძვირ-ფასულობა მომპარა, ანგარიშიდან ფუ-ლი მოხსნა და გაუჩინარდა...

- იქნებ დაბრუნდეს? მისი მოძებ-ნა არ გიცდიათ?

- არა. აღარ დაბრუნდება და ძებნ-ასაც აზრი არა აქვს. წერილი გამომი-გზავნა... დიდი ბავშვი... ჩერჩიტი ბიჭ-უნა... მწერდა, არ მომძებნო, ყველაფერი დამ-თავრდა, ერთმანეთისთვის სასიამოვნო მოგო-ნებად დავრჩეთო... ვაგვრახდი და წერილი და-ვწვი. ახლა კი ვნანობ... სამასხოვროდ უნდა შემეხანა...

პადრემ თანაგრძნობით გაუღიმა და ოთახ-ში მიმოიხედა. მარმარილოს ბუხრის წინ ისხდ-ნენ. თაროზე უღამაზესი ფაიფურის ლარნაკი შენიშნა...

- გასაოცარი სიღამაზის არის... ალბათ, ძა-ლიან ძველია...

ქალმა ლარნაკისკენ გაიხედა.

- ეს ფაიფური? ო, არა, ძველი ნამდვილად არ არის. ჩემმა ძმამ, კასპერმა მაჩუქა. ზუსტად ოთხი დღის წინ იყო ჩემთან... რამდენიმე წელია, ფაიფურით დაინტერესდა და ისე დაო-სტატდა კიდევ, რომ მისი ნამუშევრები ძალი-ან ძვირად ფასობს. საქმე ისაა, რომ კასპერი არ მფორდებდა, ანუ, ორი ერთნაირი ნამუშევარი მას არ აქვს და შემკვეთებსაც სწორედ ეს მო-სწონთ. დიდი ხანია, მპირდება, რაღაცას საგა-ნებობდ შენთვის ვაგაკეთებო, ჰოდა, მომიტან-და. მართალია, მასში ყვავილებს ვერ ჩააწყობ, პატარაა, მაგრამ, მე რაღაც დანიშნულება მო-ვუძებნე.

პადრე ბუხართან მივიდა და ლარნაკი ყურ-აღლებით დაათვალიერა.

- შესანიშნავი ნამუშევარია. არ ვიცოდი, კა-სპერი ასეთი ოსტატი თუ იყო. მიხარია, რომ მძიმე წუთებში ის თქვენ გვერდით არის. სად-ღაც აქვე, ახლოს უნდა ცხოვრობდეს, როგო-რც მახსოვს.

- დიახ, ქალაქის გარეუბანში აქვს სახლი და სახელოსნო. იცით, ამ პანანინა ნივთის და-მზადებას რამხელა ტემპერატურა სჭირდება? უზარმაზარ ლემელში ათას სამას გრადუსზე მაინც უნდა მოათავსო. კასპერი უფრო ხელო-ვანია, ვიდრე ხელოსანი. მას ამ საქმის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა.

- გეთანხმებით. სამწუხაროდ, მე საერთოდ ვერ ვერკვევი ფაიფურის დამზადების ტექნო-ლოგიებში.

- მეც კასპერისგან ვიცი ეს ყველაფერი. ძალიან დაკავებულია. ერთ დღეს ვერ გაჩერ-და ჩემთან, დღითვე გაემგზავრა.

- ჩემი ძვირფასო ქალბატონო, მიხარია, რომ ჩემი დახმარება არ გჭირდებათ. ნავალ და კი-დევე შემოგივლით. არ არის კარგი, რომ თქვენი მეუღლე დაუსჯელი რჩება.

- დაუსჯელი არავინ რჩება, დამიჯერეთ...

- გაიღიმა ქალმა, - ჩაი ხომ არ დაგველია კიდე?

- დიდი მადლობა. ჩემი წასვლის დროა...

ქალმა პადრე გააცინა, კარი დაკეტა და დილით ფოსტალიონის მიერ მოტანილი შეხვე-ული გახსნა. პატარა კოლოფი სავეს იყო ფერ-ფლით. კლარა დე ფორესტმა ბუხრიდან ფაიფ-ურის ლარნაკი აიღო და კოლოფის შიგთავსი ფრთხილად მასში ჩაყარა.

„ესეც ასე, ჩემო საყვარელო... ახლა ვერსად გამექცევი და ვერც ჩემს მოკვლას ეცდები... ეს კასპერი არ ამდვილი სულელია. მასზე დაყრ-დნობა არ შეიძლება. რამდენჯერ ვუთხარი, ამ-ანათი დაზღვიე და ისე გამომიგზავნე-მეთქი. ძუნწი! ხუთი დოლარი დაენანა და კინაღამ შარში გამხვია. ხომ შეიძლებოდა, ფოსტაში გა-ეხსნათ... მარტო მე კი არა, საკუთარი თავიც საფრთხის წინაშე დააყენა. საბედნიეროდ, ყვე-ლაფერი კარგად დამთავრდა... ეს ფერფლი კა-სპერის ყველა ნამუშევარზე ძვირფასია. ჩემთ-ვის ვერაფერი იქნებოდა უკეთესი, იმისათვის, რომ საყვარელი ჯეისონი სამუდამოდ სასიამ-ოვნო მოგონებად დარჩენილიყო. რომელი ბა-რათი ან ნივთი სჯობია მის ფერფლს... პადრე კი ისეთი გულუბრყვილო და საყვარელია“...

კლარა დე ფორესტმა ლარნაკი ფრთხილად დადო ბუხრის თაროზე, სავარძელში ღობილით მოკალათდა და კიდევ ერთი ფინჯანი ჩაი და-ისხა...

თარგმან
ნიონი ნულუპიძე



ლაბატისგან მიყენებული შურაცხყოფა და და-მცირება დავეინყებინა. პადრე ცდილობდა, რო-გორმე აეხსნა და გაემართლებინა ქალის ასე-თი სიმშვიდე. ყველაზე გასაგები იქნებოდა სი-ტუაცის არსში ჩანვდომა. საქმე ის იყო, რომ ჯეისონი, ქმარი ქალბატონი დე ფორესტისა მასზე ოცდახუთი წლით იყო უმცროსი, ანუ, ქორწინების პირველივე დღიდან ქალი შეგუებ-ული იყო იმას, რომ ქმარს დიდხანს ვერ შეინ-არჩუნებდა. ასეთი ფინალი თითქმის გარდაუე-ვალი იყო. იქნებ, ამიტომაც არ აღმოჩნდა ქმრის გაქცევა ქალისთვის კატასტროფა.

- უნდა შეგაქოთ, მისის დე ფორესტ. თავი მშვენივრად გიჭირავთ. თქვენს ადვილას სხვა ქალი ხელების მტრეფას, ტირილსა და გლოვას დაიწყებდა. ყველა უბედურებაში იღბალსა და ღმერთს დაადანაშაულებდა. მთელ სამყაროს შეიძულებდა.

- საკმაოდ ძლიერი ვარ, პადრე. მით უმეტ-ეს, ბედის უმადური ვერ ვიქნები. პირიქით, ღმე-რთის მადლობელი ვარ, რამდენიმე ბედნიერი წელი რომ მაჩუქა. თუ ჯეისონი უნდა წასულ-იყო, ესე იგი, ეს გარდაუვალი იყო. მე უკვე ნავშაღე ის ჩემი ცხოვრებიდან. ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად არის.

- და, თქვენ არანაირი სიძულვილი არ გაქვთ ყოფილი მეუღლის მიმართ? - ცოტა არ იყოს, გაოცებით ჰკითხა პადრემ.

- არა. მესტაც გეტყვით. მე კიდევ გამიმა-რთლა... სერიოზულად გუუბნებთო.

- ანუ, ეს როგორ გავიგო? - გაოგნებულმა პადრემ ქალს კითხვით სავეს მზურა მიაპყრო.

- ჩემმა ყოფილმა ქმარმა ორჯერ სცადა ჩემი მოკვლა.

- რაო?! - წამოიყვირა პადრემ, - ეს როგ-ორ?

- იცით, მე მას არ ვადანაშაულებ. თავი-დანვე ხომ ვიცოდი, რომ მხოლოდ ჩემი ფული აინტერესებდა. პირველად რაღაც ფხვნილი ჩა-მიყარა რძეში. მე მაშინვე ვიგრძენი - საზიზლ-

გამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი
პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; განმეხდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გაათავისუფლება, დამოკიდებულების მო-ხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის განმეხდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტური შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. - ოფისი. ქ-ნი პარიანი



ქაღური შუნი სკიიზა

გაგრძელება. დასაწყისი
ნ. თაყაიშვილი №1-13(692)

დათოს ნასვლის შემდეგ დიმიტრი მალე მოვიდა გონს, წამოჯდა და ნატკენი ყბა მოისრისა. უცებ უსიამოვნოდ ტკბილი გემო იგრძნო. ახლა ტუჩებზე მოისვა ხელისგული და დაიხედა – ხელი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. საშინლად გაბრაზდა დათოზე. გახეთქილი ტუჩი ისე არ სტკიოდა, როგორც ყბა, მაგრამ, ტკივილმა კი არ გააცოფა, არამედ,



ძმაცაცის საქციელმა, თუმცა, თავიდან ეგონა ასე; მერე მიხვდა, რომ სინამდვილეში ნანიტას უჩვეულო სიმშვიდემ და სიმტკიცემ გამოიყვანა ნყოფიდან. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ნაქეიფარი და დრონატარები იყო და გულში ეთანხმებოდა ძმაცაცს, რომ მემკვიდრეები სახლში არ უნდა მიეყვანა, ცოლის უცნაურმა სიმშვიდემ რალაცნაირად დაადარაჯა –

ნანიტას ასეთ საქციელში დიმიტრიმ ფარული მუქარა იგრძნო, თუმცა, კონკრეტულად რით გამოიხატებოდა ეს მუქარა უახლოეს მომავალში, ამის გამოცნობა მის ფანტაზიას ნამდვილად გაუჭირდა.

კარგა ხანს იჯდა ასფალტზე ფეხმორთხმული და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. სახლში ნასვლა აშკარად არ უნდოდა – არავითარი სურვილი არ ჰქონდა ცოლთან თუნდაც ელემენტარული ურთიერთობის კი არა, მასთან ერთად ერთ ბინაში ყოფნისაც კი. დათოსთან ნასვლაც „უტყუდებოდა“, მით უმეტეს, ყბაში ნათავაზები მუშტისა და შეგინების შემდეგ. არც აგარაკზე დაბრუნების თავი ჰქონდა, მოკლედ, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ბევრი ფიქრის მერე მაინც სახლში მისვლა არჩია. გადანყვიტა, არც ხმა გაეცა და არც ყურადღება არ მიექცია ცოლ-შვილისთვის და ისე მოქცეულიყო, ვითომ არაფერი მომხდარა. ძლივს წამოდგა. ყველაფერი სტკიოდა. ტუჩი ცხვირსახოცით მოიწმინდა, ტანსაცმელი ჩამოიფერთხა და მძიმე ნაბიჯით გაემართა შინისკენ. კარს რომ მიადგა, კარგა ხანს ეძებდა ჯიბეებში გასაღები, მაგრამ, ვერ მიაგნო – ეტყობა, წაქცევისას დაკარგა. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა, რადგან, ძალუწებურად, ზარი უნდა დაერეკა და ნანიტასთან მოუწვევა პირისპირ შეხედრა.

გაცოფებულმა ხმამალა შეიგინა და კარს ფეხი მიარტყა, თან ზარის ღილაკისკენ წაიღო ხელი, მაგრამ მოულოდნელად კარი გაიღო და მიხვდა, რომ მისი ნასვლის შემდეგ ნანიტა თავისი ოთახიდან არც კი გამოსულა. დიმიტრი სახლში შევიდა და, თავისდაუნებურად, ჩუმად ჩაქეტა კარი. მერე ფრთხილი ნაბიჯით გაემართა ბავშვების ოთახებისკენ და ჩუმად შეიხედა. ორივე ოთახი ცარიელი იყო, ლოცინები – გასწორებული. „აჰ, ბავშვები, ბავშვები – ამისთან არიან“, – მიხვდა და თავისუფლად ამოისუნთქა – მათ მოსვლამდე თავს მოინესრიგებდა და ცოტა გონზე მოვიდოდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდად არ აქცევდა ყურადღებას მათ განცდებს, მაინც არ უნდოდა, შეივლებს ასეთი დაენახათ – დასვრილი ტანსაცმელით,

მივრალი, ნაცემი და გაბოროტებული. აბაზანაში აღარც შესულა, ბარიდან საცქაოდ მოზრდილი ჭიქა და ვისკით სავესე ბოთლი გამაოილო და სავარძელში ჩაჯდა. ნელ-ნელა წრუპავდა ვისკის და თან იმაზე ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო ისე, რომ ცოლის სიკვრეზე ჩხუბის გარეშე დაეთრგუნა და მისთვის ისევე დაემტკიცებინა, რომ ოჯახში (დიმიტრის თვითონვე გაეცინა სიტყვა „ოჯახზე“), უფრო სწორად, ამ სახლში, თვითონ იყო „პირველი ვიოლინო“, თუნდაც როგორც მამაკაცი, როგორც ქმარი და, ბოლოს და ბოლოს, როგორც ბინის პატრონი და, ცოლს არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა „ტრაკის თამაშის“ უფლებას, თუნდაც ის ასი პროცენტით მართალი ყოფილიყო. ამ ფიქრებმა გაამხნევა და გაათამამა. საათს დახედა – თითქმის ერთი საათი გასულიყო, რაც სახლში დაბრუნდა, ნანიტა კი არც გამოსულა თავისი ოთახიდან. დიმიტრის ისევ წამოუარა სიბრაზემ.

– ენახოთ, ვისი გაიტანს! გასწავლი მე შენ, როგორ უნდა ქმართან მოქცევა! – ხმამალა დაემუქრა ცოლს და წამოდგა, მაგრამ, თავბრუ დაეხვია, დაბარბაცდა და ისევ სავარძელში ჩაეშვა. ბოთლს შეხედა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ უკვე ძალიან მივრალი იყო – ნახევარზე მეტი დაელია. როგორც მოახერხა წამოდგომა და სამზარეულოში გაბარბაცდა. გზაში სკამს დაეჯახა და კინალამ წაიქცა. გაცოფებულმა დაავლო ხელი გადაბრუნებულ სკამს და მთელი ძალით მიახეთქა კედელს. მერე სამზარეულოში შევიდა, ჭიქაში წყალი დაისხა და სკამზე დაეშვა. აშკარად უჭირდა ფეხზე დგომა და, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთლიანად დაბინდული ჰქონდა გონება, მაინც იწანა, ასე ძალიან რომ დათვრა. წყალი დიდი ყლოუპებით, ხმაურით დალია და ჭიქა მაგიდაზე დაახეთქა. ნანიტა მაინც არ გამოდიოდა. იმის ფიქრში, როგორ დაესაჯა ცოლი ასეთი საქციელისთვის, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მაგიდის შუაგულში მდგარი საფერფლე მოიჩოჩა. საფერფლე სუფთა იყო, მხოლოდ რომელიღაცა წამლის ცარიელი ფირფიტა ევლო შიგ. დიმიტრიმ მექანიკურად, გაუაზრებლად აიღო ფირფიტა და წარწერას დააკვირდა.

– დი-ა-ზე-პა-მი... – დამარცვლით ამოიკითხა ხმამალა და იმის გახსენებას შეეცადა, რა დანიშნულების იყო ეს წამალი. კარგა ხანს აწვალა დაბინდული ტვინი და მერე, როგორც იქნა, გაიხსენა: – მგონი, დამამშვიდებელი თუ დასაძინებელი საშუალებაა. ალბათ, ქალბატონმა დალია და იმიტომაც არ გამობრძანდა ოთახიდან, მაგრამ, არ გაუვა ნომერი, მე მაგას ვუწვივებ, როგორ უნდა ქმართან პრავეების კაჩავი! – იყვირა უცებ და დამუქრებული სახით გაემართა საძინებლისკენ, კარი წიხლით გააღო და საწოლს დამუქრებული მიუახლოვდა, რომ ცოლისთვის თავისი მუშტის ძალა შეეხსენებინა, მაგრამ უცებ ელდანაკრავით შედგა: ნანიტას საბანი ნახევრად გადახდილი ჰქონდა და ცალი მკლავი და მკერდი უჩანდა. ამ სურათმა დიმიტრის ოთახში შემოჭრის მიზეზი დაავიწყა და, ვნებამორეული, ჯერ ცოლის სახეს დააკვირდა – ქალს ღრმად ეძინა, თუმცა სახეზე დიდი ტკივილი ეხატა, შემდეგ კი რალაც ამაზრზენი, ეშმაკისეული ღიმილით, სასწრაფოდ გაიხადა ტანსაცმელი, საწოლზე მუხლებით დადგა, მძინარე ცოლს ზემოდან დაანვა და კოცნა დაუწყო. წამლით ჩაძინებული



არდო ჯგუფი

როდესაც ომი
ღამთავრდა,
ჩარიხისი ღამთავრდა
და არჩვენები ღამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ბორღლას სტანანასკით
განისა ბალაფონის ზარები:
ალო,
მიჯა მიწა
7 მილიონი მაქ
ალო,
მალაზია მიწა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მიწა
500 000 მაქ
ალო.....

მარია 599 24 28 31



ული ნანიტა ვერ მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს. ერთი გაიბრძოლა, ხელეები გაითავისუფლა და მოძალადეს სახე ჩამოაპოტნა. ქალს ეგონა, საშინელ კომპარს ხედავდა და ხმაძალა უხმოზდა მშველელს, რაც დიმიტრის უფრო ახელებდა და უფრო უმატებდა ვნებას: ცალი ხელით ცოლს ორივე ხელი გაუკავა, მეორე ხელით კი მთელი ძალით გაანწა სილა და გულნასული ცოლი მხეცურად გააუპატიურა. შემდეგ ადგა, შარვალი ჩაიცვა და აბაზანაში გავიდა. სარკეში რომ ჩაიხედა, თავზარი დასცა საკუთარმა გამომეტყველებამ. სახე რამდენიმე ადგილას ჰქონდა დაკანრული და სისხლი სდიოდა. ერთბაშად აენვა გახეთქილი ტუჩიცი და დაპოტნილი სახეც. უკვე გამოფხიზლდა და მიხვდა, რაც ჩაიდინა. მიხვდა და რალაცნაირი გაორებული გრძობა დაეუფლა – სირცხვილისა და სამაგიეროს გადახდით გამოწვეული კმაყოფილების. კარგა ხანს იდგა სარკესთან გაშეშებული. მერე სასწრაფოდ მიიღო შხაპი, ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. არსად სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდა და ისევ ძმაკაცს მიადგა. მართალია, დათო საკმაოდ ცოვად შეხვდა, მაგრამ, მაინც შუშუვა სახლში, რადგან, შეხედა თუ არა თვალეში, მამინევი მიხვდა, რომ ისევ რალაც მორიგი საშინელება ჩაიდინა და ახლა აუცილებლად სჭირდებოდა გვერდში მდგომი ადამიანი.

დიმიტრი მოწვევებით ჩაეშვა სავარძელში, იდაყვებით მუხლებზე დაეყრდნო და სახეზე ხელეები აიფარა. დათო მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა და მოთმინებით დაელოდა, როდის დაარღვევდა ღუმლის მისი სტუმარი, მაგრამ, რადგან ეს ღუმელი კარგა ხანს გაგრძელდა, დათო ადგა და სამზარეულოში გავიდა, ათიოდე წუთის შემდეგ კი ოთახში ცხელი ყავის მოზრდილი ფინჯნებით შემოვიდა. მერე მაგიდაზე საფერფლე, სიგარეტი და კონიაკის ბოთლი დადგა და ისევ დიმიტრის წინ ჩამოჯდა. დიმიტრი ისევ ისე იჯდა. ბოლოს, როგორც ჩანს, ყავის სურნელმა გამოაფხიზლა, ხელეები სახიდან ჩამოიღო, ფეთიანივით ეცა ფინჯანს და ქაფქაფა ყავა ხმაძალა მოხვრება, სამი ყლოებით გამოცალა და ახლა მეორე ფინჯანს მიადგა. ისიც რომ დაცალა, სიგარეტს დაუნყო ჯიბეში ძებნა. დათომ მოკიდებული სიგარეტი მიაწოდა, საფერფლე ახლოს მიუჩოჩა და, როცა დიმიტრიმ ერთი ღრმა ნაფაზით ღერი თითქმის ბოლომდე ჩაიყვანა, მხოლოდ მაშინ მიმართა:

– აბა, გისმენ, კიდევ რა საგმირო საქმეები ჩაიდინე?

დიმიტრი უკვე აბსოლუტურად ფხიზელი იყო და, ხვდებოდა რომ არ აწყობდა, ჩვეული სითაფხედის გამოჩენა, თან, გამოაფხიზლებული, გულის სიღრმეში ნამდვილად ნანობდა თავის საქციელს. ასე ცუდად არასდროს უგრძნია თავი, არც არასდროს გასჩენია ვინმესგან მოსმენისა და თანაგრძნობის სურვილი, როგორც ახლა. ამიტომ, ძმაკაცს ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ოღონდ, სახეზე ისევ აიფარა ხელეები – ასე უფრო არ უჭირდა ამ საშინელი აღსარების თქმა. სათქმელი რომ დაასრულა, ისევ სიგარეტს მოუკიდა და დათოს თვლებში ისევ შეხვდა, თითქოს მისგან განაჩენის გამოტანას ელოდა, თუმცა, პრინციპში, ასეც იყო – მის პრაქტიკულად ერთადერთ მეგობარს უნდა გამოეტანა მისთვის, როგორც მამაკაცისთვის, განაჩენი.

დათომ დაკვირვებით შეხედა მის წინ უჩვეულოდ მორჩილი სახით მჯდარ დიმიტრის და ირონიულად ჰკითხა:

– მთელი სახე რატომ გაქვს დაპოტნილი, მაყელის ბუჩქებში ჩავარდი, თუ კატები დაგეხსნენ თავს?

– ალბათ, ნანიტამ დამკანრა. არც კი მიგრძნია... – დაბნევით უპასუხა დიმიტრიმ და სახეზე ხელი მოისვა, – შენ რას მეტყვი, ახლა რა უნდა ვქნა?

– მე რა უნდა გითხრა? ბოლომდე ჩაისვარე და ახლა მეკითხები რჩევას? – უყვირა დათომ, – სიმართლე გითხრა, ყელში ამომივიდა შენი სირობები! უკვე მეპაზორება, შენი ძმაკაცი რომ მექნია!

დიმიტრის სახე აელენა – ასეთი რამ არავის არასდროს გაუბედავს მისთვის, მაგრამ, პასუხი რომ გაეცა, იცოდა, დათოსაც დაკარგავდა, თანაც – სამუდამოდ და, სულ მარტო დარჩებოდა. ამიტომ, ჩაყალბა ეს წყენა და კითხვა გაუმეორა:

– როგორ მოვიქცე?

– არ ვიცი! – მოკლედ მიუგდო დათომ.

– ბოდიში რომ მოვუხადო? მუხლებზე რომ დაეუდგე და პატიება ვთხოვო?

– რა ბოდიში, ბიჭო, გუშინ შენ არ მითხარი, ნანიტა მეყრება, განცხადება უკვე შეიტანაო?! თან, როგორც მასსოვს, დიდად არც გწყინდა ეს ამბავი. ქალი ისედაც გვეყრებოდა და, ამ საშინელებას გაპატებდა?

– შენ როგორ მოიქცეობდი ჩემს ადგილას?

– მე, მიუხედავად იმისა, რომ წმინდანი ნამდვილად არ ვარ და თვითონაც ბევრი ყ...ობა მაქვს ჩადენილი, შენს ადგილას მაინც არასდროს აღმოუჩნდებდი! – მიხალა დათომ.

– როგორ ფიქრობ, ნანიტა რას იზამს ამ ყველაფრის შემდეგ, მიჩვილებს?

– შენ, ძმაო, ვერ გავიგე, რა უფრო გადარდება: ის, რაც ჩაიდინე, თუ ის, რომ ცოლმა არ გიჩვილოს? – გამოძცდელად ჰკითხა დათომ და დიმიტრის თვალეში შეხედა.

– არ ვიცი... – უპასუხა დიმიტრიმ, – ალბათ, ორივე ერთნაირად.

– არა, ერთნაირად არა, შენ უფრო ჩვილის გემინია და იმიტომაც ხარ დამფრთხალი თავივით. მაგრამ, მე თუ მკითხავ, ნანიტა ის ქალი არ არის, რომ გიჩვილოს, რადგან, ძალიან თავმოყვარეა და ასეთი დამცირებისთვის ასე მარტივად არ იძიებს შურს, მით უფრო, რომ ჩვილით შვილებსაც მიაყენებს ჩრდილს.

– შვილები რა შუაში არიან?

– რომ გიჩვილოს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ეს ამბავი გაპაზრდება, მით უმეტეს, ასე თუ ისე, მთელი ქალაქი გიცნობს, თანაც, გაპაზრდება გაცილებით უფრო უარესი ინტერპრეტაციებით, ვიდრე სინამდვილეში მოხდა თუმცა, ამაზე უარესი რალა უნდა ყოფილიყო... მოკლედ, ყველაფერს ეხნა შვილებისთვის გაცილებით გაიგებენ, რაც, ცხადია, ზოგიერთის მხრიდან მათ მიმართ ცინიკურ და უხამს კომენტარებს, ან, სულაც, შეკითხვებს გამოიწვევს, ეს კი მოზარდებისთვის, მსუბუქად რომ თქვამთ, ძალიან მტკივნეული გადასატანი იქნება...

– მართალი ხარ, ნანიტა არ მიჩვილებს, – თითქოს შვევით ამოისუნთქა დიმიტრიმ, – მაგრამ, არც ის მგონია, რომ ეს ყველაფერი



„გაატაროს“. თუმცა, რა ვიცი, შეიძლება, არც არაფერი მოიმოქმედოს, რადგან, უკვე შეტანილი აქვს განცხადება გაყრაზე. შენ როგორ გგონია?

– არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი... მე შენი ცოლის ხასიათს ისე კარგად არ ვიცნობ, რომ პროგნოზები გავაკეთო, მაგრამ, ერთი რამ ზუსტად ვიცი: ქალი წყენას სამუდამოდ არასდროს ივიწყებს...

– ანუ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადაგიხდის სამაგიეროს, სწორედ მაშინ, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელი და, თანაც, ისე მწარედ, რომ შენგან მიყენებული წყენა ბავშვურ სიცელქედ მოგეჩვენება.

– არა, მიუხედავად ყველაფრისა, ასეთ რამეზე ნანიტა არ არის წამსვლელი. ის არ არის შურისმაძიებელი ქალი. ასეთი რომ ყოფილიყო, აქამდე იძიებდა შურს, იმდენი ტკივილი მაქვს მიყენებული. რასაც მართლა შურისძიება ჰქვია, არ არის ამაზე სპასობნი, ამას ვერასდროს დაგიჯერებ...

– ნეტარ არიან მორწმუნენი, – ირონიულად უპასუხა დათომ, – მაგრამ, მთლად ასე დარწმუნებულიც ნუ იქნები. თანაც, რაც უფრო მშვიდი, წყნარი, დამთმობი, მომთმენი და განონასწორებულია ქალი, მით მეტად მწარე შურისძიება შეუძლია. დამიჯერე, ასეა. ამიტომ, დღეიდან კარგად დააკვირდი შენს ცოლს და ფრთხილადაც იყავი.

– ვილას უნდა დაეკვირდე, ალბათ, სახლში რომ მივალ, უკვე შვილებიან-ნივთებიანად წასული დამხვდება.

– ეგ კიდევ კაცმა არ იცის... – ჩაილაპარაკა დათომ, მერე კი ჰკითხა: – ისე, შენ როგორ მოიქცეობდი მის ადგილას?

– წარმოდგენა არ მაქვს. თუმცა, ჩემი დამპალი ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ, რამე საზიზღრობას ჩავიდენდი.

– ჰო, საზიზღრობის ჩადენა არასდროს გაგიჭირდება, – ჩაეცინა დათოს, – მაგრამ, ქალი სხვანაირი ბოლმია, სხვანაირი წყენა და გულში ჩადება იცის.

– ეს ყველაფერი გავიგე, მაგრამ, ახლა როგორ მოვიქცე? – საწყის კითხვას დაუბრუნდა დიმიტრი, – სახლში დავბრუნდე?

– სხვა გამოსავალი გაქვს? დაბრუნდი და ყველაფერს კარგად დააკვირდი, მერე კი ისე მოიქეცი, რომ სიტუაცია კიდევ უფრო არ დაძაბო.

– კარგი, დაგიჯერებ, – წამოდგა დიმიტრი, მერე კი მორიდებით ჰკითხა: – რამე რომ იყოს, ისევე რომ დაგიჩვიო და შენთან მოვიდე, მიმიღებ?

– რაც გიცნობ, ასეთ მორიდებულს პირ-



ველად გხვდავ, - გაცინა დათოს, - სხვა რა გზა მაქვს, უნდა მივიღო, თუმცა, სიმართლე გითხრა, არ ხარ სახლში შემოსაშვები კაცი.
 - შენ ახლა მერამდენედ გამაზნაი სილა, უკვე სათვალავი ამერია, მაგრამ, ამასაც გადავყვარებ, რადგან შენს იქით გზა აღარ დამჩვენია. მაინც მადლობელი ვარ, რომ მომისმინე. წავედი... - დიმიტრიმ ჩუმად გაიხურა კარი.

ნანიტა დიდი ხნის შემდეგ მოვიდა გონს. უცნაური, აქამდე უცხო გრძობა დაეუფლა. ეს არ იყო არც წყენა, არც გაბარაზება, არც აღშფოთება. ტკივილიც კი არ ყოფილა; ფიზიკური კი არა, სულიერი ტკივილი. უფრო, პირიქით იყო - ეს ყველაფერი გაუქრა და

რალაც ერთმა, უზარმაზარმა ენერგიამ მთლიანად აავსო მისი სხეულიც, გულიც, სულიც და გონებაც. კარგა ხანს ცდილობდა გარკვევას, თუმცა, ფორმულირება ვერ მოუძებნა ამ გრძნობას. გადწყვეტილი ჰქონდა, ადგებოდა თუ არა, მაშინვე ჩაელაგებინა თავისი და ბავშვების ნივთები, სახლიდან წასულიყო და ამით დაესვა წერტილი იმ კომპარისთვის, რომელსაც უკვე ამდენი წელია, იტანდა, მაგრამ, უცებ ისე ცუდად იგრძნო თავი, რომ, მიხვდა, ამას ჯერჯერობით ვერ გააკეთებდა - საამისოდ ფიზიკურად არ ეყოფოდა ძალა. ნამოდგომსაც და, მაგრამ, ვაუჭირდა. ხელეზზე დაიხედა და შეჰკვილა - ორივე ხელი, მაჯებიდან მხრებამდე, სისხლჩაქცევებით ჰქონდა დაფარული. გაჭირვებით წამოდგა, ჩუსტებისა და ხალათის გარეშე მივიდა ტრილიაჟთან, სარკეში ჩაიხედა და კინაღამ გული გაუსკდა: მარცხენა თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, თმა - აწვნილი, გამომეტყველება კი - შეშლილის. უცებ იგრძნო, რომ მთელი სხეული სტკიოდა. თავს ძალა დაატანა, აბაზანაში შევიდა და გრილი შაპაი მიიღო. მერე სახეზე ცივი საფენები დაიდო - არ უნდოდა, ბავშვებს ასეთ მდგომარეობაში ენახათ. დანამდვილებით არ იცოდა, დიმიტრი სახლში იყო თუ არა, მაგრამ, „გამოცდილებიდან“ გამომდინარე, ვარაუდობდა, რომ სადმე იქნებოდა წასული „გმირული“ საქციელის შემდეგ გულის გასაგრილებლად.
 შაპის უმედეგ თავი შედარებით უკეთ იგრძნო, მაგრამ, ის უცნაური განწყობა ვერ მოიშორა. ჯინსი ამოიცვია, გრძელსახელოები-

ანი მისური ჩაიცვია, რომ მკლავებზე სილურჯეები დაეფარა და სახეზე სქლად გადაისვა ტონალური კრემი, თან სარკეში იყურებოდა, თვალეში შესტკეროდა საკუთარ თავს და პირველად ახლა აღმოაჩინა, როგორი დატანჯული და უშნეო გამოხედვა ჰქონდა. ამ აღმოჩენამ რალაცნაირი უკურეაქცია გამოიწვია: იმის ნაცვლად, რომ, თავი შესტკერებოდა და გულაწუყებულს ცრემლები გადმოეღვარა, პირიქით დაემართა - საშინელმა სიბრაზემ შეიპყრო, ოღონდ, ამჯერად ამ სიბრაზის ადრესატი არა დიმიტრი, არამედ, თვითონ იყო. თვლი გადაავლო თავის წარსულს და მიხვდა, რომ არასწორად იცხოვრა. გუგასა და დიმიტრის შორის გაკეთებულ არჩევანს არც გულისხმობდა, უბრალოდ, არასწორად იცხოვრა ქმართან - მთელი ამ წლების განმავლობაში, ერთადერთს, რასაც „მონდომებით“ აკეთებდა, იყო ის, რომ უარყოფდა საკუთარ თავს როგორც პიროვნებას, როგორც ქალს და, ხშირად, როგორც ადამიანსაც. მისთვის მთავარი იყო, ქმარ-შვილი ჰყოლოდა მოვლილი, ყველაფერი მოეწონო, არავინ დარჩებოდა ყურადღების გარეშე, ყველასთვის კომფორტული შეექმნა და სიხარული მიენიჭებინა, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვდა, იმითაც ბედნიერი იყო, რომ სხვებზე ზრუნავდა; ის „სხვები“ კი ისე მიეჩვივნენ, რომ ნანიტას არასდროს არაფერი სწყინდა, არასდროს არაფერი უნდოდა, არასდროს არაფერი ენატრებოდა ან აინტერესებდა, რომ, ერთხელაც არ გასჩენიათ სურვილი, მადლობა მაინც ეთქვათ, ან, ამდენი ზრუნვისა და თან გადაყოლის სანაცვლოდ, თუნდაც ათასში ერთხელ, თავადაც გამოეჩინათ რალაც ყურადღების მაგვარი. ნანიტას უცებ გაახსენდა თავისი თანაკურსელის ნათქვამი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ქუჩაში შეხვდა: მაკიაჟი გაიკეთე და გარეთ ისე გამოდი, თორემ, შინაბერა დისახლისს ჰგავხარო. თითქოს ხმამალლა ჩაესმა ეს სიტყვები და მაშინვე ამოალაგა უფრიდან კოსმეტიკა. ხელი გადაჩვეული ჰქონდა, მაგრამ, მაინც სწრაფად გაიკეთა მაკიაჟი. მერე კრიტიკულად შეათვალა რა სარკეში საკუთარი სახე და ერთი-ორი შტრიხი კიდევ დაუმატა. მართალია, თვალის ქვეშ სილურჯე ოდნავ კიდევ ეტყობოდა, მაგრამ, მაინც კმაყოფილმა გაიღიმა - სარკეში საკმაოდ ლამაზი, ეშხიანი და სექსუალური ქალის გამოსახულება დაინახა. მერე თმაც აიწია, ხის სამაგროთ დიმიტარა და „ჩოლკა“ ოდნავ გვერდზე გადაიფარცხნა. ახლა მართლაც ძალიან ახალგაზრდა და ვნებიანი ქალი უყურებდა სარკიდან. რატომღაც, თავისდაუნებურად, დიმიტრი გაახსენდა. თვითონაც გაუკვირდა, რომ მის მიმართ არანაირი სიძულვილი არ უგრძნია, უბრალოდ, გაიფიქრა, ნეტავი როგორ მოიქცევა, როცა დაბრუნდებო. ქმრის გახსენებამ და თავისმა გამომეტყველებამ სარკიდან უცებ მიახვედრა, რა იყო ის უცნაური და უცხო გრძნობა, რამაც დიდიდნავე მოიცვა მთელი მისი არსება - ეს იყო სამაგიეროს გადახდის სურვილი; არა ბანალური შურისძიება, არამედ - სამაგიერო! ნანიტა დარწმუნებული იყო, შურისძიება რომ სდომებოდა, ან ვინმეს მოძებნიდა (ბოლოს და ბოლოს, ფულს გადაუხდებდა) და სასტიკად აცემინებდა დიმიტრის, ან რამე უარესს მოიფიქრებდა. საკუთარ თავთან განსჯის და მსჯელობის შემდეგ ნანიტამ ჩამოაყალიბა ერთგვარი „ჰიპოთეზა“: სამაგიეროს გადახდას, შურისძიებასთან შედარებით, ის უპირატეს-

წინა ნომერში გამოქვეყნებული სპანსორლისა და სულოვუს პასუხები

პ	ბ	ზ	ა		ს	ტ	უ	კ	ი
ა	ო	რ			ლ	წ	ჩ	ც	ხ
ბ	ა	ნ	ქ		ბ	ო	რ	ა	ნ
ა	ჯ	ზ			ვ	ე	ნ	ა	
გ	ი	რ	ო		ა	ნ	თ	ა	ქ
ი		ა	ნ		ა	ნ	თ	ა	ქ
გ	ა	რ	ვ	ა	ი	რ	ა	ნ	
ი	ე		ფ	ა	თ	ე	რ	ა	ქ
ს	ი	მ	ღ	ი	ვ	უ	ო	ს	ე
ა	თ	ზ	ღ	ა	კ	რ	უ	ღ	ი
ა	მ	ბ	ნ	ი	ლ	უ	ბ	ა	რ
ს	ე	ვ	კ	ა	ი	მ	ა	ნ	ი
მ	ა	ლ	ა	მ	ო		ზ	ე	რ
ი	ო	რ	ს	ა	ლ	ა	ნ	ღ	ი
კ	ა	ღ	ი	ს	ი	უ	ღ	ლ	ბ
ო	ი	უ	კ	რ	ო	ვ	ი	ზ	ო
ლ		ი	ჯ	რ	ა	ჯ	ა	ა	მ
ა	მ	ა	ღ	უ	ნ	ი	ა	ნ	მ
ჟ	ა	ნ	ო	ბ		მ	ო	თ	ი
მ	ა	ღ	რ	ა	ქ	კ	ა	ქ	ა
ვ	უ	უ	რ	ვ	ა	ო	რ	ა	ბ
კ	ა	ს	ვ	ი	ა	ა	ს	ი	ღ

ადვილი ამოცანა

7	4	1	9	8	3	2	5	6
6	2	8	4	1	5	7	9	3
9	3	5	2	6	7	8	4	1
5	1	4	8	3	6	9	7	2
2	6	7	1	5	9	3	8	4
8	9	3	7	4	2	1	6	5
4	8	2	6	7	1	5	3	9
1	5	6	3	9	8	4	2	7
3	7	9	5	2	4	6	1	8

რთული ამოცანა

6	5	3	2	7	1	9	8	4
7	9	8	3	4	5	6	2	1
4	2	1	6	9	8	3	5	7
8	4	2	5	6	7	1	9	3
1	3	5	9	8	4	7	6	2
9	6	7	1	2	3	5	4	8
2	7	9	4	1	6	8	3	5
3	8	4	7	5	9	2	1	6
5	1	6	8	3	2	4	7	9

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:1. ყვითელი ქარა. 2. ნამაზი - ლოცვა, რომლის დროსაც მუსლიმანი რამდენჯერმე იდრეკს მუხლს და მიწამდე ხრის თავს. 3. ფილიპე მეოთხის ულვაში. 4. ტყვედ ჩაბარებას, სიტყვებით: „ხელები მალა!“ . 5. აფრენილი კოსმოსური რაკეტის საბრძოლოსგან გარჩევა შეუძლებელი იყო, რაც, დაძაბულობის გამო, ამერიკის შეერთებულ შტატებს ომის დანწყება შეიძლებოდა აღექვა. 6. ველოსიპედი. 7. „ალისას სინდრომს“ (ზღაპრის მიხედვით - „ალისას საოცრებათა ქვეყანაში“). 8. ლუციფერი. 9. V - ვანადიუმი; ვენდენტა; V - ვიქტორია - გამარჯვება - ეს სიმბოლო პირველად ჩერჩილმა გამოხატა საჩვენებელი და შუა თითებით. 10. ტრადიციით - ზღურბლზე ხელის ჩამორთმევა ცუდის მომასწავებლად ითვლება.



ობა ჰქონდა, რომ შურისძიების შემთხვევაში, ერთხელ მიაყენებ შურის საძიებელ „ობიექტს“ ვნებას, წყენასა თუ ტკივილს და ამით დამთავრდება ყველაფერი, რადგან, პრინციპში, ეს ქმედება ერთჯერადია, სამაგიეროს გადახდის „მულაში“ კი იმაში მდგომარეობს, რომ, შეგიძლია, უსასრულოდ განელო დროში და მისი სისშირეც შენზეა დამოკიდებული, თან, გარანტირებული გაქვს მზარდი ნეტარების შერქმევა, რომ ზუსტად იმას განაცდევინებ შენს შურაცხმყოფელს, რასაც წლების განმავლობაში თავად განიცდიდი მისგან. ეს ყველაფერი კარგად რომ გაიხარა, ნანიტამი უცებ ისეთი მეტამორფოზა მოხდა, რომ თვითონაც გაუკვირდა. გადანყვიტა, რომ ტაქტიკა, უფრო სწორად, ცხოველების წესი შეეცვალა. რამდენიმე წაშლი უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ სასწრაფოდ ჩაიცვა, ნავიდა და გაყრაზე შეტანილი განცხადება გამოიტანა. მერე ბავშვებს დაურეკა და სთხოვა, კიდევ ორი დღე დარჩენილიყვენ ბებიასთან და ბაბუასთან, რადგან, აუცილებელი საქმეები გამოუჩნდა. ნუცას გაუხარდა, მაგრამ თორნიკე აბუზღუნდა – ორი დღე აქ რა უნდა ვაკეთოო. ნანიტამ აღელგებული ტონით დაუნყო შილს ასხნა, რომ თვითონაც ადამიანია და, შეიძლება, მასაც გამოუჩნდეს რაღაც პირადი საქმე. ბიჭს არ მოეწონა დედის ლამის ისტერიული ტონი და დაეჭვდა.

– მამაჩემმა ხომ არ განწყენინა? – დედარავებით ჰკითხა და დაიძაბა.

– მამაშენი ჯერ არც კი დაბრუნებულა სახლში, – იცრუა ნანიტამ და განითლდა, – რაღაცეები ნუ გელანდებს!

– იცოდე, თუ მიძალავ, მაინც ვავიგებ და მერე აღარაფერი უშველის შენს ქმარს! – მუქარა გაერია ხმაში თორნიკეს.

ნანიტას შეეშინდა, ახლა რომ თორნიკე დაბრუნდეს და ასეთი დალურჯებული მნახოს, მართლა რამე საშინელება არ ჩაიდინოსო, ამიტომ, თავს ძალა დაატანა და შეძლებისდაგვარად მშვიდად და თხოვნით უთხრა შილს:

– კარგი რა, დედიკო, რატომ მანერვიულებ? მერიდებოდა, მეთქვა, მაგრამ, დღეს საღამოს ჩემი გოგოები აპირებენ მოსვლას, ალბათ, ელენე ღამითაც დარჩება. ცოტას ნავიჭორავებთ, თან, რაღაც ქალური საქმეები გაქვს მოსაგვარებელი. არ შეიძლება, ცხოვრებაში ერთხელ მეც სხვა რამეზე გადავართო გონება? გვხვევნი, სისულელეებზე ნუ ფიქრობ, რა!

– ჩვენ რაში შეგიშლით ხელს? – არ ნებოდებოდა თორნიკე.

– პრინციპში, არაფერში, მაგრამ, თუ არ გენყინება, მარტო გვინდა ყოფნა. რამდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს. გოგოებიც უფრო თავისუფლად იქნებიან. გთხოვ, თორნიკე, ნუ მანწყენინებ!

– კარგი, – დაეთანხმა ბიჭი, – მჯერა. ორი დღე არ მოვალთ და ნუცასაც მიგხედავ, არ ინერვიულო.

– იცოდე, სკოლა არ გაცდინოთ არც ერთმა და გაკვეთილების მომზადებაც არ დაგეზაროთ.

– კარგი. ბებია დაგალაპარაკო?
– არა, მერე დავურეკავ, ახლა არ მცალია, რაღაცეებს ვამზადებ. აბა, თქვენ იცით! გკოცნით, – ნანიტამ კმაყოფილმა დაკიდა ყურმილი და გაიფიქრა, არც ისე რთული ყოფილა ტყუილის თქმაო.

შვილთან ლაპარაკის შემდეგ ელენეს დაურეკა, თავის უახლოეს და უერთგულეს მეგობარს და მასთან მისვლა და ღამით დარჩენა სთხოვა.

– ხომ მშვიდობაა? – დაეჭვდა ელენე, რადგან, ნანიტას, რაც გათხოვდა, ასეთი თხოვნით არასდროს მიუმართავს.

– როგორ გითხრა... მოკლედ, თუ გაინტერესებს, მოდი. თუმცა, თუ გაინტერესებს კი არა, ძალიან მჭირდება.

დაქალის დაძაბულმა და აფორიაქებულმა ხმამ ელენე შეაფოთა:

– თუ გინდა, ერთ საათში მოვალ.

– ჩემ გამო სამსახურს ხომ არ გაცდენ, როცა დამთავრებ მუშაობას, პირდაპირ ჩემთან წამოდი, – მოურიდა ნანიტას.

– სამსახურის დედაც!.. – თავისებურად ნაუბილნა ელენემ, – არაფერი ისეთი საქმე არ მაქვს, გავეთავისუფლები და წამოვალ.

– კარგი, გელოდები, – გაუხარდა ნანიტას და სასწრაფოდ შეუდგა ბერძნული სალათის მომზადებას, რომ საყვარელი კერძი დაეხვედრებინა მეგობრისთვის.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. ნანიტამ სასწრაფოდ გადაიხანა ხელები, თმა შეისწორა და კარის გასაღებად გაეშურა. რომ გამოალო, ძალიან გაუკვირდა, ელენე რომ დაინახა.

– ასე მალე წამდვილად არ გელოდი. რაკეტით მოფრინდი? – გაეხუმრა და საკმაოდ დიდი ხნის უნახავ დაქალს გადაეხვია.

– თანაც, რეაქტიულით, – გაეცინა ელენეს, – ისეთი ხმა გქონდა ტელეფონში, სიმაართლე გითხრა, სერიოზულად დავიგროზე. გამაგებინე, რა ხდება?

– ჯერ შემოდი, ცოტა დაისვენე, ყავას დაგალევინებ, მანამდე შენი ბერძნული სალათის მომზადებას დაგასრულებ. მერე კი დავსხდეთ და, თან ვჭამოთ, თან ვილაპარაკოთ.

– მადამდე ვერ მოვივითმენ, – პროტესტი გამოთქვა ელენემ.

– სულ რამდენიმე წუთი მინდა, მეტი არა, – მოუბოდიშა ნანიტამ და გაუღიმა. ელენემ მხოლოდ ახლა შეხედა სახეში და მის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია თვალის ქვეშე განოლილი მოლურჯო ლაქა. ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეკვივლა, მაგრამ, არ უნდოდა, მეგობარი დაეთგრუნა და შეძლებისდაგვარად მშვიდად ჰკითხა:

– თვალზე რა გჭირა?

– გუშინ ნავიქეცი და... – ნანიტა ონკანისკენ შებრუნდა, ვითომ წყლის დასალევად, სი-



წამდვილში კი სახე აარიდა დაქალს, რომ ტყუილში არ გამოეჭირა.

ელენე მაშინვე მიხვდა რაღაცას, მაგრამ, გულის სიღრმეში მაინც იტოვებდა იმედს, იქნებ ვცდებო და ჩაკეთხა:

– უფრო ზუსტად?

– კარადის კარი გამოვალე და სახეში მომხვდა, – უპასუხა ისევ ზურგმუცტყევით მდგარმა ნანიტამ.

– კიდევ უფრო ზუსტად? – არ მოეშვა ელენე და თან ხმასაც აუწია. ნანიტას არ სწყენია, უბრალოდ, უკეთესი ტყუილი ვეღარ მოიფიქრა და გაჩუმდა. მერე კი საკუთარ თავზე გაბრაზდა, რადგან, ელენე სწორედ იმიტომ გამოიძახა, რომ ჯერ ყველაფერი მოეცოლა, მერე თავისი გადანწყვეტილება გაეზიარებინა, ბოლოს კი რჩევა და, თუ საჭირო გახდებოდა, დახმარებაც ეთხოვა, ის კი იდგა, როგორც დირექტორის კაბინეტში გამოძახებული დანაშაულში გამოჭერილი მესხუთეკლასელი და რაღაც სულელურ ტყუილებს ჩმახავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გრძობროტი



Griphot
SACHETS

against
FLU & COLD

შემაღმენლოზა:

თითოეული 10 გრ-იანი პაკეტი შეიცავს:
500 მგ. პარაცეტამოლი;
10 მგ. ფენილფერინის ჰიდროქლორიდი;
100 მგ. ოქსალამინის ციტრატს;
2 მგ. ქლორფენირამინის მალეატი.

დაამარცხე გრიპი ოთხმაგი კალით!



Griphot
TABLETS

against
FLU & COLD

შემაღმენლოზა:

თითოეული ტაბლეტი შეიცავს:
250 მგ. პარაცეტამოლი;
5 მგ. ფენილფერინის ჰიდროქლორიდი;
100 მგ. ოქსალამინის ციტრატს;
2 მგ. ქლორფენირამინის მალეატი.



Asfarma

გაშენიანისა და გაშენიანის ინსტიტუტის
ავალითი შიქლაპის შესახებ ფაქალი ინფორმაციის ასლაპა მინარათი



ყველა ქაში ერთნაირია

გაგრძელება. დასასრული
იხ. „თბილისელები“ №12-13(692)

აღვზარდომ და გამოვასწორომ

ქეთის ელდა ეცა თომას დანახვებზე, მაგრამ უზრდელობას ვერ გამოიჩინდა და ისე ვერ მოიქცეოდა, თითქოს ბიჭი არასდროს ენახა. იძულებული გახდა, ღიმილით მისალმებოდა და შეტეხებებზე დაემალა.

გოგო ხმისამოუღებლად შესცქეროდა და უპატივებულ სტუმარს და იმაზე ფიქრობდა, ახლა რომ ვახომ დამინახოს, ხომ დავილუპეო.

ნატომ სახელოზე მოქაჩა ლელას და მრავალმნიშვნელოვნად ანიშნა კარში ჩამდგარ წყვილზე.

– აჰა, ხედავ, ხომ? კიდევ მოაკითხა. მერე ჩემთან ექნება ქალბატონს პრეტენზიები. რა ჰქვია მის საქციელს?

– შენ გაჩუმდი. მერე რა, რომ მოაკითხა. ამისი უფლება ჰქონდა. ხომ არ ვიცით, რაზე ლაპარაკობენ, – ქეთის გამართლებას შეეცადა ლელა. თუმცა თავადაც აშკარად არ იყო კმაყოფილი ამ ვიზიტით.

ქეთის დუმილმა თომას უხერხულობის გაცნადა გაუჩინა.

– მაპატიეთ, მგონი, გაუფრთხილებლად არ უნდა მისულოყვიო. ალბათ, ბევრი საქმე გაქვთ, მე კი ასე შემოგეჭვრით.

– არა, არა, პრობლემა არ არის, – გაიღიმა ქეთიმ, – ახლავე მოგხედავთ, შემობრძანდით. ქეთიმ თომა კაბინეტში შეიყვანა და სავარძელში დასვა.

– ყველაფერი კარგად გაქვთ? – მორიდებით ჰკითხა ბიჭმა და გაუღიმა.

– დახვ. გმადლობთ. მგონი, დავალაგეთ ურთიერთობა მე და ჩემმა ქმარმა. თქვენ როგორ გაქვთ საქმე ნინისთან?

– არ ვიცი, – ამოიხრა თომამ, – ზოგჯერ მგონია, რომ კარგად. ზოგჯერ კი, ძალიან მაშინებს და არ მესმის მისი.

– ეჰ, – ამოიხრა ქეთიმ, – მამაკაცებს, ზოგადად, იშვიათად ესმით ჩვენი.

– თქვენც ასე ფიქრობთ?

– მე კი არ ფიქრობ, ასეა. ჩემსა და ჩემს ქმარს შორის კონფლიქტი სწორედ იმის ნიადაგზე დაიწყო, რომ მას ჩემი არ ესმოდა. თითქოს ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ, პრობლემები მაინც არის.

– თქვენ რისი ბრალი გგონიათ ეს?

– არ ვიცი. რომ ვიცოდებ, პრობლემაც ხომ აღარ იარსებებდა. ვერ ვხვდებით, რატომ ხდებ-

ბა ისე, რომ, გიყვარს ადამიანი, იცი, რომ მის გარეშე ვერ გაძლებ, მაგრამ, მაინც ვერ უფებ. მოკლედ, ძალიან რთულია ეს ყველაფერი.

– როგორ უნდა გაიგო, რა უნდა ქალს? – გულუბრყვილოდ და დაუფარავი ინტერესით ჰკითხა თომამ. ქეთის ხმაძვლილი გაეცინა.

– ალბათ, ქალს გააჩნია. მეექვსეა, ყველას ერთნაირი სურვილები ჰქონდეს.

– ჰო, მაგრამ, რაღაც სტერეოტიპი ხომ არსებობს. ბუნებრივია, ქურქებს, ბრილიანტებს, მანქანას და აგარაკებს არ ვგულისხმობდი.

– არც ეგენია ურიგო, გულადხილად რომ ვთქვათ, აკისკისდა ქეთი...

ნატომ სიგარეტს მოუკიდა და ლელას ქეთის კაბინეტისკენ ანიშნა:

– გესმის? ხომ ხედავ, როგორ გაამხიარულა მისმა სტუმრობამ? მშვენიერ გუნებაზე დადგა და ისე კისკისებს, მთელ კლინიკაში ისმის, შენ კი მაინც მე მადანაშაულებ.

ლელამ თავი გაქნია:

– გუთუნები, გაჩუმდი და ნუ ერევი-მეთქი, ეს ჩვენი საქმე არ არის.

– ვერ დავეთანხმები. რას ნიშნავს, ჩვენი საქმე არ არის? სწორედ რომ ჩვენი საქმეა, დიახ! ისე გვიბღვევს, თითქოს მისი მტრები ვიყოთ და ოჯახს ვუნგრევდეთ. არადა, მხოლოდ სიკეთე გვინდოდა მისთვის. ახლა რომ ქმარმა მოაკითხოს? ხომ შეიძლება, მოვიდეს ის კაცი – გამოუაროს ცოლს სამსახურში? რას ეტყვი, საინტერესოა.

ლელამ მხრები აიჩქრა და ნარბები შეიკრა.

– რა უნდა ვუთხრა. პაციენტია და კაბინეტში ჰყავს. ამაში რა არის განსაკუთრებული?

– რა იცი, რომ პაციენტია? რადგან თავის კაბინეტში შეიყვანა და იქ ეკისკისება?

ლელა უფრო მოიღუშა:

– ძალიან გთხოვ, დამათავრე ეს ამბავი. ზოგჯერ მგონია, რომ ქეთისი გშურს.

ნატომ მოულოდნელობისგან თვალები დაჭყიტა:

– გაგიჟდი? ამას როგორ მეუბნები? მე მშურს ქეთის? საიდან მოიტანე?

– რა ვიცი, რა ვიცი... ისე იქცევი, რომ... მე კიდევ არაფერი, ქეთიმ არ იფიქროს იგივე.

– პირი შეკარით ჩემ ნინალმდეგ თუ რა უბედურებაა? – გაცხარდა ნატო, – მე შურიანი არ ვარ. ანუ, იმისი თქმა გინდა, რადგან ქეთის ქმარიც ჰყავს და თავიანთი მცემელიც, გულზე მხეთქავს ეს ამბავი?

– მე ეგ არ მითქვამს. უბრალოდ, ასე იქცევი. ყოველ შემთხვევაში, ძალიან არაჯანსაღი რეაქცია გაქვს ამ ყველაფერზე.

– მე მაქვს არაჯანსაღი რეაქცია? – ნატოს თვალები აუცრემლიანდა, – ახლავე ნავალ და აღარ შეგანუხებთ ჩემი აქ ყოფნით. თურმე, ყველა უბედურების სათავე და მიზეზი მე ვყოფილვარ. ეგ ქალბატონი ანგელოზია და შენც მისი მფარველი.

– სად მირბიხარ, გადარეულო! – ლელამ მკლაფზე მოკიდა ხელი გასაქცევად მომზადებულ

ნატოს და შეაჩერა, – დამშვიდდი, ისტერიკის გარეშე... თუ გინდა, შედი და ნახე, რას აკეთებენ. თუმცა, რა სისულელეს ვამბობ. უჰ, მართლაც სერიოზულად გავვირთულა ეს ამბავი.

– მეც მაგას ვამბობ... და, ვინ გავვირთულა? შენ მაინც ხელს აფარებ.

– ვაიმე, ნატო, რატომ არ გესმის, რომ ეს მისი ცხოვრებაა და ჩვენ ვერ ჩავერევით. უფრო სწორად, ერთხელ უკვე ცუდად ჩავერეით და ეს აღარ უნდა განმეორდეს.

– მაშინ, ის მაინც უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენ ასე მოქცევას არ ვიმსახურებთ – არ დანებდა ნატო.

– საერთოდ ნურაფერს ვეტყვი, თავისთავად მოგვარდება ყველაფერი.

– კი, როგორ არა, მოგვარდება... – აბუზუნდა ნატო, – დღეს კაბინეტში ჩაიკეტნენ და კისკისებენ, ხვალ კიდევ რას იზამენ, არავინ იცის.

– ნუ სულელობ. რა უნდა ქნან? ქეთი ასეთი არ არის.

– იცი, რას გეტყვი? უკვე ეჭვი მეპარება ამაში, – მკვახედ მიუგო ნატომ.

ვახომ კომპიუტერი გამორთო და წასასვლელად გაეშადა. კარი თიკომ შემოაღო და დაბნეულმა მოუბოდიშა:

– უი, მიდხართ უკვე?

– ჰო, ვაპირებ. დღეს ცოტა ადრე მოვრჩი და, ვიფიქრე, ქეთის გავუვლიდი... კინოში წაყვანას დავებრდი... რა იყო, საქმე გქონდა?

თიკო უხერხულად ანრიოლდა:

– რა ვიცი, ვთქვა?

ვახოს გაეცინა:

– აბა, რა უნდა ქნა?

– უბრალოდ, მე და გიგის წასვლა გვინდა და ერთი შემკვეთია მოსასვლელი...

– შენ და გიგის სად გინდათ წასვლა, პატარავ?! – ეშმაკურად ჩაიცინა ვახომ და გიგის თითი გამაფრთხილებლად დაუქნია, – მთლად ბრმადაც ნუ ენდობი ამ ვაჟბატონს.

თიკო განითლდა.

– კაბის ასარჩევად მომეყვება... მინდა, იმ წვეულებისთვის რაღაც ახალი ვიყიდო. ფულიც მაგიტომ გთხოვეთ, დაგავინყდათ?

– ჰო, ახლა გამახსენდა... მერე, გიგი რა შუაშია?

– ერთად ნავიდეთო, შემომთავაზა და ინიციატივაც გამოიჩინა, ტანსაცმლის შერჩევაში დამხმარებოდა. უარი არ მითქვამს – ძალიან მეზარება მაღაზიებში მარტო სიარული.

– მშვენიერი ტანდემი იქნება. პრინციპში, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ნადით, ნადით, მე დავხვდები იმ დამკვეთს, ქეთის კი მერე ნაიფიყვან კინოში. ისე, შენ კარგი იდეა მომამწოლე. ქეთისაც გაუხარდება ახალი ტანსაცმელი წვეულებისთვის. მივცემ ფულს და იყიდოს რამე.

– თქვენ თვითონ გაჰყვეთ საყიდლად, უფრო გაუხარდება.

ვახომ ღიმილით გადააქნია თავი.

– რა ხართ ეს ქალები... მაინც იმას იყიდის, რაც თვითონ მოეწონება და, რა მნიშვნელობა აქვს, გვერდით ვეყოლები თუ არა?

– აქვს, დამიჯერეთ. ქალებს ყველაზე მეტად იმ კაცის ყურადღება სჭირდებათ და უხარიათ, რომელიც უყვართ.

– კარგი, მივიღებ შენს რჩევას და გავითვალისწინებ კიდევ. ოლონდ, მითხარი, ვინ შემკვეთია?

– ვილაც ახალიაო, გიგომ. რაღაც მასშტაბ-





ური რეკლამა უნდა და ჩვენ უნდა ვურჩიოთ. დიზაინერიც სჭირდება... ბეჭდვა და... მოკლედ, თვითონ გეტყვი, ალბათ.

- კარგი, კარგი, მივხვდები... - ვახომ თიკოს გაუღიმა. მობილური აიღო და ქეთის ნომერი აკრიფა...

ნინიმ ზარი დარეკა და პალტოს ღილები შეიხსნა.

- მოხვედი? - მიეგება ლიზა, - კარგი გოგო ხარ.

- რა სასწრაფო გამოძახება იყო, რა ხდება? გული გამისკდა!

- როგორ, დაგავინცდა? - გრძელი ნამწამები აახამხამა ლიზამ, - ხომ შევთანხმდით, რომ საყიდლებზე წავიდოდით?

- ჰო, დამავინცდა. უფრო სწორად სერიოზულად არ ჩავთვალე.

- რას ნიშნავს, სერიოზულად არ ჩავთვალე? რის ჩაცმას აპირებ ჩემს წვეულებებზე, მაგ ჯინსსა და მაისურის ხომ არა?!

- თუნდაც, რა მნიშვნელობა აქვს? თომას ასე ჩაცმულიც მოვწონვარ.

- კარგი ურთი... თომას მოსწონს... - გამოაჯვარა ლიზამ, - ხომ გითხარი, თომასთან უკვე ყველაფერი გარკვეულია და ეგ „სიმალე“ დასაპყრობი აღარ გვაქვს. თანაც, იქ გიციც იქნება. არ გინდა, მიხვდეს, რა დაკარგა?

ნინიმ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი:

- ისევ მაგაზე მელაპარაკები? მოვრჩეთ, რა... გიგისთან ყველაფერი დამთავრდა.

- ესე იგი, ტყუილად მაქაქანე ამდენი? აბა, გუმინ რა იყო, თავს რომ მიჩენვდი? გოგო, ცოტა აზრზე მოდი. შენთვის ვამბობ, რასაც ვამბობ.

- აუ, ლიზა, ძალიან მეზარება... - ნუნუნზე გადავიდა ნინი.

- ტყუილად მთხოვ. ჩანთას ავიღებ და წავიდეთ. ლევანს რომ ვუთხარი, ფული რისთვის მჭირდებოდა, არც დაფიქრებულა, ისე მომცა.

- ვაიმე, რა სირცხვილია! ლევანმა რატომ უნდა გადაიხადოს ფული ჩემს ტანსაცმელში?

- შენ უნდა ნინი, - ლიზა, ფული მეც მქონდა.

- ოჰ, წუ იპრანჭები, ძალიან გთხოვ. რა მოხდა მერე, ლევანს ფულის მეტი რა აქვს? თანაც, უხარია ასეთი რაღაცეები. ისეთი ბედნიერია ხოლმე...

- მაინც ძალიან უხერხულია.

- სულაც არ არის უხერხული. ჩემი წვეულებება და მინდა, პატარა ზეიმი შენც მოგიწყოს.

- ძალიან ვიზიემებ, გიგი თუ იქ იქნება, - ამოიხსრა ნინიმ.

- თუ დამიჯერებ, ის წვეულება შენს ტრიუმფად იქცევა. ოღონდ, თომაც უნდა გამოაწყოს. შესახედად არა უშავს, კარგი ტანი აქვს, ათლეტური. უბრალოდ, ცუდად იცვამს. შენ შეუჩივრე სტილი და, დამიჯერე, გიგი ბოლმისგან გასკდება.

- როგორ გიყვარს სერიის ყურება, - გაეცინა ნინის, - ახლა მე მკითხე! მანამდე მე რომ გამხეთქოს ბოლმამ? იქნებ გიგის უკვე ჰყავს ვიღაც?

- ვინ ვიღაც, სულელო... - წუ, ნამა. ეგ ისე არ გაჩერდებოდა, ხომ ვიცნობ!

- მერე რა, ჰყავდეს. მაინც ძალიან არ მოეწონება შენ გვერდით თომას დანახვა. კაცები ეგეთები არიან, ეგოისტები და ბოლმები. ამიტომაც გუუბნები, უნდა ბრწყინავდე-მეთქი და შენი ხმა აღარ გავიგონო. რა არის, რამდენს მალაპარაკებ?

ენს მალაპარაკებ? ყველაფერს საუკეთესოს ვყიდულობ, იცოდე. ამიტომ ბევრი რომ არ ვინვალოთ, პირდაპირ სავაჭრო ცენტრში წავიდეთ. იქ კაფეც ნორმალური აქვთ. ფრეშს დავლევთ და კრუასანებს შევჭამთ. ერთი სიტყვით, დროს კარგად გავატარებთ.

გიგიმ ლვედი შეიკრა და ძრავა აამუშავა.

- ესე იგი, ვახომ მწვანე შუქი აგვინთო...

- ჰო, როგორი საყვარელია... თურმე, ქეთისთან ერთად კინოში აპირებდა წასვლას და დარჩა...

- აუჰ, ეგ თუ ქეთის ყურამდე მივიდა, ცუდად იქნება ჩვენი საქმე, შეგიძლებს!

- ახარხარდა გიგი. თიკომ სერიოზულად მიიღო ბიჭის ნათქვამი და შეწუხდა:

- მართლა? ვაიმე, მაგაზე არ მიფიქრია. ნეტავი არ წამოვსულიყავით. მოდი რა, მიგბრუნდეთ, ჯანდაბას კაბა... არ მინდა, ქეთისთან ურთიერთობა გავიფუტო.

- გეხუმრე. შენ რა, მართლა ფიქრობ, რომ ასეთი წერილობრივი გამო ქეთი შეგიძლებს?

დიდი-დიდი, ვახოს გაუბრაზდეს. თუმცა, ეგეც საეჭვოა. ძლივს შერიგდნენ და ამ სისულელეზე არ იჩხუბებენ. მოდი, შენს შემოსავაზე ვიფიქროთ და ეს საღამო მთლიანად ამ საქმეს მივუძღვნათ, ეგენი როგორმე მოირიდებიან.

- სად უნდა წავიდეთ, არც კი ვიცი, - მხრები აიჩეჩა თიკომ, - ხომ გითხარი, საყიდლებზე იშვიათად დავდივარ-მეთქი. რაც პირველი მომხვდება ხელში, იმას ვყიდულობ.

- მერე, მეც ხომ გითხარი, ეგ მაგნე ტრადიცია უნდა დაგავინყოს. მოდი, ბევრი რომ არ ვიზოდილოთ, სავაჭრო ცენტრში წავიდეთ - ყავაზე და სენდვიჩზეც დავაპატიჟებ.

- ოჰო, რაღაც ძალიან კეთილი გახდი.

- ერთბაშად, ხო?! მიყვარს ადამიანების გაცემა, ასეთი ვარ, - გაიცინა გიგი და სიჩქარეს მოუმატა.

ქეთიმ მობილური გათიშა და ხალათის ჯიბეში ჩაიღო.

- უკაცრავად. ახლავე, ხელათამანს ჩავიცვამ და მოვხვდავ, - მოუბოდიშა თომას.

- არ არის პრობლემა. ქმარი გირეკავდათ?

- ჰო, - დამნაშავესავით ჩალაპარაკა ქეთიმ და განითლდა.

- ტყუილად ნერვიულობთ. თუმცა, მესმის თქვენი. ფიქრობთ, რომ ისე არ უნდა მოქცეულიყავით, როგორც მოიქცით.



ქეთიმ მხრები აიჩეჩა:

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. რატომ უჭირთ ცოლებს ქმრის ყურადღების მიპყრობა, როცა მათ შორის თანაცხოვრების რამდენიმე წელი დგება?

- მე ბევრი არაფერი გამეგება ამ საქმეში. ცოლი არასოდეს მყოლია, მაგრამ ერთმა ჩემმა მეგობარმა ასეთი რაღაც მითხრა: როცა ვუყურებ ჩემს ცოლს, ვფიქრობ, რომ ეს ის ქალი არ არის, რომელზეც დავქორწინდი. მას არ ჰქონდა ასეთი ჭირვეული ხასიათი, არც ჭარბი წონა და ჩამქრალი, არაფრისმოქმედი მზერა... როგორ აღმოჩნდა ჩემს სანოლში ასეთი მოუვლელი ქალი, ლამის ვიღაც უცხო დეიდა რომ მგონია... თუმცა, თქვენს შემთხვევაში, ამისი თქმა ძნელია.

- ჰო, ჭარბი წონა ნამდვილად არ მაქვს და თავსაც ვუვლი, დანარჩენის კი რა მოგახსენოთ. ეტყობა, ჩემი ბრალიც არის, მაგრამ, მამაკაცებიც რატომ არ იყურებიან სარკეში? რატომღაც, მარტო ჩვენგან ითხოვენ სრულყოფილებას.

- გეთანხმებით. თუმცა, რეალურად, კონკურენცია ქალებს შორის უფრო დიდია, მით უმეტეს, ოცდაათ წელს გადაცილებულ ქალებში. მინახავს მელოტი, ლიბიანი ძიები, რომლებსაც უარს თვრამეტი წლის გოგონებიც არ ეუბნებიან, ფულიანებს - მით უმეტეს. ჰოდა, რამი სჭირდებათ სარკეში ყურება?

ქეთიმ გაოცებით შეხედა ბიჭს:

- როგორი ჭკვიანი ყოფილხართ. ნინიმ იცის?

თომა განითლდა:

- ამ თემაზე მასთან არასდროს მილაპარაკია. არც ჭკუა მაქვს განსაკუთრებული, უბრალოდ, რაღაც-რაღაცეებს ვაკვირდები და ვანალიზებ, სულ ეს არის.

- შეხედე შენ?! მე კი ამ ყველაფერზე არასდროს დავფიქრებულვარ... - ჩაილაპარაკა ქეთიმ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქველ-სახსართა ჰათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმალეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა - დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 - ქ-ნი ქეთიკანი; 2-47-58-83 - ოფისი.




ღმწავლოეთ ხატვას ზალოიქოსთან ერთად




1. ყვავილის ფორმით დაიწყეთ მელნფილისის გმიხის ხატვა




2. ჩახატეთ ოვალური და ბულის ფორმის თვალები




3. გამოყვეთ „პიჩი“ და მიახატეთ ყუხები



4. დაახვეთ თავის ხატვა



5. თავს მიახატეთ ტანის



6. შემდგებ – „ხელები“ და „ფეხები“



7. დაახვეთ ნახატი



8. გააფუხადეთ



თავგადასარგებლო №36

ტელ.: 272 9191

გაბაღ სულაბაგარის სამგზაგარო სტუდია








იკოვით რვა განსხვავება



ღაენგარე გუნს გაკვლევანი



ოთსკუთხელაგუნი რანერე ფიგურების რაოდენობა



კაჭკაჭი და ფრინველები (იგავ-არაკი)

ერთხელ ზევსმა განიზრახა, ფრინველთა მეფე აერჩია და მეფედ კურთხევის დღეც დანიშნა. კაჭკაჭმა კარგად იცოდა, მისნაირ უშნოს მეფედ არ აირჩევენ. ამიტომ, სხვა ფრინველთა ბუმბულები მოაგროვა, ტანზე აისხა და დანიშნულ დღეს ასე უცხოურად გამოეცხადა ზევსს. ზევსს კაჭკაჭი თვალში მოუვიდა და მისი მეფედ კურთხევა განიზრახა. ფრინველები აღმფოთდნენ. კაჭკაჭს დაეხვივნენ და თავ-თავიანთი ბუმბული დაიტაცეს. გაძარცვული კაჭკაჭი ისევ კაჭკაჭად დარჩა.

ასეა: ზოგი სხვისი სამოსით გვანონებს თავს, ამ სამოსს პატრონი რომ ნაიღებს, იგივე რჩება, რაც იყო.

რისხვრეგუსი 3,, 3,, 5,,, ,,0, 1,,,

საღღსასნაულო ნამცხვარი			კოსმოსური სომეღლი	
სამი ... კონია-სათვის (ზღაპარი)				
			ძალის სამოსი	



ქურდული სსოვრება

● ბაგრძალა. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28-13(692)

– მე კი მინდა, ბავშვი ვიყო და სადმე, ლურჯი ზღვის ნაპირზე ვიწვე.

– ძია ვასია, ასეთი ცხოვრება მოგებზრდა? – ვკითხე ბრილიანტს, მას კი გაეცინა და მითხრა:

– ეგ ზოუპერიმ თქვა, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო და წარსულში დაბრუნება ერთხელ მაინც უნდა ნებისმიერ ადამიანს. შენ არა?

– ზოგჯერ მეც. ბავშვობა კარგია, როგორც უდავოდ არ უნდა ცხოვრობდე, – მივუგე ბრილიანტს. თბილისში, მთანმინდაზე გატარებული ბავშვობის წლები გამახსენდა და ნოსტალგიამ შემეპყრო. ძია ვასიას ჩემი განწყობილების ცვალებადობა არ გამოჰპარვია და მკითხა:

– ნოსტალგიამ შეგიპყრო?

– ჰო, ცოტა დავიგრუხე.

– შენი ბავშვობის რომელიმე ეპიზოდი მომიყვი და გულზე მოგეშვება.

– რა ეპიზოდი?

– ნებისმიერი. ისეთი, რომ გავერთოთ.

მე გამეცინა და ძია ვასიას ვუთხარი:

– ერთი ბავშვობის მეგობარი გვყავს მე და ყბედლოს, ხუჭუჭა, იმან იცოდა სპექტაკლების დადგმა. ახლა, ალბათ, დიდი ზვანია ექნება.

– სამხედროა?

– კომიტეტრიკი.

– კაგებეში მუშაობს?

– ჰო.

– მოყვი.

– ერთი სიტყვით, ხუჭუჭა ნამდვილი რეჟისორი იყო და ზოგჯერ თავის დადგმულ სპექტაკლებში მთავარ როლსაც თვითონ ასრულებდა. სხვათა შორის, ბავშვობაში ქურდობა უნდოდა, მაგრამ, მამამისმა რუსეთში წაიყვანა და სხვა გზაზე დაყენა. მამამისი ბობოლა პარტიული თანამდებობის პირი იყო და შედლო მისი მოთოკვა. მოკლედ, ერთხელ ჩვენმა ფიზიკის მასწავლებელმა, კარლომ, რომელიც, ასევე, სასწავლო ნაწილიც იყო, ჩვენს კლასელს, ჯემოს, რომელიც ერთ კლასში სამჯერ იყო ჩარჩენილი, შეურაცხყოფა მიაყენა და „ტვინგათიშული კრეტინი“ უწოდა. ჯემო „ფეხებზე მკიდა“ ტიპი იყო, მაგრამ, კარლოს შეურაცხყოფაზე რატომღ-

აც გული აუჩუყდა და ატირდა.

– მაგას ვუჩვენებ, ვინაა ტვინგათიშული კრეტინი! – დაიქანდა ჩვენთან ხუჭუჭამ და ჯემოს უთხრა: – რას ტირიხარ, ბიჭო, ქალი ხომ არა ხარ?

– რა ვიცი, ხუჭუჭე, ძალიან მეწყინა. კლასში სამჯერ რომ ვარ ჩარჩენილი, მრცხვენია და კარლომ მაზოლზე დამაჭირა ფეხი, – მიუგო ჯემომ ხუჭუჭას.

– დანყნარდი. ნახე, რა ვუქნა მაგ ბოხს, – დაამშვიდა ხუჭუჭამ ჯემო, – ხვალ დილით გიჩვენებთ მის სეირს.

– რა სეირს? – ერთხმად ვკითხეთ ხუჭუჭას. მას კი ეშმაკურად ჩაეცინა და გვითხრა:

– სეირის შინაარსი თუ წინასწარ გაიგეთ, უკვე სეირი აღარ იქნება. თქვენ დროზე მოდით სკოლაში და ნახათ, რაც მოხდება.

მეორე დღეს მე, ყბედლო და ჯემო ერთად მივედით სკოლაში. ხუჭუჭა უკვე იქ იყო. რომ დაგვიხანხა, ეშმაკურად ჩაეცინა და თქვა:

– მზად ხართ ცირკის საყურებლად?

– კი, – ერთხმად მივუგეთ ხუჭუჭას.

– ჰოდა, აქ იდევით და წარმოდგენაც სულ მალე დაიწყება, – გვითხრა ხუჭუჭამ და წინადადება წესიერად დამთავრებულიც კი არ ჰქონდა, რომ შოუც დაიწყო.

ჩვენი სკოლის სამასწავლებლო შენობის მეორე სართულზე მდებარეობდა და უცებ იქ ჩოჩქილი ატყდა. ხუჭუჭამ იქითკენ გაიშვირა ხელი და გვითხრა:

– აი, დაიწყო. ახლა ნახეთ კარლოს სეირი. ნავედით, ვიკაიფოთ.

ჩვენ მეორე სართულზე აცვივდით, სადაც უკვე მთელი სკოლა იყო შეკრებილი. კარლო უზარმაზარ სამასწავლებლოში ხელეხ ფრთებივით იქნევდა – ვითომ დაფრინავდა და მიბლეტლით თვალბობით რაღაც სისულელეებს ბოდავდა. შეშინებულმა მასწავლებლებმა დირექტორი მოიყვანეს, მან კი სასწრაფოს გამოუძახა, რადგან, ეგონა, რომ მისი მოადგილე ჭკუიდან გადავიდა. საავადმყოფოში კარლოს დაუდგინეს, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო და დირექტორმა საერთოდ გაუშვა სკოლიდან.

– ესეც ასე, – გვითხრა ხუჭუჭამ, – კარლოს საქმე ტრაკშია. აბაროტი აღებულია, ნავედით.

– რა დავმართა კარლოს, რა უქენი? – ვკითხე ხუჭუჭას, მან კი გვითხრა:

– კლასში ავიდეთ და მოვივებით.

მოკლედ, ძია ვასია, ხუჭუჭას სიგარეტებში ანაშა შეუჭკებია და მესამე სართულზე გოგობის ტულეტში დაუშვალავს – იქ მეცხრეკლასელ ბიჭებს ზაგაჟნიკი ჰქონდათ. კარლო კი დილაადრინ დაუვლიდა ხოლმე ტულეტებს და ზაგაჟნიკებს ჩითავდა. რამეს თუ იპოვიდა, ჯიბეში იდებდა, სიგარეტებს კი აბოლებდა. ის კრეტინი ისეთი ღრმა ნაფაზებით ენეოდა, რომ ორ-სამ მოქაჩვაზე ბოლომდე ჩაწყავდა. ხუჭუჭამ ეს ყველაფერი იცოდა და გაუჩალიჩა...

ჩემს მონაყოლზე ძია ვასია გამხიარულდა და იცინა, ბოლოს მკითხა:

– მაგარი ეშმაკი ბავშვობის ძმაკაცი

გყოლიათ შენ და „ბალტუნს“. ასეთ მეტოქეს ნამდვილად არ ვისურვებდი.

– გეთანხმები, ძია ვასია. ძალიან ეშმაკია. თუკი რამეს მოინდომებდა, აუცილებლად აკეთებდა. წარმოიდგინე, რა ძალა მოგვემატებოდა, ის რომ ქურდი გამხდარიყო.

– მართალი ხარ, – მითხრა ძია ვასიამ.

შემდეგ დაფიქრდა და დაამატა: – თუმცა, რაც უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს ამარცხებ, მით უფრო მაგარი ხარ და მეტი ფასი გაქვს. ამიტომ, ძლიერი მტერი შენც გაძლიერებს, თუ, რა თქმა უნდა, ჭკუა-გონება გიჭრის.

ვასია ბრილიანტი აბსოლუტურად მართალი იყო და მსგავს რამეს ხუჭუჭაც გვეუბნებოდა ბავშვობაში. ამაზე ხშირად მოგვსვლია კამათი და ის ყოველთვის გვეჯობნდა ხოლმე.

– რა ვერ გაიგეთ, ტო, – იტყოდა ხოლმე ხუჭუჭა, – როდის ხარ უფრო მაგარი, ბრაზილიის ნაკურებს რომ მოუგებ ფეხბურთში თუ ფარჩაკ თურქეთს (მაშინ თურქები ძალიან სუსტები იყვნენ და ხუჭუჭას ამიტომ მოჰყავდა ასეთი შედარება)?

– ბრაზილიას ვერასდროს მოუგებ ფეხბურთში. ამიტომ, ჯობია, რომ ისევ თუქეთი აფარჩაკო, – ეტყოდა ხოლმე ხუჭუჭას ყბედლო და გაუთავებელი კამათიც იწყებოდა.

– მაგით რა გინდა, თქვა? – ჰკითხა ერთხელ ხუჭუჭამ ყბედლოს, როდესაც ტრადიციული პასუხი მიიღო, – შენი პროფესიიდან გამომდინარე, მასეთი ლოგიკით, მხოლოდ მოხუცებს უნდა შეიბვირო და მოჰპარო, რომ ვერაფერი ექაშინიონ?

– შენ გინახავს ან გაგიგია, რომ ოდესმე მოხუცისთვის, ბავშვისთვის ან ფეხმძიმე ქალისთვის მომეპაროს რამე? – ამაყად ჰკითხა ხუჭუჭას ყბედლომ.

– რომ არ გამიგია და ასე რომ არ აკეთებ, იმიტომ მიკვირს შენი პასუხი, – მიუგო ხუჭუჭამ.

– სად ფეხბურთი და სად – ჯიბგრობა?

– აქ ვაჟაკობაზეა ლაპარაკი და არა მარტო ვაჟაკობაზე. სულ თურქეთი რომ აფარჩაკო, კლასს ვერ აიმაღლებ და ბრაზილიას მართლაც ვერასდროს მოუგებ. არადა, თუ გინდა, მაგარი იყო, მაშინ ბრაზილიასაც უნდა მოუგო.

ხუჭუჭას სიტყვებიდან ჯერ უკვე მაშინ ჩანდა, რომ, სადაც არ უნდა ემოლვანევა, მხოლოდ მწვერვალზე ასვლისთვის იბრძობებდა და არავის არაფერს დაუთმობდა. ასეთი რამ კი ადამიანისგან დიდ ნიჭს, ნებისყოფას, პროფესიონალიზმსა და რისკზე წასვლის უნარს მოითხოვს. სხვათა შორის, ხუჭუჭას დამსახურებაა, რომ ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად ვუდგები და ნებისმიერი ქურდობა მხოლოდ ქურდობა კი არაა, არამედ, კარგად დადგმული სპექტაკლი. სწორედ ასეთი მიდგომის გამო ვიყავით მე და ბერძენა კარვა ხანს მოუხელეთებლები და მილიცია ჩვენს კვალზე ვერ გამოდიოდა. რამდენიმე ასეთ საქმეზე ადრე უკვე გაიამბეთ და ერთსაც მოყვები.

თბილისში ერთი ძველი ბარიგა ცხოვრობდა, რომელსაც „არტამ ბარახოლშიჩის“ (მეძველმანე არტამა) ეძახდნენ. მისი სახლი ავ-





ლაბარში მიუდგომელ ცინესიმაგრეს ჰგავდა. მას ყველაფერი რკინებში ჰქონდა ჩასმული იყო, მართალია, მარტო ცხოვრობდა, მაგრამ იქ შელწევა დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ერთი „ნაკოლშიჩისიგან“ ვიცოდით, რომ არტამა დიდხალ ქონებას ინახავდა სახლში და მე და ბერძენამ მისი გაქურდვა განვიზრახეთ. არტამა აბსოლუტურად ყველაფრით ვაჭრობდა, მათ შორის ანტიკვარული ავეჯითაც. ის ხელოსანი იყო. ამიტომ, ძველ, შელახულ ავეჯს ყიდულობდა, რესტავრაციას უკეთებდა და ოცმაჯ ფასში ყიდდა. როდესაც ბერძენას არტამ ბარახოლშიჩის ბინის გაქურდვა შეეთავაზე, მან მითხრა:

– ხუმრობ?
 – არა, – მივუგე ბერძენას.
 – მაგას, კრუგომ-ბეგომ ფოლადის გისონებში აქვს მთელი სახლი ჩასმული და შიგნით როგორ გინდა შეაღწიო? თანაც, თითქმის სულ სახლშია, – მითხრა ბერძენამ.
 – ერთი გეგმა მაქვს და ვინმე სოფლელი გვჭირდება, რომ დაგვეხმაროს.

– აბა, თქვენი შენი გეგმა.
 – კაროჩე, ბერძენ, მაგ არტამას როტმილდის ბუფეტი უნდა მივიყიდო და მისი მეშვეობით შევალწეო მის ბაითში. უფრო სწორად, ბუფეტი ვინმე სოფელმა ტიპმა უნდა მიპყიდოს, რომ ჩვენ არ „დავიწვათ“ და არტამაც ვერაფერს მიხვდეს. ამიტომ, ვინმე სოფლელი როჟა უნდა ვიპოვოთ და მოველაპარაკოთ. ბუფეტი კი სარდაფში მაქვს.

ბერძენამ მხრები აიჩჩა და მითხრა:
 – ვერაფერი გავიგე, ძმაო. რა როტმილდის ბუფეტი, გამიიასნე.
 – როტმილდები მილიარდერები არიან. როტმილდის ბუფეტი კი დიდი ზომის ანტიკვარული ბუფეტია და ასე იმიტომ ეწოდება, რომ პირველად როტმილდებმა დაამზადებინეს ავეჯის ცნობილი ოსტატს – ლერნერს. იმ ბუფეტს ორმაგი ფსკერი აქვს. ერთ-ერთი ჩვენგანი იმ ფსკერში მოთავსდება და არტამას ბაითში ასე შეაღწევს. მიხვდით?

– ახლა მივხვდი.
 როტმილდის ბუფეტი მეოცე საუკუნის დასაწყისში გახდა მოდური და ის თითქმის ყველა შეძლებულ ოჯახს ჰქონდა. ჩვენ რომ ახალი ავეჯი შევიძინეთ, ბუფეტი სარდაფში ჩავიტანეთ და იქ მედგა. ბავშვობაში ხშირად დავმალულვარ მის ორმაგ ფსკერზე და ერთხელ ჩამეძინა კიდევ იქ. ერთი სიტყვით, ერთ ქარხნის მუშას სამასი მანეთი გადაეუხადეთ, დავარიგეთ, როგორ უნდა მოქცეულიყო და საქმეს შეეუდებო. „ჩვენმა კაცმა“ არტამას ბუფეტი ანახვა და უთხრა:

– აი, ძიაკაცო, ეს ბუფეტი... მოგონოს?
 მე და ბერძენა ჭუჭრუტანიდან ვუთვალავთ ბუფეტს მათ. ბარახოლშიჩის თვალები გაუბრწყინდა როტმილდის ბუფეტის დანახვაზე, რადგან, ეს ანტიკვარული ნივთი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და მხოლოდ განმეინდა უნდოდა. თუმცა, არტამამ ნაცად ხერხს მიმართა – დაიჯღანა და „პატრონს“ უთხრა:
 – მამონსო? შაყრობ? შავიდილიან, ახლავე დაშალო და ბუხარში დანვა, მაგისი ფასი კაპიკია.
 – მაშ, არ ყიდულობ, ბიძია? – „ყურები ჩამოყარა“ ჩვენმა კაცმა. არტამამ ქველმოქმედის სახე მიიღო და უთხრა:

– ჯანდაბას, ჯანი გავარდეს, სტუდენტი ხარ და მეცოდები. ოც მანეთს მოგცემ.
 – მართლა, ბიძია? – ნამოძახა „სტუდე-

ნტმა“. არტამამ კი ექვსი ცალი სამმანეთიანი, ორი ცალი მანეთიანი მისცა და უთხრა:

– აი, ფული. აქ დამიცადე, მოვალ და წავიღებ.

არტამა ბარახოლშიჩი მანქანის მოსაყვანად წავიდა. მე კი ბუფეტის ფსკერზე დავსვი და გავისუსე. ორი საათიც არ იყო გასული, რომ მე არტამას „ცინესიმაგრეში“ ვიმყოფებოდი. სახლის პატრონი კი უნიკალურ ნივთს ეფერებოდა, რალაც სიმღერას ლილინებდა და ამბობდა:

– საღოლ, არტამ-ჯან, საღოლ! ბუფეტი – ოცი მანეთი, მანქანა – ხუთი მანეთი, ოთხი მუშა – ორ-ორი მანეთი, სულ ოცდაცამეტი მანეთი. ამ ბუფეტს კი, კაკ მინიმუმ, ოთხი ათას მანეთად გავყიდი. დიდი მოგებაა, ჩემმა მზემ და დიდი ბარაქა. არადა, ქართველებმა ნივთებისა და ფულის ფასი არ იციან, არა...

სანამ არტამ ბარახოლშიჩი ქართველებს დასცინოდა და დიდი მოგებით ხარობდა, ბერძენამ ქუჩიდან არტამას დაურეკა და უთხრა:

– არტამას სთხოვეთ.
 – მე ვარ. ვინ მკითხულობს? – უპასუხა არტამამ.

– მილიციის მაიორი ჯემალ კალანდაძე. ჩვენ ქურდი დავიჭირეთ, რომელმაც მოქალაქე ჭიჭიკო ვარდლოსანიძე გაქურდა. თითქმის ყველა ნაქურდალი ნივთი ამოვიღეთ, ბუფეტის გარდა. ის აცხადებს, რომ ბუფეტი თქვენ წაიღეთ სახლში.

– ბუფეტი ვიყიდე, უფროსო, ვიყიდე, სახლში კი არ წავიღე. არ ვიცოდი, თუ მოპარული იყო, – ხმის კანკალით მიუგო „მაიორ კალანდაძეს“ არტამამ.

– თქვენ ახლავე მილიციის სამმართველოში უნდა გამოცხადდეთ დაპირისპირებაზე. თუ გაიქცევით და დაიმალებით, თქვენზე საკავშირო ძებნა გამოცხადდება.

– არა, უფროსო, სად გავიქცევი, ახლავე მოვდივარ, – მიუგო „მაიორს“ არტამამ და ყურმილი დაკიდა. შემდეგ სულ ქომინ-ქომინით ჩაკეტა გისოსები და ქალაქის მილიციის სამმართველოში წავიდა.

ძალიან ცოტა დრო მქონდა, მაქსიმუმ – ერთი საათი. ამიტომ, ბუფეტიდან გამოვძებნი და არტამას სამალავის ძებნას ნარაფად შევეუდებე. გამიმართლა, რადგან, არტამას, ისევე, როგორც ჩემს „კლიენტთა“ უმრავლესობას, სამალავი საძინებელში ჰქონდა. სეიფი ადვილად გავხსენი, თვალის დახამხამებანი გავასუფთავე და შემთხვევის ადგილიდან მივიმალე. წლების მერე, როდესაც ამ ამბიდან ძალიან დიდი დრო იყო გასული, საბჭოეთი დაშლილი იყო, ბესარიონ აბრალავა კი – კარგა ხნის პენსიაზე გასული, ჩვენ ერთმანეთს არულიად შემთხვევით შევხვდით. მე მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი რუსეთიდან და თბილისი მონატრებული მქონდა, ამიტომ რუსთაველის გამზირზე ფეხით გავისეირნე. შემდეგ ვორონცოვზე და პლესანოვზე გავლა მომიხდა და ალექსანდროვის ბაღში შევედი, რომ მშრალ ხიდთან ჩავსულიყავი. მრგვალ აუზს რომ ჩავუარე, მარჯვნიდან მოვხვდი:

– კობრა!
 შევტრიალდი და სკამზე მჯდარ ბესარიონ აბრალავას მოვკარი თვალი, რომელიც



ხელით მიხმობდა და მილიმობდა. მისი დანახვა მთელი გულით გამიხარდა. სწრაფი ნაბიჯით მივუახლოვდი, გადავხვებე და ვკითხე:

– როგორ ხარ, ძია ბესო?
 – როგორც მხედავ. შენ?
 – ესე იგი, კარგად ყოფილხარ. მეც არა მიშავს. ჰაერზე სეირნობ?
 – მეტი რა დამრჩენია პენსიონერს? შენ რას შერებ?
 – რასაც ადრე ვშერებოდი.
 – შენთვის ახალი დროება არ არსებობს და ისევ ნეპმანელი ქურდი ხარ, ხომ? – თავი გააქნია აბრალავამ, – არადა, შენი კოლეგების ოთხმეცდათხუთმეტი პროცენტით დიდ მსყუთში ხის.

– დიდი მსყუთი დიდი შარია, – მოკლედ მივუგე აბრალავას, მან კი მითხრა:
 – არ გინდა, თქვა „გაბოზებული ქურდები“ და ასე იმიტომ მპასუხო, – გაცეცინა აბრალავას, – რა დრო დადგა, ქურდი ქურდს არ ჰგავს, „ძალი“ – „ძალს“, აირია ყველაფერი.

– ძველი დრო მოგენატრა, ძია ბესო?
 – შენ რა, არა?
 – ახალგაზრდობას რა ჯობია.
 – გახსოვს, როგორ გვიშრობდით სისხლს?
 – კარგი, რა, ძია ბესო, ხომ იცი, რომ ჩვენ აქ არ ვჩალიჩობდით? თბილისში საქმეზე დავუჭერივართ ვინმეს ოდესმე?

– ეგ იმიტომ, ჩემო კარგო, რომ სუფთად ჩალიჩობდი, თორემ, სამხილი რომ მქონოდა, შენს წინააღმდეგ, გიყვარდეს, გაგიშვებდი „ვირის აბანოში“, – მითხრა აბრალავამ, ჩაეცინა და დაამატა: – თუმცა, ერთხელ მართლა შემეძლო შენი „გასროკვა“, მაგრამ, არ ვქენი.

– ხუმრობ?
 – ჩემს შვილიშვილებს გეფიცები, – მითხრა აბრალავამ და მივხვდი, რომ სიმართლეს ამბობდა, რადგან, შვილიშვილებს ტყუილად არ დაიფიცებდა.
 – როდის, ძია ბესო?
 – როდის და, ავლაბარში რომ არტამა ბარახოლშიჩი გაქურდე. გინდა, გითხრა, როგორ მივხვდი, რომ ეს საქმე შენი გაკეთებული იყო?

– გისმენ, ძია ბესო.
 – ჩემო კობრა, არტამას, ალბათ, შენმა პაძელნიკმა ბერძენამ დაურეკა სახლში მილიციის სახელით და გარეთ გაიტყუა. მაშინ მე ვიყავი სამმართველოს უფროსი და შემთხვევით შევესწარა, როგორ სთხოვდა არტამა მორიგეს შენობაში შეშვებას და ეუბნებოდა, მაიორმა კალანდაძემ დამიბარაო. ასე-



თი თანამშრომელი არ მყავდა და არტაშას ყველაფერი დაწვრილებით გამოვიკითხე. როდესაც მომიყვა, ვუთხარა:

- ახლა თქვენს სახლში ვინმე არის?
- არა, უფროსო, - მიპასუხა მან.
- ჰოდა, დიდი შანსია, რომ იქ ახლა ქურდია და რაღაცას ეძებს-მეთქი.

ქურდის ხსენებაზე არტაშა გაფითრდა, მე კი მას ჩემი მანქანით წასვლა შევთავაზე და თან ოპერჯგუფიც წავიყვანეთ. ავლაბარში რომ მივედი, სახლში შევედი და მასპინძელმა სახლი დაათვალიერა, თავში ხელეების ცემას შეუდგა და ყვიროდა: გამქურდეს, გამქურდესო. მასპინძელი ძლივს დავაშვებდეთ, გამოძიებლები გამოვიძახეთ და მუშაობას შევედგეთ. როტმილდის ბუფეტს რომ შევხედე და მარცხენა კუთხეში მოტეხილი ორნამენტი დავინახე, მივხვდი, ეს საქმე შენი ნახელავი იყო.

- ასე რატომ იფიქრეთ, ძია ბესო?
- იმიტომ, შე მამაძაღლო, რომ ბუფეტის ვიცანი. ის ორნამენტი სერგო ორჯონიკიძემ მოატყდა ბუფეტს და, იცი, როგორ?
- როგორ?

- როგორ და, ერთხელ კომუნისტი იატაკქვეშელები ბაბუაშენ გოგიასთან იმყოფებოდნენ სახლში. რომ დალიეს და გამოთვრნენ, სერგომ „მაუზერი“ ამოიღო და ბუფეტის მიმართულებით გაისროლა, რადგან, მოეჩვენა, რომ იქ „ოხრანის“ ჯაშუში იდგა და მათ უთვალთვალებდა. ბაბუაშენს რომ არ ეყოჩაღა და იარაღი არ წაერთმია, ვინ იცის, იქ რა მოხდებოდა.

მე, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ვიცოდი. მაგრამ გამიკვირდა, საიდან იცოდა ეს აბრაღავამ და ვკითხე:

- თქვენ საიდან იცით ეს ისტორია?
- ბაბუაშენმა, ცხონებულმა გოგიამ მომიყვა. შენ დაბადებულზე კი არ იყავი, როდესაც მამაჩემმა თქვენს ოჯახში წამიყვანა სტუმრად. მამაჩემი და ბაბუაშენი ძველი ძმაცაყები იყვნენ და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა ჰქონდათ, - ამიხსნა აბრაღავამ.

- გასაგებია, - ვთქვი მე.
- რა არის გასაგებია?
- რაც თქვენ თქვით, ძია ბესო. მადლობელი ვარ ყველაფრისთვის. ახლა კი უნდა წავიდე. ნახვამდის, - ვუთხარი ბესარიონ აბრაღავას და წავედი.

მას მერე ბესარიონ აბრაღავას კიდევ ერთხელ შევხვდი. მას თავის სახლთან სპეციალურად დაველოდე, მივესალმე, მოვიკითხე და, სანამ წამოვიდოდი, პატარა ხეყუდი მივეცი.

- რა არის, ბიჭო, ეს? - მკითხა აბრაღავამ.

- დიდი არაფერია, ძია ბესო. უბრალოდ, მადლობას გიხდის სიკეთისთვის. ნახვამდის.

ბესარიონ აბრაღავას ოქროს საათი ვაჩუქე, რომელიც მოსკოვში მქონდა ნაყიდი და ამით გადავუხადე სამაგიერო იმ სიკეთისთვის, რაც მან ბარახოლშიკის საქმეში გამოიჩინა. ვერ ვიტყვი, რომ ბესარიონ აბრაღავა ფრთიანი ანგელოზია ან უცოდველი კრავია და, თუ ამ ამბავს სამართლის კუთხით შევხედავთ, მან დანაშაულიც კი ჩაიდინა. მაგრამ, არსებობს სხვა კატეგორიებიც, რაც ქალღმერთს დაწერილი კანონებზე მაღლა დგას და ხშირად სწორედ ამ კრიტერიუმით ფასდება ადამიანი. ამ კუთხით კი აბრაღავას საქციელი გამართლებულია და ვიღაც სისხლისმსმელი მეგახმის, ბარიგა არტაშ ბარახოლშიკის გამო, რომელიც, ამასთანავე, ქართველებს დასცინოდა და ტყავს აპრობდა მათ, ციხეში არ გამიშვია... ძია ბესომ, თავისი საქციელი ყოვლად უანგაროდ ჩაიდინა და არანაირი სხვა ქვენა გრძნობა არ ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მე დამაკავებდა, ნაქურდალის ნიღს მომთხოვდა და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ბოროტად ისარგებლებდა.

სხვათა შორის, ბესარიონ აბრაღავა დღესაც ცოცხალია, საკმაოდ მხნედაც გამოიყურება და აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევა. ამას წინათ რუსთაველის გამზირზე ინკოგნიტოდ ვსეირნობდი

და ძია ბესოს მოვკარი თვალი, რომელიც ქაშუეთის ეკლესიაში შედიოდა. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო, გამოეცნაურებოდი მას, მაგრამ, თავი შევკავე, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებინა. რაც არ უნდა იყოს, „პაბეგში“ ვარ, ყველაფერი ხდება და, რატომ უნდა გამეხვია შარში მოხუცი ადამიანი, თუნდაც მილიციის გადამდგარი პოლიკონიკი? თუმცა, იმ დღეს ფათერაქს მაინც ვერ ავციდი და დაჭერას ბენგზე გადავურჩი. უკვე ბინდდებოდა, როცა კოლმეურნეობის მოედანზე დავეშვი, რომ მშრალი ხილით ვორონცოვსა და პლუხანოვზე გადავსულიყავი. „პირიმზის“ წინ ახალგაზრდების ჯგუფი რაღაცაზე დავობდა. ეტყობოდა, რომ წასვამები იყვნენ. გულმა ცუდი მიგრძნო და შორიდან მოვლა გადავწყვიტე, მაგრამ, გვიან იყო - ერთ-ერთი ახალგაზრდა ჩემკენ წამოვიდა, გამაჩერა და მკითხა:

- ბიძაჩემო, ფეხბურთი გეყავება?
- დიას, - მივუხე ახალგაზრდას.
- მაშინ, გვითხარი, თბილისის „დინამომ“ რომ პირველად საბჭოთა კავშირის თასი აიღო, ერევის „არარატს“ რა ანგარიშით მოუუგო?

- სამით ნული.

- სალო, ბიძაჩემო! - გაუხარდა ბიჭს, მხარზე ხელი მომითათუნა და დანარჩენებს გახედა, - მოდიო აქ და სიმართლე გაიგეთ! ათიოდე ბიჭი მოგვიახლოვდა, წრეში მომაქციეს და, იმან, ვინც პირველად მოვიდა ჩემთან, თქვა:

- სურენ, მოუსმინე, - შემდეგ მე მითხრა:
- გთხოვ, ბიძაჩემო, კიდევ ერთხელ გაიმეორე, რა ანგარიშით დამთავრდა თამაში, როდესაც „დინამომ“ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი?

- თამაში ჩატარდა 1976 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში, „ლუჟნიკების“ სტადიონზე და თბილისის „დინამომ“ სამით ნული მოუგო ერევის „არარატს.“ ბურთები გაიტანეს ყოფიანმა, კანთელაძემ და ჩელევაძემ, - ამომწურავად ვთქვი მე.

ბიჭმა ხელი გადამხვია და ერთ-ერთ ახალმოსულს უთხრა:

- ახლა გაიგე, სურენ? შენ კი, ერთით ნული დამთავრდა და „არარატს“ ორი ბურთი არ ჩაუთვალესო... მართლა ასე იყო, ბიძაჩემო? - მკითხა ბიჭმა.

- არა, შვილო, როგორც ვთქვი, ისე იყო. - მოიცა, რა, - ხელი ამიქნია სურენამ, - ტყუილია! ამ ბებერს რას ეკითხები, იქნებ სკლეროზი აქვს და გამოსირებულა?

- შვილო, ბაბუაშენის ტოლი ვარ და ნესიერად მომმართე, - ვუთხარი სურენას, პირველმა ბიჭმა კი დაამატა:

- ჰო, სურენ, ნესიერად ილაპარაკე, რა პონტია უზრდელობა?
- ნადით, თქვენი „დინამოს“ დედაც და თქვენი დედაც... - შევავანა სურენამ.

პირველმა ბიჭმა მას ყბაში მუშტი სთხლიშა და ატყდა ჩხუბი. სურენას მხარეს შეიდი კაცი იყო, მეორე მხარეს კი - სამი, მაგრამ, იმ სამმა ისე სცემა დანარჩენები, რომ ფეხზე ვერ იდგნენ. მე ნაბიჯს აუჩქარე და იმ ცერტორობის მოვშორდი. ამ დროს პოლიციის მანქანებით ავივსო იქაურობა, ვინც იქ იმყოფებოდა, ყველანი დააკავეს და წაიყვანეს.

მიუხედავად იმისა, რომ შარს გადავრჩი, გული ისე მიცემდა, შეიძლებოდა, გამსკდ-



ლილოს წმიდა პანტელეიმონის ტაძრის სტიქაროსანს, 22 წლის მირიან კაპანაძეს, 2011 წელს დაუდგინდა მუხლქვეშა ვენის თრომბოზი. გაუკეთდა კავა-ფილტრის ინპლანტაცია, რომლის ვადა ყოფილა 23 დღე. მას შემდეგ გავიდა სამი წელი და, როგორც გაირკვა, საქართველოში შეუძლებელია ამ ფილტრის ამოღება. ამიტომ, სასწრაფოდ ესაჭიროება უცხოეთში ოპერაცია და მკურნალობა. მისი სიცოცხლე საფრთხეშია, გთხოვთ დაგვეხმარეთ!!!

ლილოს წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა კონსტანტინე სეხნიაშვილი.
ანგარიში გახსნილია „საქართველოს ბანკში“.
ანგარიში: GE10BG 0000000 705 919 100; მიმღები: ააიპ მირიან კაპანაძის სახელობის ფონდი.
ბთსოვთ, ღარიკაოთ ნომარხა: 0901 70-06-08 „გაბიდან“ „გილანიდან“ და „ჯაიხანიდან“.





ომოდა. საქმე ის იყო, რომ ცხოვრებაში პირველად შემავინეს დედა და პასუხი ვერ გავიცე. უფრო სწორად, მეც შევავინე და ჩხუბიც ამიტომ ატყდა, მაგრამ, იმ ნაბიჭვარ სურუნას ხელი ვერ დავარტყი. არადა, ასეთი საქციელის გამო, ჩვენი კანონებით, ის დანაშაუდს ნამოგებას იმსახურებდა. მივდიოდი, ვბრაზობდი და ერთი ისტორია გამახსენდა, რომელიც რუსეთში, ციმბირის ერთ-ერთ ზონაში მოხდა.

იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიყავი ქურდი, მაგრამ, ქურდებთან ერთად ვცხოვრობდი და დღე-დღეზე სხოდკა უნდა შეკრებილიყო, სადაც ჩემი ქურდად კურთხევა მოხდებოდა. ერთ დღეს ზონაში ერთი ბლატნოი შემოასახლეს, რომელსაც ვიტია ერქვა და, ახალგაზრდობის მიუხედავად, ძალიან თავხედი იყო. ვიტიას ქურდობა უნდოდა, მოსკოველი იყო და ბინის ქურდობისთვის იხდიდა სროკს. მას მე თავიდანვე არ მოეუყვები თვალში და ალმაცურად მიყურებდა...

ვიტიაც ქურდებთან ერთად ცხოვრობდა. ერთ დღეს მან დამიმარტოხელა და მითხრა: - კობრას რატომ გეძახიან, გველივით შხამიანი რომ ხარ, იმიტომ?

ვიტიას გათვლა ძალიან მარტივი იყო, მან მე, ფაქტობრივად, შეურაცხყოფა მომაცენა და, პასუხი რომ არ გამეცა, თავზე ნამომავდებოდა, თან, ამას ქურდებში იტყოდა და ავტორიტეტს შემილახავდა. მხოლოდ სიტყვით რომ მეპასუხა, ის საპასუხოს მეტყოდა და სიტყვიერ შელაპარაკებაში ჩამითრევდა, რაც ჩემი სტატუსის კაცს არ ეკადრებოდა. ფიზიკური შეხება კი სერიოზულ ახსნას მოითხოვდა და, საქმის გარჩევის დროს რა როგორ შეტრიალდებოდა, ღმერთმა უწყის. მე მაინც მესამე გზა ავირჩიე - ვიტიას მთელი ძალით თავი ვწყვიტე ნიკაპში, ისევე, როგორც შკოლნიკობისას - უროს და ძირს დავანარცხე... ვიტია მძიმედ წამოდგა, თავი გააქნია და მითხრა:

- შენ რა, ხუმრობა არ გესმის?

- მსგავს ხუმრობას ასეთი პასუხი მოსდევს. აი, რატომ შემარქვეს კობრა. ახლა გასაგებია?

- გასაგებია.

- კიდევ გაქვს კითხვები?

- არა.

- თავისუფალი ხარ, - ვუთხარი ვიტიას და დავამატე: - გაფრთხილებ, მსგავს რამეს თუ კიდევ დააპირებ, ურეს დღემდე აღმოჩნდები. ახლა კი წადი.

ვიტია უხმოდ წავიდა, თუმცა, აშკარა იყო, რომ ბოლმა გულში ჩაიძო და ყველანაირად შეეცდებოდა ჩემთვის სამაგიერო გადაეხადა. უფრო სწორად კი, „გაფუფუნებინე“, რათა ამით მოეპოვებინა ავტორიტეტი. მე, რა თქმა უნდა, მშვენივრად ვიცოდი ვიტიას ზრახვები და ფიზიკურ ვიყავი. ვიცოდი, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ჩვენ ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლოდ დავეტაკებოდი და ამისთვის საგანგებოდ ვემზადებოდი. ერთი თვის შემდეგ „ობშიაკის“ ფული - 1 900 მანეთი დაიკარგა. ფულს კანონიერი ქურდი, მეტსახელად „სკუპოი“ ინახავდა. დილით მან მთელი ბარაკის გასაგონად დაიძახა:

- გაიღვიძეთ! ჩქარა, თვალები გაახილეთ და ბარაკიდან ფეხი არავინ გადაგას გარეთ!

- რა გაღრიალებს, - შეულრინა სკუპოის, ზონის მაყურებელმა ქურდმა, მეტსახელად „კონტრამ“, - რა ხდება, ფამისტების შემოსევაა?

- უარესი, - მიუგო კონტრას სკუპოიმ, - ბარაკს ვირთხა შემოქრეცია.

- შენც, აიღე და თავი გაუჭექე, - თქვა კონტრამ.

- რომ გაუჭექყო, უნდა იცოდე ვინაა, - მიუგო სკუპოიმ.

- რა მოხდა, აღარ იტყვი?

- ობშიაკის ფული გაქრა, ათას ცხრაასი მანეთი. ტუმბორჩაში მედო და აღარაა.

- კარგად შეამონმე?

- კი. კარგად შევამონმე და აღარ დევეს.

- ბოლოს როდის ნახე ფული?

- წუხელ. დანოლის წინ შევამონმე და იქ იდო, - უთხრა კონტრას სკუპოიმ და დაამატა: - ფეხი არავინ გადაგას გარეთ, ფული უნდა მოვქებნო!

- შმონს აპირებ, სკუპოი? - ირონიულად ჰკითხა ობშიაკის შემნახველს კონტრამ.

- ქურდულ შმონს. აბა, რა ვქნათ, კრისა როგორ გამოვავლინო?

- შენ გაშმონავ თუ ვინმეს დახმარებ?

- ყველამ თვითონ ამოატრიალოს თავისი ჯიბეები, სანოლები და ტუმბორჩები, - თქვა სკუპოიმ.

- პირველი მე ვარ, - თქვა კონტრამ და მთელი ბარაკის დასანახავად ჯერ თავისი ტანსაცმლის ყველა ჯიბე ამოატრიალა, შემდეგ კი - სანოლიც. ასევე მოიქცა ყველა პატიმარი, მაგრამ ფული არსად ჩანდა და კონტრამ სკუპოის უთხრა:

- ასე ვერაფერს ვიპოვით. მოპარულ ფულს ჯიბეებსა და სანოლში არავინ შეინახავს.



- კრისამ ბუშლატში ხომ არ დამალა მოპარული ფული? - თქვა ვიტამ, - ჩვენთან, უბანში მოხდა ასეთი რამ: ერთმა ჩვენმა ძმაკაცმა ხუთასი მანეთი მოგვბარა, ფული კი ქურთუკის სარჩულში ჩაიკერა.

- კარგი, - თქვა კონტრამ და ვიტია ყურადღებით შეათვალა, - ბუშლატები შენ განითე.

- კარგი, რა, კონტრა! შმონი ჩავატარო?

- თქვა ვიტამ, კონტრა კი მიუგო:

- ქურდული შმონი. მე გაძღვე ამის უფლებას.

- რადგან მასეა, მაშინ, თანახმა ვარ. ჩემგან დაიწყებ, - თქვა ვიტამ, თავისი ბუშლატი საგულდაგულად დაათვალა და თქვა:

- სუფთაა. ვისაც არ სჯერა, შეუძლია, შეამონმოს.

- გვჯერა. განაგრძე შმონი. მიდი, კობრას ბუშლატი გაშმონე, - უთხრა ვიტის კონტრამ და ძალიან უცნაურად გაეღიმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაუვიწყარი ღუპის უბნის უბნე

სკოლასთან შევიკრიბეთ, მშობლიურ 23-ე სკოლასთან, რომელიც 30 წლის წინ დავამთავრეთ. წლებმა, ალბათ, შეგვცვალა. თვალებით ვეძებდით ერთმანეთს, მაგრამ დიდი დრო არ დაგვჭირებია იმისთვის, თავი ისევ პატარა გოგო-ბიჭებად გვეგრძნო. თითქოს, არაფერი უნდა ყოფილიყო უჩვეულო და ყველაფერს ჩვეული, ტრადიციული წესებით უნდა ჩაველო - იყო მხურვალე მისალმებები, მოგონებები, ბანკეტი, იუბილარი

კლასელიც - ნინო დისამინჯია, რომელსაც „ბიჭებმა“ ტორტი მიართვეს. სპეციალურად ბაქოდან ჩამოფრენილი დიპლომატიც გვყავდა - ჩვენი კახა აბდალაძე. ბრწყინვალედ ითამადა მედალოსანმა გიორგი კერესელიძემ, რომელმაც ხუთიანზე გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და ისეც მოხდა, რომ სუფრის ნევრებმა რესტორნის მუსიკოსებიც შეცვალეს.



ფინალურმა აკორდმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა - ჩვენც გვეყოლია ჩვენი „ვოლდია ჯინჭარაძე“ - ნატალია კანდელაკი, რომელმაც არც მეტი და არც ნაკლები, ჩვენი პირველი(!) მასწავლებელი, ქალბატონი იზოლდა რატინი მოგვიყვანა. მაგრამ, მან ამჯერად არა მხოლოდ ჩვეულებრივი გაკვეთილი, არამედ ცხოვრებისეული მასტერკლასი ჩავგიტარა: ყველა სათითაოდ გამოგვიძახა, იმ განსხვავებით, რომ სასწავლო პროგრამის ნაცვლად, განვილც ცხოვრებასთან დაკავშირებით გვისვამდა შეკითხვებს. იყო ცრემლებიც და დიდი სიხარულიც!



დავით ბუტიკაშვილი: სიზმრები ეს ის თემაა, რომელზეც ბევრს საუბრობენ, თუმცა, სიზმრის ფენომენი დღესაც ამოუხსნელი და იდუმალია. არ არსებობს დედამიწაზე ადამიანი, ვისაც სიზმარი არ ახდენია ან საერთოდ არ ხდებავს სიზმრებს. სხვათა შორის, ყველაზე ხშირად წინასწარმეტყველურ სიზმრებს ღამით „თევზების“ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ხედავენ.

- ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ ყველა ჩვენგანი ხედავს წინასწარმეტყველურ სიზმრებს?

- დიახ, სწორედ ამას ვამბობ. თუ ლოგიკურად მივყვებით, ადამიანისთვის სიზმრის ნახვა აუცილებელია. კერძოდ, ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ არაფერი რეალობაში ზედმეტი არ ხდება. ამის ფუფუნებას, უბრალოდ, სამყარო არ გვაძლევს. სიზმარს კი კონკრეტული ფუნქცია აკისრია კონკრეტული ადამიანისთვის. მაგალითად, ავსტრალიაში არის ტომი, რომელიც ცხოვრობს თავისი ბელადის სიზმრებით. რასაც ის ნახავს სიზმრად, მთელი ტომი იმას ითვალისწინებს რეალურ ცხოვრებაში. ეს ტომი მრავალი წლის განმავლობაში არსებობს და სხვა პრინციპით ერთი დღეც არ უცხოვრია. თუ ბელადმა სიზმარში ნახა, რომ სხვა ადგილას ცხოვრობენ, მთელი ტომი იბარგება და იმ ადგილას გადადის საცხოვრებლად, ანუ, ბელადის სიზმარი მათთვის მთავარი კანონია. და, გეტყვით, რომ, ამ პრინციპით ცხოვრება მათ უფრო უადვილებდათ.

- თუ არსებობს დღეები, როცა მეტად უნდა მივაქციოთ ყურადღება სიზმრებს, ან, პირიქით, ნაკლებად გავითვალისწინოთ ღამით ნანახი რეალურ ცხოვრებაში?

- კონკრეტულად ამის გაგება ადამიანის ინდივიდუალური შორსკოპითაა შესაძლებელი. სიზმრებს ზოდიაქოს მეცხრე სახლი განაგებს. ამიტომ, თუ იცნობ, რომელ ზოდიაქოშია ეს მეცხრე სახლი თქვენს შორსკოპში ამა თუ იმ დღეს, მაშინ მიხვდებით, რომ თქვენი სიზმარი წინასწარმეტყველურია და ყურადღება უნდა მიიქცეოდეს. ამ დღეს ნანახ სიზმარს. თუმცა, ზოგჯერ სიზმარი მოსალოდნელი მოვლენების შესახებ გვაფრთხილებს, ანუ, ღამით წინასწარ ვხედავთ, რა ექსტრემალური გამოცდა გველის მეორე დღეს გამოვლიძებულს. ადამიანის გონებაში არის რაღაც ამოუხსნელი, რომელიც მომავალს წინასწარ განჭვრეტს. ანუ, სიზმრის დროს გონებაში ეს რაღაც თავისუფლდება, ხედავს მომავალს და ასე ხდება ღამით ჩვენი დაპროგრამება მეორე დღისთვის.

- ესე იგი, სიზმრის ხილვის დროს, ადამიანის დაპროგრამება ხდება?

- დიახ. შეიძლება, ეს ჩემი პირადი აზრია, მაგრამ, ამ თემაზე ძალიან ბევრი მაქვს ნაკითხული, განანალიზებული და უამრავი ადამიანთან საუბრს შეხება, რომლებსაც ასეთი რამები საკუთარ თავზე აქვთ დაცდილი. ჩვენს გონებაში არის კოდი, რომელმაც ზუსტად იცის ჩვენი მომავალი და ზუსტად ამაზე გვაპროგრამებს სიზმრის მეშვეობით. უბრალოდ, ჩვენ მას უნდა დავეუფეროთ და ვიმოქმედოთ ადეკვატურად.

- ისეთებიც ხომ არსებობენ, რომლებიც იშვიათად ხედავენ სიზმარს?

- დიახ, არსებობენ. სინამდვილეში ჩვენი გონება მთელი დღის განმავლობაში იღებს და აგროვებს ინფორმაციებს, ქვეცნობიერი მას აძლევს ფორმას და ის სიზმრის სახით გადმოგვცემს. სხვათა შორის, ოდითგანვე არსებობდა ნივნები, რომლებშიც მოცემული იყო სიზმრების ახსნა. მაგრამ, აქაც ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო, რადგან, ყოველ ჩვენგანს სიზმარად

ხშირად მსმენია, ღამით ნანახი სიზმარი, გამოვლიძებულს ზედმიწევნით ამხედ-აო. ასევე, უფროსი ასაკის ადამიანებისგანაც ვამიგია, თუ ცუდი სიზმარი ნახე, დილით ონკანი მოუშვი, გამდინარე წყალს მოუყვი და ეს განვიტრალე მის შესაძლო ცუდ შედეგებსო. მოკლედ, ასეა თუ ისე, როცა ღამით ცუდ სიზმარს ვხედავთ, მთელი დღის განმავლობაში მასზე ფიქრობთ, განვიცადით, როგორ ავიცილებდებოდა ღამის ზმანება და ამით გუნება-განწყობასაც უარყოფითისკენ ვუბიძგებთ. როგორც ასტროლოგი **დავით ბუტიკაშვილი** ამბობს, სიზმარს აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება. თურმე, არსებობს დღეები, როცა წინასწარმეტყველურ სიზმრებს ვხედავთ და ამ დროს მათი უგულებელყოფა, უბრალოდ, სისულელეა.

როგორ ხვდება ადამიანი ღამით ნეგატიურ ასტრალურ სივრცეში და როგორ დაეკარგება ამით სიკვდილი და ადამიანი იშვიათად ხედავს სიზმარს

რძი ნანახი სხვადასხვანაირად უხდება. ეს დაცვაზეა და, ამიტომ, უნდა დააკვირდეთ ყვეაილის, ხორცის, წყლისა თუ მიცვალებულის ნახვა თავად როგორ გაქვთ დაცდილი. საქმე ისაა, რომ ადამიანების გონება სხვადასხვა სიმბოლოებს სხვადასხვა ახსნას უძენს. თუმცა, არის საერთო სიზმრებიც, რომლებიც ზუსტად ისე ახდება, როგორც მას ღამით ნახავთ. ამიტომ, ნანახ სიზმარს ყურადღებით უნდა მოეკიდოთ და დაიძინოთ როგორ, როგორ ავიცილოთ ის. ბევრს ვურჩევ დღიურების ნარმოებას, ანუ, რასაც ნახავდნენ სიზმარში, ის დილით ფურცელზე გადაეტანათ და შემდეგ დაენერათ, როგორ აუხრია ის. ერთი წლის შემდეგ არაჩვეულებრივი კონსპექტი ვიხილე **(იციან)**.

- უცხოეთში ჩატარდა კვლევა სიზმრის ხანგრძლივობაზე და დაადგინეს, რომ ადამიანი სიზმარს ხედავს მხოლოდ რამდენიმე წამის განმავლობაში. თუმცა, თავად გამომიცხვია, როცა მთელი ღამე სიზმარს ვხედავ. ანუ, მინდა გკითხოთ, დროს მას მონაკვეთია საჭირო, რომ სიზმარი ნახო?

- ძილში დროის სხვა სისტემაში ვხვდებით. გარდა ამისა, ფაქტობრივად, იმ სამყაროში შეიძლება ვიფრინოთ, დავიპყროთ სიმაღლეები, დავეშვა ციკაბო კლდიდან და ასე შემდეგ. ამ ცხოვრებაში ეს რომ ვნახოთ, გავვიკვირდება, სიზმრის დროს კი ჩვენი გონება მსგავსი უცნაურობების აღსაქმლად მზადაა. ზოგადად, ადამიანს ორ სამყაროში უნდა ცხოვრობდეს: როცა ფიზიკურად და როცა სინაზად. ეს სამყაროები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. აქ, მატერიალურ სამყაროში, ჩვენი სული შემოსაზღვრულია ფორმით, ანუ, არ არის ისეთი თავისუფალი, როგორც სიზმრად. მაგრამ, სიზმრის დროსაც იმდენად რეალურ სამყაროში ვხვდებით, რომ ამ დროს ნანახი მეორე დღესვე ავიხივდება. აქედან დასკვნა, რომ არსებობს პარალელური სივრცე, სამყარო, სადაც ჩვენ ვხვდებით, როცა გვიძინავს. ამერიკელმა მეცნიერებმა ადამიანის ტვინში აღმოაჩინეს უჯრედები, რომლებიც მაშინ იღვიძებენ, როცა ადამიანს სძინავს.

- ესე იგი, როცა გვიძინავს, გონება არ წყვეტს მუშაობას?

- გონება ძილის დროსაც მუშაობს და ახერხებს იმ განსხვავებულ ინფორმაციის გადაღწევას, რომელიც მასში მატერიალური სამყაროდანაა დაგროვილი. ეს უჯრედები მზად არიან, მიიღონ ყველა ინფორმაცია, იმუშაონ, როცა ადამიანს სძინავს და თავად დაიძინონ, როცა ადამიანი იღვიძებს. დააკვირდით, დილით რისკენ გიბიძგებდათ ღამით ნანახი სიზმარი, რის მეცვლას გთხოვდათ და გაიჭულბდათ ღამით და აუცილებლად გაითვალისწინეთ

ეს რეალურ ცხოვრებაში. ამერიკელმა ფსიქოლოგმა, ქალბატონმა მარდენმა დაწერა წიგნი, სადაც დიდი თავი დაუთმო ძილის ხელოვნებას. ის წერს, რომ სამყაროში არსებობს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ენერგია. თუ გსურთ, სიზმარში მოიხილოთ დადებითი ენერგები, აუცილებლად უნდა განიტვირთოთ დაძინებამდე, მაგალითად, ნაიკითხით ისეთი წიგნი, რომელიც დაგავიწყებთ დღის განცდებს; არ იფიქროთ ცუდზე, არ დავეგმოთ ხვალისდღეობა და ეცადით დასაძინებლად დაწვით კარგ ხასიათზე. ასეთ შემთხვევაში თქვენ ირჩევთ დადებით სიზმარს. თუ დაძინებამდე ფიქრობთ მომავალზე, განიცდით, იტვირთავთ გონებას, მაშინ, ღამით უარყოფით სამყაროში ანუ ნეგატიურ სივრცეში ხვდებით და, შესაბამისად, ცუდ სიზმარს ხედავთ, რომელიც ძილში უარყოფითი ენერგებით გმუხტავთ. არსებობს სიზმრები, როცა ადამიანს დემონები ეუფლებიან, ეს უძველესი ოკულტურ წყაროებშია აღწერილი. ისინი ადამიანს სიზმარში ევლინებიან და სწოვე ენერგისა და, ამ ნეგატივმა, შესაძლოა, ისე დაეჭვოს უარყოფითზე, რომ ცხოვრების განვითარების ყველაზე მძიმე საფეხურზე მოხვდეს. ამიტომ, კარგია ძილის წინ გონების გადათავა დადებითზე, ყოველდღიური მფოთობა და ფიქრის დავიწყება და მშვიდად დანოლა სანოლში. ასე რომ, ნეგატიურ ასტრალურ სივრცეში ძილში ნამდვილად ვხვდებით და ამის აცილებაც შესაძლებელია.

- გამიგია, თუ ღამით ცუდი სიზმარი ნახე, დილით გამდინარე წყალს მოუყვი, მას გაატანე და ასე განვიტრალეო. მართლა ასე ხდება?

- ეს ერთ-ერთი გზაა, გაათავისუფლოთ თქვენი ქვეცნობიერი ღამით სიზმრის სახით შემოჭრილი ნეგატიური ენერგიისგან. წყალს მართლაც აქვს ძალა, მოგიხსნათ უარყოფითი ენერგია, გაათავისუფლოთ და თავად ნაილოს ის ცუდი, რასაც თქვენი ორგანიზმი განიცდის. ასე რომ, სიზმარში ჩვენ ვხვდებით სულ სხვა სამყაროში და ეს სამყარო ნამდვილად არსებობს. ასევე, იმქვეყნად მოხვედრა სიზმარშიც რეალურია. ამბობენ, სიზმარში სამოთხე ან ჯოჯოხეთი ვნახეო, არ ტყუიან. ძილში, არ არის გამოორცხული, ნებისმიერი ჩვენგანი მოხვდეს გარდასულითა სამყაროში და იხილოს იმქვეყნად წასული ახლობლები. ჩვენი ცნობიერება ამ დროს გამუდმებით მუშაობს, სხეული კი მონყვეტილია. სხვათა შორის, ყველა მეფეს ჰყავდა სიზმრის ამხსნელი და ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სიზმრის თემა უნდა დღემდე არ არის შესწავლილი, თუმცა, მისი ახსნა ინდივიდუალურია. გეტყვით, რომ მივარის მეცხრამეტე და ოცდამეცხრე დღეები ითვლება სატანურად დღეებად, ამიტომ, ამ დროს ადამიანს ესიზმრება კომპარები, რადგან სამყაროში ბოროტი ძალა ბოზოქრობს და ადამიანებს ღამით სიზმრით აპროგრამებს ცუდზე. სწორედ ამ დღეს ნანახი სიზმრები უნდა გაეტანოთ წყალს და ამით გათავისუფლდეთ ნეგატიური მოვლენებისგან რეალურ ცხოვრებაში.



ნანახ სიზმარს ყურადღებით უნდა მოეკიდოთ და დაიძინოთ, როგორ ავიცილოთ



მე-10 გვერდიდან

- საინტერესო ფაქტია, რაღაც გაუგებარს, ვერაპელები უნოდებენ პერიოდულს, ჩვენ და ბერძენები - „ჩინურს“, ხოლო ჩინელები - „ლეთიურს“.

- ერთი სიტყვით, გლობალიზაცია კარგია, სანამ ერთი შეცვლება, გახდეს ერთდღერი. ასევეა სეპარატიზმიც: ის აუცილებელია მრავალფეროვნებისთვის. ბუტროს ბუტროს გალის სიტყვებით, ჩვენ მხარს იმით ვიჭერით, რომ, თუკი გამომავლა მიდგომამ, რომ ყველა ერთ სუქშია სახელმწიფოს შექმნა, თუ დღეს აფრიკაში არის 50 სახელმწიფო: ზეგ იქნება 5 000-ი, რადგან აფრიკაში 5 000 ტომი ცხოვრობს. მთელი მსოფლიო ტომების 70 პროცენტია. ახუ მსოფლიო იცავს მსოფლიო წესრიგს. შენ გაქვს თვითგამორკვევის უფლება, თუ ის სახელმწიფო, ვის შემადგენლობაშიც ხარ, გაძლევს ამის უფლებას. ამ ძირეულ პრინციპს არღვევს რუსეთი, რაც მას ბუმერანგით დაუბრუნდება. იმისთვის, რომ იმპერია შექმნას, მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 8-10 პროცენტს მაინც უნდა აერთიანებდე. რუსეთის იმპერია აერთიანებდა 9 პროცენტს, ბიზანტიის, ირანისა და თურქეთის იმპერიები - 15 პროცენტს, მონღოლეთი 25 პროცენტამდე ადიოდა. დღეს რუსეთის დარჩა მსოფლიო მოსახლეობის 2 პროცენტის ამიტომ შანსი, გააგრძელოს მსოფლიო ცივილიზაციის როლი, აღარ აქვს. მით უმეტეს, რომ რუსული ცივილიზაცია აღარ არის მართლმადიდებლური ცივილიზაცია მუსლიმანების დიდი რაოდენობის გამო, იმდენად, რომ პატრიარქ ალექსის გარდაცვალების მიზეზით გლოვა ვერ გამოაცხადეს, მაშინ სხვებიც მოგვითხოვონ თავიანთი სულიერი ლიდერის გარდაცვალების გამო გლოვის გამოცხადებასო.

- მერედა, თუ იმპერია, გამოაცხადოს გლოვა ყველა სულიერი ლიდერის გარდაცვალების გამო.

- რა თქმა უნდა, მაგრამ ის უკვე აღარ არის ქრისტიანული იმპერია. ეს ნიშნა დაკარავა, მას დაუპირისპირდა ყველა ქრისტიანული ავტოკეფალური ეკლესია.

- სერბების გარდა.
- კოსოვოს გამო სჭირდებათ რუსეთი გაეროს დიდ საბჭოში. მაგრამ დანარჩენებმაც და მათ შორის ჩვენც დასავლური ორიენტაცია ავიღეთ და აღმოჩნდა, რომ დასავლეთი განვითარების მეტ საშუალებას გვაძლევს.

- გასაგებია, რომ ზოგადი კანონზომიერების ნაწილია არაკონკურენტუნარიანი იმპე-

როგორ დააკრავ ჩუსთმა მართლმადიდებელი იმპერიის ნიშნა, რაბომ არ აქვს მას იმპერიის აღგენის, აუსაზეთსა და სხინვალის რეპიონს კი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა

რიების რღვევა, რასაც ვერ ასცდება რუსეთიც, მაგრამ ჩვენ გვაქვს კომუნიკაციის პრობლემა ჩვენს სეპარატიზმთან და ჩვენ მენტალურად დავმორთებ უკვე ერთმანეთს. ნორმალურად ადამიანმა შეიძლება, დაევიწყოს, რომ ცხინვალი 262 წელს დაარსდა და მსხვილი საჯარო ცენტრი იყო?

- ჩვენ, ქართველებიც, ხომ ვამბობთ, რომ პირველი ხალხი ვართ მსოფლიოში?!

- ვამბობთ კერძო საუბრებში, გულის მოფხანის მიზნით.

- იმავეს ამბობენ სომხები, მაგალითად, რუსები თავიანთ თავს ნოეს შთამომავლებად მიიჩნევენ, ისევე, როგორც სომხები. ეს ხომ მარაზმია?! თუმცა ფაქტია, რომ სომხები ერთ-ერთი უძველესი აქ მაცხოვრებელი ტომია. პრობლემის არსი მარტივია, მსოფლიოში არის 7 000 ტომი და თვითგადარჩენის გზა ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, მაგრამ, ვერ ერთი, შენი ტერიტორია უნდა გქონდეს და, მეორე, გყავდეს საკმარისი მოსახლეობა, რომ გყავდეს ჯარი, პოლიცია, ექიმები, პედაგოგები. დღევანდელ მსოფლიოში ეს ნიშნავს, რომ მილიონ-ნახევარი მიწაც უნდა იყოს. არც აფხაზებს და არც ოსებს რეალური სახელმწიფოებრიობის რესურსი არ აქვს. რუსებს არ აქვთ იმპერიის რესურსი, მაგრამ ორივე ეპოქტინება. მათ შორიათ, რომ პუტინის, სტალინისნაირი ადამიანებს შეუძლიათ, შეცვალონ ისტორიული განვითარების კანონზომიერებები. მაშინ, როდესაც საბოლოოდ ყველაფერი დგება თავის ჩარჩოში და კანონზომიერება იმარჯვებს.

- მესმის, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა მივალნი ამ კანონზომიერების აღსრულებამდე? - 2 000 წელია, არსებობს ჩვენი სახელმწიფო.

- და ამასობაში თანდათანობით ვკარგავთ ტერიტორიებს.

- მილიონ-ნახევარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს რესურსი და ჩვენ 3-ჯერ მეტი რესურსი გვაქვს, ვართ გაეროს წევრები და შევდივართ მსოფლიოში არსებული ტომების იმ სამ პროცენტში, რომლებსაც თავიანთი სახელმწიფო აქვთ. მე საქართველოზე არ ვღელავ, რადგან ეს დროებითია, სანამ რუსეთის იმპერიაში დასავლეთის

იმპერიით შეცვლით პარტნიორობაში.

- იმას ამბობთ, რომ ოსებს და აფხაზებს სხვა სივრცე არ ექნებათ ჩვენი სივრცის გარდა?

- თუ შეიცვალა მსოფლიო წესრიგი, სხვა საქმეა, მაგრამ დღევანდელი მსოფლიო წესრიგით მათ სხვა შანსი არ აქვთ. ჩვენ გვეჩქარება, თორემ ამერიკა და ევროპა 50 წელს იმეროვებდა, რომ ბალტიისპირეთი იყო ოკუპირებული.

- მაგრამ იქ ცხოვრობდა მოსახლეობა, რომელიც თავს არ მიიჩნევდა რუსული სივრცის ნაწილად, ჩვენი სეპარატიზმები კი თავს რუსული სივრცის ნაწილად მიიჩნევენ და მოსწონთ იქ.

- ბალტიისპირეთშიც მაშინაც ძალიან ბევრი იყო რუსული მოსახლეობა. აფხაზები სულ 100 000-ი არიან, ოსები, ჩრდილო ოსებთან ერთად უფრო მეტნი. მაგრამ მე ტრაგედიას ვერ ვხედავ ამას. ვერ უნდა ალდგეს ბალანსი. მუდმივად უნდა ვიმეორებოთ, რომ ის არის ჩვენი ოკუპირებული ტერიტორია, თორემ იმ ადამიანებს ჩვენ ვერ გადავარწმუნებთ, რადგან მათ თავიანთი თვითგადარჩენის ინსტიტუტი სხვა რამეს ჰკარნახობს.

- მათ სჯერათ, რომ ოსური ქალაქი ცხინვალი 262 წელს დაარსდა, ერისთავები იყვნენ ოსები და ერთი ხალხი უხსოვარ დროს, კომუნიკაციების არარსებობის პერიოდში ცხოვრობდა კავკასიონის ორივე ქედზე?

- უჩინებითა, რომ სჯეროდეთ. ამას კარგად ხსნის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. დაახლოების ნერტილი უნდა გამოინახოს ჩვენ შორის.

- არ მოდიან არაფერზე - ხარ ქართველი ფაშისცი და წერტილი.

- მეც ვეცადე ბევრი, მაგრამ... თუმცა საუბრის ფაქტი, თავისთავად, ცუდი არ არის, ეს ნიშნავს, რომ შეურიგებელი ვართ, მაგრამ ვიცით, რომ იარაღის ძალით პრობლემა ვერ მოგვარდება. ვიმეორებ: ჩვენ უნდა ვავაგრძელოთ პოლიტიკა, რომ ის ტერიტორიები ოკუპირებულია და ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

ნიშნა ხაჩიძე

მე-11 გვერდიდან

ის). ძალიან რთულია, როცა ადამიანი ცხოვრების ჩვეულ რიტმს იცვლის, სხვა რიტმზე გადასვლა ყოველთვის იწვევს დისკომფორტს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მე აღარ ვარ პატარა ბიჭი, და ვიცი, როგორ მოვახდინო ადაპტირება, რეჟიმის შეცვლა მაინცმადინიც არ მიჭირს. მე გამოიჭირდა და დღემდე ვერ კიდევ არ მაქვს აღდგენილი ჩემი რეალური სტატუსი, ოღონდ არა კარიერული, უფრო იმიჯს გველსისხში, რაც ჩემზე განხორციელებული მასირებული შეტევის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა.

- როგორც ვიცი, სახელე გაქვთ ოჯახში, დაქორწინდა თქვენი ერთადერთი შვილი. როგორ მოიხრევათ მამამთილის ამპლუა?

- ვფიქრობ, არ ვარ ურიგო მამამთილი. ეს იყო ჩემთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც ამ ბოლო პერიოდში მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. ერთი შვილი გყავს, ჩემი სამყარო თითქმის მთლიანად მასშია კონცენტრირებული. ჩემი აზრით, სამშობლო, პრინციპში, არის შვილი. ყველაზე მეტად, ასოციაციურად, სამშობლო და პატრიოტიზმი შვილთან არის მიბმული და დაკავშირებული. ყველაზე ახლოს ერთმანეთთან ეს ორი სიყვარული დგას. ლუკამ სიურპრიზი მოგვიტანა და ძალიან მოულოდნელად გამოგვიცხადა, რომ დაოჯახებას აპირებდა. მე და ჩემი მეუღლე დი-

ვინ შეხვალა გია ხუსჷვილის სმოკრება და რაში ჩითრევენს პერიება ის

დები ვიყავით, როცა დავოჯახდით. ლუკამ 22 წლის ასაკში მიიღო ეს გადაწყვეტილება, რასაც მეც და მეღალმეც დიდი სისხარული შეეხვდით. ვიცოდი, რომ მოსწონდა გოგონა, რომელიც ისე, „შორიდან“ გამაცნო კიდევ, ვითომ შემთხვევით. ყველა ეტაპი და პროცედურა გაიარა - ხელის თხოვნა, ნიშნობა. შევთავაზე, მე მივალ ნონას დედასთან, დაველაპარაკებო-მეთქი. არაო, თვითონ დაელაპარაკა „ნესების დაცვით.“ ძალიან კარგი რძალი გყავს. მე მეგავს, რაც ძალიან მახარებს. ქორნილი ვერ არ გექონია, ახლა ვაპირებთ, თუმცა გრანდიოზული ქორნილი არ იქნება. არ ვარ პომპეზურობის მომხრე. ისეთ უბანში ვცხოვრობ, სადაც ძალიან ხშირად არის ხოლმე ფიიერვერკი. მე ვფიქრობ, ჩვენ ვერ არ გვაქვს უფლება, ფიიერვერკებითა და ტუსოვებით ვიცხოვრობოთ, ჩვენ ვერ ეს არ დავგვიმსახურებია, უპირველესად კი, მე არ დამიმსახურებია. იმას, რომ მოვიხსნა პასუხისმგებლობის ტვირთი და ვიყო თავისუფალი, როგორც ჩანს, კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

- შეილთან და რძალთან ერთად

ცხოვრობთ?

- არა, მე და ჩემი მეუღლე ცალკე ვართ, ლუკა და ნონა - ცალკე ცხოვრობენ. ახლა დროებით, მათ ბინაში ვარ შეხიზნული, რადგან ჩემმა ცოლმა სახლში დიდი „უბორკა“ ნამოიწყა, რის გამოც ემიგრაციაში ვარ (იტირის). ნონამ უკეთესობისკენ შეცვალა ჩვენი ცხოვრება, ერთ ოჯახად ჩამოყალიბდით. ნონას არ ჰყავს მამა და იმედ მაქვს, ჩემი სახით მამა ეყოლებს. რაც მთავარია, ჩემს შვილს და მას უკვე ერთმანეთსაც აღარ ვარჩევ.

- ერთადერთი შვილი საქორწინო მოგზაურობაში სანჩერეში რატომ გაუშვივ?

- ეს მათი გადაწყვეტილება იყო. ლუკა სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს და იმ პერიოდში, როცა ცოლი მოიყვანა, პრაქტიკებს გადიოდა საჩხერის საავადმყოფოში. ეგრეთ ნოდებული საქორწინო მოგზაურობა არ ჰქონიათ, მაგრამ თავლობის თვე კი ნამდვილად გაატარეს საავადმყოფოს საერთო საცხოვრებელში. იქიდან ჩამოვიყვანეს უნოს ძალი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ისევე ჩემი და ჩემი მეუღლის მოსავლელი გახდა.

თამუნა სამადაშვილი



ნიმე შავპულიძე: რომ არა სერიალი „ჩვენი ამბავი“, ალბათ „TV11-ზე“ ვერ მოგვხვდებოდა, რადგან სწორედ ამ სერიალით მოხდა ჩვენი გაცნობა და თანამშრომლობა „ღამის შოუ სტუდიასთან“. საერთოდ, ძალიან კარგი ადამიანები, ძალიან კარგი მეგობრები და ძალიან კარგი კოლექტივია დათო გოგინაძის თანამდობით. ფანტასტიკური შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს. ძველი მსახიობები, ვისთანაც მეგობრული ურთიერთობა და კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნეს, მათ არასდროს უშვებენ ხელიდან და ყოველთვის ცდილობენ, კარგი, ნიჭიერი ადამიანები ჰყავდეთ გვერდით. მათ სიაში აღმოჩნდი მეც, რასაც სიმართლე გითხრათ, არ ველოდებოდი. პირველი შემოთავაზება გადაცემასთან დაკავშირებით იყო „ტოპ 5“, რომლის წამყვანიც ვარ. შემდეგ კი, როცა კოხი (გონა კორხელაური) „კლავ 11-ს“ აკეთებდა, გოგო არ ჰყავდათ და ასე ვთქვათ, გამომცადეს. თავიდან ცოტა გამოჩირა, მაგრამ ნელ-ნელა გზავდები, რომ ამ საქმის მიმართ ისეთი აზარტული გაცხდით, ერთი სული მაქვს, რომაბათიდან რომაბათამდე როდის გავა დრო. მაინტერესებს ახალი სექტრები, სიმღერები და ასე შემდეგ. მოკლედ, ასეთი ჩართული ვარ „TV11-ის“ ამბებში და სულ ვაკონტროლებ ვებ-გვერდსაც, „ფეისბუქს“ ფან-ფეიჯს“, რადგან მაინტერესებს, ხალხი რას ფიქრობს. დადებითი ემოციისა და შეფასების გარდა, სხვა არაფერი გამიგია და ნამიკითხავს, რაც ძალიან მიხარია. ეს კი ქართველი საზოგადოებისგან ძალიან გასაკვირია. მოგეხსენებათ, ყველა სიახლისადმი ძალიან კრიტიკულად არიან განწყობილი და დრო სჭირდებათ შესაჩვენად. „TV11-მა“ კი, პირველივე დღიდან დაიპყრო მაყურებლის გული. უფრო მეტიც, ვინც საერთოდ არ უყურებდა ტელევიზორს, დღეს მეუბნებიან, „TV11“-ზე ვზივართო. თან, ყველა სემგინტეზა გათვლილი, რაც ასევე, დიდი პლუსია.



„გარშემო ყველა ოჯახი შექმნა, მე კი რატომღაც მიჭირს...“ ეს ტექსტი მართლა ჩემზეა

ქრონომეტრაჟითაც საკმაოდ მისაღებია მაყურებლისთვის, რადგან გადაიმეტებულ ანაფორა.

– მაქსიმალური ქრონომეტრაჟი 10-15 წუთია. ესეც პლუსია, ჩემი აზრით, რადგან, როცა ადამიანს სადმე ერქარება და იცის, გადაცემა 3 წუთში დასრულდება, აუცილებლად ბოლომდე უყურებს და ისე წავა. როგორც მზესუმზირას ჭამ და ვერ ელევია, ისეა „TV11-იც.“

– **სიმღერაც დაიწყე.**

– ყველა იცის და ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ პირველად ვიმღერე ჩემს ცხოვრებაში, რადგან ძალიან დიდი კომპლექსი მქონდა ჩემი ხმის გამო. ნაღილინებით კი... მაგრამ, მეგონა, ცხოვრებაში ვერასდროს ვიმღერებდი.

– **შენი ნაღილინება კი მაქვს მოსმენილი. რამდენიმე წლის წინ რადიო „არ დაიდარდოს“ სახალხლო სიმღერა ჩაინერა, სადაც სხვა წამყვანებთან ერთად, ორივემ „ნავილილინეთ“.**

– ჩვენი ხმები განსაკუთრებული იყო, მახსოვს. აი, იმ სიმღერის ჩანერის შემდეგ, განსაკუთრებით აღარ მინდა, რომ ნავილილინო. რაც შეეხება „TV11-ზე“ ჩემს სიმღერას, სასიმღერო სექტრისთვის კონკრეტული გოგონა ჰყავდათ შერჩეული, მაგრამ რალაც მიზეზების გამო, ჩამაშალა. შესაბამისად, ეძებდნენ გოგოს, რომელიც უკრავდა გიტარაზე და მღერობდა. გიტარ-

ჩვენი რესპონდენტი, ნიმი შავპულიძე, სოხუმის თეატრის მსახიობია. თუმცა, მას ასევე, რადიო „არ დაიდარდოს“ და „TV11-იდან“ იცნობენ. „ღამის შოუ სტუდიასთან“ მისი თანამშრომლობა სერიალ „ჩვენი ამბავი“ დაიწყო, სადაც თამუხანა როლი განასახიერა. მოგვიანებით კი, მან „TV11-ის“ ეთერში სხვადასხვა იმიჯიც მორაგო. როგორ ასწრებს ყველაფრის ერთად კეთებას და რატომ არის მისი გული ანთებული, ამას უკვე ინტერვიუდან შეიტყობთ.

ჩემი ჰავა „TV11“ მუშაობისას და ვინ დააწყებინა ნიმი შავპულიძეს სიმღერა უხეური ბაქსტაბით

აზე ბავშვობაში კი ვუკრავდი, მაგრამ, ფაქტობრივად, აღარც მახსოვდა. შემომთავაზეს, სცადე და იქნებ გამოგივიდესო. მოკლედ, აღვიდგინე გიტარაზე დაკვრა და ვცდილობდი, ჩემთვის მელიღინა. სხვათა შორის, პირველი ორი ჩანერის დროს, გიტარაზე თვითონ ვუკრავდი. იმდენად დაძაბული ვიყავი, რომ რალაც-ნაირად არ გამოვიდა ყველაფერი ერთად და გადამწყვიტეს, ირაკლი შერმაზანაშვილს დაეკრა, რომელიც ძალიან კარგი მუსიკოსი და ადამიანია. ასე რომ, ირაკლი უკრავს, მე კი ვმღერი. ასე შედგა ჩვენი ურთიერთობა.

– „TV11“ კი სარგებლობს პოპულარობით, მაგრამ შენ როგორ გხვდება მაყურებელი ეთერს მიღმა?

– ბავშვები რომ დამინახვენ, დედებს ეუბნებიან: დე, ეს თამუხანა, გახსოვს? ადრე თუ მოშობლები ვერ ხვდებოდნენ, ვინ ვიყავი, ახლა რომ დამინახვენ – ვაიმე, „TV11“... ანუ, ბავშვებს ისევე სერიალი „ჩვენი ამბავიდან“ ვახსოვარ, მოშობლებს კი „TV11-იდან“.

– როგორ ასწრებს ყველაფერს ერთად? „TV11-ის“ პარალელურად, მუშაობ რადიოსა და თეატრში.

– ვასწრებ. რადიო ისეთი სამსახურია, შეგიძლია, ყველა სამსახური შეუთავსო, რადგან დღის ნახევარ გრაფიკს მოითხოვს. თან ყოველდღე არ ვარ, კვირამი 4 დღე ვმუშაობ. თეატრში თუ რეპეტიციები მენწყება, აი მანდ მიჭირს ხოლმე, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ „ღამის შოუ სტუდია“ მსახიობებს

გაგვუბნე გოგონა დაიბნახე, დღევანდელი გოგონებიან: დე, დე, მს თამუხანა, გახსოვს? ადრე თუ მოშობლები ვერ ხვდებოდნენ, ვინ ვიყავი, ახლა რომ დამინახვენ – ვაიმე, „TV11“... ანუ, ბავშვებს ისევე სერიალი „ჩვენი ამბავიდან“ ვახსოვარ, მოშობლებს კი „TV11-იდან“.

ყოველთვის უწყობს ხელს. „კლავ 11-ის“ ჩანერაც სპეციალურად რომაბათობით არის, რადგან თეატრალური სამყარო ისვენებს და შესაბამისად, არც ერთი სპექტაკლი არ არის რეპერტუარში.

– **დარწმუნებული ვარ, ტელევიზიაში გა-**

მოჩენის შემდეგ, თაყვანისმცემლებიც მომრავლდებოდა.

– არა, შენ წარმოიდგინე. „გარშემო ყველა ოჯახი შექმნა, მე კი რატომღაც მიჭირს...“ ეს ტექსტი მართლა ჩემზეა. ვერ ვატყობ ამ თაყვანისმცემლების მომრავლებას და რა ვქნა?! ვილაცამ თუ „ფეისბუქზე“ მომწერა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თაყვანისმცემელი მომემატა. ისევე ის გოგო ვარ, ხუჭუჭა, პატარა.

– სიმღერის ტექსტები გაქვს საოცარი. არ გეცინება?

– უფრო სიამოვნებას ვიღებ ამით, ვიდრე მეცინება.

– რომელ სიმღერას გამოარჩევ?

– უკვე ხომ იმღერა გოგომ, რომ გათხოვება უჭირს. ახლა კი აღმოჩნდება, რომ თხოვდება. ამ სიმღერას ვცდილით თავიდან და იანვრიდან მოყოლებული. ჩემი პრობლემა გახდა, ვერ ჩავნერეთ. საბოლოო ჯამში, როგორც იქნა, ჩავნერეთ. მეონი, ნორმალური გამოვიდა და მალე მაყურებელიც მოისმენს. ყველაზე მეტად ეს სიმღერა მიგვიწერს, რადგან სწორედ ამით დავიწყე „TV11-ში“ მოღვაწეობა.

– ამ საოცარი სიმღერების ტექსტებს ვინ წერს?

– სიმღერის ტექსტები თავიდან ბოლომდე გონა კორხელაურს ეკუთვნის. ვისაც „ღამის შოუს“ სტუდიასთან“ შეხება ჰქონია, ყველა იცნობს მას. მართლაც ძალიან ნიჭიერი და თავისი საქმის პროფესიონალია. ასევე, ლექსები, რომელსაც ბაჩო ქავიათა კითხულობს, ბატონ გოჩას ეკუთვნის.

– რომელი ტექსტი გახსენდება გამორჩეულად, რაც გიმღერია?

– „დედა მამშვიდებს ვერ პატარა ხარ, მე რომ გათხოვდი ვინაზე მწარედ, ამოვიხიზნე, ეჰ რალა პატარა, გაუმალე ქოლგა... გავედი გარეთ.“

ამ გაუმალე ქოლგას, ძალიან ბევრი ვერ ხვდება. სპეციალური ოუმორით ნამდვილად გამოირჩევა „TV11“. პროფესიული ოუმორი არ გვაქვს. ამიტომ, შეიძლება, ბევრისთვის გასაგებ არ იყოს. თუ კარგად ჩაუჯდებათ და ამ ოუმორს აითვისებთ, კარგად იხალისებთ.

– ვფიქრობ, რადიოსკოლა ბევრ რამეში დაგეხმარა.

– რადიო ტრამპლინი იყო. რამდენიმე სკექტრში, მაგალითად, ხმას ვიცვლი და სხვადასხვა ხმაზე ვსაუბრობ, რაც ნამდვილად რადიოს დამსახურებაა. ინტერნეტპროფესიონალების სკექტრის დროს, კულისებში ვიდექი და „ლაივში“ ვახმოვანებდი.

– რადიოს მსმენელებზეც მიიხარია რამე.

– რადიოს მსმენელები, როგორც ყოველთვის, ერთგულები რჩებიან. ჩემი გოგონები ჩემთან არიან, ყველაფერს აქტიურად უყურებენ. რაც მე არ ვიცი, მათ იციან და არც ერთი ამბავი.

– რა ხდება შენს გულში, თავისუფალია?

– არ ვიცი, განაფხული მოვიდა და ყველას და ყველაფერს ვეპოტინები. ხან ერთი მომწონს, ხან მეორე და ვარ ასე, ერთ ამბავში. ჩემ გვერდით, მართალია, არავინ არაა, მაგრამ რალაც კარგად ვარ, ანთებული. გუუბნები, განაფხულის ბრალია.



ანი ჯაჯანიძე მყურებელმა გაიცნო პროექტიდან „ცეკვავენი ვარსკვლავები“, სადაც ის ჯერ რატი ნითელაძეს უწევდა პარტნიორობას, ხოლო შემდეგ – კოტიკო თოლორაიას. ანი ამჟამად სალომე ჭაჭუას ცეკვის სტუდია „Prime Dance-ში“ ბავშვებსა და მოყვარულებს ასწავლის ცეკვას. იმავდროულად კი, იაკობ ყუფუნიასთან ერთად, ნევილი ვარჯიშობს.

გახლა თუ არა „ცეკვავენი ვარსკვლავები“ ანი ჯაჯანიძისა და მისი მეუღლის დაშორების მიზეზი და რას გაითვალისწინებს ის სამომავლოდ

ანი ჯაჯანიძე: ჯერჯერობით არ ვიცი, „ცეკვავენი ვარსკვლავების“ ახალ სეზონში ვიქნები თუ არა. ნესით, ვარჯიშები აპარლში უნდა დაიწყოს. ვნახოთ, რა იქნება.

– ვფიქრობ, ამ პროექტმა ძალიან შეცვალა შენი ცხოვრება, საზოგადოებამ გააიცნო.

– ამ პროექტმა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენდამი, მოცეკვავეებისადმი, მთლიანად შეცვალა დამოკიდებულება – ამ სფეროს წარმომადგენლები ბევრად უფრო ცნობილები გახდნენ. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ადამიანები გცნობენ, უყვარხარ.

– ამჟამად სალომე ჭაჭუას ცეკვის სტუდია „Prime Dance-ში“ მუშაობ.

– მანამდეც ვმუშაობდი, როგორც პედაგოგი, მაგრამ ახლა ბევრად უფრო მეტი ბავშვი მყავს. სალომეს ცეკვის სტუდიაში ვასწავლი და კარგად მიდის საქმე. მოყვარულებიც მყავს, ბავშვებიც და ინდივიდუალურადაც ვამუშავებ. მოყვარულები იმიტომ მოდიან, რომ უნდათ გაერთონ და შემდეგ სადმე გამოიყენონ ეს ცეკვა. ბავშვთან სხვაგვარად არის საქმე – გინდა პროფესიონალი მოცეკვავე გაზარდო, კონკურენტზე გამოიყვანო. შესაბამისად, ცოტა სიმკაცრეა საჭირო.

– მკაცრი მასწავლებელი ხარ?

– ბავშვები მიყვარს და კარგია მათთან ურთიერთობა. როდესაც პედაგოგი ხარ, გინდა, რომ მოსწავლე გაიხარდეს. ბევრს თუ უღიმი, სიმღებზე, მოღუნდეს. როცა მკაცრი ხარ, უფრო მეტად მობილიჩებულია და ცდილობს, მეტი გააკეთოს. თუმცა, ზომიერება დაცვაა საჭირო, არც ერთი არ უნდა მოგივიდეს ზედმეტი. მეტი სიმეტი სიმკაცრე მეც არასდროს მომწონდა, პირიქით, მსიამოვნებს, როდესაც მაქეზებენ. როდესაც ვხედავ შედეგს, ანუ რაღაცას ვაკეთებ და რომ მეტყვიან: შენ ეს გამოგივიდა, ყოჩაღ! – რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, მე არასდროს ვჩერდები, მინდა, ყოველთვის მეტი ვაკეთებ.

– როგორ რეაგირებ კრიტიკაზე?

– ვინც ვიცი, რომ ჩემთვის მისაბაძი და ამ ცეკვებში პროფესიონალია, პირიქით, შევხვეწები კიდევ, რამე მითხრას. მაგრამ, თუ არ არის კომპეტენტური, მაშინ მხოლოდ მეღიმიება. ეს არ ეხება მხოლოდ საქმეს. ქცევებში, გადანყვებილების მიღებისას, ყველაფერში ვითვალისწინებ ჩემი მშობლის, პედაგოგების აზრს. სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი. შენს მიხედვით პედაგოგები მყავდნენ, მათაც ყოველთვის მივლიებ კრიტიკას. თუმცა, შეიძლება, უცნობ ადამიანის აზრიც გაითვალისწინო – გვერდიდან ობიექტურად ჩანს.

– ითვალისწინებ აზრს, თუ მაინც იმას აკეთებ, რაც შენ მიგაჩნია სწორად?

– გააჩნია სიტუაცია. როცა ძალიან გინდა, რაღაც ვაკეთო, მაგრამ გომიან, მაშინ იმას ვაკეთებ, რასაც საკუთარი თავი გირჩევს. საერთოდ, როცა მე განვიცდი, ვგრძობ რაღაცას, უფრო მეტად ვიზრდები და ვძლიერდები. თუმცა, ნათქვამია, სხვის შეცდომებზე უნდა ისწავლო... მაგრამ ეს რთულია, საკუთარზე უფრო სწავლო. ვუსვებთ შეცდომებს, რა ვქნათ? სხვანაირად არ გამოდის. თან, თავის შეცდომებს ყველა სხვადასხვანაირად ხედავს, ზოგი ვერც ხედავს.

– რა მიგაჩნია შენს ყველაზე დიდ შეცდომად?

– ბევრ რამეზე შეიძლება იფიქრო. თუნდაც იმაზე, ეს რომ გაგვეკეთებინა, საერთოდ შეიცვლებოდა შენი ცხოვრება. ბევრი ვარიანტი და ალბათ, ბევრი ადამიანი ფიქრობს ასე და ნანობს. თუმცა, მიმანია, რომ რაც წარსულში მოხდა, ის არ უნდა ინანო – მოხდა და ამაზე ნერვიულობას აზრი არ აქვს.

– მომიყვი, როგორ დაიწყო, შენი, როგორც მოცეკვავის კარიერა?

– დედაჩემი პროფესიით ქორეოგრაფია და ფაქტობრივად, 5 წლიდან სცენაზე ვდგავარ. თავიდან ლათინო-ამერიკული ცეკვები არ დამიწყია. დედა ხალხური ცეკვების პროფესიონალია და, ასე თუ ისე, ყველაფერს ვეხებოდი. პირველი კონცერტი 5 წლის ასაკში მქონდა. დედიკო მიყვებოდა, როგორ მასწავლებდა კონცერტის წინ, რაღაცეებს მეკითხებოდა. პატარა ვიყავი, მაგრამ სცენა, ამდენი ხალხი ჩემთვის შოკი იყო და ეს შეგრძნება მასხოვს. მერე, ნელ-ნელა მივეჩვიე ყველაფერს. ჩვენი ცეკვები და ზოგადად, ცეკვა, ვირუსითაა, ერთხელ თუ გაუგებ გემოს, დადგები სცენაზე, მერე რთულია შეელო. მუსიკის ხმას რომ გაიგებ, ყველაზე გეცეკვება. შენი ორგანიზმიც უკვე მორგებულია ამ სიტუაციას. „დავირუსდი“ და დროთა განმავლობაში აღარც მქონია იმის სურვილი, ცეკვა არ გამეგრძელებინა. თავიდან საშა ვართნიანთან დავედი, ჩემი პირველი პედაგოგია და მისი ძალიან მაღლობელი ვარ. ბევრი რამ მასწავლა და ფაქტობრივად, მასთან ავიდე ფეხი. შემდეგ გადავედი პროფესიონალთა ფედერაციის პრეზიდენტთან, რამაზ არჩაიასთან. მერე იყო გადანაცვლების პერიოდები და ბოლოს მოყვარულთა ფედერაციაში გადავედი, რომელსაც მიეუთვნება „თელა“. თუმცა, მე „თელაში“ არ ვცეკვავდი, ცალკე სტუდია მქონდა, იქ ვასწავლიდი ბავშვებს. იმ სტუდიაში ჩემი ვარჯიშისთვის დრო არ მქონდა, ამიტომ მენყვილებთან ერთად „თელაში“ მივდიდი, რომ ჩვენი კომპონიციები სრულფასოვნად გაგვეცლო.

– იმ შედეგების მიღწევას, რა დონეზეც შენ ხარ, დიდი შრომა, ძალისხმევა სჭირდება, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა პროფესიას...

– ნებისმიერ საქმიანობას ბევრი შრომა სჭირდება, თუნდაც ჟურნალისტიკას. ზოგს ფიზიკური დატვირთვა უნევს, ზოგს ტვინის ჩართვა, ბევრი ფიქრი. მაგრამ, ამ ცეკვებს ორივე სჭირდება – თუ არ იფიქრებ, ვერც იცეკვებ. დადგე და ისე იცეკვო, რომ არ იფიქრო, ასეთი შედეგი წლების მერე მოვა, როცა უკვე სერიოზული პროფესიონალი ხარ და შენი სხეული ყველაფერს თავისით აკეთებს. შესაბამისად,

რთულია, ეს ყველაფერი. ზოგჯერ შეიძლება თქვა: აღარ მინდა ყოველდღე ცეკვა, დღეში რამდენიმე საათი ვარჯიშო, მაგრამ მეორე დღეს, ისეთი სიტუაცია რომ შეგექმნას – არ იცეკვო, აუცილებლად მოვიხდება ცეკვა.

– როგორც ვიცით, ამ ცეკვებში ბიჭი მენყვილების ნაკლებობაა. ამჟამად ვისთან ერთად ცეკვავ?

– თავიდანვე ბიჭების დეფიციტი იყო და ახლაც არის. როდესაც სტუდია გაიხსნა, დედიკო სულ ცდილობდა, ჩემთვის ყველაგან ეპოვა მენყვილი. ამიტომ, ცეკვის სასწავლებლად მისულ ბიჭებიდან, საუკეთესოს შეარჩევდა, დამიყვინდა და ერთად ვიზრდებოდით. ბევრ შეჯიბრებაში ვიღებდი მონაწილეობას, სხვადასხვა დონეების გავლა მინევდა. ასე ავიღებდი პირველ ადგილს, შემდეგ გადავიდოდი სხვა დონეზე და საბოლოოდ, მივედი იქამდე, რა დონეზეც ახლა ვარ. ანუ, პროფესიონალი მქვია. ამჟამად მე და იაკობ ყუფუნია ვვარჯიშობთ ერთად. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, უბრალოდ, არ გვინდა ფორმიდან ამოვვარდეთ. ნევილს, საერთოდ შენყობა სჭირდება, ამიტომ წინასწარ ვერ ვიტყვი, რა იქნება.

– როგორ შეეწყვეტ შენ და იაკობი. ბევრჯერ მინახავართ ერთად, ინტერვიუზეც ერთად მიხვედით და ვფიქრობ, კარგად უკეთ ერთმანეთს.

– ჩვენ შორის ჯერ ამაზე საუბარი ადრეა. მიზანი ერთი გვაქვს – მონღომება და წინსვლის სურვილი. ჩვენ შორის არაფერი ხდება, უბრალოდ, ერთი საქმე გვაქვს და ამიტომ, ხშირად ვართ ერთად.

– მასხოვს, „ცეკვავენი ვარსკვლავები“, როდესაც შენი მეწყვილე რატი ნითელაძე იყო, თქვენი ნევილის მიმართ გარკვეული მითქმა-მოთქმა, ცორები გაჩნდა. ეს, ალბათ, არ იყო შენთვის სასიამოვნო.

– ცოტა არასასიამოვნო იყო, მაგრამ მალევე დამთავრდა ეს მითქმა-მოთქმა, რადგან შემდეგ თეთრმივე მოიხსნა ნანუკა ბოდიში – ხმა ვერ გაგივიდა. ისე, ხალხისგან დიდ სიყვარულს ვგრძნობდით და არ მიგრძნია, ზურგს უკან ვინმეს ცული რამე ეთქვას. იმანაც შემინყო ხელი, რომ რატი და ჩემი ყოფილი მეუღლე ერთმანეთს იცნობდნენ, ერთად ვვარჯიშობდით დარბაზში. ამიტომ, მისგანაც არ ყოფილა ისეთი დაძაბული სიტუაცია, რომ მე არაკომფორტული მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავი. რა თქმა უნდა, არავის ესიამოვნა ეს სიტუაცია, მაგრამ ამას ჩხუბი და კამათი არ მოჰყოლია.

– ამ პროექტს თქვენს დაშორებაში მიუძღვის რაიმე წვლილი?

– ჩვენ სამი წელი ვიყავით ერთად, ჩემი მენყვილი იყო თავის დროზე. ეს ჩემთვის მტკივნეული თემია, მაგრამ რას ვიზამთ, ასეც ხდება და ცხოვრება გრძელდება. ვერ ვიტყვი, რომ პროექტმა განაპირობა რამე. ალბათ, უფრო ნელ-ნელა მოვედით აქამდე. ჩვენ, ორივემ ერთად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. პატარა-პატარა რაღაცეების შემდეგ, უკვე ერთხელ ხდება გადაწყვეტილების მიღება.

– ახლა რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში ან, ამ მხრივ, რას გაითვალისწინებ სამომავლოდ?

– არაფერი არ ხდება, ძირითადად, ჩემს საქმესა და წინსვლაზე ვარ ორიენტირებული. როცა რაღაც ხდება, მერე სწავლობ, გამოცდილებას იძენ. ჩემში ბევრ რამეს შევცვლი და საერთოდ, სულ ვცდილობ, რაღაცეები შევცვალო. ეს მხოლოდ ოჯახს არ ეხება. ალბათ, ვეცდები, ნაკლებად გვეკონდეს საკამათო თემა და იდეალურად იყოს ყველაფერი. რაც მთავარია, ორივემ უნდა გაითვალისწინოს ერთმანეთის აზრი – არ უნდა იყოს მხოლოდ ჩემი ან შენი აზრი მნიშვნელოვანი.



მე მიმანია, რომ, რაც წარსულში მოხდა, ის არ უნდა ვინანო: მოხდა და ამაზე ნერვიულობას აზრი არ აქვს



ჰინ ღააააბიორა, ანაა და მოკლა სკულია იბარია და ოლიმ-აფხაზთა უკანასკნელი კათოლიკოსი

წმინდა დოსითეოზი (დოსითეოსი) ქუთათელი, ერისკაცობაში დავით ნიკოლოზის ძე ნერეთელი მეთვრამეტე საუკუნის 50-იან წლებში დაიბადა იმერეთში, საჩხერეში. მისი ბაბუა, პაპუნა მორე ნერეთელი მეთვრამეტე საუკუნის 20-იან წლებში იმერეთის სამეფოს ზემო მხარის სარდალი იყო, ხოლო მამა – ნიკოლოზ ნერეთელი, სოლომონ პირველის (1752-1784) მებაჯრეთუხუცესი და თარჯიმანიც გახლდათ. მას ოთხი ძმა ჰყავდა: ბეჟანი, ვახუშტი, გიორგი და ქველი. მომავალი მღვდელმთავარი სიჭაბუქედანვე შეუდგა სამონასტრო ცხოვრებას. იყო ძალიან განათლებული პიროვნება და დიდი პატრიოტი.

1781 წელს იქნა დადგენილი დოსითეოზი მღვდელმთავრად ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე.

1784 წელს დიპლომატიური მისიით რუსეთს გაემგზავრა იმერეთ-აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მაქსიმე მორე (აბაშიძე). ის რუსეთიდან აღარ დაბრუნებულა. ცდილობდა, იმერეთის სამეფოსათვის დახმარება მოეპოვებინა და ოცნებობდა, რუსულ ჯართან ერთად დაბრუნებულიყო ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ შვიზღვისპირეთის, აფხაზეთის გასათავისუფლებლად, რომელიც თურქებს ჰქონდათ დაკავებული... 1792 წელს მან გამოაგზავნა წერილი, ველარ ვბრუნდები და ახალი კათალიკოსი აირჩიეთ.



მაქსიმე მორე გარდაიცვალა 1795 წლის 30 მაისს, კიევ-პეჩორის მონასტერში, სადაც ბოლოს მოღვაწეობდა.

კათალიკოს მაქსიმე მორის ქვეყნიდან გამგზავრების მერე, მიტროპოლიტი დოსითეოზი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის მოვალეობას ასრულებდა. შემდეგ, როგორც საბუთებიდან ჩანს, იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსადაც იყო დადგინებული. ზოგიერთი ისტორიკოსის ვარაუდით, შეიძლება, მისი კათალიკოსად კურთხევა არ მომხდარა. თუმცა, მას უწოდებდნენ „უწმინდესობას, სრულიად იმერთა და ოლიმ-აფხაზთა კათოლიკოსს“ სოლომონ მორე კი წერდა: „... ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოს კათალიკოსობა ვუბოძეთ“. ასეა თუ ისე, წმინდა დოსითეოზი განაგებდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიას, იყო მისი მწყემსმთავარი.

წმინდა დოსითეოზი ძალიან დიდ როლს ასრულებდა იმერეთის სამეფოსა და საერთოდ, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1789 წელს ის, მიტროპოლიტი ექვთიმე გაენათელი და სხვა იმერელი მამულიშვილები ეახლნენ ერეკლე მორეს და სთხოვეს, იმერეთი შეერთებინა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ზოგიერთი მიზეზის გამო, იმერეთ-ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება ვერ მოხერხდა. იმერელი პატრიოტები განხილული გაემგზავრნენ ტფილისიდან ქუთაისს.

1814 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსო ეკლესია. ამ პერიოდში საქართველოში უკვე რამდენიმე აჯანყება მოხდა ახალი, „ერთმორწმუნე“ დამპყრობლების წინააღმდეგ.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ქონებას ისევე მისდგნენ რუსი საეკლესიო თუ საერო ჩინოვნიკები, როგორც ეს უკეთებიან მანამდე ქართლ-კახეთში და დაიწყეს ძარცვა. რუსები ხურავდნენ ეკლესიებს, საეკლესიო ქონებას სახელმწიფოს გადასცემდნენ, აკრძალ-

ეს ქართული წირვა-ლოცვა. გლეხობას დააკისრეს ძალიან დიდი გადასახადი. ქვეყანაში ამორალურობა და მექრთამეობა ინერგებოდა. ასე არ მოქცეულან თურქ-ოსმალებიც კი.

ცნობილი რუსი პატრიოტი, ფილოლოგი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, ნიკოლოზ დურნოვო წერდა:

„იმერლები ჩიოდნენ: „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ბინიერი აგარიანების ხელში ვიყავით, ბევრი ტანჯვა-ნამება გადავიტანეთ, მაგრამ აგარიანელი ჩვენს სასულიერო საქმეებს არ შეხებია. ჩვენ ის ხალხი ვართ, სარწმუნოება თითქმის ქრისტეს ჯვარცმის დროიდან რომ შევინარჩუნეთ და იმ ოუდებზე უფრო საძულველი ვერ გავხდებით, რომლებიც რუსეთის მმართველობის სახელით ფარფაშობენ.

ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვხედავთ, როგორ ხურავენ ჩვენს წმიდა ეკლესიებს, როგორ გვაშორებენ ჩვენი სულის გადარჩენაზე მზრუნველ მღვდლებს, როგორ გვართმევენ სახალხო ქონებით შემკულ ჯვრებსა და ხატებს და ბოლოს როგორ ასხვისებენ საეკლესიო ქონებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სისხლითაა შეძენილი, ან ჩვენი უწინდელი მეფეების მიერ საჩუქრადაა გადმოცემული“.

„საეკლესიო რეფორმა“ უკანასკნელი წვეთი იყო ხალხის მოთმინების ფიალაში. მოლაპარაკებამ რუსებთან არავითარი შედეგი არ გამოიღო. 1819 წელს შორაპანში მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყების მთავარი მიზეზი იყო რუსების „რელიგიური“ განუკითხაობა. აჯანყება მთელი ვტორიას, რაჭას, სვანეთს... აჯანყდა რაჭის მოსახლეობაც. ისინი რეფ-

ობიპე პლდელთაპაპი პაბოშლაა პლესიაა ნეიღანად შპანსხა

ორმის გაუქმებას ითხოვდნენ და ადამიანურ, მართლმადიდებლურ მოპყრობას. გურიასა და სამეგრელოში რუსი მოხელეები ვერ შევიდნენ, მოსახლეობამ არ შეუშვა.

საქართველოს ეგზარქოსი, რუსი მიტროპოლიტი თეოფილაქტე (თეოფილე) რუსანოვი, რომელიც ახორციელებდა „საეკლესიო რეფორმას“, იძულებული გახდა, ტფილისში დაბრუნებულიყო. ის საქართველოს ეგზარქოსი 1817-1821 წლებში ეწეოდა ქართული ეკლესიის რუსიფიკაციას. თეოფილაქტეს ინიციატივით, მომზადდა „საეკლესიო რეფორმების“ პროექტი, 1819 წელს საეკლესიო გლეხებს შეაწერა გადიდებული ფულადი გადასახადი, ნატურით გადასახადი შეუცვალა ფულადით (რაც ძალიან მძიმედ აისახა გლეხობის მდგომარეობაზე), შეამცირა ეპარქიათა და სამრევლო ეკლესიების რაოდენობა და სხვა.

თეოფილაქტეს იმპერიალისტურმა ღონისძიებებმა გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და დაჩქარა აჯანყება. ამ აჯანყებას საეკლესიო აჯანყება უწოდეს – „ცერკოვნი ბუნტ“.

ქართველი მღვდელმთავრები, დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი ცდილობდნენ, გონზე მოეყვანათ რუსი ჩინოვნიკები და მათთან მოლაპარაკებას ანარმოებდნენ. მაგრამ, რუსმა მოხელეებმა „დამნაშავეების“ დასჯა დაიწყეს. იმერეთი და რაჭა კვლავ ფეხზე დავდა. ქართველები თავს ესხმოდნენ რუსების რაზმებს. პატრიოტებს გაუჩნდათ იმედი ქართული სახელმწიფოებრიობის (იმერეთის სამეფოს) აღდგენისა, რომელიც რუსეთმა ვერაუფლად და ძალით გააუქმა, თავისივე ხელშეკრულების დარღვევით.

იმერლებმა მეთაურად მოიწვიეს ირანში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი. ის ვერ ჩამოვიდა. მერე ერთმა ნაწილმა არჩევანი ივანე აბაშიძეზე შეაჩერა, როგორც სოლომონ პირველის შვილიშვილზე. რუსებმა ვერ დააპატიმრეს აბაშიძე.

მთავარმართებელმა და ეგზარქოსმა თეოფილაქტემ გაცხცეს განკარგულება, დაეპატიმრებინათ გელათისა და ქუთაისის მიტროპოლიტები – ექვთიმე გაენათელი და დოსითეოზი ქუთათელი, რომლებიც წინ აღუდგნენ ეკლესიების დახურვას.

„მიტროპოლიტების დაპატიმრება იოლი როლი იყო და სიფრთხილეს მოითხოვდა, რათა ხალხის აღშფოთება არ გამოეწვია“, – წერდა ნიკოლოზ დურნოვო. „მათი დაპატიმრებისათვის ბნელი ღამე შეარჩიეს. ეგზარქოსის ნების წყალობით მიღებული ზომები „სრული წარმატებით დაგვირგვინდა“.

1920 წლის 4 მარტს ერთი და იმავე დროს შიპყრეს ორივე მიტროპოლიტი, ჩამოაყვეს თავზე ტომრები, რათა გზაში არავის ეცნო და გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით, მამინევე რუსეთისკენ გაუყენეს. მათ ისე ეპყრობდნენ, როგორც ვიღაც დამანაშავეებს – სცემდნენ თურმე მათრახით.

იმავე დროს დააპატიმრეს დარეჯან ბატონიშვილი, სოლომონ პირველის ასული, აბაშიძის დედა. ასევე, აჯანყების ზოგიერთი მეთაური, რუსული იმპერიალიზმის მოწინააღმდეგენი.

აჯანყების მთავანი ზოგი ჩამოახრჩვეს, ზოგი გადაასახლეს. მინასთან გაასწორეს შემოქმედის ციხე, სოფელი ფუტივითი და სხვა სოფლები დასავლეთ საქართველოში. მოსახლეობას უმკაცრესად გაუსწორდნენ, რათა „დიდი ხანი დაამასსოვრდეთ“...

წმინდა დოსითეოზი, როგორც ვარაუდობენ, გზაზე მოაპოვეს, 5 მარტს... როგორც ვთქვით, მას თავზე ჩამოცმული ჰქონია ტომარა, და ისე უწყალოდ ექცეოდნენ, რომ მოხუცებული გაიგუდა თუ ტყვილებით გარდაიცვალა...

ცხედარი ანანურში ჩაიტანეს. დამპყრობლები კარგა ხანს დახვდნენ იყვნენ, ამ ამბის განმარტების უკვე თავად შეემინდათ და არ იცოდნენ რა ექნათ... თითქმის 4 დღის შემდეგ მონასტრის ეზოში დამარხეს.

ექვთიმე გაენათელს კბილები ჰქონია თურმე ჩამტყვევული და სისხლს ალებინებდა. მან სიცოცხლე გადასახლებაში დაასრულა. ორივე მღვდელმთავარი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

წმინდა დოსითეოზის ნაწილები ანანურის მონასტერშია დაკრძალული. საქართველოს ეკლესია 6 (ახალი სტილით 19) მარტს აღნიშნავს წმიდა მღვდელმონაშის დოსითეოზი (დოსითეოს) ქუთათელის ხსენების დღეს. მისი სახელობის ტაძარი მოქმედებს ქუთაისში.

გიორგი მასოხაშვილი



დიკა, თავთუხი, დოლი, პოპოლა, ზანდური... საქართველო ხორბლეული კულტურების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ოდითგანვე, ქართული პური კი განსაკუთრებული იყო თავისი გემოვნური თვისებებით, სურნელებითა თუ ყუატიანობით. სწორედ მიმიხვდით, დღევანდელ ინტერვიუში პურზე ვისაუბრებთ, ოღონდ, იმ პურზე, რომლითაც დღეს იკვებება საქართველოს მოსახლეობა და არა იმ პურზე, რომლითაც იკვებებოდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-კულტურული კუთხით მუდამ თავს ინონებდა ქართველი კაცი. ჩვენი რესპონდენტი ბატონი ალექსო ყიფიანი.

რა სანამლავს იღებს ყოველდღიურად ქართული მოსახლეობა და რა ღვაკლება მისსა მის გამოსასწორებლად პატიარაქმა ალექსო ყიფიანი

ალექსო ყიფიანი: პროფესიით ეკონომისტი ვარ. ეკონომიკურის შემდეგ მივიღე სასულიერო განათლება – ჯერ ვსწავლობდი სასულიერო სემინარიაში, შემდეგ – სასულიერო აკადემიაში.

– პურთან და მის წარმოებასთან არც ერთ ზემოთ ნახსენებ პროფესიას პირდაპირი კავშირი არ აქვს. როგორ დაინტერესდები ამ თემათ?

– შარშან, წლის დასაწყისში, მის უწმინდესობასთან მქონდა შეხვედრა. მან დამავალა, რომ მემუშავა პურის თემაზე. ძალიან გამივიკვრდა ასეთი დავალება რომ მივიღე. ვიფიქრე, რამდენ რამეზე ფიქრობს მისი უწმინდესობა-მეთქი, მე-რე, ჩემს თავს დავუსვი შეკითხვა, – ნეტავ, რა ხდება პურში ისეთი, რომ უწმინდესი ამ თემით არის დაინტერესებული-მეთქი.

– საინტერესოა. პურს დღეს დაკარგული აქვს სურნელი, მანიერობა, ხარისხი... საიდან დაინყეთ მოცემული დავალების შესრულება?

– პირველ ყოვლისა, შევედექი ძიებას. ჯერ დავეინტერესდი, თუ როგორი ტექნოლოგიით ცხებობდა დღევანდელი პური. ჩემდა გასაკვირვად, აღმოვაჩინე, რომ ჩვენ ვჭამთ პურს, რომელიც არის არა „ჩვენი არსობისა“, რომელსაც ისტორიულ-გენეტიკურად ვართ მიჩვეული, სულიერი დატვირთვაც აქვს და რომელიც დავით მეფესალმუნე ამბობს: „პური განამტკიცებს გულსა კაცისას“, არამედ, სრულიად საპირისპიროს, რომელსაც პირდაპირ შეგვიძლია დავარქვათ სანამლავი.

– დამაბნეით. უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება...

– ამ საქმეში ცოტა ხნის წინ მეც ისეთივე დილეტანტი ვიყავი, როგორც ნებისმიერი რიგითი მოქალაქე, რომელსაც ჰგონია, რომ რაც უფრო ფუმფულა და ფაფუკია პური, მით უფრო უკეთესია. ზუსტად წელიწად-ნახევარი, რაც ამ საკითხში ძირითადი გარკვევით ვარ დაკავებული და დღევანდელი პურის თემაზე შექმნილების პირველივე დღიდან ისეთი ინფორმაციები შევიტყვე დღეს არსებული პურის შესახებ, რომ პირადად მე პურს აღარ ვჭამ. ძირითადი საპირისპიროება დღევანდელ პურში არის საფუარი, რომელიც ადამიანის ორგანიზმისთვის დამანგრეველია. სწორედ ეს საფუარი ხდება უმრავლეს შემთხვევაში უამრავი დაავადების მიზეზი, როგორებიცაა: სიმსივნური დაავადებები, დიაბეტი, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, კუჭ-ნაწლავის უამრავი სახის დაავადება, სისხლძარღვების დაავადება და ასე შემდეგ, ჩამოთვლა შორს ნავიცივანს.

– კი მაგრამ, ჩვენი წინაპრებიც ხომ მოხმარდნენ საფუარს?

– რა თქმა უნდა, მაგრამ, იმ საფუარსა და დღევანდელ საფუარს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ძველი საფუარი იყო ნაშალი და მზადდებოდა ბალახეული ნარჩენებით, ხოლო ჩვენ დღეს მოვიხმართ ეგრეთ წოდებულ თერმოფილურ საფუარს, რომელიც შედგება ადამიანის ორგანიზმისთვის აკრძალული ქიმიური ელემენტების ნაერთისგან. ზოგს ჰგონია, რომ, თუ ახალ პურს არ შეჭამს და მეორე დღისას მიირთმევს, უკეთეს სიტუაციაში აღმოჩნდება, თუმცა,

ეს ასე არაა. დროის სოკო და ბაქტერია, პურის ცხობის პროცესშიც არ კვდება და ორგანიზმში მოხვედრის შემდეგაც ჩვეულებრივად განაგრძობს მოქმედებას, იღვიძებს, როგორც ქიმიურ ელემენტთა ნაერთი და ორგანიზმში ისევება ასე ვთქვათ, ჩვენთვის უხილავი ომი, რაც, პირველ რიგში შესამჩნევად ხდება უკვე დასუსტებული უჯრედებისთვის, როგორც არის ფიბროზული და სიმსივნური ჩანასახები. ეს დროეი ნებისმიერ საკვებში თუ ორგანიზმში მოხვედრისთანავე თავის პირდაპირ ფუნქციას ასრულებს.

– ესე იგი, თუ ვთქვათ, მე სიმსივნე მაქვს, ჩემი სიმსივნე გაფუებასა და გამრავლებასაც ისევე შეუწყობს ხელს, როგორც ცომს აფუებს?

– ასეა, უბრალოდ, მას მაინც უშლის ხელს ცოცხალი ორგანიზმის მეტროლოი იმუნიტეტი, სანამ, რა თქმა უნდა, მას ამის ძალა შესწევს.

– კი მაგრამ, პური ხომ უნდა მივიღოთ, როგორ მოვიქცეთ?

– ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ერთადერთი, უნდა ვცნობი იმ მწარმოებლებს, რომლებიც ამბობენ, რომ ზოგიერთი სახეობის პურში არ არის საფუარის შემცველობა, ან, დამზადებულია ბუნებრივ საფუარზე. ბუნებრივ საფუარზე დამზადებული პურის წარმოება საკმაოდ რთული პროცესია, რადგან, თუ დღეს არსებული საფუარი 20-60 წუთის განმავლობაში აფუებს ცომს, ბუნებრივ საფუარს ამისათვის სჭირდება მინიმუმ 10 საათი. დღეს არსებული პურის სანარმოებიდან არც ერთი დიდი მწარმოებელი არ არის ტექნიკური საშუალებებით მზად იმისთვის, რომ ამდენი დრო დაუთმოს ცომის ბუნებრივი წესით გაფუებას.

– დღევანდელ ფქვილზე რა ინფორმაციები მოიპოვებ?

– სამწუხაროდ, სახარბიელო მდგომარეობა არც აქ არის, თუმცა, არც მთლად ისეთი სიტუაციაა შექმნილი, როგორც საფუართან დაკავშირებით. საერთოდ, ფქვილი უნდა მზადდებოდეს ყოველგვარი დანამატის გარეშე. მართალია, პური ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისეთი ფუმფულა არ გამოცხვებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯანმრთელობისთვის უკეთესია.

– ადრე, ჩემს ბავშვობაში, მასხოვს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ პური რომ ძველდებოდა, ოდებოდა, დღეს კი ასეთი რამ ძალიან უცხოა, ამის მიზეზი თუ შეიძლება?

– ჩვენს ბავშვობაში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო პურის ცხობის მხრივ, რაც გამოიხატებოდა ისევე საფუარში, პურის ცომის მომზადებასა და, რა თქმა უნდა, ხორბალშიც. მაშინ ჯერ კიდევ ტოვებდნენ ცომს „ასპად“ და შემდეგ აცხობდნენ. თუმცა, საფუარი მაშინაც უკვე ქიმიური შემადგენლობის იყო, რომელიც ასევე მოუღებელია ორგანიზმისთვის, მაგრამ, ახ-

ლანდელ საფუარს თუ შევადარებთ, ის ძველი ნაკლებად სამიმი იყო; ასევე, მანიერობაც შედარებით მაღალი ჰქონდა და უფრო ნოყიერიც იყო. ის ძველი საფუარიც, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა გამოიყენებდა, გადმოღებული ჰქონდათ მეფის რუსეთის პერიოდთან, არადა, თვითონ ეს საფუარი, როგორც მანქნეული პროდუქტი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იყო გავრცელებული მიზანმიმართულად გერმანელების მიერ, როგორც „ტექნიკური მიღწევა“.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოში პური ცხებოდა გლეხური ტრადიციითაც, სანამ ქარხნებში დაიწყებოდა პურის მასობრივი წარმოება და საერთოდ განსხვავებული იყო იმ პურისგან, რომელიც ჩვენს თაობას ახსოვს. ის მზადდებოდა „ცომის დედაზე“. გლეხს ფქვილიც ეკოლოგიურად სუფთა ჰქონდა, რომელსაც ფქვევდა ან ხელის, ან წყლის ნისქილზე, რა შემთხვევაშიც ფქვილს უნარჩუნდებოდა ის სასარგებლო ღირებულებები, რომლებიც დღევანდელ ფქვილს დაკარგული აქვს.

– ხორბლის ჯიშების შესახებ რას გვიამბობ?

– საბედნიეროდ, მისი უწმინდესობის დიდი ძალისხმევით, დანეყებულია ხორბლის და, ზოგადად მარცვლოვანი კულტურების ძველი ჯიშების მოძიება და აღდგენა. საქართველო მსოფლიოშია ცნობილი როგორც ღვინისა და პურის ქვეყანა. ქართული პურის ჯიშები მიჩნეულია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ხორბლის ჯიშების წინაპრად. აღდგენის პროცესი მიმდინარეობს, რასაც დრო სჭირდება.

– როგორ გვიჩვენებთ და პურებას, მათ ვისაც მოუხედავად ყუროდისა, არ შეუძლია პურის გარეშე არსებობა?


– კარგი ტერმინია „დაბურება“. დღეს ვგრობა და ვეროპელი არჩევი პურის ხარისხს და მიირთმევს ცოტას, მაგრამ ნოყიერს და, რომ გვეგონება, ქართველები ბევრ პურს მივირთმევთ, ეს სწორედ უზარისხობისა და უმანიერობის შედეგია, რასაც მასში არსებული საფუარი იწვევს.

– კი მაგრამ, ვეროპაში არ ხმარობენ საფუარს?

– არის ქვეყნები, სადაც თერმოფილური საფუარის გამოყენება აკრძალულია. ნამდვილი პურის გემოს რომ გაფუებს, მართლაც მიხვდებით, რომ ის არის საქმელი, რომელთანაც დანარჩენი საკვები თითქმის არაფერს აღარ წარმოადგენს. კარგად და სწორად გამომცხვარი პური ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ყველა აუცილებელ ელემენტს შეიცავს და ძალიან გემრიელიცაა. მაგალითად, ჩვენ სახლში პურს ვაცხობთ ბალახეულ საფუარზე მომზადებული ცომით, ხოლო, რაც შეეხება ფქვილს, ვყიდვლობ ქართულ ბორბალს, წყლის ნისქილზე ვაფქვევინებ და შემდეგ ვაცხობთ. მერწმუნეთ, ამაზე გემრიელი და კეთილსურნელოვანი საკვები არ არსებობს.

– ამაში ვეჭვიც არ გვეპარება. როცა თქვენ პატრიარქმა ჯანმრთელი პურის გამოცხობაზე მუშაობდა დაავალა, მას სურდა, რომ მივავნოთ გამოსავალს და მთელი ერთი ვიკებოთ ჯანმრთელად, რაც ძალიან ბევრ პრობლემას მოგვამოწმებს.

– რა თქმა უნდა, ასეა. უბრალოდ, ჩვენ არ გვიფიქრია და არ ვფიქრობთ ამ საპირისპიროებაზე, ხოლო მისი უწმინდესობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრ პრობლემაზე ფიქრობს და მათ შორის ერთ-ერთი ეს პრობლემაც არის. იმედია, გავიანზრებთ არსებულ საფრთხეს და მალე მასობრივად გადავართ ჯანმრთელი, უსაფუარო ან ბუნებრივი საფუარი მომზადებული პურის მიმართებაზე.



ვიფიქრე, რამდენ რამეზე ფიქრობს მისი უწმინდესობა-მეთქი, მე-რე, ჩემს თავს დავუსვი შეკითხვა – ნეტავ, რა ხდება პურში ისეთი, რომ უწმინდესი ამ თემით არის დაინტერესებული



- ქალბატონო მაკა, იციან თუ არა ქართველმა ქალბატონებმა, როგორ მოუწოდოთ თავს და სწორად იზრუნონ სახის კანსა და გარეგნობაზე.

მაკა დოლოზაშვილი (კლინიკა „ჰეალაინ ინტერნეიშნლის“ დერმატო-კოსმეტოლოგი): სამწუხაროდ, ქართველი ქალბატონების უმრავლესობა სათანადოდ ვერ ზრუნავს საკუთარ კანზე. საქმე მხოლოდ მატერიალურ შესაძლებლობებში არ არის, პრობლემა უფრო ნაკლებად ინფორმირებულობაშია. ესთეტიკური მედიცინა სხვა დისციპლინებთან შედარებით ჯერ კიდევ ახალია და ბევრმა არ იცის რა თანამედროვე შესაძლებლობები არსებობს კანის მოსაველეად. რაც შეეხება კანს, ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა სისტემა და ბევრი საკმაოდ სერიოზული დაავადების ინდიკატორი, მოკლედ რომ ვთქვათ, ის ადამიანის შინაგანი მდგომარეობის სარკეა.

- ამბობენ, რომ ჯანმრთელი კანი, ეს ბუნების საჩუქარია...

- ნამდვილად დიდი საჩუქარია, თუმცა ყოველთვის ასე არ არის.. თუ კანს, თუნდაც სრულიად უპრობლემოს, სწორად და დროულად არ მოვუვლით ის ამას დიდხანს არ გვაპატიებს და ასაკთან ერთად გაჩნდება ყველასთვის ნაცნობი პრობლემები: ადრეული მიმიკური და არამიმიკური ნაოჭები, პიგმენტური ლაქები, მომატებული ცხიმინიანობა ან პირიქით, კანის გამოშრობა.. გამონაყარი თუ კუპეროზი.

- ჩვენს ბაზარზე საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი კანის მოვლის საშუალებები... არის თუ არა კრემის მაღალი ფასი იმის გარანტი, რომ კანი დაცული და მოვლილია?

- დანამდვილებით გეტყვით რომ არა.. მთავარია მათი გამოყენება საჭიროებისამებრ მოხდეს, ამას კი სპეციალისტი განსაზღვრავს.

- ანუ, თუ გვინდა, დროზე ადრე არ დავბერდით და ეფექტურად გამოიყურებოდით, უნდა ვიმეგობროთ დერმატო-კოსმეტოლოგთან.

- (ილიმბა) ნამდვილად კარგი იქნება. კანი და მისი მდგომარეობა პირველია, რაც ადამიანის დანახვისას გვხვდება თვალში. უდავოდ სასურველია უფრო მეტი ვიცოდეთ საკუთარ კანზე, დღეს უკვე შესაძლებელია ჯანმრთელი, ლამაზი კანის დიდი ხნით შენარჩუნება, კანის მოვლის საშუალებები თუ გამაახალგაზრდავებელი პროცედურები აუცილებლად ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს თითოეული პაციენტისთვის.

- ძირითადად, რა პრობლემებით მოგმართავენ?

- ჩვენი კლინიკის ძირითად მიმართულებას დღემდე თმის ტრანსპლანტაცია თმის ცვენის დიაგნოსტიკა და მკურნალობა წარმოადგენდა. პაციენტებიც შესაბამისი ჩივილებით მოგვმართავდნენ. სილამაზისადმი კომპლექსურმა მიდგომამ და პაციენტების სურვილის გათვალისწინებამ განაპირობა მომსახურების სფეროს გაფართოება და ყველაფერ ამას „ჰეალაინში“ ესთეტიკური მიმართულებაც დაემატა, ანუ გამაახალგაზრდავებელი პროცედურების სრული სპექტრი, როგორცაა მიმიკური და არამიმიკური ნაოჭების კორექცია ბო-

კანი ჩვენი სავიზიტო ბარათია. პირველი ნაოჭები, ლაქები, გამონაყარი... ყველაზე ოპტიმისტ ქალბატონსაც ვფულს უტენს და საკუთარი თავის რწმენას უკარგავს. არავის უნდა, დაბოლოვდეს დროზე ადრე. მით უფრო მაშინ, როცა უამრავი საშუალება არსებობს სიბერის „გადასავადებლად“. დღეს ეს უკვე რეალობაა. მთავარია, ვიყოთ ინფორმირებულები და ვიმეგობროთ პროფესიონალებთან. ანუ, მათთან, ვინც ზუსტად იცის, რა გვეჭირდება ახალგაზრდული იერის დიდხანს შესანარჩუნებლად.

კლინიკა „ჰეალაინ ინტერნეიშნლის“ დერმატო-კოსმეტოლოგი მაკა დოლოზაშვილი და წამყვანი პლასტიკური ქირურგი დეა პაპასკირი ერთად შეგიჩვენენ სამკურნალო-გამაახალგაზრდავებელ პროგრამას, რომლის ეფექტურობა ძალიან მაღალია სხვა თქვენს გარეგნობაზე.

რამდენი უნდა ვიმეგობროთ პროფესიონალ დერმატო-კოსმეტოლოგთან და როგორ დავხეხმარება ის სიბერის „გადასავადებაში“

რთობა და ყველაფერ ამას „ჰეალაინში“ ესთეტიკური მიმართულებაც დაემატა, ანუ გამაახალგაზრდავებელი პროცედურების სრული სპექტრი, როგორცაა მიმიკური და არამიმიკური ნაოჭების კორექცია ბო-



- ჩვენს კლინიკაში თითოეული პაციენტისადმი ინდივიდუალური მიდგომის მეთოდით კომპლექსურად ვმუშაობთ მე - დერმატო-კოსმეტოლოგი და ჩვენი პლასტიკური ქირურგი, მედიცინის დოქტორი - დეა პაპასკირი. კანის მდგომარეობის შეფასება ხდება სხვადასხვა კუთხით და შესაბამისად, შეირჩევა სამკურნალო-გამაახალგაზრდავებელი პროგრამაც. შეიძლება, დაგვჭირდეს კონტურული პლასტიკის ჩართვაც, მიმიკური ნაოჭების გასწორებაც, მეზოთერაპია, ბიორევიტალიზაცია ან მხოლოდ შემოვიფარგლოთ ქიმიური პილინგით, გამათეთრებელი პროცედურებით და მივიღოთ ძალიან კარგი შედეგი. შეიძლება, ვინმემ გამოიყენოს ძალიან ძვირად ღირებული პროცედურა არასაჭიროებისამებრ და ეფექტი საერთოდ არ ჰქონდეს. ჩვენ ასეთ შემთხვევებს გამოვირიცხავთ. პაციენტს უნდა გაუკეთოთ ის, რაც მას სჭირდება. მაშინ ის აუცილებლად კმაყოფილი დარჩება.

- ანუ, არ არის აუცილებელი, დავხარჯოთ ძალიან დიდი ფული, ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად...

- სწორედ ამის თქმა მინდოდა, თუ ყველაფერი გაკეთდება პროფესიონალურად და დანიშნულებისამებრ, ქალბატონს არ დაეცემა კოსმეტიკური ჩარევების კვალი, დიდხანს შეუნარჩუნდება ბუნებრივად ახალგაზრდული, ეფექტური და ჯანმრთელი იერი. ყველას ვურჩევთ, ნუ დაელოდება ასაკის მატებას, დროულად მიმართოს პროფესიონალ დერმატოლოგს და მასთან ერთად დაგვემოს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის კომპლექსური გზები, შეარჩიოს კანის მოვლის საშუალებები და სამკურნალო გამაახალგაზრდავებელი პროცედურები. ჩვენ ფვხვავთ მივდევთ ესთეტიკური მედიცინის სიახლეებს და ვწერავთ ბოლოდროინდელ მიღწევებს საკუთარ პრაქტიკაში. პაციენტების სამკურნალოდ მივმართავთ ყველაზე საიმედო, უსაფრთხო და აპრობირებულ მეთოდებს.

P. S. „ჰეალაინ-ინტერნეიშნლის“ სპეციალისტები გელიან ყოველდღე, კვირის გარდა. ქავთარაძის №16. DKC კლინიკა.

ტელ.: 2-30-00-30.





ინდოელი კალაბონის კეთილშობილური ზრახვა

ასე მგონია, წინა ცხოვრებაში ქართველი ვიყავი და შემდეგ ცხოვრებაშიც ქართველი ვიქნებო, – მეუბნება ქალბატონი სუჯატა.

დიდი ხანი არ არის, რაც სუჯატა კუმარი საქართველოში ცხოვრობს. აქაური ყველაფერი მოსწონს, ბუნებაც მშობლიურად ახლობელი ეჩვენება და კერძებიც. ქართულ ცეკვებს როცა უყურებს, ლამის არის, ხელები გაშალს და მოცეკვავეთა გუნდს შეუერთდეს; როცა ქართულ სიმღერებს უსმენს, სიამოვნებისგან ჟრუნტელი უვლის. ქართველი მხატვრების ნახატებში მისთვის ყველა ფერი ახლობელია. ძალიან უნდა, ქართული ენა ისწავლოს, რათა აქაური პოეტების სულს ჩასწვდეს.



ობის ასოციაცია „ბჰარატის“ ვიცე-პრეზიდენტმა თამარ ლამპარაძემ. სიტყვით გამოვიდნენ ინდოეთის ელჩი საქართველოში – სურემ ბაბუ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია და ინდური კინოს მკვლევარი დავით ბეტიტაშვილი. სა-

ზეიმო გახსნას დაესწრნენ საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. გახსნაზე ნაჩვენები იყო 10-ნუთიანი დოკუმენტური ფილმი „რაჯ კაპური თბილისში“ (1954 წელი) და ინდური კინოს ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი ფილმი – „ბაიკერები 3“ (2013 წელი). ოთხი დღის განმავლობაში მყოფებელმა იხილა ბოლო წლების საუკეთესო ინდური ფილმები, რომლებზე დასწრებაც თავისუფალი იყო. აქაც თავისი ენერჯია არ დაუშურებია ინდოელ ქალბატონ სუჯატა კუმარის, მომავალში კი აპირებს, დაეხმაროს ახალგაზრდა ქართველ შემოქმედებს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები ხელოვნების ასპარეზზე, ასევე, ჩაფიქრებული აქვს სხვა მრავალი საქველმოქმედო საქმიანობაც. ვუსურვოთ მას წარმატებები ესოდენ საჭირო და კეთილშობილურ ნამოწყებებში!

ნინო ყიფიანი

ეს ლამაზი და დახვეწილი ხასიათის ქალბატონი ბიზნესის სფეროში საქმიანობს. საქართველოში ჩამოსვლამდე აზერბაიჯანში და ამერიკაში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ სან-ფრანცისკოში სახლი აქვს და მისი ოჯახი იქ ცხოვრობს, ქალბატონ სუჯატას მაინც აქ ყოფნა ურჩევნია. მას ჰყავს მეუღლე და შვილები -- ქალ-ვაჟი.

სუჯატა კუმარი გვერდში უდგას ყველა ღონისძიებას, რომელიც საქართველო-ინდოეთის ურთიერთობას ეხება. 21-24 მარტს, ინდოეთის საელჩომ საქართველოში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და საქართველო-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის ასოციაცია „ბჰარატმა“ ჩაატარა „ბოლივუდის“ 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება – „ინდური ფილმების დღეები“.

საზეიმო გახსნა გაიმართა კინოთეატრ „რუსთაველის“ დიდ დარბაზში, რომელიც გახსნა საქართველო-ინდოეთის კულტურული ურთიერთ-





მტბნოლი აზტბები

ღაჟოკრიტბ: ადვილია იმის ტბბა, რაც არ იმსახურებს შეტბბას, და იმისი ლანძღვა, რაც არ იმსახურებს ლანძღვას. ერთიც და მეორეც ცუდი ხასიათების ადამიანისთვის არის დამბასისათბბებელი.

კოწფუცი: სწავლა უფიქრელად უსარგებლოა, მაგრამ ფიქრც უსწავლელად სახიფათოა.

მორბა: ბიზნესი სბორტისა და ომის კომბინაციაა.

ზოიმი: ბოროტ ადამიანებს სიძლერები არა ატბბთ.

ციცარონი: კეთილთან და ბოროტთან ერთნაირი მოტბბევა არ შეიძლბბა.

ლაროშუკო: ყველაზე საბოში ის ადამიანები არიან, რომლებიც სიკეთეს სრულად არ არიან მოკლებული.

ბიჩარი: არ შეიძლბბა ადამიანს გონიერი უწოდო, თუ მას საჭიროების შემთხვევაში თავის შეკაება არ შეუძლია.

ბოითბ: ეგოიზმი ისეთი საბნინელი ნაკლოვანებაა, რომ არავინ პატიბბს სხვას და არავინ აღიარებს საკუთარ თავში.

ბრწწმ: ცოცხალ გონბბას ის ახასიათებს, რომ საკმარისია ცოტა ნახოს, ცოტა მოისმინოს, რათა შემდეგ დიღბანს იფიქროს, ბევრი გაიგოს და მრავალი შეტბბნას.

რამბრაკი: ადამიანი, რომელიც ამალბბებული გრძნობებისკენა მიდრეკილი, როგორც ნესი, ატყუებს საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

ლიოტბარი: გრძნობა გვატყუებს, ის შეზღუდულია სივრცეში და სხვადასხვა შესაძლებლობაში.

პრალიუსი: ნუ მზვავბ, როდესაც იძენ, ნუ ნანბ, როდესაც კარგავ.

ბალზაკი: თავისი ნაკლის შეგნებით ადამიანი ძლიერდებბა.

ნაკოლიონი: ვისაც მლიცენელობა შეუძლია, მას არც ცილისნამება გაუჭირდებბა.

ბიუზონი: თუ კარგად წერ, ეს ნიშნავს, რომ იმავე დროს კარგად აზროვნებ, კარგად გრძნობ და კარგად გადმოსცემ; ეს ნიშნავს, რომ გატვს გონება, გრძნობა და გემოვნება.

სიუნ-ძი: ბევრი თავისუფალი დროის მქონე ადამიანი ბევრს ვერ მიაღწევს.

შოკანბაუარი: ბავშვის ერთი საათი უფრო გრძელია, ვიდრე მოზუტის ერთი საათი.

სინოზბ: გამოცდილბბა ხბირად გვასწავლის იმას, რომ ადამიანები თუ რამეს ვერ ფლობენ, ეს მათი ნებბია.

პიტბანბბანი: გამოცდილი ადამიანები ლაპარაკის მიხედვით გაიგებენ სხვა ადამიანის სულის პულსს, როგორც ბრტენმა თტვა: „ლაპარაკე, რამდენიც გინდა, რომ გიცნო შენ“.

პანტი: ვინც უარი თტვა ზედმეტობისგან, ის აკრძალვებისგან გათავისუფლდა.

თიოფრასტბ: სიამაყე – თავისებურად ყველაფერი დანარჩენის სიძულვილია, გარდა საკუთარი თავისა.

ბაკონი: თუ სიამაყე სხვების სიძულვილიდან საკუთარი თავის სიძულვილამდე ამალდებბა, თავისთვად სიკეთე გახდებბა.

როსასი: სიამოვნება, რომლის შესახებ საუბარი არ შეიძლბბა, სიამოვნება არ არის.

ჟიროლბუ: ტალბბი სირბილისთვის არ არიან შეტბბნილნი. მათი გატტევა და დატტრა ერთია.

ზპვი: დაფუთობი ლამაზი ტალბბი წარმოსახვის უუნარო ადამიანებს.

თუ ბაგოიწნოკბ

1. ერთ-ერთ აღწერაში ის „ყვითელი პრესის პაპარაცის“ შეადარეს, რომელსაც შეუძლია, თავისი მსხვერპლი ნებისმიერ პოზაში დააფიქსიროს და სამუდამოდ შეინახოს. **დაასახლეთ ის.**

2. არსებობს ვერსია, რომ, გარდა მისი ძირითადი ფუნქციისა, დღემი ხუთჯერ ამის გაკეთება იყო ფიზიკური ვარჯიში, რომელიც მამაკაცებს მოზუცებულობამდე უწარუწებდა სულის სიმწვიდეს, სხეულის მოწნილობასა და ფიზიკურ ძალას. **რა?**

3. ერთ-ერთი ვერსიით, ველასკესის მიერ შეტბბნილმა ტილომ – „ფილიპე მეოთხის პორტრეტბა“ უბიძგა საღვადორ დღლის იმისკენ, რითაც ის მოფილიოზია ცნობილი. **დაასახლეთ, რას?**

4. ბრძოლის დროს რომაელები ვერ იგებდნენ ბერტენთა ტმედების შინაარსს, როდესაც ისინი მალლა სწევდნენ შუბს და ამიტომ ყველას ხოცავდნენ. ეს ყესტი დღესაც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა, უფრო ხბირად ამას მონინალმდეგებები აიძულებენ. **დაასახლეთ, რას?**

5. თავდაპირველად პირველი საბჭოთა კოსმოდრომის მშენებლობას შორეულ აღმოსავლეთში ვარაუდობდნენ, თუმცა მერე არჩევანი ყახზეთზე გაკეთდა. პირველი არჩევანი არაერთმა მიზეზმა გადაწონა: კლიმატი, საჭარო გზების რაოდენობა, არც ისე მალალი სეისმური აქტივობა და სიტუაცია, ერკ არტურ ბლერის მიერ მოგონილი სახელით – „ცივი ომი“. **რატომ?**

6. გასული საუკუნის 30-იან წლებში კოპენჰაგენში რატუმის მოედანზე აიგო კუთ-

ხოვანი კოშკი, რომლის წევრზე ორი ოქროს ფიგურა იდგა. ფიგურები ამინდის მიხედვით მოძრაობდნენ: თუ წვიმა იყო მოსალოდნელი, წინ გამოდიოდა ქოლგიანი გოგონა, თუ მზიანი ამინდი დადგებოდა, მაშინ გოგონა წნდებოდა იმით, რომლის სახელიც ფრანგული წარმოშობისაა, თუმცა, დანია მის ტვეწნად ითვლბბა, კოპენჰაგენი კი – მის დედატალბბა. **დაასახლეთ ის.**

7. მიკროფსია – ეს არის ნევროლოგიური დაავადება, როდესაც ადამიანი საგნებს პროპორციულად დაპატარავებულს ხედავს. დროებითი მიკროფსია შეიძლბბა განუვითარდეთ ბავშვებსაც 5-10 წლის ასაკში. ფსიქიკის ასეთ განწყობას სხვა სახელსაც უწოდებენ. **რომელს?**

8. ბიბლიაში სულ სამი ანგელოზია მოხსენიებული: პირველი – მიტაელი, მეორე – გაბრიელი... **დაასახლეთ მესამე.**

9. **დაასახლეთ ის,** რისმა დანახვამაც შეიძლბბა მოგაგონოთ როგორც ერთ-ერთი ქიმიური ელემენტი, ისე სიცილია, ან, სულაც – ჩერჩილი.

10. კოსმოსური ხომალდების – „აპოლონისა“ და „სოიუზის“ შეპირაპირების დროს, სიმბოლურად უნდა მომზდარიყო ამერიკული და საბჭოთა ეკიპაჟების მეთაურთა ხელის ჩამორთმევა ნეიტრალურ ტერიტორიაზე. თუმცა, გახსნეს თუ არა კარი, ტრადიციების მოყვარულმა ლეონოვმა სტაცა ხელი სტაფორდს და სასწრაფოდ თავის ხომალდში შეიყვანა. **რატომ?**

პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე

ეპიტაფიბი ბაგოჩენიღ აღამიანთა საფლავებზე

ქრისტაფორა კოლუმბი – ბეტქდში ამგვარი წარწერა ტქონდა: „ოკეანის ადმირალი და ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი“.

ღრწისლავი – ხორვატისის მეფე. მეფობდა 991-1009 წლებში. ომის დროს ტყვედ ჩაუვარდა ვენეციის დოჟს პეტრო ორჩიოლოს. რაინდული ტრადიციის თანახმად, ორჩიოლომ შესთავაზა, ყველა სადავო საკითხი გადაენყვიტათ ან ხმლით ორთაბრძოლაში, ან ტბადრაკის დაფასთან. დრწისლავმა ეს უკანასკნელი აირჩია და პარტია მოიგო კიდეც, რის შემდეგ გაათავისუფლეს და პატივით დააბრუნეს სამშობლოში. ამის შემდეგ გაჩნდა ხორვატისის გერბზე ტბადრაკის დაფა.


მაულია ისამილია – მაროკოს სულთანია. ბეტქდზე ტქონდა ამოკვეთილი: „სიკვდილი მარტობაა, სხვა არაფერი“. ამ სულთანს 888 შვილი ტყავდა, 548 ვაჟი და 340 ტალიშვილი.

ნაითი – ეგვიპტური ტალღმერთი. ნეთის ოქროს ტბნდაკებაზე ასეთი წარწერაა: „მე ვარ ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება. არავის აუხდია ჩემი საბურველი, ნაყოფი, რომელიც მე ვშვი, მზე იყო“.

რილან ბანონი – ფრანგი რევოლუციონერი. გილიოტინაზე თავის დადების წინ საყელოს საკინძე გაიხსნა და თტვა: „ოჰ, თავისუფლებავ, რამდენ ბოროტებას

სწაღიან შენი სახელით“. **ჩასოვი** – დიდი რუსი მწერალი. იგი ტლექიანი იყო და ალკოჰოლს არ ეკარებოდა. მან სიკვდილის წინ ნახევრად იხუმრა: „რა ხანია, შამპანური არ დამილევია“.

შამათი ორ სვლაში



წინა ნომერში გამოტყვეწებული სატბადრაკო ამოცანის პასუხი:
1. ლი8-ც8!
შეადგინა შირბილ სუსნიტაშვილი



მარტო ქართველს შეუძლია, ნასესხები ფულით სუფრა გაანაწილოს და დაპატიჟოს ის, ვინც ეს ფული ასესხა...

ტბი მივიდა ჭიშკართან და აკაკუნებს. ებოს მხრიდან ჭიშკარს ძალი მოადგა, თავი გამოყო და ეუბნება:



www.Zaliko.com

- ვერ ხედავ, სახლში არავინაა... კაცს გული წაუვიდა. გონს რომ მოვიდა, ხედავს, თავზე ის ძალი ადგას. ძალა მოიკრიბა და ეკითხება: - ძაღლო, კი მაგრამ, ყველა არ შეგიძლია? - როგორ არა, მაგრამ, შენი შეშინება არ მინდობდა...

- ექიმო, სად მიგყავართ? - მორგში. - კი მაგრამ, მე ხომ ჯერ არ მოვმკვდარვარ? - ჯერ არც მორგში მივსულვართ.

ცოლი ეფერება ქმარს: - საყვარელო, მე შენთან ზღაპრიდან მოვედი. - რომელი ზღაპრიდან? - კეთილი ზღაპრიდან? - რა, გამოგაგდეს?!

- საოცარია: დღეებს, როდესაც რეცხავთ, ხეხავთ, აუთოებთ, ჰბანთ, ამზადებთ... დასვენების დღეებს უწოდებთ?!

მას უნდოდა, ლამაზი ფიგურა ჰქონოდა, სასურველი ტანსაცმელი რომ მორგებოდა და მოხეხინა, მაგრამ, სული ძეხვს მოითხოვდა...

კუპეში ახალგაზრდა ქალი ნიგნს კითხულობს, მეზობელი მამაკაცი კი დაჟინებით უყურებს. ქალმა შეწყვიტა კითხვა და კაცს მიმართა: - არ არის საჭირო ცოლიანი თვალებით ისრების სროლა...

გაზაფხული ძალაში შედის, მალე ზაფხულიც დადგება და, თუ ქალაქარეთ გახვალთ, ბევრი რამე უნდა გაითვალისწინოთ, მაგალითად, უცნობ მდინარესა თუ ტბაში ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა შეხვიდეთ - ჯერ სიდედრი, შემდეგ ცოლი და ბოლოს - თქვენ.

ტბი მგზავრობს ცათამბვჯენში. მოსწყინდა და ლოფტიორს გამოეუბნა: - ალბათ, მძიმე სამუშაო გაქვთ. - დიახ, სერ. - ყველაზე ცუდი, ალბათ, ზემოთ ასვლაა... - არა, სერ. - თუ, დაბლა დაშვება? - არა, სერ... შეკითხვები, მხოლოდ შეკითხვები...

ზის ყვავი ხის კენწეროზე. ჩამოირბინა კურდღელმა, შეხედა და ეკითხება. - ყვავო, მან რას აკეთებ? - არაფერს, უბრალოდ, ვზივარ! - შეიძლება, მეც, უბრალოდ, დავვადე. - რა თქმა უნდა?

დაჯდა კურდღელი, თათები წინ დაანყო, ზის... ჩამოიარა მელამ და შეჭამა. ყველაფერი დაინახა ყვავმა და გაიფიქრა: „უჰ, როგორ და-

მაინცა მეტევა, რომ არაფრის კეთება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მალა ზის“.

მაგარი ნაშა „მერსედესით“ ავტოსერვისში შევიდა. მექანიკოსი ეკითხება:



www.Zaliko.com

- აბა, რამ შეგანახათ, ლამაზო? - არ ვიცი, რა უბედურება სჭირს, ყველგან უარი მითხრეს. - ახლავ შევაკეთებ, ნუ გეშინია... - ახადა კაპოტი მექანიკოსმა და, ხედავს, იქ სერილია: „მტერია, ტარება არ იცის... მე შეკეთების ფულს არ გადავიხდი. - ქმარი“.

ადვოკატთან მივიდა ეშმაკი და ეუბნება: - ისე გავაკეთებ, რომ შენ ყველა საქმე მოიგო, უამრავ ფულს აიღებ და მსოფლიოში ყველაზე მდიდარი გახდები, ოღონდ, ყველა შენი ნათესავი, საყვარელი ადამიანი, ყველა, ვინც დაგიხლოვდება ან, უბრალოდ, მოგეწონება, მალევე მოკვდება და ჯოჯოხეთში მოხვდება. მოიფიქრე, დილით პასუხს ველოდები. - ესე იგი, ყველა პროცესს მოვიგებ, ყველაზე მდიდარი ვიქნები, ყველა ახლოებული მოკვდება... მაინც ვერ გავიგებ, რა საშინელება იმალება ამ შემოთავაზების უკან...

- საოცარია, მალაზიამ ბავშვი ვერ გავიგზავნია - თუ სიგარეტის ან სასმლის ყიდვა გინდა, 18 წლის მაინც უნდა იყოსო, და თუ უფასოდ რამე ეკუთვნით, ბავშვები მხოლოდ 6 წლამდე არიან?!

ცნობილ სტამბის ენამხვილოური ზამონათქვამები

ერთ მარხვა დღეს საჩხერის მეცნიერი იოანე წერეთელი დაპატიჟა სადილად მეგობარმა. სადილზე სხვა მინწველნიც იყვნენ, რომელთათვის სახსნილო საქმელი იყო მომზადებული, წერეთელს კი მწვანელი და ლობიო მოართვეს. - კნიაზო, ბალახს რომ სჭამ, ძროხა ხომ არა ხარო, უთხრა ერთმა ბრიყვმა დათვმა კაცმა, რომელიც სადილზე იმის გვერდით იჯდა. - მამ ძაღლი ხომ არ ვიქნები, მარხვამი ხორცი ვჭამო, - უპასუხა წყნით წერეთელმა...

ოცდაათიან წლებში სტალინმა მოიწვია ოთხი დიდი კინემატოგრაფისტი და ჰკითხა. თუ რა სჭირდებათ მათ ნორმალური მუშაობისთვის: „ითხოვეთ, ნუ მოგერიდებთ. ვეცდები დაგეხმარო“.

რომმა დაიჩივლა, რომ მისი მთელი ოჯახი ერთ პატარა ოთახშია შეწყუფული. ცოლი ავადმყოფებს სჭირდება ბენა.

- კარგი, გექნება ბინა, - თქვა სტალინმა. პუდოკვინმა კი განუმარტა, რომ მას მხოლოდ ქალაქარეთ შეუძლია ნორმალური მუშ-

აობა, ამიტომ ესაჭიროება აგარაკი. - გექნებათ აგარაკი, - დაპატირდა სტალინი.



www.Zaliko.com

პირივემა თქვა, რომ მას აქვს აგარაკი, მაგრამ იქამდე ძნელი მისასვლელია, გზაში ძლიერ იღვლება, რაც ხელს უშლის მუშაობაში, ამიტომ უნდა მანქანა...

ალექსანდროვმა დასძინა: - მე ისეთი დიდი თხოვნა მაქვს, ვერც კი გამიბედავს მისი გახმება - ამხანაგო სტალინ,

თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, რომ მიმელოთ თქვენი ნიგნი „ლენინიზმის საკითხები“, თქვენზე ავტოგრაფით.

- კეთილი, - უპასუხა სტალინმა. ალექსანდროვმა მართლაც მიიღო ავტოგრაფიანი ნიგნი... ბინის, მანქანისა და აგარაკის დამატებით.

ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც გათხოვებამდე ძალიან მოსწონდა აკაკის, გათხოვდა და გადაჰყვა სიმდიდრეს. გათხოვის ერთხელ შეხვდა პოტი და ვითომ ველარ იცნო, თავი არ დაუკრა. ქალმა მოაგონა თავი.

- უკაცრავად, თუ ველარ გიცანი! - უთხრა აკაკიმ, - ადრე თავში გქონდათ ოქრო და ახლა კი გარეთ გამოგსვლიათ...

ქალს თმები ოქროს სავარცხელი ერჭო.

პოეტ ირაკლი აბაშიძეს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, საავადმყოფოში წასვლის წინაც კი არ დაუკარგავს იუმორის გრძობა - ხალისით შეუკრავს ფხვსაცმელები და შვილებისთვის უთქვამს: ეს სიკვდილიც რომ მოთავებული იყოს, ღმერთივით ვიქნებოდით.



მეგობრული პრეზიდენტი და ზრდილობიანი დასვის ბიჭი

ბატონ ედუარდს ყოველთვის ახასიათებდა უშუალო, მეგობრული დამოკიდებულება თავისი დაცვის წევრებთან, რის გამოც პირადი დაცვის ახალ წევრებს შემდეგი სახის ინსტრუქტაჟი უტარდებოდათ:

„პრეზიდენტი, შეიძლება, გაგეზუმროს, მოგიკითხოს ან სახელით მოგმართოს, მაგრამ, ამან არ გაგათამამოს – ყოველთვის დაიცავი დისტანცია და დადგენილი ქცევის წესები.“

დაცვის წევრებსაც მუდამ ახსოვდათ ამის შესახებ და დისტანციის დაცვას გულმოდგინედ ცდილობდნენ.

ნიუ-იორკი. საქართველოს პრეზიდენტი გაეროს ასამბლეაზე გამოსვლისთვის ემზადება. დილით სასტუმრო-

ში საუზმისას ბატონ ედუარდს თანაშემწის ნახვა მოუნდა.

მარტო საუზმობდა. მობილურს არ სწყალობდა. მიიხედა და კართან ახა-



ლაზრდა პირადი მცველი შენიშნა, რომელიც მის ყოველ მოძრაობას გაფაციცებით აკვირდებოდა.

ბატონმა ედუარდმა ხელით ანიშნა.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, მიხვდა, რომ მას უხმობდნენ და... თავი გააქნია.

მცველის ამგვარი ქცევით გაკვირვებულმა პრეზიდენტმა უფრო ენერგიულად დაუქნია ხელი.

ბიჭმა გულზე ხელი დაიდო და თავი დახარა.

– მოდიოთ აქ! – ბრაზი შეეპარა ხმაში ბატონ ედუარდს.

– გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა, მაგრამ, არ შემიძლია.

– რა მადლობა, კაცო, მოდი ერთი წუთით!

– გეფიცებით, ვისაუზმე უკვე, ბატონო პრეზიდენტო, არ მშია... დიდი მადლობა – ხელებს ასავსავებდა ორმეტრიანი ბიჭი.

მოკლედ, რა არ უთხრა, როგორ არ ეცადა ბატონი ედუარდი – ბიჭს ადგილიდან ძვრა ვერ უყო.

ბედად, დაცვის უფროსი შემოვიდა და მდგომარეობა განიმუხტა.

მომზადა ბიორგი გოზაჩია

სააღდგომო აქცია დაიწყო უნიკარში



ფასდაკლებები საჩუქრები მაორმაგებული ქულები



გააყარე უნიკარი დააბროვე აობიტივი



- ია, გავიგე სიხლეები გაქვთ კარიერაში. გვაიმბობთ?

- ჰო, ამაზე უფრო მიყვარს საუბარი, ვიდრე სხვა რამეზე, როგორც უყვარს ხოლმე ზოგიერთ ვარსკვლავს - გარდერობი, სკანდალებზე... არც ვარ სკანდალური ტიპი. რაც შეეხება სიხლეებს, ირანელი რეჟისორი იყო ჩამოსული - მოჰსენ მაქამალბაფი. ის კანის, ვენეციის, „ბერლინარეს“ ფესტივალების მრავალჯერ გამარჯვებული რეჟისორია. ძალიან საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია, ხედავ და სტილი აქვს. მის ფილმში მოხვდი ძალიან საინტერესოდ: 2013 წლის ოქტომბერში ლონდონში გაიმართა ქართული კინოს დღეები და მაქამალბაფი დაესწრო ამ ჩვენებას. ძალიან მოეწონა ჩვენი მსახიობები, ჩვენი ბუნება და მიიღო გადაწყვეტილება, რომ, სცენარი, რომელიც მას ჰქონდა გამზადებული გადართვოდა, ქართველი მსახიობების მონაწილეობით.

- რა ჰქვია ფილმი?

- „პრეზიდენტი“, ოლონდ, არაფერ იფიქროს, რადგან საქართველოში ხდება გადაღება, ჩვენ გვხვება - არც ქვეყანა იქნება დაკონკრეტებული, არც პრეზიდენტი. ეს იქნება კლასიკური სიურეალიზმი, რაც ჩემთვის ყველაზე საინტერესო ჟანრია როგორც თეატრში, ასევე კინემატოგრაფიაში. მკამალბაფის „პრეზიდენტი“ მაისის ბოლოს კანის ფესტივალზე იქნება წარდგენილი.

- ამის შემდეგ კიდევ გადაიღეს სხვა ფილმი?

- რუსიკო გლურჯიძის ფილმში. გადაღებები მიმდინარეობდა სოფელ დავვაში, აჭარის ერთ-ერთ მთიან სოფელში. ეს ბერძენების მიტოვებული სოფელია, ძალიან ლამაზი ბუნებით.

- ამ ფილმს რა ჰქვია?

- „სხვისი სახლი“. ჩემს როლს რაც შეეხება, აზიდა მქვია - უცნაური სახელია. აზიდა არის აფხაზეთიდან, ოლონდ არავის არ ეგონოს, რომ ფილმი აფხაზეთის ან, საერთოდ, პოლიტიკურ თემაზეა. არა, ეს არის ურთიერთობებზე ანყობილი ფილმი, ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე, რთული სათამაშოდ, მაგრამ, კარგია. რაც უფრო გართულებულია ამოცანა, მით უფრო საინტერესოა და მიყვარს მისი განხორციელება.

- თეატრში რა ხდება?

- თითქოს ისეა აწყობილი, რომ, თუ თეატრში ხდება ჩემთვის რაღაცა საინტერესო, იმ მომენტში კინოში თითქოს არაფერი ხდება და პირიქით. ამჟამად ვთანამშობ სპექტაკლებში, მაქვს როლები, უბრალოდ, ჯერჯერობით თეატრში ახალ როლზე არ ვფიქრობ.

- სამაგიეროდ, ახალ პროექტზე მუშაობ ტელევიზიაში.

- ჰო, ეს პროექტია „X-ფაქტორი“. ყველას ძალიან გაუკვირდა, ისეთი სუფთა კლასიკური მუსიკალური პროექტია, ოლონდ, ერთი დატვირთვით: გარდა იმისა, რომ უნდა გქონდეს ძლიერი და საინტერესო მუსიკალური მონაცემები, ასევე თვითონ უნდა იყო განსხვავებული და ინდივიდუალური შენი იმიჯი, თავის წარდგენით, კარგი პლასტიკით, მსახიობური მონაცემებით და ასე შემდეგ. ვეძებთ „X-ფაქტორს“ და ამ დიქტიში მე და ჩემი თანამაგვანი გევა ფალავანდიშვილიც ვართ ჩართულები. გევა ძალიან კარგი პარტნიორი აღმოჩნდა. ყველაფერთან ერთად, მას ძალიან კარგი მუსიკალური განათლება აქვს. მე შევიღწედი მაქვს დამთავრებული ფორტეპიანოს განხრით. გუნდშიც ვმუშაობდი ამის შემდეგ, ოლონდ, დილის 10 საათზე გექონდა გაკვეთილები და მე სულ ვავიანებდი. შედაგოვი არც ამიყვანდა, სმენა და ხმა რომ არ მქონოდა, სმენის გარეშე შევიღწედიც ვერ და-



ამის შემდეგ ძალიან დიდხანს გულშიც არ მიმღერია, დიდი დალი დამასვა

ია სუნიტაშვილი - ის არის ცნობილი და საინტერესო მსახიობი, ცნობილი და საინტერესო ადამიანის მეუღლე და ემოციური და საინტერესო რესპონდენტი, - აი, ასე, მომინდა მისი დახასიათებისას ერთ ნინადადებამი სამჯერ მეხმარა სიტყვა „საინტერესო“.

როგორ გხვდა ია სუნიტაშვილი ქალის შთაბეჭდილობის შემსრულებელი ფილმში, როგორც მისივე კანის ფესტივალზე წარდგენა და რამდენად დააქვს მას გოლგოთა გულით

ვამთავრებდი, მაგრამ, ეტყობა, ჩემი დაგვიანებებით ძალიან გამოვიყვანე შედაგოვი მდგომარეობიდან და, ერთ-ერთ მისგანვე კატეგორიულად მოითხოვა, აღარ მივსულიყავი მასთან, მით უმეტეს, რომ ისედაც არ მქონდა სიმღერის მონაცემები. ამის შემდეგ ძალიან დიდხანს, გულშიც აღარ მიმღერია. დიდი დალი დამასვა. თეატრალურ ინსტიტუტში რომ ვაბარებდი, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ გვემღერა, რასაც მშვენივრად გაეგონათ თავი. ვერ ვიტყვი, რომ ვერ ვმღერებ, მაგრამ, არასდროს მივცემ თავს უფლებას, რომელიმე მუსიკალურ კონკურსში მივიღო მონაწილეობა.

- შემოქმედებითი ცხოვრებიდან დროებით ოჯახურ ცხოვრებაში გადმოინაცვლოთ. ამბობენ, რთულია ერთ ოჯახში ორი ვარსკვლავის ცხოვრება. ეთანხმები?

- რატომ არის რთული? ვინ მოვიგნა, საიდან, რა კვლევები ჩატარდა? მე როცა მიმას მივყვებოდი ცოლად, არ მიფიქრია იმაზე, ჩვენ, ორი მსახიობი, როგორ ვიქნებოდით ერთად. იმ მომენტში საერთოდაც არ მიფიქრია იმაზე, თუ რა პროფესიის წარმომადგენლები ვართ, სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ გადაცემაში ვიყავით და არ ჩაისვა ერთი კითხვა.

- კითხვა რაში მდგომარეობდა?

- ჩვენ გვეგონა, რომ თქვენ ძალიან მალე დაშორდებით ერთმანეთს. აღარ ვკითხე, „გამაზეთ-მეთქი“? თუ ადამიანები ვერ ეწყობიან ერთმანეთს, პროფესია არაფერ შუაშია. „ქალი ვიცი კუხნაში“ - ხომ არის ასეთი ფენომენი ჩამოყალიბებული. ძალიანაც სიამოვნებს ჩემს მეუღლეს, როდესაც სახლში ვარ, მაგრამ, არანაირად არ აპროტესტებს იმას, როცა არ ვარ, იმიტომ რომ, იცის, რატომ არ ვარ - იცის, რომ სპექტაკლი მაქვს, რეპეტიცია მაქვს, გადაღება მაქვს, თუნდაც ახლა, ინტერვიუზე ვარ. ერთი რამ არ მესმის: ცოლად მოვლდი მოჰყავი, მერე კი ანებებინებ თავს და სახლში სვამენ. ჩემი აზრით, ძალიან ბევრი კარგი და ლამაზი მოდელი რომ გვყავდა ქართველებს და უცბად დაიკარგენ, სწორედ ამიტომ. ეს ოხერი, რომ მოგყავს იმის გამო, რომ მოგეწონა პოდიუმზე, მოგეწონა ფოტოებიდან, ჟურნალებიდან, რატომ გინდა, რომ იდაყვებამდე ვეცლონი ჰქონდეს ხელები?! ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მოდელები ყოველთვის მდიდარ კაცებს მიჰყვებიან ცოლად. ბავშვს კი აჩვენებ, მაგრამ, ზუსტად ვიცით, რომ არ აქვთ ძიძის აყვანის პრობლემა, მაგრამ, უნდა, რომ სახლში იჯდეს - ჩემთვის მინდა! რას ჰქვია, „ჩემთვის მინდა“! შენია ისედაც, არაფერ გართმევს. ამას ვერ ვხსნი და ძალიან ვბრაზობ.

მეორე მომენტიცაა, გინდა მსახიობი იღე, გინდა მოდელი, ასეთი პროფესიები ქალები მაინც მუშაულობენ ერთ დროში.

- რას გულისხმობთ?

- რაღაც ასაკის შემდეგ ცოტა უხერხულია მოდელის პოდიუმზე გამოსვლა. რამდენიმე მოდელია საქართველოში, მარაზში არიან გადას-

ული, უკვე დაბერდნენ და მაინც პოდიუმზე გამოდიან. მსახიობ ქალებს რაც შეეხება, 45 წლამდე გაქვს ქალი, რადგან, თუ ინერტა სცენარები, პიესები, ქალის როლი ყოველთვის ცოტაა და, თუ არის, უფრო ახალგაზრდებისთვის. მერე, რაც უფრო გემამტება ასაკი, მით უფრო ცოტაა რაღაცა რომლები და, კიდევ რომ დაგიმლოინ და კარში გადაგიდგებიან, არ მესმის. ამის გამო უფრო ინტერესა ოჯახები. თუ ადამიანს უნდა, რომ გავიდე პოდიუმზე ან სცენაზე, ეს სურვილი ღრუნის მას და ბოლოს ანგრევს კიდევ ოჯახს. როდესაც არის ურთიერთგაგების მომენტი, ის ოჯახი ძლიერი და მყარია.

- მიგანია, რომ გაგიმართლა ამ მხრივ?

- რა თქმა უნდა, გამიმართლა: მიყვარს ჩემი მეუღლე და მასაც ვუყვარვარ; მიყვარს ჩემი საქმე და, ასევე, ჩემს მეუღლესაც უყვარს თავისი საქმე.

- მარტო ცხოვრობთ?

- არა, ჩემს დედამითლან ერთად ვცხოვრობთ.

- შენ და მიშა პროფესიულ რჩევებს თუ აძლევთ ერთმანეთს?

- ჩემი აზრით, გარდა იმისა, რომ მიშა ძალიან მაგარი მსახიობია, თან, ასპროცენტური გემოვნება აქვს და, თანაც, იცის როგორ გირჩიოს. ამ მხრივ მართლა ძალიან დიდი კომფორტია, როდესაც დაკავებული ხარ ხელოვნების სფეროში და გვერდით გაყავს ადამიანი, რომლის გემოვნებასაც ენდობი, მის რჩევებს ითვისებინებ. რაც მთავარია, ძალიან დიდი ბედნიერებაა, როცა გაყავს ერთ-ორი ისეთი ადამიანი, რომელზეც არასდროს მოგატყუებენ. ტყუილი იმას გულსისხმობ, რომ, არ დაგიმალავს, კარგად ითანამშე თუ ცუდად, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს მწიშნელოვნება იმისთვის, რომ განვითარდე. რადგან, შეცდომებზე სწავლობ და ითვისებინებ, რომ იგივე არ გაიმეორო. მსახიობები ხომ ვიზრდებით ფილმიდან ფილმამდე, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე - ეს ბუნებრივია, ორგანულია და ასეც უნდა ხდებოდეს - ერთ ადგილიზე ხომ არ იქნები გაყინული! მე ბევრს ვატყობ, რომ ეპირფერებიან და მერე იყინება ის ადამიანი, იმიტომ რომ, არ ჰყავს გვერდში ისეთი ერთგული, რომელიც ეტყვის: დღეს შენ იყავი ძალიან ცუდი, ან - საშუალო... საბედნიეროდ, მე მაქვს ეს ფუფუნება.

შესაძლოა, ძალიან ვარდისფრა და ვაზატი ყველაფერი - ცხადია, კონფლიქტები ყოველთვის არის ოჯახში და, თავისთავად, არის რალაცები, რაზეც არ მეთანხმება ან არ ვეთანხმები, მაგრამ ეს ძალიან ნორმალურად მიმანია. ისე არაა, რომ ვთქვა: „ჩვენ არაფერზე ვკამათობთ, სულ ასე ტყბილად და თბილად...“ კიდევ ვიმეორებ არის პერიოდები, როცა რალაცაზე ვერ ვთანხმდებით, რალაც მალეზიხანება ან, პირიქით, რალაცაზე არ მეთანხმება.

- ამ დროს ხომ არ იბუტებით ხოლმე?

- არა, მეზიზღება, კაცი რომ იბუტება.

- შენ?

- მწყის, მაგრამ, გამივლის ხოლმე. ბოლმას ვერ ვიღებ გულში, იმ მომენტში გამოხატავ და მერე მესხნება. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ოჯახურ წყვილებს აქვთ დაჯდომის და რალაცების ნორმალურად და ცივილურად გადაწყვეტის უნარი. ზოგი გარბის მკაცრად და იმას უყვება, ზოგი - დაქალთან. მიმანია, რომ ორი ადამიანი თავის პრობლემებს სხვების გარეშე ყველაზე კარგად გადაწყვეტს.



როგორ გამოიყენა „ბერკლის“ დიდ დარბაზში თავის კონცერტზე ჩონგური გიორგი მიქაძე და რატომ დაავალან მას მნიშვნელოვანი ცერემონიალების სამსახვრო ხელმძღვანელობა



რას ვერ შეცვლის მები გოგიტიძისთვის უკრაინულ „კოისში“ გამარჯვება და რატომ მიიჩნევს ის თავს არასაკონკურსო ტიპად



განდა თუ არა „ცეკვავენ პარსკვლავები“ ანი ჯაჯანიძისა და მისი მეუღლის დაშორების მიზეზი და რას გაითვალისწინებთ ის სამომავლოდ
33.71



საქართველო ბეჭდვითი საბჭო და თბილისი - შიგ ჩასმულ... ახში

თბილისელი